

რედოლი ბათიანი




ირაკლი ფარჯიანი



მსოფლიო
ისტორია

ISBN 978-9941-0-5548-5



9 789941 055485

რუდოლფ შტაინერი

RUDOLF STEINER

მსოფლიო ისტორია

ანთროპოსოფიული ჰისტორია
რობორც ადამიანური სულის საფუძველი

9 ლექცია, წაკითხული დორნახში 1923 წლის 24
დეკემბრიდან 1924 წლის 1 იანვრამდე საყოველთაო
ანთროპოსოფიული საზოგადოების დაფუძნებასთან
დაკავშირებული ყრილობის პერიოდში

GA A233

თბილისი 2015

Die Weltgeschichte

in anthroposophischer Beleuchtung und als
Grundlage der Erkenntnis des Menschengeistes

Neuen Vorträge, gehalten in Dornach vom 24.
Dezember 1923 bis 1. Januar 1924 während der
Gründungsversammlung der Allgemeinen Anthroposophischen
Gesellschaft

Bibliographie-GA 233

1991
Rudolf Steiner Verlag
Dornach/Schweiz
Tbilisi-2015

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია უდიდესი მოაზროვნისა და ანთროპოსოფიული სულისმეცნიერების ფუძემდებლის რუდოლფ შტაინერის(1861-1925) ლექციების ციკლი სახელწოდებით: „მსოფლიო ისტორია ანთროპოსოფის ჭრილში, როგორც ადამიანური სულის საფუძველი“.

მასში განხილულია მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანები საკითხები და მათი მნიშვნელობა ადამიანური სამშვინველის განვითარებაში.

მთარგმნელები: ლ. მესხია, ა. კვარაცხელია

რედაქტორი: ლ. მესხია

პასუხისმგებელი რედაქტორი: ა. კვარაცხელია

Übersetzt ins Georgisch von: **L. Mesxia, A. Kvaratskhelia**

Redaktion: **L. Mesxia, A. Kvaratskhelia**

ახორციელი „კოგიტო“

Assoziation „Cogito“

GA 233

თარგმანი შესრულებულია 1991 წლის გერმანული გამოცემის მიხედვით (დორნახი, შვეიცარია).

ბარეკანის პირველ გვერდზე: რუდოლფ შტაინერი, პირველი გოეთეანუმის ჭერის ფრაგმენტი „შუა მოტივი“.

ბარეკანის მეორე გვერდზე: ირაკლი ფარჯიანის ნახატი.

შინაარსი

პირველი ლექცია	
დორნახი, 1923 წლის 24 დეკემბერი	5
მეორე ლექცია	
დორნახი, 1923 წლის 25 დეკემბერი	22
მესამე ლექცია	
დორნახი, 1923 წლის 26 დეკემბერი	39
მეოთხე ლექცია	
დორნახი, 1923 წლის 27 დეკემბერი	59
მეხუთე ლექცია	
დორნახი, 1923 წლის 28 დეკემბერი	80
მეექვსე ლექცია	
დორნახი, 1923 წლის 29 დეკემბერი	98
მეშვიდე ლექცია	
დორნახი, 1923 წლის 30 დეკემბერი	117
მერვე ლექცია	
დორნახი, 1923 წლის 31 დეკემბერი	138
მეცხრე ლექცია	
დორნახი, 1924 წლის 1 იანვარი.	153
მეივენები	168

პირველი ლექცია
დორნახი, 1923 წლის 24 დეკემბერი

ჩვენი საშობაო შეკრების ფარგლებში მე მსურს, თქვენ წარმოგიდგინოთ კაცობრიობის მიწიერი ეპოლუციის ისეთი მიმოხილვა, რომელიც დაგეხმარებათ უფრო სიღრმისეულად და ინტენსიურად გააცნობიეროთ თანამედროვე ადამიანის ბუნება და ყოფიერება. სწორედ ისტორიის ამ კონკრეტულ მოძრები, როცა თვალყურს ვადევნებოთ ექსტრაორდინალური მნიშვნელობის მქონე მოვლენების მომზადებას მთელი საკაცობრიო ცივილიზაციისთვის, მოაზროვნე ადამიანი მზად უნდა იყოს, დასვას კითხვა: როგორ წარმოიქმნება სამშვინველის თანამედროვე კონფიგურაცია, თანამედროვე ორგანიზაცია? როგორ წარმოიშვა იგი ევოლუციის ხანგრძლივი მსვლელობისას?, - ვინაიდან არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დღევანდელობის წვდომა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ შევეცდებით, გავიგოთ, როგორ არის ის განვისევილი წარსულში.

თანამედროვე ეპოქა ადამიანისა და კაცობრიობის ევოლუციის მიმართ უკიდურესად მიკერძოებულია. უპირველეს ევოლისა მიაჩინათ, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში, რასაც ჩვენ ისტორიას ვუწოდებთ, თუ ავიდებთ ადამიანის სამშვინველისა და სულის ცხოვრებას, ის ძირითადად ისეთივე რჩებოდა, როგორიც არის ამჟამად. ბუნებრივია, შემეცნებების დონესთან მიმართებით თვლიან, რომ უძველეს დროში ადამიანური არსებები იყვნენ ბავშვებივით, რომ მათ სჯეროდათ ეველანაირი ფანტაზიისა და რომ ადამიანმა მხოლოდ ახლანდელ დროში მოიპოვა გონება მეცნიერული გაგებით. თუ არ ჩავთვლით დაგროვილ ცოდნას, სხვა მხრივ მიჩნეულია, რომ თანამედროვე ადამიანისთვის დამახსიათებელ მშვინვერი ორგანიზაციას ფლობდნენ როგორც ძველ საბერძნეთში, ასევე ძველ აღმოსავლეთში. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, დეტალებში ცალკეული სახეცვლილება მოხდეს, მთლიანობაში მაინც უნდა ვივარაუდოთ, მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში სამშვინველის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. შემდეგ გა-

ნიხილავენ ადამიანის წინარე ისტორიულ ცხოვრებას და ამბობენ, რომ დანამდვილებით იქ არაფერია ცნობილი. როცა უდრმავდებიან კიდევ უფრო შორეულ წარსულს, ადამიანის გამოსახავენ რაღაც ცხოველის სახით. ამგვარად, თავდაპირველად, როცა ისტორიულ წარსულს უდრმავდებიან, ხედავენ, რომ შედარებით ნაკლები ცვლილებები განცდია მშვინვერი ცხოვრებას. ამის შემდეგ სურათი იკარგება გარკვეულ ბურუსში და ადამიანი თავისი ცხოველური არასრულყოფილებით გამოდის, როგორც რაღაც სახის უმაღლესი პრიმატი.

ასეთია დაახლოებით თანამედროვე არაერთგაროვანი კონცეფცია, მაგრამ ყველაფერი ამის საფუძველი არის საშინელი ცრულწმენა, რადგან მსგავსი კონცეფციის შექმნით, ჩვენ ვერ ადვიქვამთ სიღრმისეულ განსხვავებებს, რომლებიც არსებობს თანამედროვე ადამიანის მშვინვერი ორგანიზაციაში, იმათთან შედარებით, რაც არსებობდა არცთუ შორეულ წარსულში, – XI, X ან თუნდაც IX საუკუნეებში. ჩვენ არ ვმსჯელობთ იმაზე, რამდენად დიდია ეს განსხვავება, როდესაც ერთმანეთს ვადარებოთ თანამედროვე ადამიანისა და გოლგოთის მისტერიის თვითმხილველების თუ ბერძნების მშვინვერი ორგანიზაციას. ჩვენ თუ გადავინაცვლებოთ ძველ აღმოსავლეულ სამყაროში, რომლის გვიანდელი კოლონიაც, გარკვეული თვალსაზრისით, იყო ბერძნული ცივილიზაცია, მაშინ იქ ვიპოვით თანამედროვეებან სრულიად განსხვავებულ მშვინვერ წყობას. მე მსურს, რეალური მაგალითებით გაჩვენოთ, როგორ ცხოვრობდა ადამიანი აღმოსავლეთში, ვთქათ 10-15 ათასი წლის წინ, როგორ განსხვავდებოდა ის ბუნებით ბერძნებისაგან და კიდევ უფრო მეტად – თავად ჩვენგან.

თავდაპირველად წარმოვიდგინოთ ჩვენი საკუთარი მშვინვერი ცხოვრება. მოგიყვანთ მაგალითს: ჩვენ გვაქვს რაღაც განცდა, და ამ განცდისაგან, რომელიც მოდის ჩვენთან ჩვენივე შეგრძნებების მეშვეობით ან რაღაც სხვა გზით საკუთარი პიროვნების საშუალებით, ვქმნით ცნებას, წარმოდგენას და ამას ვტოვებთ ჩვენსავე აზროვნებაში. გარკვეული დროის შემდეგ ეს წარმოდგენა შეიძლება, აზ-


როგნებიდან კვლავ შევიდეს ჩვენი სამშვინველის ცნობიერ ცხოვრებაში, როგორც მოგონება. დავუშვათ, მოგაგონდათ 10 წლის წინ მომხდარი ამბავი. ახლა შევეცადოთ, ზუსტად გავიგოთ, რას ნიშნავს ეს სინამდვილეში. დავუშვათ 10 წლის წინ დაქსწარით ადამიანების რაღაც შეკრებას. შეგექმნათ გარკვეული შეხედულება თითოეულ პიროვნებაზე, მათ გარეგნობაზე და ა.შ. თქვენ საუბრობდით მათთან და ერთობლივად რაღაც გადაწყვიტეთ. ყველაფერი ეს, როგორც სურათი, შეიძლება, დღეს წარმოგიდგეთ. ეს არის შინაგანი მშვინვერი სურათი, რომელიც არსებობს თქვენ შიგნით და დაკავშირებულია 10 წლის წინ მომხდარ ამბავთან. ჩვენს დროში არა მარტო მეცნიერების თანახმად, არამედ ზოგიერთ გაურკვეველ გრძნობასთან მიმართებითაც, რომელიც თანამედროვე ადამიანის მიერ უჩვეულოდ სუსტად განიცდება, თუმცა მაინც სახეზე, იგი მსგავსი მნემონიკური(თუ მეხსიერებითი) წარმოდგენის, რომელიც თითქოს უკან აბრუნებს წარსულის გამოცდილებას, ლოკალიზებას ახდენს ადამიანურ თავში. ის ამბობს: განცდილის შესახებ მოგონება არსებობს ჩემს თავში.

ახლა გადავინაცვლოთ კაცობრიობის ევოლუციის შორეულ წარსულში და განვიხილოთ ძველი აღმოსავლეთის მოსახლეობა; მათთან შედარებით ისტორიიდან ცნობილი ჩინელები და ინდოელები მხოლოდ გვიანდელი შთამომავლები არიან. ანუ სინამდვილეში ვუბრუნდებით ათასწლეულების წინანდელ პერიოდს. თუ განვიხილავთ ადამიანის არსებას იმ უძველეს ეპოქაში, შევამჩნევთ, რომ ის სრულიად არ ცხოვრობდა ისე, რომ ეთქვა: „თავში მაქვს მოგონება რაღაც განცდილზე, იმაზე, რაც განვიცადე გარეგან ცხოვრებაში“. მას არ ჰქონდა ასეთი შინაგანი განცდები. ისინი მისთვის უბრალოდ არ არსებობდნენ. მისი თავი არ იყო გატენილი აზრებითა და იდეებით. თანამედროვე ადამიანი თავისი დამახასიათებელი ზედაპირული მანერით, თვლის, რომ ისევე, როგორც ჩვენ გვაქვს დღეს აზრები, იდეები და წარმოდგენები, ასევე ჰქონდა იგი ხალხს სხვადასხვა ისტორიულ დროში, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ასე არის

თუ სულიერ მზერას მივაპყრობთ საკმაოდ შორეულ წარსულს, შევხვდებით ადამიანურ არსებებს, რომელთაც თავიანთ თავში საერთოდ არ ჰქონდათ იდეები, წარმოდგენები, აზრები და ცნებები, არამედ გროტესკულად, როგორც ჩვენ გვეჩვენება, განიცდიდნენ მთლიან თავს. ისინი არ აზროვნებდნენ აბსტრაქციებით, როგორც ჩვენ. იდეის განცდა თავში მათოვის რაღაც უცხო იყო, მაგრამ მათ იცოდნენ, როგორ განეცადათ საკუთარი თავი. ისევე, როგორც თქვენ მიაკუთვნებთ რაღაც განცდებს მოგონების ამ სურათ-ხატებს, როცა მეხსიერებაში გაქვთ სურათები, და როგორც აკავშირებთ ერთმანეთთან მოგონების სურათსა და გარეგნულ მოვლენას, ასევე ანალოგიურად აკავშირებდნენ ეს ადამიანები საკუთარი თავის განცდებს მიწასთან, მთელს დედამიწასთან. ისინი ამბობდნენ: სამყაროში არსებობს დედამიწა, თავად მეც ვარსებობ კოსმოსში და ჩემთანაა ჩემი თავიც. და თავი, რომელსაც ვატარებ მხრებზე, არის კოსმიური მოგონება ჩვენს დედამიწაზე. დედამიწა არსებობდა ადრე, თავი წარმოიქმნა მოგვიანებით. თავი, რომელიც მე მაქს, არის მეხსიერება, კოსმიური მეხსიერება დედამიწის ყოფიერებაზე. მიწიერი ყოფიერება ჯერ კიდევ იწყებოდა და ადამიანის თავის მთლიანი აგებულება, მისი მოწყობა კი უკვე შეესაბამებოდა მთელს დედამიწას. ასე განიცდიდა ძველი აღმოსავლეთის ბინადარი საკუთარ თავში თავად პლანეტა დედამიწას. ის ამბობდა: საერთო კოსმიური ყოფიერებიდან ღმერთებმა შექმნეს დედამიწა თავისი ბუნების სამეფოებით, დედამიწა თავისი მდინარეებითა და მთებით. მე ვატარებ მხრებზე თავს. ეს ჩემი თავი არის თავად დედამიწის ზუსტი ანასახი. ეს თავი მასში მოძრავი სისხლით არის ზუსტი ანასახი დედამიწისა თავისი მდინარეებითა და ზღვის დინებებით. დედამიწის მთების კონფიგურაცია იმეორებს ჩემს თავში ტვინის კონფიგურაციას. მე ვატარებ ჩემს მხრებზე მიწიერი პლანეტის ხატს. ზუსტად ისე, როგორც თანამედროვე ადამიანი მიაკუთვნებს თავისი მეხსიერების სურათებს საკუთარ განცდას, ასევე მიაკუთვნებდა მკელი დროის ეს ადამიანი საკუთარი თავის მთლიანობას პლანეტა

დედამიწას. ოქენე ხედავთ, რამდენად შესამჩნევი განსხვავებაა შინაგან აღქმაში!

ამის შემდეგ თუ განვიხილავთ დედამიწის გარემოცვას და მასში ჩავრთავთ დედამიწის გარემომცველ პაერს, რომელიც განმსჭვალულია მზის სინათლითა და სითბოთი, მაშინ გარკვეულწილად შეგვიძლია ვთქვათ: „მზე ცხოვრობს დედამიწის ატმოსფეროში“. დედამიწა ესხნება სამყაროს, შეაქვს თავისი ქმნადობა გარემომცველ ატმოსფეროში და ეხსნება მზეს, რათა მისი ქმნადობა მიიღოს. ამიტომ თითოეული ადამიანი დედამიწის იმ ადგილს, სადაც ის იმ უძველეს დროში ცხოვრობდა, აღიქვამდა როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს. ადმოსავლეთის უძველესი ადამიანი აღიქვამდა დედამიწის ზედაპირის რომელიმე ნაწილს, როგორც საკუთარი თავის ნაწილს; მის ქვემოთ დედამიწა, ხოლო მის ზემოთ – ატმოსფერო, მიმართული მზისკენ. დანარჩენი დედამიწა, – მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან, – მთელი დანარჩენი დედამიწა იხსნებოდა რაღაც საყოველთაოში. (ნახ. 1. მარცხნივ).



ნახ. 1

1. Sonnenszugewandter umkreis – მზის გარშემო მოლივლივე. 2. rot – წითელი. 3. Erde – მიწა.

ამგვარად, თუ ადმოსავლეთის უძველესი ადამიანი ცხოვრობდა, მაგ: ინდოეთის მიწაზე, ის შეიგრძნობდა ინდოეთის ამ მიწას, როგორც მისთვის რაღაც მნიშვნელოვანს, ხოლო უველა დანარჩენი დედამიწაზე, მისგან აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით, ქრებოდა გაურკველობაში. მას ნაკლებად აინტერესებდა, როგორი სახით არის დაკავშირებული დედამიწა ამ სხვა ადგილებში დანარჩენ კოსმიურ სივრცესთან. პირიქით, მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ეს მიწა, სადაც ის ცხოვრობდა (ნახ. იქვე მარცხნივ, წითელი), არამედ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ განივრცობოდა ამ კონკრეტულ ადგილას დედამიწა კოსმიურ სივრცეში. მისთვის შესაძლო სუნთქვის მეთოდი ამ ადგილობრივ მიწაზე, მის მიერ შეიგრძნობოდა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის განცდა. ჩეგნის დროში უზვეულოა ვიკითხოო, როგორ შეიძლება სუნთქვა ამა თუ იმ ადგილას. რასაკვირველია, დღემდე დამოკიდებულები ვართ სუნთქვის კარგსა და ცუდ პირობებზე, მაგრამ ამ ფაქტს უკვე ვედარ ვაცნობიერებთ. ადმოსავლეთის ძველი ბინადრისთვის ეს ასე არ იყო. საშუალება, რომლითაც ის ახორციელებდა სუნთქვას, მისთვის იყო ძალიან ღრმა განცდა და ასეთივე მდგომარეობა იყო უვლა მოვლენასთან მიმართებით, რომელიც დამოკიდებული იყო იმ ურთიერთობის ხასიათზე, რომელიც არსებობდა დედამიწის საზღვარზე კოსმიურ სივრცესთან.

იმ უძველესი დროის ადამიანისთვის მთელი დედამიწა განიცდებოდა, როგორც ის, რაც ცოცხლობდა მის თავში. ახლანდელ დროში თავი შემოსაზღვრულია თავის ქალის მაგარი ძვლებით, ის დაცურულია ზემოდან, ორივე მხრიდან და უკანა მხრიდან. მაგრამ მას აქვს რაღაც გამოსასვლელები, აქვს თავისუფალი ხერელი ქვემოთ გულის მიმართულებით. (ნახ. 1 მარჯვნივ). უძველესი დროის ადამიანისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო შეგრძნება იმისა, როგორ იხსნება თავი შედარებით შეუფერხებლად გულის მიმართულებით. ფიზიკური თავის შინაგან კონფიგურაციას ადამიანი შეიგრძნობდა, როგორც დედამიწის ანასახს. და როგორც ის გრძნობდა ფიზიკური თავის შინაგან კონფიგურაციას დედა-

მიწის გამოსახულებაში, ასევე აკავშირებდა ის გულისკენ მიმართულ ქვემო დია ხვრელთან დედამიწის გარემოცვას, ყველაფერს, რაც არის დედამიწაზე და მის ირგვლივ. ამაში ხედავდა ხატს იმისას, დედამიწა როგორც ესენებოდა მზეს. იმდროინდელი ადამიანი თავის ძლიერ განცდას გამოხატავდა სიტყვებით: „ჩემს ფიზიკურ თავში მე ვგრძნობ მთელ დედამიწას, მაგრამ ეს დედამიწა ესენება ჩემს მკერდს, რომელშიც გულია. და ის, რაც ხდება თავს, მკერდსა და გულს შორის, არის ხატი იმისა, რასაც გადავიტან ჩემი ცხოვრებიდან კოსმოსში, გადავიტან მზის მიმართულებით გახსნილ დედამიწის გარემოცვაში”. დიდი და ღრმა მნიშვნელობის იყო მისთვის ეს განცდა, რომლის შესახებაც მას შეეძლო, ეთქვა: „აქ, ჩემს ფიზიკურ თავში ცხოვრობს დედამიწა. როცა ჩავდივარ სიღრმეში, აქ დედამიწა ესენება მზეს (იხ. ნახ. I-ზე ისარი) და ჩემი გული არის მზის ხატი“.

ამ გზით ადამიანი მიდიოდა იმასთან, რაც ძველ დროში შეესაბამებოდა ჩვენს ემოციურ ცხოვრებას. ჩვენ ასევე გვაქვს გრძნობებისა და ემოციების აბსტრაქტული ცხოვრება, მაგრამ ჩვენ უშუალოდ არაფერი ვიცით საკუთარ გულზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანატომიისა და ფიზიოლოგიის მეშვეობით გავიგებთ რამეს, მაგრამ ეს იმაზე მეტი არ არის, ვიდრე პაპიემაშეთი გაკეთებული გულის მოდელის შემცნება. მეორე მხრივ, ძველი დროის ადამიანს არ ჰქონდა ის, რასაც ვატარებთ ჩვენში, როგორც სამყაროს ემოციურ განცდას. ამის ნაცვლად მას ჰქონდა საკუთარი გულის განცდა. როგორც ჩვენ მივმართავთ ემოციას სამყაროსკენ, რომელშიც ვცხოვრობთ, როგორც ჩვენ ვგრძნობთ, ადამიანი გვიყვარს თუ მას ანტიათიოთ ვხვდებით, მოგვწონს თუ არა ესა თუ ის ყვავილი, ვართ თუ არა მიდრეკილი ამისკენ ან იმისკენ (როგორც ჩვენ მივმართავთ ჩვენს გრძნობას სამყაროსკენ, მაგრამ იმ სამყაროსკენ, რომელიც, შეიძლება ითქვას, თითქოსდა უწონო აბსტრაქციაში მოწყვეტილია მტკიცე და მყარი კოსმოსისაგან), ასევე ძველი აღმოსავლეთის ადამიანი მიმართავდა თავის გულს კოსმოსისკენ, ანუ იმისკენ, რაც მიდიოდა დედამიწიდან მზის გარემოცვისკენ.

დღეს, მაგალითად, თუ ჩვენ მივდივართ, ვამბობთ: მე მინდა, წავიდგ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ნებელობა ცხოვრობს კიდურებში. აღმოსავლეთის ძველ ხალხს ჰქონდა სრულიად სხვანაირი განცდა. ის, რასაც ჩვენ ნებელობას ვუწოდებთ, მათვის სრულიად უცნობი იყო. ძალის ვცდებით, თუ გვჯერა, რომ ძველი აღმოსავლეთის ხალხებს შორის არსებობდა ის, რასაც ვუწოდებთ აზოვნებას, გრძნობასა და ნებელობას. ეს მათ საერთოდ არ ჰქონდათ. მათ ჰქონდათ განცდა თავისა, რომელიც იყო დედამიწის განცდა. მათვის დამახასიათებელი იყო მკერდის ან გულის განცდა, რომელიც წარმოადგენდა დედამიწის გარემოცვის განცდას თვით მზემდე. მზე შეესაბამებოდა გულის განცდას; ისინი ისეთ განცდებაც ფლობდნენ, როგორიცაა საკუთარი სხეულის შიგნით განფენილობისა და გაფართოების გრძნობა. ისინი მიღიოდნენ საკუთარი ადამიანური არსების შეცნობამდე და წვდომამდე თავისივე ფეხებისა და ხელების მოძრაობაში. ისინი თავად იმყოფებოდნენ მოძრაობის შიგნით. კიდურებში შინაგანი არსების ამ განფენაში ისინი აღიქვამდნენ ვარსკვლავიერ სამყაროსთან თავიანთი კავშირის პირდაპირ სურათს. (იხ. ნახ. I). ჩემს თავში მე მაქვს დედამიწის ხატი. იქ, სადაც ჩემი თავი შეუფერხებლად ისენება ქვევით მკერდში და მიდის გულამდე, მე მაქვს ხატი იმისა, რაც ცხოვრობს დედამიწის გარემოცვაში. იმაში, რასაც მე განვიცდი, როგორც ჩემი ხელებისა და ფეხების ძალას, მე მაქვს ისეთი რამ, რომელიც გამოხატავს მყარი მიწის დამოკიდებულებას შორეულ კოსმიურ სივრცეებში მცხოვრებ ვარსკვლავებთან.

ამიტომ, როცა ადამიანს იმ უძველეს დროში უნდოდა, გამოეხატა განცდა, რომელიც ჰქონდა მას, როგორც ნებულობის გამომხატველ ადამიანურ არსებას, თუ თანამედროვე ენით ვიტყვით, ის არ ამბობდა: მე მივდივარ. ამის დანახვა ჩვენ შეგვიძლია თვით იმ სიტყვებიდან, რომლებსაც ის იყენებდა. ის ასევე არ ამბობდა: მე ვჯდები. თუ გამოვიკვლევო უძველეს ენებს, საგანზე მათი დახვეწილი შინაარსით, მაშინ ყველგან აღმოვაჩენთ, რომ იმ მოქმედების აღწერისთვის, რომელზეც ჩვენ ვამბობთ მე მივდივარ, – ძველი აღმოსავლელი ამბობდა: მარსი იმპულსირებს ჩემში, მარსი

არის ჩემში ქმედითი. გადაადგილებისას ფეხებში თითქოს მარსის იმპულსი შეიგრძნობოდა. საგანთან შეხება, ხელებით შეხება გამოიხატებოდა სიტყვებით: ჩემში მოქმედებს ვენერა. როცა სხვა პიროვნებას რაიმეზე მიუთითებდნენ, ამ დროს ამბობდნენ ასე: ჩემში მოქმედებს მერკური. მაშინაც, როცა გაუთლები ადამიანი მუჯლუგუნით ან პანდურით აჩვენებდა მეორე ადამიანს მიმართულებას, ამ მოქმედების აღწერისას ამბობდნენ: მერკური მოქმედებდა ამ ადამიანში. დაჯდომა იყო იუპიტერის შემოქმედება, წამოწოლას, – სულერთია, დასასვენებლად თუ სიზარმაცის გამო, – გამოხატავდნენ სიტყვებით: მე ვეძლევი საბურნის იმპულსებს. ამგვარად, ადამიანი თავის ნაწილებში აღიქვამდა კოსმოსის ფართო სივრცეებს. მან იცოდა: დედამიწიდან კოსმიურ სივრცეში გასვლის დროს ის შედიოდა დედამიწის არეალში, შემდეგ კი – ვარსკვლავების სფეროებში. თუ იგი ფიზიკური თავიდან ეშვებოდა დაბლა, მაშინ გაივლიდა ზუსტად იგივე განცდას, ოღონდ ამ შემთხვევაში თავისი საკუთარი არსების შიგნით. თავის ფიზიკურ თავში ის არის დედამიწაში, თავის მკერდსა და გულში ის არის გარემოცვაში, თავის კიდურებში გარეთ, ვარსკვლავიერ კოსმოსში.

მე მინდა, გითხრათ და გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ასედაც ითქვას: ეს, ჩვენ საწყალი თანამედროვე ადამიანები, რომლებიც განვიცდით აბსტრაქტულ აზრებს! რას გაძლევთ თქვენ ეს აზრები? ჩვენ ვამაყობთ მათით, მაგრამ ამ აბსტრაქტული აზრების იქით, რომელიც თავისთავად მალიან ჭკვიანურია, მთლიანად ვივიწყებთ ჩვენს ფიზიკურ თავს. თავი უფრო მდიდარია შინაარსით, ვიდრე ჩვენი ჭკვიანური აბსტრაქტული აზრები. ანატომიამ და ფიზიოლოგიამ ცოტა იციან ტვინის ხვეულების საოცარ გამოცანაზე, მაგრამ ტვინის ერთი-ერთადერთი ხვეული გაცილებით დიდი და მძლავრია, ვიდრე უდიდესი გენიოსის აბსტრაქტული შემეცნებანი. ერთ დროს დედამიწაზე იყო პერიოდი, როცა ადამიანი ჩვენსავით უბრალოდ კი არ იმეცნებდა გამოფიტულ აზრებს, არამედ შეიმუცნებდა საკუთარ ფიზიკურ თავს. ის აღიქვამდა ფიზიკურ თავს, როგორც დედამიწის ხატს და შეიგრძნობდა ამ თავის ამა თუ იმ სხვა ნაწილს,

ვთქვათ, ოთხბორცვიანობას ან მხედველობის ბორცვს, როგორც მთების კონფიგურაციის გარკვეულ სახეს დედამიწაზე. ის მაშინ უბრალოდ კი არ აკავშირებდა თავის გულს მზესთან რომელიდაც აბსტრაქტულ თეორიაზე დაყრდნობით, არამედ გრძნობდა: ჩემი თავი ისეთივე დამოკიდებულებაშია მკერდთან, გულთან, როგორც დედამიწა მზესთან.

ეს იყო დრო, როცა ადამიანი მთელი თავისი ცხოვრებით შეზრდილი იყო სამყაროსთან, კოსმოსთან. ეს ურთიერთშეზრდა აღიდებულებოდა მთელ მის ცხოვრებაზე. იმ ფაქტის წყალობით, რომ ჩვენ აზროვნებას ვაყენებთ თავის ადგილას, შეიძლება, დავეუფლოთ ცნებით მებსიერებას, შეგვიძლია აზროვნებით მოვიგონოთ საგნები. ჩვენ მიერ განცდილისაგან, აბსტრაქტული მოგონებების სახით, ჩვენ ვქმნით აზრობრივ სურათებს თავში. ეს კი არ შეეძლოთ მათ, რომელთაც აზრები არ ჰქონდათ, მაგრამ აღიქვამდნენ ფიზიკურ თავს. მათ არ შეეძლოთ შეექმნათ მოგონებების სურათები. ამიტომ, ძველი აღმოსავლეთის იმ რეგიონებში, სადაც ადამიანები ჯერ კიდევ შეიცნობდნენ ფიზიკურ თავს, მაგრამ არ ჰქონდათ აზრები და მაშასადამე არც მოგონებები, ყველგან ვპოულობთ რაღაც ისეთის განვითარებას, რისი მოთხოვნილებაც თანამედროვე ადამიანებს ხელახლა უჩნდებათ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამის აუცილებლობა არ იყო, მაგრამ ახლანდელ დროში ეს აუცილებლობა დაბრუნდა. მე ამას ვუკავშირებ იმას, რასაც შემიძლია მხოლოდ სამშვინველის დაუდევრობა ვუწოდო. თუ იმ დროში, რომელზედაც ვსაუბრობ, შევძლებდით მოგვენასულებინა რეგიონები, დასახლებული ხალხით, რომლებიც ჯერ კიდევ აცნობიერებდნენ საკუთარ თავს, მკერდს, გულს და კიდურებს, მაშინ ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებოდათ მიწაში ჩარჭობილი პატარა ბოძები მინიშნებებით, ან რაღაც კედელი – ნიშნებით. თუ რაიმე მოხდებოდა, ადამიანი ტოვებდა რაღაც სამახსოვრო მინიშნებებს, რადგან ის არ ფლობდა ცნებით მებსიერებას და ამ ადგილებთან დაბრუნებით ის განიცდიდა ამ მოვლენას იმ ნიშნით, რომელსაც ტოვებდა. ადამიანი თავისი თავით, მთელი თავისი არსებით, ასე ვთქვათ, შეეზრდებოდა დედამიწას. ახლა ის უბრალოდ ინიშნავს თავის

თავში რომელიდაც მოვლენებს. როგორც უკვე მივუთითე, დღეს ჩვენ სულ უფრო მეტად ვგრძნობთ ამ მოთხოვნილებას, შენიშვნები დავაფიქსიროთ არა მარტო თავში, არამედ ჩანაწერთა წიგნაკშიც. ეს გამოწვეულია, როგორც მე გითხარით, სამშვინველის დაუდევრობით, და მაინც, ჩვენ ეს სულ უფრო და უფრო გვჭირდება. თუმცა, იმ დროს არ იყო ისეთი რამეები, როგორიცაა თუნდაც თავში რაღაცის ჩანიშვნა, რადგან აზრები და იდეები უბრალოდ არ არსებობდა. ამდენად, ყველაფერი აქრელებული იყო განმასხვავებელი ნიშნებით. ამ ბუნებრივი მიდრეკილებიდან გამომდინარე, უძველეს ხალხებში აღმოცენდა ჩვეულება – დაედგათ სხვადასხვაგარი ძეგლები.

შინაგანი ადამიანური ბუნებით არის განპირობებული ყველაფერი, რაც კაცობრიობის ევოლუციის ისტორიაში ხდება. საკმარისია ვიყოთ მხოლოდ გულწრფელები, რომ ვაღიაროთ – თანამედროვე ადამიანებს მცირეოდენი წარმოდგენაც არა აქვთ ამ ძეგლების დადგმის დრმა საფუძველზე. ჩვენ კი მათ ვდგამთ ჩვევის გამო. თუმცა ისინი წარმოადგენენ უძველესი ძეგლებისა და ნიშნების ნარჩენებს, რომლებიც დატოვეს ადამიანებმა იმ დროს, როცა მათ არ ჰქონდათ ისეთივე მეხსიერება, როგორიც ახლა აქვთ, ის კი მიჩვეული იყო, რომ ნებისმიერ ადგილას, სადაც რაიმეს განიცდიდა, დაეტოვებინა ნიშანი, რათა იმ ადგილზე დაბრუნებისას მას თავიდან განეცადა ეს მოვლენა თავის თავში, ვინაიდან თავს შეეძლო ხელახლა გამოეწვია ყველაფერი, რაც უკავშირდებოდა დედამიწას. ჩვენ გადავცემთ ჩვენი ფიზიკური თავის განცდებს დედამიწას, – ასეთი იყო პრინციპი უძველეს დროში.

მე მინდა, გითხრათ: ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ ძალზე ძველ დროებზე უძველეს აღმოსავლეთში, ლოკალიზებული მეხსიერების ეპოქაზე, როცა ყველაფერი, რასაც მეხსიერების ბუნება გააჩნდა, დაკავშირებული იყო ნიშნებისა და აღნიშვნების დატოვებასთან დედამიწაზე. მეხსიერება იყო არა შიგნით, არამედ გარეთ, ყველგან იყო სამახსოვრო დაფები და ქვები. ეს იყო ლოკალიზებული მეხსიერება, მოგონება – დაკავშირებული აღგილმდებარეობასთან.

ადამიანის სულიერი განვითარებისთვის დღესაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ზოგჯერ გამოიყენოს თავისი უნარი ამგვარი სახის მეხსიერებასთან მიმართებით, მეხსიერებასთან, რომელიც მის შიგნით კი არ არის, არამედ იხსნება გარებან სამყაროსთან კავშირში. კარგია, ზოგჯერ ვოჭვათ: მე არ დავიმასხოვრებ ამას ან იმას, მაგრამ დავტოვებ იქ ან აქ ნიშანს, ან ნაჭდევს; ანდა: მე ჩემს სამშვინველს მივცემ იმის უფლებას, გაიხსენოს ის, რაც უკავშირდება ნიშანს ან ნაჭდევს. მაგალითისთვის, მე დავკიდებ ჩემი ოთახის კუთხეში ღვთისმშობლის გამოსახულებას და როცა გამოსახულება აღმოჩნდება ჩემ წინ, მაშინ ჩემს სამშვინველში დავიწყებ ყველაფერის განცდას, რისი განცდაც კი შემიძლია, როცა მთელი სამშვინველით ღვთისმშობელს მივმართავ. თუ დავაკვირდებით აღმოსავლეთ ეპროპას, არც კი დაგვჭირდება რუსეთამდე მისევლა, თვით აღმოსავლეთ ეპროპაში ადამიანთა სახლებში ყველგან აღმოვაჩენთ ღვთისმშობლის გამოსახულებას. ამ სახის ყველა განცდა, არსებითად, ლოკალიზებული მეხსიერების ეპოქის გადმონაშთხბია. ეს არის გარუანტი მეხსიერება და ის მიჯაჭვულია აღგილთან.

მეორე საფეხური არის სხვა, როდესაც ადამიანი ლოკალიზებული მეხსიერებიდან გადადის რიტმულ მეხსიერებაზე. ამგვარად, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვაქვს ლოკალიზებული მეხსიერება, მეორე მხრივ – რიტმული მეხსიერება. აქ ჩვენ მივედით იქამდე, როცა ადამიანს რიტმული ცხოვრების მოთხოვნილება არა განსჯითი ცნობიერებით, არამედ უშუალოდ შინაგანი არსებიდან უნდა განევითარებინა. მას ჰქონდა მოთხოვნილება საკუთარი არსების შიგნით ისე წარმოქმნა სამყაროს ბეგრები, რომ წარმოქმნილიყო რიტმი. მაგალითისთვის, თუ ძროხის მისეულ განცდას მიჟყავდა დასახელებასთან – „მუჟ“, მაშინ იგი უბრალოდ კი არ უწოდებდა მას „მუჟ“-ს, არამედ „მუჟ-მუჟუს“, უფრო ძველ დროში კი შეიძლებოდა ყოფილიყო „მუჟ-მუჟ-მუჟ“-ც. ანუ აღქმა, თითქოსდა, მრავლდებოდა გამეორებაში, რათა წარმოქმნილიყო რიტმი. თქვენ შეგიძლიათ, დღევანდელ დღემდე გამოიკვლიოთ სიტყვის წარმოქმნის მსგავსი პროცესი, მაგ., „აღჟაღუ“ ან „პუპ-პუპ“ და შეამჩნევთ, რომ პატარა ბავ-

შვები ჯერ კიდევ შეიგრძნობენ ამ გამეორებების მოთხოვნილებას. აქ ისევ ჩვენ წინაშეა იმ დროის მემკვიდრეობა, როცა ბატონობდა რიტმული მეხსიერება, როცა ადამიანს საერთოდ არ ჰქონდა მეხსიერება იმისა, რასაც ის უბრალოდ განიცდიდა, არამედ ჰქონდა მხოლოდ იმის მეხსიერება, რასაც განიცდიდა გამეორებებში, რიტმულ ფორმაში. ყოველ შემთხვევაში, უნდა ყოფილიყო მსგავსება მონათესავე სიტყვებს შორის. „ძირითადი და მთავარი“, „კლდე და ქვა“: მსგავსი რიტმული გამოხატულება უკანასკნელი ნარჩენია პიპერტოფიული მისწრაფებისა, ყველაფერი ყოფილიყო რიტმული, ვინაიდან ამ მეორე ეპოქაში, რომელიც მოსდევდა ლოკალიზებული მეხსიერების ეპოქას, არაფერი არარიტმული არ რჩებოდა. რიტმული მეხსიერება იყო წერო ძველი ხელოვნების ლექსთწყობისათვის, ე.ი. მოელი მეტრული პოეზიის. მხოლოდ მესამე სტადიაში განვითარდა ის, რაც ვიცით დღევანდლამდე – დროითი მეხსიერება, როცა უკვე არა გვაქს სივრცეში პუნქტი, რომელსაც მიჯაჭვლია ჩვენი მოგონებები და უკვე რიტმზე აღარც ვართ დამოკიდებული, მაგრამ ის, რაც მიაქს დროის დინებას, შეიძლება მოგვიანებით ისევ გამოვიხმოთ. ჩვენი ეს სრულიად აბსტრაქტული მეხსიერება არის მეხსიერების ევოლუციის მესამე საფეხური.

გონებაში მოვიხმოთ კაცობრიობის ევოლუციის ის მომენტი, როცა რიტმული მეხსიერება გადადიოდა დროითში, როცა პირველად გამოჩნდა ის მეხსიერება, რომელსაც ჩვენი აბსტრაქტული შეზღუდული აზროვნებით ვთვლით სრულიად ბუნებრივად: დროითი მეხსიერება, რომლის დახმარებითაც ჩვენ ხატოვან ფორმაში გამოვიწვევთ რაღაცას, როცა აღდგენისთვის აღარ ვსაჭიროებთ ნახევრადცნობიერ ან არაცნობიერ რიტმულ გამეორებებს. გარდამავალი ეპოქა, – რიტმული მეხსიერებიდან დროითში, – არის დრო, როცა ძველმა აღმოსავლეთმა მოახდინა საბერძნეთის კოლონიზაცია, დროის ის მომენტი, რომელიც ისტორიაში აღწერილია, როგორც კოლონიების გაჩენა, ჩანერგილი ევროპაში აზიოდან. როცა ბერძნები ყვებოდნენ აზიოდან და ეგვიპტიდან მოსულ გმირებზე, რათა დასახლებულიყვნენ საბერძნეთის


მიწაზე, ისინი სინამდვილეში ყვებოდნენ, როგორ გამოვიდნენ დიდი გმირები რიტმული მეხსიერების ქვეყნიდან იმ კლიმატის საძიებლად, სადაც რიტმული მეხსიერება შეძლებდა გადასულიყო დროითში, დროით მეხსიერებაში.

ამავე დროს ჩვენ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ საბერძნეთის აღმავლობის დრო, რადგან ის, რასაც აღმოსავლეთში დაერქვა საბერძნეთის წინაპარი, ეს იყო აღვილი, სადაც მკვიდრობდნენ ძალზე განვითარებული რიტმული მეხსიერების მქონე ადამიანები. იქ ცხოვრობდა რიტმი. ძველი აღმოსავლეთი შეიძლება, ნამდვილად სწორად გავიგოთ მხოლოდ მაშინ, როცა მასში ვხედავთ რიტმის ქვეყანას. თუ სამოთხის დროს იმაზე იქით არ გადავწევთ, ვიდრე ამას აკეთებს ბიბლია, მაშინ ჩვენ გვმართებს, თუკი მას მივაკუთხნებთ აზიას, იგი განვიხილოთ როგორც ქვეყანა, სადაც სუფთა რიტმები ავსებენ კოსმოსს და ავლავ ჩნდებიან ადამიანში რიტმული მეხსიერების სახით, – ქვეყანა, სადაც ადამიანი ცხოვრობდა, არა მარტო როგორც კოსმიური რიტმის განმცდელი, არამედ როგორც რიტმის შემოქმედი კოსმოსში.

უსმინეთ ბაზავატ-გიტას და თქვენ დაიჭერთ რიტმის ძლიერ გამოძახილს, რომელიც ცხოვრობდა ადამიანის განცდაში. თქვენ მოისმენთ ასეთ გამოძახილს ასევე ვედებში, მოისმენთ დასავლეთ აზიის პოეზიასა და ლიტერატურაშიც, როგორც ახლა მას უწოდებენ. მათში ყველგან ცხოვრობს იმ რიტმის გამოძახილი, რომელიც ოდესლაც მოელ აზიას უდიდესი შინაარსით ავსებდა და შემდეგ, დედამიწის გარემოცვის შიგნით ჩასახვისას ქმნიდა ამ გამოძახილს ადამიანურ მკერდში, ადამიანური გულის ძგერაში. შემდეგ მივიკართ კიდევ უფრო უძველეს დროში, როცა რიტმული მეხსიერება გადადის ლოკალიზებულ მეხსიერებაში, როცა ადამიანი რიტმულ მეხსიერებასაც არ ფლობდა, მაგრამ მან იცოდა, რომ უნდა დაეტოვებინა ნიშანი იმ ადგილებში, სადაც ჰქონდა განცდები. როცა ის შორდებოდა ამ ადგილებს, მას არ გააჩნდა მოგონებების აუცილებლობა, მაგრამ როცა უკან ბრუნვდებოდა, ისევ აღადგენდა განცდილს. თუმცა ამას ის თავად არ აკეთებდა. მონიშნული, თავად დედამიწა აღადგენდა მის მოგონებებს. რამდენადაც თავი არის დედა-

მიწის ხატი, ამიტომ ადამიანისთვის ლოკალიზებული მეხსიერების ნიშანი, გაკეთებული მიწაში, იწვევდა თავის ხატს ფიზიკურ თავში. ადამიანი მთლიანად შეეზრდებოდა მიწას და მიწასთან თავისი კავშირით გააჩნდა საკუთარი მეხსიერება. სახარებაში არის ნაწყვეტი*, რომელიც გვახსენებს ამგვარი სახის მეხსიერებას – იქ, სადაც საუბარია ქრისტეზე, როცა იგი რაღაცას წერდა მიწაზე.

ამდენად, ეს მომენტი, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც გადასვლა ლოკალიზებული მეხსიერებიდან რიტ-მულში – არის დრო ძველი ატლანტიდის დასასრულისა და ატლანტიდის შემდგომდროინდელი პირველი ხალხების გადაადგილებისა აღმოსავლეთისკენ, აზის მიმართულებით. ვინაიდან, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვაქვს ძველი ატლანტიდან, რომელიც ახლა ქმნის ატლანტიდის ოკეანის ფსევრს, პირდაპირი მიგრაცია ევროპის გავლით აზიაში, შემდეგ კი კულტურის უკუმიგრაცია აზიდან ევროპაში (იხ. ნახ. 2). ატლანტიდის ხალხების მიგრაცია აზიაში მოწმობს გადასვლას ლოკალიზებული მეხსიერებიდან რიტმულში, რომელმაც მოგვიანებით თავისი დაგვირგვინება აზის სულიერ ცხოვრებაში ჰპოვა. საბერძნეთის კოლონიზაცია აღნიშნავს რიტმული მეხსიერებიდან გადასვლას დროითში, ანუ იმ მეხსიერებაში, რომელიც ჩვენ დღემდე გაგვაჩნია.



ნახ. 2

1. Lokalisierte Erinnerung – ლოკალიზებული მეხსიერება.
2. Rhythmisierter Erinnerung – რიტმული მეხსიერება.
3. Zeitliche Erinnerung – დროითი მეხსიერება.

მეხსიერების ამ ევოლუციის შიგნით დევს ცივილიზაციის მთელი განვითარება ატლანტიდის კატასტროფასა და საბერძნეთის ცივილიზაციას შორის – ყველაფერი ის, რაც მოვიდა, ან რამაც მოადწია ჩვენამდე ძველი აზიდან, უფრო მეტად, ლეგენდებისა და საგას ფორმით, ვიდრე ისტორიით. დედამიწაზე კაცობრიობის ევოლუციას ვერ გავიგებთ მხოლოდ გარეგნული ფენომენების დაკვირვებით, როცა იკვლევენ გარეგნულ დოკუმენტებს. აუცილებელია, ყურადღება მივაჰუროთ ადამიანის შინაგან ევოლუციას. ახგარიში უნდა გავუწიოთ ისეთი მოვლენების განვითარებას, როგორიცაა მეხსიერების უნარი, რომელმაც თავის ევოლუციაში გარეგნიდან გადაინაცვლა ადამიანის შინაგან არსებაში.

თქვენ იცით, რა დიდი მნიშვნელობისაა მეხსიერების ძალა თანამედროვე ადამიანისათვის. გაგიგონიათ იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც აგადმყოფობის შედეგად მოულოდნელად აღმოაჩენენ, რომ წარსული ცხოვრების ნაწილი, რომელიც მათ სრულიად თავისუფლად შეეძლოთ აღდგინათ მეხსიერებაში, მთლიანად წაიშალა. ასეთი სახის საშინელი განცდები ჰქონდა ერთ ჩემს მეგობარს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. ერთხელ მან დატოვა თავისი სახლი, იყიდა რკინიგზის სადგურში სადღარი წასასვლელი ბილეთი, იქ ჩავიდა მატარებლიდან და იყიდა სხვა ბილეთი. ეს ყველაფერი მან გააკეთა, როცა დაკარგული ჰქონდა მეხსიერება თავის ცხოვრებაზე, ბილეთის ყიდვის მომენტის ჩათვლით. ეს მან გააკეთა სრულიად გააზრებულად. ის იყო ჯანხალ ჭკუაზე, მაგრამ მისი მეხსიერება წაიშალა. როცა მეხსიერება დაუბრუნდა, აღმოაჩინა, რომ იმყოფებოდა ბერლინში, უსახლკაროთა თავშესაფარში. აღმოჩნდა, რომ იმ დროის განმავლობაში მან შემოიარა ნახევარი ევროპა და თან ისე, რომ არ ჰქონდა უნარი, დაეკავშირებინა თავისი ცხოვრების ახლანდელი განცდა უწინდელ განცდასთან. მეხსიერებამ ვერ გაიღვიძა მასში, სანამ ის არ აღმოჩნდა, – თვითონაც არ იცოდა როგორ, – ბერლინის უსახლკაროთა თავშესაფარში. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია მრავალთაგან, რომელიც გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ადამიანის მშვინვერი ცხოვრება არანორმალურია,

თუ არ შეიცავს მეხსიერების უწყვეტობას, ჩვენი ბავშვობის განსაზღვრული მომენტიდან.

ეს ასე არ იყო ძველი დროის ადამიანებში, რომლებმაც განივითარეს ლოკალიზებული მეხსიერება. მათ არაფერი იცოდნენ მეხსიერების უწყვეტობაზე. მეორე მხრივ, ისინი თავიანთ მშვინვიერ ცხოვრებაში თავს იგრძნობდნენ უბედურად, — როგორც გვემართება ჩვენც, როცა ვგრძნობთ, რომ რაღაცა თავისთავად წაიშლება ჩვენი მეხსიერებიდან, — თუ არ იქნებოდნენ გარემოცულნი ნიშნებით, რომლებიც გაახსენებდა მათ განცდილის შესახებ. არა მარტო იმ ნიშნებით, რომლებიც უშუალოდ მათ მიერ იყო დატოვებული, არამედ ასევე თავიანთი წინაპრების, ან მმების და დების მიერ აღმართული ნიშნებით, რომლებიც კონსტრუქციით მათივე გაკეთებულის მსგავსი იყო და ისინი მოჰყავდა კონტაქტში ნათესავებთან. ამ ადამიანებისთვის გარეგნული იყო ის, რასაც ჩვენ შინაგანად შევიგრძნობთ, როგორც წინაპირობას ჩვენი მეობის (Selbstes) მთლიანობისთვის.

ადამიანის სამშვინველში მიმდინარე ამ ცვლილების მთელი სურათი ჩვენ იმისთვის წარმოვადგინეთ, რომ ჩავწვდომდით მათი მნიშვნელობის არსს ადამიანის ევოლუციის ისტორიაში. მსგავსი მოვლენების პვლევით ნელ-ნელა ნათელი მოეფინება ისტორიას. დღეს მინდოდა კერძო მაგალითით მეჩვენებინა, როგორ ვითარდებოდა ადამიანის სამშვინველი ერთ უნართან — მეხსიერების უნართან მიმართებით. მომდევნო ლექციებში ჩვენ ვნახავთ, რომ ისტორიული მოვლენები თავიანთი ჭეშმარიტი სახით მხოლოდ მაშინ წარმოგვიდგება, როცა შევძლებთ გავაშუქოთ ისინი სინათლით, რომელიც ადამიანის სამშვინველის შემეცნებიდან გამომდინარეობს.

მეორე ლექცია
დორნახი, 1923 წლის 25 დეკემბერი

წინა ლექციებიდან თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ დედამიწაზე კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაზე მართებული შეხედულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყურადღებას მივაქცევთ სამშვინველის სრულიად განსხვავებულ მდგრამარეობების, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში ჭარბობდა. გუშინ მე შევცადე, დამეხასიათებინა განვითარების აზიური პერიოდი, ნამდვილი უმჯედები აღმოსავლეთი და დავინახოთ, რომ აუცილებლად უნდა მივმართოთ იმ პერიოდებს, როცა ატლანტიდის კატასტროფის შემდეგ ატლანტიდელი სალხების შთამომავლებს გაჟყავდათ თავიანთვის გზა აღმოსავლეთისკენ, როცა გადააღილებოდნენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და თანხდათან სახლდებოდნენ უკროპასა და აზიაში. ყველაფერი, რაც ხდებოდა ძველ აზიაში ამ სალხებთან დაკავშირებით, იყო იმ ადამიანების გავლენის ქვეშ, რომელთა სულიერი მდგრამარეობაც შეეწყო რიტმს. აზიური პერიოდის დასაწყისში, ჯერ კიდევ თაგს იჩენდა გამოძახილი იმისა, რაც მთელი თავისი სისაგვით არსებობდა ატლანტიდაში, — ლოკალიზებული მეხსიერების გამოძახილი. აღმოსავლეური განვითარების მსვლელობაში ეს ლოკალიზებული მეხსიერება გადადიოდა რიტმულში და მე გაჩვენეთ, ბერძნულ განვითარებაში როგორ მიმდინარეობდა ის უდიდესი გარდატეხა, რომელმაც მოიტანა მეხსიერების ახალი სახე — დროით.

ეს ნიშნავს, რომ განვითარების აზიური პერიოდი, — ახლა ჩვენ ვსაუბრობთ იმის შესახებ, რასაც მართებული იქნება ვეწოდოთ აზიური პერიოდი, რადგან ის, რასაც წარმოადგენს ისტორია, სინამდვილეში არის გვიანდელი და დაცემული პერიოდი, — იყო სრულიად განსხვავებული ყაიდის ადამიანების საუკუნე, ვიდრე გვიანდელი დროის ადამიანებია. იმ დროის ისტორიის გარეგანი მოვლენები გაცილებით ძლიერ იყო დამოკიდებული ადამიანის შინაგანი ცხოვრების მოწყობაზე, ვიდრე გვიანდელ დროში. ის, რაც ცხოვრობდა ადამიანის სამშვინველში, ცხოვრობდა აგრეთვე მთელ მის არსებაში. არ არსებობდა ჩვენთვის ჩვეული აზრებისა და გრძნობების დამოუკიდებული ცხოვრება.

უცნობი იყო ისეთი აზროვნება, რომელიც არ აღიქვამდა თავის კავშირს ადამიანის თავში მიმდინარე შინაგან პროცესებთან. ეს ეხება აბსტრაქტულ მგრძნობელობასაც, რომელმაც არაფერი იცის სისხლის მიმოქცევასთან კავშირის შესახებ. იმ დროს ადამიანი ფლობდა ისეთ აზროვნებას, რომელიც შინაგანად განიცდებოდა, როგორც თავში მიმდინარე მოვლენა, ამასთან ფლობდა გრძნობას, რომელიც განიცდებოდა სუნთქვის რიტმში, სისხლის მიმოქცევაში და ა.შ. ადამიანი განიცდიდა მთელ თავის არსებას, როგორც განუყოფელ ერთიანობას.

ეს ყველაფერი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის სრულიად სხვა განცდასთან, რომელიც ეხება მის კავშირს ზენა სამყაროსთან, კოსმოსთან, სულიერთან და ფიზიკურთან კოსმოსში. ვთქათ, თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს ქალაქში ან სოფელში და მისი განცდებიც შესაბამისად იცვლება. ის გარემოცულია ტყებით, მთებითა და მდინარეებით; ან კიდევ, თუ ის ცხოვრობს ქალაქში, ქალაქის კედლები ხვდება მის თვალებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ხოლო, როცა ის ლაპარაკობს კოსმიურ-ზეგრძნობადზე, სად არის იგი მისი აზრით? თანამედროვე ადამიანს არ შეუძლია მიუთიოთს არც ერთი სფერო, რომლის შიგნითაც იგი გაიაზრებდა კოსმოსურსა და ზეგრძნობადს. იგი ვერსად წააწყდება მას, ვერსად იპოვის, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მშვინვერ-სულიერიც ასევე მოუხელოებელია. განვითარების ძველ აღმოსავლეურ ნაკადში ასე კი არ იყო, არამედ მაშინ გარემომცველი სამყარო, რომელსაც ახლა გუწიდებთ ჩვენს ფიზიკურ გარემოს, იყო მხოლოდ მთლიან იდეათა სამყაროს უმდაბლესი სფერო. ადამიანს ჰქონდა თავის გარემოცვაში ის, რისგანაც შედგებოდა ბუნების სამი სამეფო – მის ირგვლივ იყო მდინარეები, მთები და ა.შ., მაგრამ ეს გარემო მისთვის მთლიანად განმსჭვალული იყო სულით, ნასაზრდოები მისით და ჩაწერდი მასთან. ძველი აღმოსავლეთის ადამიანს შეეძლო ეთქვა: მე ვცხოვრობ მთებისა და მდინარეების გვერდით, მაგრამ ასევე ვცხოვრობ მთებისა და მდინარეების ელემენტარული არსებების გვერდით. მე ვცხოვრობ ფიზიკურ სამეფოში, მაგრამ ეს ფიზიკური სამეფო არის რაღაც სულიერი სამეფოს სხეული. ჩემ გარშემო ყველგან სულიერი სამყაროა, უმდაბლესი სულიერი სამყარო.

იქ, ქვემოთ იყო ის სამეფო, რომელიც ჩვენთვის გახდა მიწიერი სამეფო. ადამიანი ცხოვრობდა მის შიგნით, მაგრამ ის წარმოიდგენდა (ნახ. 3), რომ იქ, სადაც მთავრდება ერთი სამეფო (ნათელი), იწყება – მეორე (წითელი, ყვითელი), შემდეგ მასზე მაღლა, კიდევ სხვა (ცისფერი) და ბოლოს, მისაწვდომ სამეფოთაგან – უმაღლესი (ნარინჯისფერი). თუ ამ სამეფოების სახელწოდებას ანთროპოსოფიული შემეცნების ტერმინოლოგიის შესაბამისად აღვნიშვნავთ, – ძველ აღმოსავლეთში მას სხვანაირად უწოდებდნენ, მაგრამ ეს არ არის არსებითი, – და მათ დავარქმევთ სახელს ჩვენი თვალსაზრისით, მაშინ უმაღლესი სამეფოსთვის ზემოთ იქნება პირველი იერარქია: სერაფიმნი, ქერუბიმნი, საყდარნი, შემდეგ მეორე იერარქია: ხელმწიფებანი, ძალნი და უფლებანი და მესამე იერარქია: საწყისნი, მთავარანგელოზები, ანგელოზები.

ამის შემდეგ მოდის მეოთხე სამეფო, სადაც ცხოვრობენ ადამიანური არსებები, სამეფო, რომელშიც ჩვენ, შემეცნების თანამედროვე მეთოდის შესაბამისად, ვაკვირდებით უბრალო ბუნებრივ საგნებს და პროცესებს, მაგრამ ძველი აღმოსავლეთის ადამიანი მათში აღიქვამდა მთლიანად ბუნებას, რომელიც განმსჭვალული იყო წყლისა და მიწის ელემენტარული სულუბით. ეს იყო აზია. (ნახ. 3).



ნახ. 3

1). hell, Asien – ნათელი, აზია. 2). gelb.rot, 3.Hierarchie – ყვითელ-წითელი, პირარქია. 3). blau, 2.Hierarchie – ცისფერი. 2-იერარქია. 4). Orange, 1.Hierarchie – ნარინჯისფერი, 1-იერარქია.

აზია ნიშნავდა დაბალ სულიერ სამეფოს, რომელშიც ცხოვრობდნენ ადამიანური არსებები. უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე წარმოდგენა საგნებზე, რომელსაც ვფლობთ ჩვენს ჩვეულებრივ ცნობიერებაში, იმ დროის ადამიანისთვის უცნობი იყო. უაზრობა იქნებოდა, გვევარაუდა, რომ მას შეეძლო, წარმოდგინა ისეთი რამ, როგორიც არის მატერია სულის გარეშე. საუბარი ისე, როგორც ვსაუბრობთ ჩვენ უანგბადსა თუ აზოტზე, ძველი აღმოსავლეთის ადამიანისთვის სრულიად შეუძლებელი იყო. მისთვის უანგბადი იყო სული, სულიერი საგანი, რომელიც მოქმედებს როგორც სტიმულატორი და აღმგზნები ყველა ცოცხალისთვის, აჩქარებს ცხოვრებისეულ პროცესს ცოცხალ ორგანიზმში. ასევე სულიერი იყო აზოტიც, რომელზეც დღეს ვიტერობთ, რომ აგმოსფეროში უანგბადთან ერთად არსებობს. აზოტი იყო ის, რაც სამყაროში იღვრებოდა კოსმოსის მეშვეობით, ზემოქმედებდა რა ყველანაირ ცოცხალსა და ორგანულზე, რათა მოქმნადებინა ის შვინვიერი ბუნების აღმისთვის. ასეთი იყო, მაგალითად, უანგბადთან და აზოტთან დაკავშირებით ძველი აღმოსავლეთის ადამიანების შემეცნება. სწორედ ამგვარად შეიმუცნებდა ადამიანი ბუნების ყველა პროცესს სულთან კავშირში. დღევანდელ დღეს გავრცელებული წარმოდგენები მისთვის იყო უცნობი. არსებობდნენ ცალკეული ინდივიდუალობები, რომლებიც მას ფლობდნენ და მხოლოდ ისინი იყვნენ ხელდასხმულები. დანარჩენ კაცობრიობას, ჩვეულებრივი ყოველდღიური ცნობიერების სახით ჰქონდა ისეთი ცნობიერება, რომელიც ძალიან ჰგავდა სიზმარს ცხადად. ეს იყო სიზმარეული მდგომარეობა, რომელიც გვხვდება მხოლოდ ანომალიური განცდების დროს. ძველი აღმოსავლეთის ადამიანის ცხოვრება ამ სიზმებში მიმდინარეობდა. ის უყურებდა მთებს, მდინარეებსა და ლრუბლებს და ყველა საგანს ხედავდა ისეთს, როგორიც შეიძლება ნახო, ან გაიგონო ამ სიზმარეულ მდგომარეობაში.

წარმოიდგინეთ, მაგალითად, რა შეიძლება შეემთხვეს თანამედროვე ადამიანს. ადამიანმა ჩათვლიმა. უეცრად სიზმარში მის წინ წარმოიშობა აალებული დუმელი. მას ესმის ყვირილი: „ხანძარი!“ გარეთ, ქუჩაში გაივლის სახანძრო მანქანა, რომ სადღაც ჩააქროს ხანძარი. მაგრამ რა განსხვავებაა მე-

ხანძრეთა მუშაობის წარმოდგენასა, რომელიც შეიძლება ადამიანურმა ინტელექტმა ჩვეულებრივი გრძნობადი აღქმის დახმარებით შეიქმნას პროზაულად, და იმ სურათებს შორის, რომელთა მოჯადოებაც სიზმარს შეუძლია. ძველი აღმოსავლეთის ადამიანისთვის მთელი განცდა გლინდებოდა მხოლოდ ამგვარი სიზმარეული ხატებით. ადამიანი ყველაფერს, რაც გარეთ ბუნების სამეფოებში არსებობდა, თავის თავში ხატებად გარდაქმნიდა. ამ სიზმარეულ ხატებში იგი განიცდიდა წყლის, მიწის, ჰაერისა და ცეცხლის ელემენტარულ სულებს. მისთვის სიზმარს სხვა განცდებიც მოჰქონდა. სიზმარი არ იყო მისთვის ის მძიმე სიზმარი, რომელზეც ვამბობთ, რომ გვძინავს კუნძივით და არაფერი ვიცით ჩვენზე. ვფიქრობ, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც დღემდე ასე სძინავთ, განა ასე არ არის? თუმცა მაშინ ასეთ მოვლენებს ადგილი არ ჰქონდა: ძილშიც კი ინარჩუნებდა ადამიანი ცნობიერების ბუნდოვან ფორმას. როცა ის სხეულს ასვენებდა, სულიერი მის შიგნით იქსოვებოდა გარეგანი სამყაროს აქტივობის მსგავსად. ამ ქსოვაში აღიქვამდა ადამიანი მესამე იურაქიის არსებებს. აზიას იგი აღიქვამდა თავისი ჩვეულებრივი ძილის მდგომარეობაში ცხადად, ანუ იმაში, რაც იყო, ასე ვთქვათ, იმდორინდელი ყოველდღიური ცნობიერება. დამე ძილში ის აღიქვამდა მესამე იურაქიას და დროდადრო მის ძილში შემოდიოდა უფრო მეტად დახშული ცნობიერება, მაგრამ ისეთი, რომელიც დრმად ეხებოდა ადამიანურ ხასიათს. ამგვარად, აღმოსავლეთის ამ ხალხებს ჰქონდათ, უპირველესად, თავიანთი ყოველდღიური ცნობიერება, სადაც ყველაფერი სახეს იცვლიდა მაგინაციებსა და ხატებში. ეს ხატები არ იყო ისეთი რეალური, როგორიც – კიდევ უფრო უძველეს დროებში, მაგალითად, ატლანტიდისა და ლემურიის დროებში ანდა მთვარის ეპოქაში. მიუხედავად ამისა, ისინი ამ აზიური განვითარების პერიოდშიც არსებობდნენ.

ასე რომ, დღისით ადამიანებს ჰქონდათ ხატები, ძილში კი მათ ჰქონდათ განცდები, რომლებიც შეიძლება სიტყვებით ასე გადმოვცეთ: ჩვეულებრივ მიწიერ არსებობასთან მიმართებით ჩვენ ვთვლემთ, სამაგიეროდ შევდივართ ანგელოზების, მთავარანგელოზებისა და საწყისების სამეფოში და ვცხოვრობთ

მათ შორის. სამშვინველი თავისუფლდება სხეულისაგან და ცხოვრობს უმაღლესი იერარქიის არსებებს შორის.

ამავე დროს ადამიანებმა გარკვევით იცოდნენ, რომ იმ დროს, როცა ისინი აზიაში ცხოვრობდნენ გნომებთან, უნდინებთან, სილფებთან და სალამანდრებთან, ანუ მიწის, წელის, ჰაერის და ცეცხლის ელემენტარულ სულებთან, ძილის მდგომარეობაში, როცა სხეული ისკენებს, ისინი განიცდიდნენ მესამე იერარქიის არსებებს პლანეტარულ ყოფიერებაში, ყველაფერში, რაც ბინადრობს დედამიწასთან დაკავშირებულ პლანეტარულ სისტემაში. ამასთან, იყო მომენტები, როცა მინიარე, აღიქვამდა რა მესამე იერარქიას, გრძნობდა: მომიახლოვდა ძალიან უცნაური სფერო. იგი მიღებს მე თავის თავში, მწევებს მიწიერ არსებობას. ის ამას ვერ გრძნობდა, თუ ჩაფლული იყო მესამე იერარქიის არსებებში, არამედ გრძნობდა მხოლოდ მაშინ, როცა დაებოდა კიდევ უფრო დრმა ძილის მდგომარეობა. თუმცა ადამიანები ნამდვილად ვერასდროს აცნობიერებდნენ იმას, რაც ხდებოდა მხეაგსი სახის ძილის მდგომარეობისას. ამის მოუხედავად მეორე იერარქიასთან დაკავშირებული განცდები ღრმად აღიბეჭდებოდა ადამიანის მთელ არსებაში. ეს განცდა ადამიანის გრძობაში რჩებოდა მაშინაც, როცა გამოიღიქდა და ამბობდა: მე უხვად დაჯილდოებული ვიყავი უმაღლესი სულების მიერ, რომელთა არსებობაც პლანეტარული ყოფიერების მიღმა მიმდინარეობს. ასე საუბრობნენ ეს ძველი ადამიანები იმ იერარქიაზე, რომელშიც შედიან – ხელმწიფებანი(Exusiai), ძალნი(Kyriotetes) და უფლებანი(Dynamis). ის, რასაც მე ახლა გიყვებით, ეს უფრო ადრინდელ აზიურ პერიოდში გახლდათ ცნობიერების ჩვეულებრივი მდგომარეობა. ცნობიერების ორი პირველი მდგომარეობა – დაკავშირებული, ძილი-დავიძირებული, და ასევე ძილი, რომელშიც მესამე იერარქია იმყოფებოდა, შეგნებულად განიცდებოდა ყველას მიერ. ხოლო მრავალნი, არჩევულებრივი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულნი, ასევე განიცდიდნენ უფრო დრმა ძილის შემოჭრას, რომლის დროსაც მეორე იერარქია ადამიანის ცნობიერებაში იჭრებოდა.

მისტერიებში ხელდასხმულები უკვე აღწევდნენ ცნობიერების შემდგომ საფეხურს. როგორს? სწორედ ეს არის გასაოცა-

რი. რადგან პასუხი კითხვაზე: ცნობიერების როგორი მდგომარეობა პქონდა მაშინდელ ხელდასხმულს? – ასე უდერს: ცნობიერების ისეთი მდგომარეობა, როგორიც გაქვთ თქვენ დღეს მთელი დღის მანძილზე. თქვენ ავითარებთ მას სრულიად ბუნებრივი ხერხით ცხოვრების მეორე ან მესამე წელს. ძველ აღმოსავლეთში ცნობიერების ამ მდგომარეობას ბუნებრივი გზით ვერავინ აღწევდა, მას ივითარებდნენ ხელოვნურად. ხელდასხმულებს ის უნდა გამოემუშავებინათ იმისგან, რასაც ზემოთ ვუწოდეთ დვიძილი-ძილით, ძილი-დავიძილით. სანამ ის იმყოფებოდა თავის ამ ძილ-დავიძილის მდგომარეობაში, ყველგან ხედავდა ხატებს, რომლებიც მხოლოდ მეტ-ნაკლები სიმბოლურობით შეესაბამება იმას, რასაც ჩვენ დღეს ვაკვირდებით მპეტორ, ზუსტ მოხაზულობაში. თუმცა, როგორც ხელდასხმული, იგი ამ საგნების ხედვამდე მიდიოდა ისეთი სახით, როგორადაც მათ ვეხდავთ ახლა ჩვენს ჩვეულებრივ ცნობიერებაში. ხელდასხმულებს თავიანთი განვითარებული ცნობიერების დახმარებით შეეძლოთ შექსწავლათ ის, რასაც თანამედროვე ბავშვები სწავლობენ სკოლაში. განსხვავება იყო არა შინაარსში. ცხადია, მათვის არ იყო ცნობილი აბსტრაქტული ფორმები ასოებისა, როგორიც ახლა ჩვენ გვაქვს. წერის ნიშნები მჭიდროდ იყო დაკავშირებული საგნებოან და კოსმოსის პროცესებთან. მიუხედავად ამისა, კითხვა და წერა იმ დროში ისწავლებოდა მხოლოდ ხელდასხმულების მიერ, ვინაიდან კითხვა და წერა შეიძლება ისწავლო მხოლოდ მაშინ, როცა ფლობისეთ ნათელ ინტელექტუალურ ცნობიერებას, რომელიც ესოდეს ბუნებრივია თანამედროვე ადამიანისთვის.

წარმოიდგინეთ, რომ სადღაც იქ, ან აქ თავიდან შექმნილი ეს ძველი აღმოსავლეთის ეს სამყარო, დასახლებული იმ დროს ადამიანებისთვის დამახასიათებელი ცნობიერების მქონე ადამიანური არსებებით და თქვენ აღმოჩენილიყვათ მათ შორის თქვენი დღეგანდელები ცნობიერებით, მაშინ მათვის თქვენ იქნებოდით ხელდასხმულები. განსხვავება მდგომარეობს ცნობიერების არა შინაარსში. თქვენ იქნებოდით ხელდასხმულები, თუმცა მაშინვე, როგორც კი ის ადამიანები თქვენ გადიარებდნენ ხელდასხმულებად, ისინი დაუყოვნებლივ ეცდა-

ბოდნენ, გაეგდეთ ქვეყნიდან მათთვის მისაწვდომი ყველა საშუალებით; რადგან მათთვის სრულიად ხათელი იქნებოდა, რომ ხელდასხმულებმა საგნები არ უნდა შეიმეცნონ ისეთი გზით, როგორც ჩვენ შევიმეცნებოთ ახლა. მას არ უნდა სცოდნოდა წერა, მაგალითად ისე, როგორც ჩვენ ვწეროთ ახლა. მე რომ ტვინი ისე მქონოდა მოწყობილი როგორც იმდროინდელ ადამიანს და შევხვედროდი ისეთ ფსევდოხელდასხმულს, ე.ი. თანამედროვე ადამიანს ჩვეულებრივი შესაძლებლობით, მის შესახებ უნდა მეოქვა: მან იცის წერა, ის სვამს ქადალდზე ნიშნებს, რომლებიც რადაცას ნიშნავს და არ იცის, როგორი ეშმაკეულია ეს, ანუ აკეთო ეს ისე, რომ არ გქონდეს ცნობიერება იმის, რომ ეს შეიძლება აკეთო შხოლოდ მაშინ, როდესაც ხარ დვთაებრივი კოსმიური ცნობიერების გამტარი. მან არ იცის, რომ ადამიანს ძალუქს ასეთი ნიშნის ქადალდზე დასმა შხოლოდ მაშინ, როცა შეუძლია შეიგრძნოს როგორ გამოვლინდება დმერთი მის ხელებში, თვით თითებში, გამოვლინდება მის სამშვინველში, რომელსაც აძლევს უფლებას, გამოხატოს თავისი თავი ამ ასოების საშუალებით. განსხვავება აქ მდგომარეობს არა ცნობიერების შინაარსში, არამედ საგანთა წვდომისა და გაგების მეთოდში. სწორედ ძველი დროის ხელდასხმულებში მიმდინარეობდა ეს სრულიად სხვაგარად, ვიდრე დაუვანდელ ადამიანში, რომელსაც სწორედ ასეთივე დამოკიდებულება გააჩნია შინაარსთან მიმართებით. წაიკითხეთ ჩემი წიგნი* „ქრისტიანობა – როგორც მისტიკური ფაქტი”, რომლის ახალი გამოცემა ახლახან გამოჩნდა და თქვენ დასაწყისშივე პირდაპირ იპოვით ანალოგიურ მითითებას ძველი დროის ხელდასხმულის ბუნებასთან დაკავშირებით. სინამდვილეში, სამყაროს განვითარების მსვლელობაში ყოველთვის ასე ხდება: ის, რაც მომდევნო პერიოდებში ადამიანში ბუნებრივი სახით ვითარდება, წინარე ეპოქებში მიიღწეოდა ხელდასხმის მეშვეობით.

იმ ფაქტების წყალობით, რომლებიც აქ მოვიყვანე, შეგიძლიათ აღნიშნოთ ძირეული განსხვავება სამშვინველის იმ წყობას, რომელიც ჭარბობდა ისტორიამდელი დროის აღმოსავლეთის ხალხებში და გვიანდელი ცივილიზაციის ადამიანების წყობას შორის. ძველად იყო სხვა კაცობრიობა, რომელ-


საც შეეძლო, უმდაბლესი ცა დაერქვა აზიისთვის და თავისი მიწის ქვეშ გაეაზრებინა მთელი გარემომცველი ბუნება. მათ იცოდნენ, სად იყო უმდაბლესი, უკანასკნელი ცა. შეადარეთ ეს თანამედროვე ადამიანების თვალსაზრისებს; რამდენად შორსაა თანამედროვე ადამიანი იმისგან, რომ განიხილოს მთელი გარემომცველი ბუნება, როგორც უკანასკნელი ცა! ადამიანთა უმეტეს ნაწილს არ შეუძლია, იფიქროს ამ ცაზე, როგორც უკანასკნელზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მან არ იცის არც ერთი წინამორბედის შესახებ.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, ძველ აღმოსავლეურ დროებში სულიერი როგორ ღრმად იჭრებოდა ბუნებაში, მთელ ბუნებრივ ყოფიერებაში. ამ ხალხებს შორის ჩვენ ასევე ვპოულობთ ისეთ რადაცას, რომელიც მრავალ ჩვენებანს შეიძლება უკიდურეს ბარბაროსობად მოეხვენოს. იმ დროის ადამიანს საშინელ ბარბაროსობად შეიძლება წარმოედგინა, თუ ვინმე დაწერდა იმ გუნება-განწყობილებით, როგორც ახლა შეგვიძლია ვწეროთ. ეს მას ნამდვილად მოეხვენებოდა ეშმაკეულად. მეორე მხრივ, თანამედროვე ადამიანთა უმრავლესობას ბარბაროსობად მიაჩნია ის, რაც იმ უძველეს დროს აზიაში სრულიად ბუნებრივი იყო. კერძოდ ის, რომ ხალხები, რომლებიც გადაადგილდებოდნენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მოცემული ადგილების მაცხოვრებლებს ართმევდნენ მიწებს და მათ მონებად აქცვდნენ. თუმცა ასეთია ძირითადად აღმოსავლეთის ისტორიის შინაარსი მთლიანად აზიაში. იმ დროს, როცა ადამიანები, როგორც მე ადგწერე, ფლობდნენ ღრმა სულიერ წარმოდგენას საგანთა შესახებ, მათი გარეგანი ისტორია მიმდინარეობდა სხვისი მიწების განწყვეტლივ დაპყრობაში, რომელთა მოსახლეობასაც იმონებდნენ. ცხადია, ეს ბევრს მეტისმეტ ბარბაროსობად მოეხვენება. თუმცა, ახლაც არის დაპყრობითი ომები და მას ადამიანები აღიქვამენ, როგორც სინდისთან კომპრომისს. ეს სამართლიანია მიმართებითაც, ვინც მხარს უჭერს და იცავს ასეთ ომებს. ისინი ამბიმებენ მათ სინდისს; თუმცა იმ დროის ადამიანებს ამ დაპყრობით ომებთან მიმართებით ჰქონდათ სრულიად სუფთა სინდისი. ის გრძნობდა, რომ ასეთი დაპყრობები დაშვებული იყო ღმერთების მიერ. მშვიდობისკენ მისწრაფება, მშვიდობის სიყ-

ვარული, რომელიც მოგვიანებით წარმოიშვა და მოიცვა აზის უდიდესი ნაწილი – სინამდვილეში უფრო გვიანდელი ციკლიზაციის პროდუქტია. ტერიტორიის მოპოვება დაპყრობითა და მოსახლეობის დამონებით – ძველი აზის ცივილიზაციის თვის დამახასიათებელი თვისებაა. რაც უფრო ჩავუდრმავდებით ისტორიამდელ დროებს, მით უფრო მეტად აღმოვაჩენთ იქ მსგავს დაპყრობებს. ქსერქსეს და სხვა მის მსგავსთა მიერ წარმოებული ომები, ჰემპარიტად მკრთალი ჩრდილია იმისა, რასაც ადგილი ჰქონდა აღრეულ დროებში.

ამ დაპყრობებს საფუძვლად უდევს გარკვეული პრინციპი. ფლობდა რა ცნობიერების იმ მდგომარეობებს, რომლებიც მე აღვწერ, ადამიანი იმუოფებოდა სრულიად სხვა დამოკიდებულებაში თავის ახლობლებთან, ასევე გარემომცველ სამყაროსთან. დასახლებული დედამიწის სხვადასხვა ნაწილებს შორის გარეულმა განსხვავებებმა დღეს თავისი წამყვანი მნიშვნელობა დაკარგა. მაშინდელ დროში ეს განსხვავება თავს იჩენდა სრულიად სხვა გზით. ნება მომეცით, მაგალითის სახით, აღვწერო ის, რაც ხშირად ხდებოდა.

დაგუშვათ, მარცხნივ გააქს ევროპის რეგიონი (ნახ. 4), მარჯვივ – აზის. დამპყრობელი ხალხი (წითელი) მოძრაობს აზის ჩრდილოეთიდან ისე, რომ თავის დაპყრობას ავრცობს აზის სხვა ადგილებში და იპყრობს მათ მოსახლეობას (წითელი და ყვითელი).



ნახ. 4

1). rot – ნათელი. 2). gelb – ყვითელი.

რა ხდებოდა სინამდვილეში? იმ დამახასიათებელი მაგალითებით, რომელიც ისტორიული განვითარების ტენდენციების ჰემპარიტ გამოხატულებას წარმოადგენს, ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ აგრესორები, როგორც ხალხი ან როგორც რასა, იყვნენ ახალგაზრდები, სავსე ახალგაზრდული ძალებით. რას ნიშნავს დღეს იყო ახალგაზრდა? რას ნიშნავს ეს თანამედროვე კაოქის ადამიანისთვის? ეს ნიშნავს, გაგაჩნდეს ყოველ მომენტში სიკვდილის ისეთი ძალები, რომ გქონდეს საშუალება, შეავსო სამშენებლის ძალები, რომელთათვისაც აუცილებელია სწორედ ადამიანში მიმდინარე რღვევის პროცესები; ვინაიდან, როგორც თქვენ იცით, ჩვენში გამაქს სიცოცხლის მზარდი, აყვავებული ძალები, მაგრამ ეს სიცოცხლის ძალები გონიერ, მოაზროვნე არსებებად კი არ გვხდიან, პირიქით, ისინი ახშობენ ჩვენს ცნობიერებას. სიკვდილის ძალები, ნგრევის ძალები, რომლებიც ასევე მუდამ აქტიურობენ ჩვენში, ყოველთვის დაიძლევა კალაბ და კვლავ ძილის დროს სიცოცხლის ძალებით, სანამ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, ერთად არ მოვუყრით თავს სიკვდილის ყველა ძალას, სიკვდილის ერთიან დამაგვირგვინებულ მოვლენაში. არსებითად, ეს ძალები არის წყარო გონიერებისა, თვითცნობიერებისა. ასეთი მდგომარეობა თანამედროვე კაცობრიობასთან მიმართებით. ავიღოთ ახალგაზრდა რასა, ახალგაზრდა ხალხი, მსგავსი იმათი, რომლებიც აღვწერ, რომლებიც იტანჯებოდნენ საკუთარი სასიცოცხლო ძალების სიჭარბის გამო და მუდამ ჰქონდათ შეგრძნება: მე ვგრძნობ, გამუდმებით როგორ ეხეთქება ჩემი სისხლი სხეულის შიგნითა კედლებს. მე ამის გაძლება არ შემიძლია. ჩემი ცნობიერება არ ხდება გონიერი, რადგან ჩემივე სიჭაბუქის მიზეზით მე არ შემიძლია, მთლიანად განვავითარო ჩემი ადამიანური არსება.

ასე არ ამბობდა ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ ასე ამბობდნენ მისტერიებში ხელდასხმულები, სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ და მიმართულებას აძლევდნენ ისტორიის მთელ მსვლელობას. ასეთი ტიპის ხალხს ჰქონდა მოჭარბებული სიჭაბუქე, მოჭარბებული სიცოცხლის ძალებით და მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით ის, რასაც შეიძლება ეწოდოს გონიერება, წინდახედულება. ის ტოვებდა თავის სამშობლოს და იპყრობდა იმ მხარეს, სადაც ცხოვრობდა უფრო ძველი ხალხი,

რომელმაც ამ თუ სხვა გზით თავად მიიღო საკუთარ თავში სიკვდილის ძალები, ვინაიდან უკვე მივიდა დაცემამდე. უფრო ახალგაზრდა ნაცია გამოღიოდა უფროსების წინააღმდეგ და მათ იმონებდა. არ იყო აუცილებელი, რომ გამარჯვებულები და დამარცხებულები სისხლისმიერი კაგშირებით გადაჯაჭვულიყვნენ. ის, რაც არაცნობიერად მიმდინარეობდა გამარჯვებულ და დამარცხებულ ხალხებს შორის მშვინვიერ სფეროში, მოქმედებდა გამაახლგაზრდავებლად, ასევე მოქმედებდა რეფლექსურ უნარებზე. მისი ცნობიერების მოთხოვნილება იყო ის, რასაც გამარჯვებული იღებდა დამონებულისაგან, რომელთაც ის იყენებდა ახალი სახლ-კარის ასაშენებლად. საქმარისი იყო, მას ყურადღება მიექცია მონებისთვის და სამშვინველში ხელდებოდა დაბნელების ტენდენცია, სამაგიეროდ იღვიძებდა ცნობიერება და გონიერება.

ის, რასაც ჩვენს დროში ვაღწეო, როგორც ინდივიდუალური ადამიანები, იმ დროში მიიღწეოდა სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებით. ხალხი, რომელიც სამყაროს უქურებდა, როგორც გამარჯვებული და ბატონი, ახალგაზრდა ხალხი, რომელიც არ სარგებლობდა რეფლექსების ძალით, საჭიროებდა, ასე ვთქვათ, იმ ხალხის გარემოცვას, რომელთაც საკუთარ თავში უფრო მეტი სიკვდილის ძალები გააჩნდათ. სხვა ხალხის დაძლევით ის იკვალავდა გზას იმისკენ, რასაც მოითხოვდა მისი საკუთარი ევროული. ე.ი. ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ეს აღმოსავლური ომები, ხშირად ესოდენ შემაშინებელი და ჩვენ წინაშე ამგვარი ბარბაროსული ასპექტით წარმოდგენილი, სინამდვილეში არაფერია, თუ არა ადამიანის განვითარების იმპულსები. კაცობრიობა ვერ შეძლებდა დედამიწაზე განვითარებას, რომ არ ყოფილიყო ეს საშინელი ომები და ბრძოლები, რომლებიც ასე ბარბაროსულად წარმოგვიდგება.

მისტერიათა ხელდასხმულები უკვე იმ დროებში სამყაროს ხედავდნენ ისეთს, როგორსაც ჩვენ დღეს ვხედავთ, მხოლოდ ისინი ამ აღქმასთან აერთიანებდნენ სამშვინველის სხვა წყობას, აზრთა სხვა წყობას. მათთვის ყველაფერი, რასაც ისინი განიცდიდენ მკაფიო, მკვეთრ კონტურებში, – ისევე, როგორც ახლა ჩვენ განვიცდით საგნებს მკვეთრ კონტურებში, როცა მათ აღვიქამთ გრძნობის ორგანოებით, – ყოველთვის იყო, ყო-

ველ შემთხვევაში, რაღაც ისეთი, რომელიც ადამიანური ცნობიერებისთვის გამომდინარეობდა დმურთებისგან. ამას იმდროინდელი ხელდასხმულები როგორ აღიქვამდნენ?



ნახ.5

- 1) hell, Asien – ნათელი, აზია.
- 2) gelb.rot, 3-Hierarchie – ყვითელ-წითელი, 3-იერარქია.
- 3) blau, 2-Hierarchie – ცისფერი, 2-იერარქია.
- 4) Orange, 1-Hierarchie – ნარინჯისფერი, 1-იერარქია.
- 5) gelb – ყვითელი.

სიმარტივისა და თვალსაჩინოებისთვის, ავიღოთ, მაგალითად, ელვის ნათება. თქვენ კარგად იცით, რომ თანამედროვე ადამიანი ხედავს მხოლოდ ელვას. (ნახ. 5). ძველ დროში ადამიანი ხევაგვარად ხედავდა. ის ხედავდა ცოცხალ სულიერ არსებებს, რომლებიც ცაზე მოძრაობდნენ (ყვითელი), ხოლო ელვის მკაფიო მოხაზულობა სრულიად ქრებოდა. ის ხედავდა დასს, სულიერი არსებების პროცესის, რომელიც ჩაიქროლებდა მის თავზე ან კოსმიურ სივრცეში. ელვას, როგორც ასეთს, ის ვერ ხედავდა. ის ხედავდა სულების დასს, მოლივლივეს და მოძრავს კოსმიური სივრცის გავლით. ხელდასხმული სხვა ადამიანებივთ ხედავდა სულების დასს, მაგრამ მას შინაგანად განვითარებული ჰქონდა ისეთივე აღქმა, როგორიც ჩვენ გვაქვს ამჟამად და ამიტომაც მისთვის მთელი სურათი იბინდებოდა, ხოლო ციური დასი თანდათან

ქრებოდა მხედველობიდან; მაშინ ელვა შეიძლებოდა გამოჩენილიყო იმ სახით, როგორც ხედავს მას ნებისმიერი დღეს. მთელი ბუნების წვდომა იმ ფორმით, როგორც მას ვხედავთ ახლა, უწინდელ დროში შესაძლებელი იყო მხოლოდ ხელდასხმის მეშვეობით. როგორ კაპრობოდა ადამიანი ასეთ შემეცნებას? იგი ასეთი ხერხით მიღწეულ შემეცნებას არანაირად არ უყურებდა იმ გულგრილობით, როგორადაც განიხილავენ შემეცნებას და ჰეშმარიტებას ახლანდელ დროში. შემეცნების ადამიანურ განცდაში მკაცრი ზნეობრივი საწყისი არ სებობდა. თუ მზერას მივაპყრობთ, რა ემართებოდათ მისტერიის ნეოფიტებს, ეს უნდა აღვწეროთ შემდეგი სახით: როცა მკაცრი შინაგანი გამოცდების გავლის შემდეგ რჩეულ ინდივიდებს გაანდობდნენ ბუნებისმცოდნების საიდუმლოებებს, რომელიც დღეს ნებისმიერისთვის ხელმისაწვდომია, მათ სრულიად ბუნებრივად ჰქონდათ ასეთი გრძნობა: აი, ადამიანი თავისი ჩვეული ცნობიერებით. ის ხედავს ელემენტარულ არსებათა დასს, მოლივლივესა ჰაერში მსრბოლებს. ის კარგავს თავისუფალ ნებას სწორედ იმიტომ, რომ ასე აღიქვამს. ის მოლიანად ეკუთვნის დვთაებრივ-სულიერ სამყაროს. ეს იმიტომ, რომ ამ დვიძილი ძილში ნება თავისუფალი არ არის, მეტიც, ის არის რაღაც, რომელიც იჭრება ადამიანში, როგორც დვთაებრივი ნება. ის, ვინც ხელდასხმას გადიოდა და ხედავდა, როგორ ვლინდებოდა ეს ელვა იმაგინაციებიდან, მაშინ თავისი ინიციატორის წყლობით ის სწავლობდა, ეთქვა: მე უნდა ვიყო ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლება სამყაროში იმოქმედოს დმერთების გარეშე და რომლისთვისაც დმერთები ამოგდებულნი არიან ბუნდოვანი სამყაროს შინაარსიდან. გარკვეულწილად, ინიცირებულთათვის ის, რასაც თქვენ მკაფიო კონტურებში ხედავთ, იყო დმერთების მიერ უკუგდებული შინაარსი სამყაროსი, რომელშიც შედიოდა ხელდასხმული, რათა დმერთებისგან დამოუკიდებელი გამხდარიყო.

თქვენ გეხმით, რომ ეს მდგომარეობა ხელდასხმულისთვის აუგანელი უნდა ყოფილიყო, თუ მისთვის უკუგდების მომენტები არ იქნებოდა. ასეთი მომენტები მას ჰქონდა. ვინაიდან, მართალია, ხელდასხმული, ერთი მხრივ, სწავლობდა

აზია განეცადა, როგორც დვთისგან მიტოვებული, სულიერებას მოკლებული, მეორე მხრივ, ის სწავლობდა შეემუცნებინა ცნობიერების უფრო დრომა მდგომარეობა, ვიდრე ის, რაც აღწევდა მეორე იერარქიამდე. დმერთებისგან მიტოვებული სამყაროს შემცნებით, ის სწავლობდა ასევე სერაფიმების, ქრისტებისა და საყდართა სამყაროსაც.

აზიური ეპოქის განვითარების განსაზღვრულ მომენტში, დაახლოებით შეაში, – მოგვიანებით თარიღებს დავაზუსტებთ, – ხელდასხმულთა ცნობიერების მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ისინი დედამიწას გაივლიდნენ მიწიერ სამუფოთა იმგვარი აღქმით, რომელიც ძალზე ახლოა იმასთან, რასაც ფლობს თანამედროვე ადამიანი. თუმცა ისინი ამას თავიანთ კიდურებში შეიგრძნობდნენ. ისინი თავიანთ კიდურებს შეიგრძნობდნენ, როგორც დმერთებისაგან თავისუფალს, დვთისგან მიტოვებულ მიწიერ სუბსტანციაში, ამის საპირწონედ ისინი, ამ დვთისგან მიტოვებულ ქვეყანაში, ხვდებოდნენ უზენაეს დმერთებს – სერაფიმებს, ქერუბიმებს და საყდართ. როგორც ხელდასხმულები, ისინი უკვე ნაცრისფერ-მწვანე სულიერი არსებების შემცნებას კი არ სწავლობდნენ, რომლებიც იყვნენ ტყის ხატები, ხების ხატები, არამედ ხელდასხმულების რანგში სწავლობდნენ სულიერებას მოკლებული ტყის შემცნებას, მაგრამ მათთვის კომპენსაციის სახით რჩებოდა შესაძლებლობა, ტყეში შეხედროდნენ პირველი იერარქიის არსებებს, მათ შეეძლოთ შეხვედროდნენ ზოგიერთ არსებებს – სერაფიმების, ქერუბიმების ან საყდართა სამეფოდან.

ყველაფერი ეს, აღმული, როგორც სოციალური კონფიგურაცია, არის ძველი აღმოსავლეთის ისტორიული განვითარების ძირითადი თავისებურება. შემდგომი განვითარების მამოძრავებული ძალა იმყოფებოდა ახალგაზრდა და ძველი რასების ურთიერთადაპტაციის ძიებაში, რათა ახალგაზრდა რასებს შესძლებოდათ მომწიფება ძველი რასების სამშვინველთა დაიმორჩილების მეშვეობით. რაც არ უნდა შორს გავიხვდოთ უკან – აზიაში, ყველგან დავინახავთ: დამპურობლურ ომებში როგორ მოიპოვებენ ახალგაზრდა რასები რეფლექსურ უნარებს, რომელთა განივითარებაც თავად არ შეუძლი-

ათ. როცა ყურადღება გადაგვაქვს აზიიდან საბერძნეთისკენ, ვხედავთ სრულიად სხვა განვითარებას. საბერძნეთში ბერძნული კულტურის სრული გაფურჩქვნის ხანაში ყველგან ვაწყდებით ადამიანებს, რომლებსაც, მართალია, შეეძლოთ სიბერის შემცნება, მაგრამ არ ჰქონდათ იმის უნარი, რომ დაბერძნის პროცესი სულიერების სისავსით განემსჭვალათ. მე არაერთხელ მიგაქცევინეთ ყურადღება ერთ ბერძნულ, ძალზე ბრძნულ გამონათქვამზე: უმჯობესია იყო დარიბი ცოცხლებს შორის,* ვიდრე მევე ჩრდილების სამეფოში. ბერძნებმა ვერ გადაწყვიტეს სიკვდილის პრობლემები, ვერც გარე ბუნებაში, ვერც ადამიანში; მეორე მხრივ, მათ სიკვდილი ისევ და ისევ საკუთარ თავში ჰქონდათ. ამდენად საბერძნეთში ჩვენ ვხედავთ არა რეფლექსური ცნობიერების წყურვილს, არამედ სიკვდილის შიშსა და წინათგრძნობას. მსგავს შიშს არ განიცდიდნენ აღმოსავლეთის ახალგაზრდა ხალხები. ისინი დაპყრობებს იწყებდნენ მხოლოდ მაშინ, თუ აღმოჩენდნენ, რომ მათ, როგორც რასას, სიკვდილის ბუნებრივი გზით განცდა არ შეეძლოთ.

შინაგანი კონფლიქტი, რომელსაც ბერძნები განიცდიდნენ სიკვდილთან დაკავშირებით, თავის მხრივ, კაცობრიობისთვის გახდა შინაგანად მაიმართებლი, რამაც მიიყვანა იქამდე, რაც ჩვენთვის ცნობილია ტროას ომის სახელით. რეფლექსური ძალების მოსაპოვებლად ბერძნებისთვის აუცილებელი არ იყო უცხო რასის ხელით ეძებნათ სიკვდილი. ბერძნებს მოეთხოვებოდათ, ყოფილიყვნენ სწორ მიმართებაში იმასთან, რასაც შეიგრძნობდნენ და განიცდიდნენ სიკვდილში, მოეთხოვებოდათ, მოეპოვებინათ სიკვდილის სისხლსავსე საიდუმლო. ამან უდიდეს შეტაქებამდე მიიყვანა ბერძნები და აზიის ხალხები, რომელთაგანაც ისინი წარმოიშვნენ. ტროას ომი იყო მწუხარების ომი, წინათგრძნობისა და შიშის ომი. ჩვენ ვხედავთ, როგორ დგანან ერთმანეთის პირის პირ ევროპა და აზია; ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს გარდამავალი პერიოდი რიტმული მეხსიერებიდან დროითისკენ; მეორე მხრივ – ორი სრულიად სხვადასხვა განცდა სიკვდილთან მიმართებით ადამიანის ორგანიზაციაში.

როგორ შეგუებოდნენ მას. მათ ესაჭიროებოდათ შერწყმა სხვა კლემეტან, რომ მისთვის რაიმე მოეხერხებინათ. აქილევსი, აგამემნონი – ეს ადამიანები ატარებდნენ სიკვდილს, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ გაეაზრებინათ იგი. თავის გარემოდან ისინი იყურებოდნენ აზიისკენ, სადაც ხედავდნენ ხალხს, რომლებიც იმყოფებოდნენ საპირისპირო მდგომარეობაში და იტანჯებოდნენ საწინააღმდეგო მშვინვერი მდგომარეობის პირდაპირი გავლენით. ყველგან იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ შეიგრძნობდნენ სიკვდილს ისეთი ინტენსიური სახით, როგორც თავად ბერძნები, მაგრამ რომელთათვისაც სიკვდილის სიღრმეში შეიგრძნობოდა ცხოვრების არაჩვეულებრივი სიმდიდრე.

ეს ყოველივე საოცარი სახით გამოხატა ჰომეროსმა.* ამ კონტრასტს გვაჩვენებდა იგი ყველგან, სადაც კი საშუალებას აძლევდა ტროელებს, დაემორჩილებინათ ბერძნები. თქვენ შეგიძლიათ ეს დაინახოთ, მაგ: ჰექტორისა და აქილევსის სახასიათო ფიგურებში; ამ კონტრასტში ასახულია ის, რაც ხდებოდა აზიისა და გვრობის საზღვარზე. იმ ძველ დროებში, როდესაც აზიის ჰქონდა მოჭარბებული სიცოცხლე სიკვდილთან შედარებით, მას სიკვდილი სწყუროდა. ბერძნულ ნიადაგზე ეპროპას ჰქონდა ჭარბი სიკვდილი ადამიანში და ადამიანი ვერ პოულობდა მასთან სწორ მიმართებას. ამრიგად, სხვა თვალსაზრისით, ჩვენ ვხედავთ, როგორ დგას ერთმანეთის პირის პირ ევროპა და აზია; ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს გარდამავალი პერიოდი რიტმული მეხსიერებიდან დროითისკენ; მეორე მხრივ – ორი სრულიად სხვადასხვა განცდა სიკვდილთან მიმართებით ადამიანის ორგანიზაციაში.

ხვალ უფრო დეტალურად განვიხილავთ კონტრასტს, რომელიც შემძლო, მხოლოდ მიმეთითებინა დღევანდელი ლექციის ბოლოს და ამგვარად მივუახლოვდებით აზიიდან ევროპისკენ გადასვლის უფრო სრულ გაგებას, ვინაიდან ამას ჰქონდა ღრმა და ძლიერი გავლენა ადამიანის ევოლუციაზე და მისი გაგების გარეშე ვერ შევძლებთ, მივიდეთ განვითარების ჰემბარიტ გაგებამდე, რომელსაც გავდივართ ახლანდელ დროში.

მესამე ლექცია
დორნახი, 1923 წლის 26 დეკემბერი

ცამეტი წლის წინ, შტუტგარტში, შობის დღეებში წაკითხულ ლექციების კურსში,* ვსაუბრობდი სწორედ იმ მოვლენებზე, რომლებიც უნდა განვიხილოთ ლექციების ახლანდელ ციკლში. მხოლოდ საჭიროა, რამდენადმე შევცვალოთ თვალსაზრისი.

პირველ ორ შესავალ ლექციაში ვცდილობდით, გაბეჭო ადამიანის მშვინვიერ წყობასა და ხასიათში ის რადიკალური ცვლილებები, რომლებიც მოხდა კაცობრიობის როგორც ისტორიამდელ, ისე ისტორიული განვითარების მსვლელობაში. დღევანდელი ლექციისთვის, ყოველ შემთხვევაში მისი დასაწყისისთვის, არ დაგჭირდება რამდენიმე ათასწლეულის მიღმა მიბრუნება. ოქენ იცით, რომ სულისმეცნიერების პოზიციიდან უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ, – ისტორიული და ისტორიამდელი დროისთვის თავისი შედეგებით, – ე.წ. ატლანტიდის კატასტროფას, რომელიც განიცადა დედამიწამ იმ დროებში და ცნობილია, როგორც ყინულოვანი პერიოდი. ეს იყო ატლანტიდის კონტინენტის გაქრობის უკანასკნელი აქტი, რომელიც ახლანდელ დროში წარმოქმნის ატლანტიკის ოკეანის ფსკერს. ამას მოსდევს, როგორც ხშირად აღნიშნავდით, ხუთი ერთმანეთის მომდევნო კულტურული ეპოქა,* რომელიც ახლანდელ დრომდე აღწევს. მათ შორის ორ მათგანს არ დაუტოვებია ისტორიულ ტრადიციებში კვალი, რადგან აღმოსავლეთში დარჩენილი ლიტერატურა, ისიც კი, რასაც შეიცავს გასაოცარი ვედები, დრმა ვედური ფილოსოფია, არის მხოლოდ გამოძხილი იმისა, რომლის აღწერაც მოგვიწევდა, თუ სურვილი გვექნებოდა, გამოგვეხატა ეს უძველესი ეპოქები. ჩემს „იდუმალომეტყველების ნარკვევში“ უკვე ვსაუბრობდი მათზე, როგორც ძველი ინდურ და ძველ სპარსულ ეპოქებზე.

დღეს ჩვენ ასე შორს არ ჩავუდრმავდებით წარსულს, არამედ ჩვენს აზრებს მივმართავთ იმ პერიოდისკენ, რომელსაც ხშირად ვუწოდებთ ეგვიპტურ-ქალდეურ პერიოდს, რომელიც წინ უსწრებდა ბერძნულ-ლათინურს. უკვე მივაქციეთ

ეურადღება იმ ფაქტს, რომ ატლანტიდის კატასტროფასა და ბერძნულ პერიოდს შორის მოხდა უდიდესი ცვლილება, როგორც კაცობრიობის მეხსიერების ძალებთან, ასევე კაცობრიობის სოციალურ ცხოვრებასთან მიმართებით. ამ მესამე ატლანტიდურ პერიოდში არ არსებობდა ისეთი დროითი მეხსიერება, როგორსაც ახლა ვფლობთ, რომლის დახმარებითაც შევგიძლია ვიმოგზაუროთ დროში. ადამიანს მაშინ ჰქონდა, როგორც აღვწერე წინა ლექციებში, მეხსიერება, რომელიც უკავშირდებოდა რიტმულ განცდას. ჩვენ ვნახეთ ეს რიტმული მეხსიერება როგორ წარმოიშვა უფრო ადრინდელი მეხსიერებიდან, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო ატლანტიდის პერიოდში, კერძოდ, როგორ წარმოიშვა ლოკალიზებული მეხსიერებიდან, რომლის დროსაც ადამიანი თავის თავში ატარებდა მხოლოდ მოცემული მომენტის ცნობიერებას, მაგრამ ყველანაირი საშუალებით იყენებდა საგნებს, რომლებსაც პოულობდა გარეგან სამყაროში ან თავად ტოვებდა იქ რაიმე ნიშნის სახით, რომელთა დახმარებითაც ის უკავშირდებოდა წარსულს და არა მარტო თავის წარსულს, არამედ მთლიანად კაცობრიობის წარსულს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ვიფიქროთ არა მხოლოდ ნიშნებზე, რომლებიც იყო დედამიწაზე, არამედ იმ ძეელ დროში ნიშნების ფუნქციას ასრულებდა ცაზე კონსტელაციები, განსაკუთრებით პლანეტარული კონსტელაციები, რომელთაც შეიცნობდნენ თავიანთი განმეორებებით ან განმეორებათა მრავალფეროვნებით. ამ კონსტელაციებიდან ადამიანი იგებდა, რა ხდებოდა წარსულში. ასე ერთობლივად მოქმედებდა ცა და დედამიწა, რათა ძველი კაცობრიობისთვის შეექმნათ ლოკალიზებული მეხსიერება.

ამგვარად, შორეული წარსულის ადამიანი მთელი თავისი კონსტიტუციით განსხვავდებოდა შედარებით ძველი დროის ადამიანისაგან და კიდევ უფრო მეტად – თანამედროვე ადამიანისაგან. თანამედროვე ადამიანი ღვიძლილის დროს საკუთარ თავში ატარებს „მე“-სა და ასტრალურ სხეულს, რომელთაც თითქოს ვერც ამჩნევს. ადამიანთა უმეტესი ნაწილი ვერ ამჩნევს ეთერულ სხეულთან ერთად საკუთარ თავში როგორ ატარებს „მე“-სა და ასტრალური სხეულის გაცილებით უფრო

მნიშვნელოვან ორგანიზაციას. თქვენ, რასაკვირველია, იცით ურთიერთკავშირების შესახებ. თუმცა ძველი კაცობრიობა თავისი საკუთარი არსების ამ ფაქტს სრულიად სხვაგვარად შეიგრძნობდა. ასეთივე მდგომარეობაა იმ კაცობრიობასთან მიმართებით, რომელზეც უნდა ვისაუბროთ, როცა ჩვენ ვუბრუნდებით ატლანტიდის შემდომდროინდელ მესამე, ეგვიპტურ-ქალდეური კულტურის ეპოქას. იმ დროს ადამიანი საკუთარ თავს, როგორც სულსა და სამშვინველს, განიცდიდა უმთავრესად საკუთარი ფიზიკური და ეთერული სხეულების ფარგლებს გარეთ თვით დვიძილის დროსაც. მან იცოდა განსხვავება: ეს მაქვს მე ჩემში ჩემი სულისა და ჩემი სამშვინველის სახით, – ჩვენ მათ ვუწოდებთ „მე“-სა და ასტრალურ სხეულს,— და ეს შეერთებულია ჩემს ფიზიკურ და ასტრალურ სხეულებთან. ადამიანი სამყაროს განვლევდა ამ ორობითობის განცდით. იგი თავის ფიზიკურსა და ეთერულ სხეულებს „მე“-ს კი არ უწოდებდა, არამედ იგი „მე“-ს უწოდებდა მხოლოდ თავის სულსა და თავის სამშვინველს, იმას, რაც არის სულიერი და რაც ქვემოთ გარკვეული სახით გადაჯაჭვულია ერთმანეთში, მაგრამ მისთვის მნიშვნელოვანწილად ფიზიკურ და ეთერულ სხეულებთან იყო გადაჯაჭვული. ამ სულიერ-მშვინველში, ამ „მე“-სა და ასტრალურ სხეულში შეიგრძნობდა ადამიანი ღვთაებრივ-სულიერი იერარქიების შექრას ისევე, როგორც ახლა შეიგრძნობს ადამიანი საკუთარ ფიზიკურ სხეულში ბუნებრივი ნივთიერებების შესვლას.

ამ ფიზიკურ სხეულში ადამიანს აქვს შეგრძნება იმისა, რომ მან იცის, როგორ იდებს ის კვებისა და სუნთქვის საშუალებით გარებუნების სამეფოების სუბსტანციებს. თავიდან ისინი არიან გარეთ, შემდეგ – მის შიგნით. ისინი მოქმედებენ ისე, რომ აღწევენ მასში და თავად მისი ნაწილები ხდებიან. იმ ადრეულ ეპოქებში, როდესაც ადამიანი თავის სულიერ-მშვინველ ბუნებას შეიგრძნობდა თავისსავე ფიზიკურ- ეთერულისგან რაღაც განკერძოებულად, მან იცოდა, რომ ანგელოზები, მთავარანგელოზები და უფრო მაღალი იერარქიების სხვა არსებებიც, არსებითად, სულიერი სუბსტანციებია, რომლებიც იჭრებიან მის სამშვინველსა და

სულში და ხდებიან, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავად მისი ნაწილები. ასე რომ, ადამიანს თავისი ცხოვრების ნებისმიერ წამს შეეძლო ეთქვა: ჩემში ცხოვრობენ დმერთები. თავის „მე“-ს ის უყურებდა, არა როგორც ფიზიკური და ეთერული სუბსტანციების საშუალებით ქვევიდან შექმნილს, არამედ როგორც მაღლიდან ბოძებულ წყალობას, როგორც იერარქიებიდან მოსულს. მას თავისი ფიზიკურ-ეთერული ბუნება ისე წარმოედგინა, როგორც ტვირთი, უფრო უკეთ, როგორც ცხოვრების ოთხთვალა, რომლითაც ის იძულებული იყო, გადაადგილებულიყო ფიზიკურ სამყაროში. ჩვენ თუ ამას არ გავარკვევთ, მაშინ ვერ გავიგებთ კაცობრიობის ევოლუციის მოვლენათა მსვლელობას.

ამ მოვლენათა რიგს ახლა თვალი მივადევნოთ მრავალი მაგალითის საშუალებით: დღეს გზის მაჩვენებელი ჩვენთვის იქნება იგივე, რასაც შევეხე ცამეტი წლის წინ, როცა ვამბობდი ისტორიულ-მითოლოგიურ დოკუმენტზე,* რომელიც გამოხატავს განვითარების უძველეს ფაზას და რომლის განხილვასაც ახლა ვაპირებთ. ვგულისხმობ გილგამეშის ეპოსს, რომელსაც აქვს ნაწილობრივ საგმირო ხასიათი, ამიტომ დღეს მე გადმოგცემთ მოვლენებს, რომელთაც აღვწერდი ცამეტი წლის წინ, ისე როგორც წარმოედგება ისინი უშუალოდ სულიერ ხედვას.

მცირე აზიის რომელიდაც ქალაქში, – გილგამეშის ეპოსში მას ჰქვია ერეკი,* რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ ბოლო ლექციაში, – ცხოვრობდა კაცი, რომელიც მიეკუთვნებოდა დამპყრობის ტიპს, რომელიც კანონზომიერად იყო წარმოშობილი ეპოქის ყველანაირი მშვინველი და სოციალური პირობებისაგან. ეპოსში მას გილგამეში ეწოდება. ე.ო. საქმე გვაქვს პიროვნებასთან, რომელმაც შემოინახა გაცილებით ადრინდელი დროის კაცობრიობის მრავალი თავისებურება. ამ პიროვნებას კარგად ესმოდა, რომ მას ჰქონდა რაღაც, რაც მასში ცხოვრობდა – ერთი მხრივ, სულიერ-მშვინველი ბუნება, რომელშიც ჩამოდიოდნენ დმერთები, და, მეორე მხრივ, – ფიზიკურ-ეთერული, რომელშიც შედიან ფიზიკური და ეთერული, მიწიერ-კოსმიური სუბსტანციები; მას ასევე ესმოდა, რომ მისი დროის კაცობრიობის წარმომად-

გენდები უკვე მზად იყვნენ კაცობრიობის ევოლუციის შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად. ეს გადასვლა კი მდგომარეობდა შემდეგში: „მე” ცნობიერება, რომელიც ცოტა ხნით ადრე იმყოფებოდა სულიერ-მშვინიერ ნაწილში, ახლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩაეჭლო ფიზიკურ-ეთერულ ნაწილში, ასე რომ, გილგამეში იყო ერთ-ერთი იმათგანი, რომლებმაც შეწყვიტეს, „მე” ეწოდებინათ თავიანთი არსების იმ მშვინიერ-სულიერი ნაწილისთვის, სადაც ისინი შეიგრძნობდნენ ღმერთების არსებობას, არამედ „მე”-ს ამბობდნენ იმაზე, რაც იყო მათში მიწიერ-ეთერულიდან. ეს იყო სამშვინველის ახალი წყობა.

სულის ამგვარ წყობასთან ერთად, როცა „მე” დაეშვა სული და სამშვინველიდან და ცნობიერი „მე”-ს სახით შევიდა სხეულებრივსა და ეთერულ ში, ამ პირვენებამ შეინარჩუნა წარსულისთვის დამახასიათებელი ჩვენები, განსაკუთრებით მექსიერების განცდის ჩვევა უშუალოდ რიტმთან კავშირში. მას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა ის შინაგანი გრძნობა, რომელიც აუცილებელი იყო, რათა ესწავლა სიკვდილის ძალების შემცნება, რადგან მხოლოდ სიკვდილის ძალებს შეუძლია ადამიანს მისცეს ის, რასაც იგი გონიერებამდე მიჰყავს. ამგვარად, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ გილგამეშის პირვენებას მივყავართ სამშვინველთან, რომელმაც დედამიწაზე უკვე განვლო მრავალი ინკარნაცია და ახლა შევიდა ადამიანური არსებობის ახალ ფორმაში, რაც მე ზემოთ უკვე აღვწერე, ამ სამშვინველს ჩვენ ვპოულობთ ფიზიკური არსებობის იმ მიჯნასთან, რომელიც მასში წარმოშობს გარკვეულ არადამაჯერებლობას. დაპყრობების უძველესი ჩვევა და უძველესი რიტმული მექსიერება დედამიწის ცხოვრებისთვის თანდათან შეუფერებელი ხდებოდა და ამიტომაც გილგამეშის განცდები მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალი ეპოქის განცდები იყო.

ამიტომაც მოხდა ისე, რომ, როცა ამ პირვენებამ ძველი ჩვევის თანახმად დაიპყრო ქალაქი, რომელსაც ეპოსში ეწოდება ერეკი, ამ ქალაქში დაიწყო ქაოსი. თავდაპირველად გილგამეში ეძებდნენ მტერს. მასში ხედავდნენ უცხოს და მართლაც, ქალაქის დაპყრობის შემდეგ წარმოქმნილი სირ-

თულეების დაძლევას იგი მარტო ვერ მოახერხებდა. შემდეგ ბედისწერით იქ გამოჩნდა სხვა პიროვნება, – გილგამეშის ეპოსში მას ეწოდება ეაბანი,* – რომელიც შედარებით გვიან ჩამოვიდა მიწაზე იმ პლანეტარული არსებობიდან, რომელსაც დედამიწის კაცობრიობა გარკვეული დროს განმავლობაში ახორციელებდა და რომელსაც აღვწერ ჩემს „იდუმალომეტყველებაში“. თქვენ იცით, რომ ატლანტიდური ეპოქის დროს სამშვინველები ეშვებოდნენ, – ზოგი ადრე, ზოგი გვიან, – დედამიწაზე სხვადასხვა პლანეტიდან, სადაც განდევნილი იყვნენ ეს სამშვინველები მიწიერი ევოლუციის ძალიან ადრინდელ საფეხურზე.

გილგამეშში ჩვენ წინაშე ვლინდება ისეთი ინდივიდუალობა, რომელიც დაბრუნდა დედამიწაზე შედარებით ადრე. ასე რომ, იმ დროისთვის, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, მან უკვე გაიარა მრავალი მიწიერი განსხველება. მეორე ინდივიდუალობა კი, რომელიც ასევე მოვიდა ქალაქში, ისეთია, რომელიც შედარებით დიდხანს იმყოფებოდა პლანეტარულ ყოფიერებაში და მხოლოდ მოგვიანებით მონახა თავისი გზა უკან – დედამიწაზე. ამას შეგიძლიათ გაეცნოთ ჩემს შტუტგარტის ლექციებში, რომელიც ცამეტი წლის წინ წავიკითხე რამდენადმე განსხვავებული თვალსაზრისით.

ამგვარად, ამ მეორე ინდივიდუალობამ მჭიდრო მეობრული ურთიერთობა დაამყარა გილგამეშთან და მათ ერთობლივად დააარსეს ქალაქში სოციალური ცხოვრება ნამდვილად მტკიცე საფუძველზე. ეს იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ ამ მეორე ინდივიდუალობას შემორჩენილი ჰქონდა ცოდნის დიდი მარაგი, რომელიც შეიძინა დედამიწის გარეთ კოსმოსში დიდხანს ყოფნისას, რაც გამოწვეული იყო მიწიერ ინკარნაციათა მცირე რიცხვით. ეაბანს, როგორც უკვე ვისაუბრე შტუტგარტში, ჰქონდა რაღაც გასხივოსნებული აღქმის მსგავსი, ნათელგვრება და ნათელსმენა, ასევე ის, რასაც შეგვიძლია ნათელხილვა ვუწოდოთ. ასე რომ, ერთ პირვენებაში ჩვენ გვაქვს უძველესი დაპყრობითი ჩვეულების ნაშთი და რიტმულად აწყობილი მექსიერება, მეორეში ის, რაც დარჩა მას კოსმოსის ფარული მისტერიების ხილვისა და განჭვრებისაგან. ამ ორი მოვლენის შეერთებით წარმო-

იშვა, როგორც იმ ძველ დროს ხდებოდა ხოლმე, მთლიანად მცირე აზიის ამ ქალაქების სოციალური სტრუქტურა. მშვიდობა და ბედნიერება მოევლინა ამ ქალაქს და მის მაცხოვრებლებს, და, თითქოს ყველაფერი მოწესრიგდებოდა, რომ არ მომხდარიყო ერთი შემთხვევა, რომელმაც საქმის მთელი მსვლელობა სხვა მიმართულებით წარმართა.

ამ ქალაქში არსებობდა მისტერიები რომელიდაც ქალდმერთზე და ეს მისტერიები ინახავდა კოსმოსის ძალიან ბევრ საიდუმლოს. შეიძლება ითქვას, იმ დროის თვალსაზრისით ესენი იყო, მე მინდა გითხრათ, რადაც სახის სინთეტური მისტერიები, სადაც თავმოყრილი იყო გამოცხადებები აზიის სხვადასხვა მისტერიიდან. ამ მისტერიების შინაარსის კულტივირება და სწავლება იქ ხდებოდა განსხვავებული და მომენტის შესაბამისად შეცვლილი საშუალებებით. ეს გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა იმ პიროვნებისთვის, რომელსაც ეპოსში პქვია გილგამეში და ის გამოვიდა ბრალდებით მისტერიის წინააღმდეგ, რადგან მიიჩნევდა, რომ მათი სწავლება წინააღმდეგობრივი იყო. რამდენადაც ორ პიროვნებას, რომლებზეც ვსაუბრობთ, ხელში ეჭირა მთლიანად წესრიგის სადავები ქალაქში ისე, რომ მისტერიების საწინააღმდეგო აზრები მომდინარეობდა უმაღლესი სოციალური ფენებიდან, ამიტომ შექმნილმა სიძნელეებმა მდგომარეობა იქამდე მიიყვანა, რომ მისტერიების ქურუმებმა მოუხმეს იმ ძალებს, რომლებიც უწინდელ დროში მისაწვდომნი იყვნენ ადამიანისთვის მისტერიებში. არ გაგიკვირდეთ, როცა გეგმნებით, რომ უძველეს მისტერიებში ადამიანს შეეძლო, ნამდვილად მიემართა უმაღლესი იერარქიების სულიერი არსებებისთვის, რადგან, როგორც გუშინ გითხარით, უძველესი აღმოსავლეთისთვის აზია სხვა არაფერი იყო, თუ არა ქვედა ცა და ამ ქვედა ცაზე ადამიანი აცნობიერებდა ღვთაებრივ-სულიერი არსებების ყოფნას და ურთიერთობდა მათთან. ძირითადად ასეთი ურთიერთობები იყო გამეფეხული მისტერიებში. ასე რომ, იშთარის მისტერიების ქურუმებმა მიმართეს იმ სულიერ ძალებს, რომლებსაც ისინი ყოველთვის მიმართავდნენ, როცა ეძებდნენ გაცისკროვ-

ნებას და გამოვიდა ისე, რომ ამ სულიერმა ძალებმა რადაც სასჯელი დაადეს ქალაქს.

იმ დროებში ამას გამოხატავდნენ შემდეგი სახით: ერეპში მოქმედებდა რაღაცა, რაც სინამდვილეში იყო უმაღლესი სულიერი ძალა, როგორც მხეცური ძალა, როგორც საშინელი, მოჩვენებითი მხეცური ძალა. მაცხოვრებლებს თავს დააგენდათ ყოველგვარი უბედურებები – ფიზიკური ავადმყოფობები, ასევე მშვინვიერი აშლილობები. შედეგად გილგამეშთან მიჯაჭვული პიროვნება, რომელსაც ეპოსში ერქა ეაბანი, მოკვდა, მაგრამ დედამიწაზე მეორე პიროვნების მისიის გასაგრძელებლად ის სულიერად დარჩა ამ პიროვნებასთან თავისი სიკვდილის შემდეგაც. ამრიგად, როცა ვაკვირდებით პიროვნების მომდევნო ცხოვრებასა და განვითარებას, რომელსაც ეპოსში ჰქვია გილგამეში, მასში ჩვენ უნდა დავინახოთ ორი პიროვნების ერთობლივი მოღვაწეობა, რაც გამოიხატა იმით, რომ ცხოვრების მომდევნო წლებში გილგამეშმა მიიღო ინტუიცია და გაცისკროვნება ებანისგან და გააგრძელა მოქმედება, მართალია მარტოკა და არა მხოლოდ თავისი ნებით, არამედ ორივეს ნებით, ორივე ნების შერწყმით.

ის, რაც მე აქ წარმოგიდგინეთ, არის რაღაც ისეთი, რომელიც მთლიანად შესაძლებელი იყო იმ ძველ დროებში. კაცობრიობის ცხოვრებაში აზრები და გრძნობები არ იყო მაშინ იმდენად ერთიანი და განუყოფელი, როგორც ახლა. ამიტომ ადამიანს არ შეეძლო ჰქონოდა თავისუფლების გამოცდილება იმ თვალსაზრისით, როგორიც ჩვენ ახლა ვიცით. საგსებით შესაძლებელი იყო, რომ დედამიწაზე აქამდე არ განსხვავდებულ სულიერ არსებას ემოქმედა ან მიწიერი პიროვნების ნების მეშვეობით, ანდა, როგორც ამ შემთხვევაში, ადამიანს, რომელმაც გაიარა სიკვდილის კარიბჭე და აგრძელებდა სიკვდილის შემდგომ არსებობას, ესაუბრა და ემოქმედა დედამიწაზე რომელიმე პიროვნების ნებელობის მეშვეობით. ასე იყო გილგამეშის შემთხვევაში. იმისაგან, რაც წარმოიშვა ორი ნების შერწყმით, გილგამეშმა შექლო, საკმაოდ ნათლად შეემეცნებინა კაცობრიობის ისტორიის რომელ მომენტში იდგა თავად იგი. სულის გავლენის წე-

ლობით, რომელიც მის ინსპირაციას ახდენდა, მან დაიწყო იმის შემეცნება, რომ „მე“ ჩაეფლო ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში, რომლებიც მოკვდავნი არიან და იმ წუთიდან უკვდავების პრობლემამ დაიწყო მნიშვნელოვანი როლის თამაში მის ცხოვრებაში. მთელი მისი მისწრაფებანი მიმართული იყო იმისკენ, რომ ამა თუ იმ საშუალებით შეეღწია ამ პრობლემის გულისხულში. გილგამეშს უხალისოდ უმჟღაპნებდნენ თავის საიდუმლოებას მისტერიები, რომლებშიც შემონახული იყო ის, რაც შეიძლებოდა თქმულიყო დედამიწაზე იმ დროს უკვდავებასთან დაკავშირებით. მისტერიებს ჯერ კიდევ პქონდათ საკუთარი ტრადიციები, სადაც ასევე მნიშვნელოვანწილად შემონახული იყო ატლანტიდის პერიოდში არსებული ცოცხალი ცოდნა, როცა ადამიანებს შორის გაბატონებული იყო უძველესი, თავდაპირველი სიბრძნე.

ამ თავდაპირველი სიბრძნის მატარებელი, რომლებიც ოდესდაც სულიერი არსებების სახით ცხოვრობდნენ დედამიწაზე, ძალიან დიდი ხნის წინ დაშორდნენ მას და დაარსეს კოსმოსური კოლონია მთვარეზე, და სრული მიამიტობაა, მიიჩნიო, რომ მთვარე არის მკვდარი, გაყინული სხეული, როგორც ამას აღწერენ თანამედროვე ფიზიკოსები. უწინარეს ყოვლისა, მთვარე კოსმოსური ადგილსამყოფელია იმ სულიერი არსებებისთვის, რომლებიც იყვნენ მიწიერი კაცობრიობის პირველი დიადი მასწავლებლები, არსებები, რომლებმაც მიწიერ კაცობრიობას ოდესდაც მოუტანეს პირველქმნილი სიბრძნე და რომლებიც, როცა მთვარემ დატოვა დედამიწა და იპოვა თავისი ადგილი პლანეტარულ სისტემაში, ასევე წავიდნენ და თავისი საცხოვრისი მოიწყვეს მთვარეზე. ის, ვისაც ახლანდელ დროში იმაგინაციური აღქმით შეუძლია მიაღწიოს მთვარის ჭეშმარიტ შემეცნებას, ასევე შეიმეცნებს ამ კოსმიური კოლონიის სულიერ არსებებს, რომლებიც ოდესდაც დედამიწის კაცობრიობისთვის უძველესი სიბრძნის მასწავლებლები იყვნენ. რასაც ისინი ასწავლიდნენ, დაცული იყო მისტერიებში, როგორც ის იმპულსები, რომლის მეშვეობითაც ადამიანს შეეძლო დაკავშირებოდა იმ უძველეს სიბრძნეს. თუმცა პიროვნებას, რომელსაც ეპოსში ეწოდება გილგამეში, მცირე აზიის მისტე-

რიებთან ცოცხალი კავშირი არ პქონდა. მაგრამ მისი ზეგრძნობადი მეგობრის წყალობით, რომელიც სიკვდილის შემდგომი არსებობისას ჯერაც მასთან იყო დაკავშირებული, გილგამეშში წარმოიშვა შინაგანი იმპულსი, ეძებნა სამყაროში გზა, რომლითაც შეძლებდა სამშვინველის უპვდავების განცდამდე მისვლას.

შემდგომ, შუა საუკუნეებში, თუ ადამიანს სურდა, გაეგორიმე სულიერი სამყაროს შესახებ, ის უნდა ჩაფლულიყო საკუთარ შინაგან არსებაში. უახლეს დროში იტყვიან, რომ აუცილებელია უფრო მეტი შინაგანი პროცესი. იმ ძველ დროში, რომელზედაც გსაუბრობთ, ადამიანისთვის მკაფიოდა ზუსტი ცოდნის ფაქტს წარმოადგენდა ის, რომ დედამიწა არის არა უბრალოდ ქვის ლოდი, რომელზედაც გეოლოგიის წიგნში საუბრობენ, არამედ დედამიწა არის ცოცხალი არსება, უფრო მეტიც, ცოცხალი არსება შემოსილი სულიოდა სამშვინველით; როგორც ნამცეცა მწერი, რომელიც მიცოცავს ადამიანზე და რომელსაც შეუძლია გაიგოს რაიმე ადამიანზე არსებაზე, როცა აცოცდება ცხვირზე ან შუბლზე, ანდა თმაზე, და როგორც ეს მწერი აღწევს თავის შემეცნებას ასეთი ხერხით, მოგზაურობს რა ადამიანზე, ასევე აღწევდა ადამიანი, იმ უძველეს დროში, მოგზაურობის წყალობითა და დედამიწის სხვადასხვა რეგიონების განსხვავებული კონფიგურაციის შემეცნებით, იმას, რომ შეეღწია სულიერ სამყაროში. მას შეეძლო ეს გაეკეთებინა იმისგან დამოუკიდებლად, იყო თუ არა მისთვის დაშვებული მისტერიებში შედწევა. სინამდვილეში, არ არსებობს უფრო ზედაპირული აღწერა, ვიდრე მოთხოვნები იმაზე, როგორ მოგზაურობდნენ პითაგორა და სხვები* ცოდნის შესაძენად. ადამიანი მოგზაურობდა დედამიწაზე, რათა აღექვა ის, რაც მას ეხსნებოდა ამ მრავალფეროვან კონფიგურაციებში, იმაში, რისი დაკარვებაც შეეძლო დედამიწის განსხვავებულ ფორმებსა და მოხაზულოებებში სხვადასხვა ადგილას, ამასთან დედამიწას დაკვირვებოდა არა მარტო თავისი ფიზიკური ასპექტით, არამედ ის შემეცნებინა როგორც სული და სამშვინველი. ჩვენს დროში ადამიანს შეუძლია გაემგზავროს აფრიკაში, იტალიაში, და მაინც, თუ არ ჩავთვლით იმ გარე-

გან წვრილმანებს, რომელიც თვალში საცემია და ყურადღებას იპყრობს, მისი განცდა ამ ადგილებში ძალიან ცოტათი თუ განსხვავდება სახლში მისი განცდისაგან, რაღაც ადამიანური ათვისების უნარი დრმა განსხვავებების მიმართ, რომელიც არსებობს დედამიწის სხვადასხვა ადგილას, დაიკარგა; მაგრამ იმ პერიოდში, რომელიც ახლა გვაინტერესებს, ეს ჯერ კიდევ არსებობდა. ამიტომ გილგამეშისთვის დრმა აზრი ჰქონდა დედამიწაზე მოგზაურობის იმპულსს, რათა ამის მეშვეობით მოეპოვებინა ისეთი რამ, რაც უკვდავების პრობლემის გადაწყვეტაში დაეხმარებოდა.

ამგვარად ის გაეშურა სამოგზაუროდ. ამ მოგზაურობამ იგი ძალზე მნიშვნელოვან შედეგამდე მიიყვანა. ის მივიდა იმ მხარეში, რომელიც ახლოს იყო ბურგენლანდთან, როგორც ახლა მას ვუწოდებთ. ეს არის რაიონი, რომლის შესახებ სულ ახლახან ბევრს საუბრობდნენ და კამათობდნენ – ეპუთვნის თუ არა ის უნგრეთს. იმ შორეული დროიდან ქვეყნის მთელი სოციალური პირობები, რა თქმა უნდა, ძალზე შეიცვალა. გილგამეში მივიდა იქ და იპოვა მისტერიალური ცენტრი – მისტერიების მთავარ ქურუმს ეპოსში ეწოდება ქსისუტროსი (Xisuthros)*. ეს უძველესი მისტერიები იყო ძველი ატლანტიდური მისტერიების ჭეშმარიტი მემკვიდრეები, – მხოლოდ, რასაკვირველია, შეცვლილი ფორმით, როგორც უნდა მომხდარიყო ესოდენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ამ უძველეს მისტერიალურ ცენტრში შეეძლოთ, გილგამეშის შემეცნების უნარზე ემსჯელათ და შეეფასებინათ. მას შეხვდნენ გაგებით. მას მოუწია გაევლო გამოცდა – ერთი იმათგან, რომელსაც იმ დროში მისტერიების მოწაფეებს ხშირად ავალებდნენ. განსაზღვრული სავარჯიშოები მას უნდა შეესრულებინა სრული ღვიძილის მდგომარეობაში შვიდი დღისა და შვიდი ღამის განმავლობაში. ეს მისთვის ძალზე ბევრი იყო, ამიტომ მას ჩაუტარეს მსგავსი გამოცდის მხოლოდ სუროგატი. მისთვის მოამზადეს რაღაც ნივთიერებები, რომელიც მან მიიღო და მოიპოვა ნაცნობი გასხივოსნება მათი დახმარებით, თუმცა, როგორც ეს ყოველთვის ხდება, იმ შემთხვევაში, როცა ექსტრემალური პირობები და-

ცული არ არის, გასხივოსნება შეიძლება, ზოგიერთი თვალსაზრისით საეჭვო იყოს. ამის მიუხედავად, რაღაც დონის გასხივოსნება მაინც მიღწეულ იქნა და მოხდა ცნობილი შედწევა სამყაროს უდიდეს ურთიერთკავშირებში, სამყაროს სულიერ სტურქტურაში. ამიტომ, როცა გილგამეშმა დაამთავრა თავისი მოგზაურობა და დაბრუნდა სახლში, ფაქტობრივად ის ფლობდა უმაღლეს სულიერ ჭვრებას.

ის მოგზაურობდა დუნაის გასწვრივ, გადაადგილდებოდა მდინარის ჩრდილოეთ ნაპირისკენ, სანამ ისევ არ მივიდა სახლში, თავის სამშობლოში, თავის აღთქმულ მიწაზე. მანამდე, სანამ ის მივიდოდა სახლში, – იმის გამო, რომ ატლანტიდის შემდგომ მისტერიებში მან ხელდასხმა მიიღო არა ოპტიმალური, არამედ ნაწილობრივ არასწორი მეთოდით, – ის მოექცა პირველივე ცდუნების გავლენის ქვეშ, რომელმაც მასში გამოიწვია მრისხანების საშინევლი აფეთქება. ეს მოხდა იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელმაც მიიპყრო მისი ყურადღება: მის ყურადღე მივიდა ამბავი ქალაქში მიმდინარე ზოგიერთ მოვლენაზე. მან მომხდარი უფრო ადრე გაიგო, ვიდრე მიაღწევდა ქალაქამდე და განრისხდა. ამის შედეგად მის მიერ მიღებული გასხივოსნება თითქმის მთლიანად ჩაქრა, ისე რომ, იგი შინ მის გარეშე დაბრუნდა.

მიუხედავად ამისა, მას ჯერ კიდევ ჰქონდა უნარი, – და სწორედ ეს არის ამ პიროვნების განსაკუთრებული თვისება, – თავისი გარდაცვლილი მეგობრის სულთან კავშირის მეშვეობით განეცვრიტა სულიერი სამყარო, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მიეღო იქიდან უწევებები. და მაინც, ეს სხვადასხვა რამაა, ხელდასხმის საშუალებით მოიპოვო სულიერ სამყაროში უშუალო ჭვრების უნარი ან მიიღო უწევებები იმქვეუნიური პიროვნებისაგან. მაინც შეიძლება, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ გილგამეშს უკვდავების ბუნების განსკრებისაგან რაღაც შერჩა. მე დროებით განზე დავტოვებ განცდას, რომელსაც ადამიანი გაივლის სიკვდილის შემდეგ. ეს მოვლენები, რომლებიც აქ აღვწერე, დღეს და მაშინაც, არ თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს მომდევნო ინკარნაციის ცნობიე-

რებაში; ისინი ძალზე ძლიერად ვლინდებოდნენ ცხოვრების შინაგან სტრუქტურაში და არა ცნობიერებაში.

თქვენ ხედავთ, აქ მე აღწერე თრი პიროვნება, რომლებმაც ერთად გამოავლინეს ატლანტიდური კულტურის შემდგომი მესამე ეპოქის ადამიანის სულიერი კონსტიტუცია, მისი განვითარების დაახლოებით შეა პერიოდ ში. ეს თრი პიროვნება ჯერ კიდევ ისეთი სახით ცხოვრობდა, რომ მათი ცხოვრების მთელი წეობა თავისთავად წარმოადგენდა ადამიანური ბუნების ორგარობის მკაცრ დასაბუთებას. ერთ-ერთი მათგანი, გილგამეში, აცნობიერებდა ამ ორგარობას, თუმცა მან პირველმა განიცადა „მე“ ცნობიერების გარდამოსვლა ადამიანის ფიზიკურ და ეთერულ ბუნებაში. მეორე ადამიანი, იმის გამო, რომ დედამიწაზე მან განვლო ინკარნაციათა მცირე რიცხვი, ფლობდა ნათელმხილველურ ცნობიერებას, რომლის წყალობითაც იცოდა, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა მატერია, არამედ ყველაფერი სულიერია, ხოლო ე. წ. მატერიალური არის სულიერის მხოლოდ სხვა ფორმა.

ახლა თქვენთვის ნათელი უნდა იყოს: თუ ადამიანური არსებები მაშინ აწყობილი იყო ამგვარად, ადამიანს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, ეფიქრა და ეგრძნო ისე, როგორც – ჩვენ ახლა. მთელი მისი აზროვნება და მგრძნობელობა მთლიანად განსხვავდებოდა ჩვენგან, და, ისიც, რისი მიღებაც ამ პიროვნებებს შეეძლოთ, რა თქმა უნდა, სრულიად არ ჰგავდა იმას, რასაც ახლა სკოლებსა და უნივერსიტეტებში ასწავლიან. იმ დღეებში ყველაფერი, რასაც იდებდა ადამიანი, ყველაფერი, რასაც ჰქონდა სულიერი ან კულტურული ბუნება, მოდიოდა მასთან მისტერიებიდან, და სწორედ აქედან ვრცელდებოდა ის ადამიანებს შორის ყველა შესაძლო გზით. მისტერიების ბრძენები, ქურუმები კაცობრიობის ჭეშმარიტი მზრუნველები იყვნენ.

ასე რომ, ამ ორი პიროვნების თავისებურება იყო ის, რომ აღწერილ ინკარნაციაში მათ არ ჰქონდათ უნარი, სამშვინეულის განსაკუთრებული წეობის გამო, მიახლოებოდნენ თავიანთი ქვეყნის მისტერიებს. ის, ვისაც ეპოსში ჰქვია ეპანი, მისტერიებთან ახლოს იყო კოსმოსის არამიწიერ სფე-

როებში ყოფნის წყალობით; ვისაც ეძახდნენ გილგამეშს, მან განიცადა ატლანტიდის შემდგომი პერიოდის მისტერიებში ხელდასხმის გარკვეული სახე, თუმცა ამან წარმოშვა არასრულყოფილი შედეგი. შედეგად თავიანთ არსებაში ორივე გრძნობდა რაღაც ისეთს, რომელიც მათ მიწიერი კაცობრიობის საწყის დროებთან აახლოებდა. ორივეს შეეძლო ეკითხა საბუთარი თავისთვის: როგორ გავხდით ასეთები? რა როლი ვითამაშეთ დედამიწის ევოლუციაში? ჩვენ ხომ ასეთები დედამიწის ევოლუციის წყალობით გავხდით; მაინც როგორი გზა გავიარეთ ჩვენ?

კითხვა უკვდავების შესახებ, რომელიც გილგამეშისთვის ასეთი ტანჯვისა და ქაოსის მიზეზი იყო, იმ დროს უკავშირდებოდა აუცილებლობას, განჭკვრიტათ დედამიწის განვითარება უძველესი დროიდან. იმ დროებში შეუძლებელი იყო სამშვინეულის უავდაების გაგება ან განცდა, სანამ ამავდროულად არ მოხდებოდა რაღაც განჭკვრება იმისა, თუ როგორ უმზერდნენ ადამიანთა სამშვინეულები, – რომდებიც არსებობდნენ ჯერ კიდევ დედამიწის ძალიან აღრეულ ფაზებში, უძველესი მზისა და უძველესი მთვარის განვითარების საფეხურების დროს, – იმის მოახლოებას, რაც შემდგომ გახდა მიწიერი. ადამიანები შეიგრძნობდნენ, რომ ეკუთვნოდნენ დედამიწას. ისინი გრძნობდნენ, რომ თვითშემეცნებისთვის ადამიანმა უნდა განჭკვრიტოს თავისი კავშირი დედამიწასთან.


საიდუმლო ცოდნა, რომლის კულტივირებაც აზიის ყველა მისტერიაში ხდებოდა, უპირველეს ყოვლისა და უპირატესად კოსმიური ცოდნა იყო. მისტერიალური სიბრძნე და სწავლება ავლენდა დედამიწის ევოლუციის წყაროებს კოსმოსთან კავშირში. ასე რომ, ამ მისტერიებში ადამიანთა წინაშე სასიცოცხლო სახით ისესხებოდა დედამიწის განვითარების ვრცელი მიმოხილვა ისე, რომ ეს შეიძლებოდა მასში მაცოცხლებელ იღებად ქცეულიყო; ასევე, როგორ ვითარდებოდა ადამიანი ამ სუბსტანციებთან ერთად დედამიწის სუბსტანციებისა და ძალების დუღილსა და მშვითვარებაში, – მზისეული, მთვარისეული და დედამიწისეული ევო-

ლუციის პერიოდების გავლით. ყველაფერი ეს ძალზე ცოცხალი სახით ეძღვოდა ადამიანს.

მისტერიების ერთ-ერთი ცენტრი, სადაც ასწავლიდნენ ასეთ რამეებს, გადარჩა ბევრად უფრო გვიანდებოდ დროში. ეს იყო ეფესოს მისტერიები,* არტემიდა ეფესელის მისტერიები; მისტერიებს თავიანთი საკურთხევლის უშუალოდ შუაგულში ჰქონდათ ქალღმერთ არტემიდას გამოსახულება. როცა ჩვენს დროში ვათვალიერებო ეფესელი ქალღმერთის არტემიდას რეპროდუქციებს, ვიღებო მრავალმკერდიანი ქალის სახის მხოლოდ გროტესკულ შთაბეჭდილებას. ეს იმიტომ, რომ ვერ წარმოგვიდგენია მსგავსი მოვლენები როგორ განიცდებოდა უძველეს დროებში. მაშინ მნიშვნელოვანი იყო სწორედ განცდა, რომელიც ხდებოდა ამა თუ იმ ფაქტის წინაშე. მისტერიის მოწაფეებს უნდა გაევლოთ გარკვეული მომზადება, სანამ მათ მიიყვანდნენ მისტერიების ნამდვილ ცენტრთან. ეფესოს მისტერიებში ეს ცენტრი იყო ქალღმერთ არტემიდას გამოსახულება. როცა მოწაფე აჟყავდათ ცენტრში, ის ამ გამოსახულებასთან ერთიანი ხდებოდა. როცა ის იდგა გამოსახულების წინ, კარგავდა იმის ცნობიერებას, რომ იმყოფებოდა საკუთარი სხეულის საზღვრებში. ცნობიერებაში საკუთარი თავის ამ გაიგივებას დვთაებრივ სახესთან, ეფესოში ჰქონდა ასეთი შედეგი: ახლა მოწაფე უბრალოდ კი არ უყურებდა ბუნების მიწიერ სამეფოებს, რომლებითაც იყო გარშემორტყმული, – ხეებს, ქვეებს, მდინარეებს, ღრუბლებს და ა.შ. არამედ, როცა ის გრძნობდა არტემიდას სახესთან ერთიანობას, როცა თითქოს შედიოდა არტემიდას სახეში, ის შინაგანად ჭვრეტდა თავის კავშირს ეთერულ სამეცნიეროსთან. ის გრძნობდა თავის ერთიანობას ვარსკვლავთა სამყაროსთან, ერთიანობას ვარსკვლავთა სამყაროს პროცესებთან. ის არ აღიქვამდა მიწიერ სუბსტანციებს ადამიანური კანის ქვეშ, ის შეიგრძნობდა თავის კოსმიურ ყოფიერებას. ის თავის თავს შეიგრძნობდა ეთერულში.

ამასთან, ეთერულში თავის თავის ამ შეგრძნების მეშვეობით მის წინ ჩნდებოდა დედამიწისა და კაცობრიობის ცხოვრების ადრეული მდგომარეობები დედამიწაზე. იგი ხდავდა, როგორი იყო ეს ადრეული მდგომარეობები. თანა-

მედროვეობაში ჩვენ განვიხილავთ დედამიწას, როგორც ქვის დიდ ლოდს ან კლდეს, რომლის ზედაპირის დიდი ნაწილი დაფარულია წყლით და შემოსაზღვრულია პაერის სფეროთი და შედგება უანგბადის, აზოტისა და სხვა ნივთიერებისაგან, ფაქტობრივად იმ შემაღვენდლობისაგან, რომელიც სჭირდება ადამიანურ არსებას სუნთქვისთვის და ა.შ. როცა გონების თვალით იწყებენ იმის განმარტებას, რასაც გვთავაზობს თანამედროვე მეცნიერული ცოდნა, მაშინ გვაქვს შესანიშნავი შედეგები! მხოლოდ სულიერი ხედვის მეშვეობით შეიძლება ჩასწვდე იმ პირობებს, რომელიც ჭარბობდა იმ შორეულ დროებში. მსგავსი სულიერი ხედვა, რომელიც ეხება დედამიწისა და კაცობრიობის საწყის მდგომარეობებს,* მიიღწეოდა ეფესოს მოწაფეების მიერ, როცა ისინი თავიანთ თავს ქალღმერთის სატ-სახესთან აიგივებდნენ. ისინი მიდიოდნენ იმის წვდომამდვე, რომ აღრე დედამიწის გარემოცვა (ახლანდელი ატმოსფერო) ისეთი არ იყო: ახლანდელი ატმოსფეროს ადგილზე დედამიწის გარემოცვა იყო უჩვეულოდ გამეჩხერებული ცილა, მფრინავ-დენადი ცილოვანი ნივთიერება.



ნახ. 6

1) რთული — მოწაფოალო. 2) ჰელ-ნათელი.

ისინი ხედავდნენ, რომ ყოველივე დედამიწაზე მცხოვრები თავისი არსებობისთვის როგორ იღებდა ძალებს იმ მფრინავ-დენადი ცილოვანი ნივთიერებისაგან, რომელიც გავრცელებული იყო დედამიწაზე; ასევე ცხოვრობდა ყველაფერი ამ ნივთიერებაში. ისინი ხედავდნენ, რომ ის, რაც გარკვეულწილად უპავ სახეზე იყო ამ ნივთიერების შიგნით, – ნატიფად განაწილებული და ყველგან მსწრაფი კრისტალიზაციისკენ (იხ. ნახ. 6, წითელი), – როგორც ის, რაც არსებობდა უჩვეულოდ გამეჩერებულ მდგომარეობაში სილიციუმის მჟავის სახით, სინაძვილეში დედამიწისთვის იყო რაღაც აღქმის ორგანოს მსგავსი და შეეძლო, საკუთარ თავში ჟოველი მხრიდან აღექვა იმაგინაციები და ზეგავლენები გარემომცეველი კოსმოსიდან. ამგარად, სილიციუმის მჟავაში, რომელსაც შეიცავს მიწის ცილოვანი ატმოსფერო, ყველგან იყო გარეანულად გამოვლენილი იმაგინაციები.

ამ იმაგინაციებს პქონდათ გიგანტურ მცენარეთა მსგავსი ორგანიზმის ფორმა და იმისგან, რაც ასე ვთქვათ, იმაგინირებული იყო დედამიწაზე ასეთი მეთოდით, მოგვიანებით განვითარდნენ, – ატმოსფერული სუბსტანციების შთანთქმის ეშვეობით, – მცენარები, ანუ ყველაფერი ის, რასაც აქვს მცენარეთა მსგავსი ბუნება. თავიდან ის იყო დედამიწის გარშემო მფრინავ ფლუიდურ ფორმაში, მხოლოდ მოგვიანებით ჩაეფლო იგი ნიადაგში და იქცა იმად, რაც ჩვენთვის ცნობილია, როგორც მცენარეთა სამყარო. სილიციუმის მჟავის გარდა, ამ ცილოვან ატმოსფეროში, ასევე ჩანერგილი იყო სხვა ნივთიერება – კირი, უკიდურესად გაუხშოებულ მდომარეობაში. სწორედ ამ კირიანი სუბსტანციიდან, ცილის შედეგების ზეგავლენით, წარმოშვა ცხოველთა სამეფო. ადამიანური არსება კი თავის თავს ამ ყველაფრის შიგნით აღიქვამდა. ის შეიგრძნობდა მიწასთან თავის ერთიანობას. ის ცხოვრობდა იმაში, რასაც დედამიწა ქმნიდა იმაგინაციის ძალთაგან, როგორც მცენარეულს, ცხოვრობდა იმაში, რაც წარმოშობოდა მიწიერში, როგორც ცხოველური, ისე, როგორც მე ახლა აღვწერე. თითოეული ადამიანი თავის თავს შეიგრძნობდა, არსებითად, განვენილს მთელს დედამიწაზე, ერთიანს დედამიწაში არსებული ყოველივე ადამიანურსებარეთა პირველადი ნივთიერებისაგან და როგორ აღიქვა იგივე ნივთიერება ადა-

მსჯვალავდნენ ერთმანეთს; ეს მე აღვწერე ჩემს წიგნში „ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი“ პლატონურ მოძღვრებასთან დაკავშირებით – იდეათა წარმოშობის ადამიანური შესაძლებლობები.

ამგვარად, ბედისწერამ განაპირობა, რომ ორი პიროვნება, რომლებზედაც უკვე გესაუბრეთ შტუტგარტში და აქ კვლავ გიმეორებთ, გარდასხვალდნენ ეფესოს მისტერიების მიმდევრებად და იქ თავიანთ სამშვინველებში ღრმა ღვთისმოსაობით აღიქვეს ის მოვლენები, რომლებიც აქ ზოგად შტრიხებში მოვხაზე. ამის წყალობით მათი სამშვინველები შინაგანად თითქოსდა გამკვრივებული იყო. მისტერიების მეშვეობით მათ მიწიერი სიბრძნის სახით აღიქვეს ის, რაც ადრე მათთვის მისაწვდომი იყო მხოლოდ განცდაში, მაგრამ მეტწილად გაუცნობიერებელ განცდაში. ასეთი იყო ამ პიროვნებების ადამიანური გამოცდილება, რომელიც განაწილებული იყო ორ სხვადასხვა ინკარნაციას შორის. ამის წყალობით, ისინი საკუთარ თავში ატარებდნენ იმის მყარ ცნობიერებას, რომ ადამიანური დაკავშირებულია უმაღლესთან, სულიერ სამყაროსთან და ამავე დროს გრძნობდნენ ძლიერ, ინტენსიურ უნარს, განეცადათ თავიანთი დამოკიდებულება მიწიერთან.

თუ თქვენ მუდმივად გაქვთ ორი ერთობლივი ნაკადი, რომელთა გაყოფაც არ შეგიძლიათ, მაშინ ისინი ისხნებიან და იკარგებიან ერთმანეთში. თუ ისინი ერთმანეთისგან მკაფიოდ განსხვავდებიან, თქვენ შეგიძლიათ ერთის შესახებ იმსჯელოთ მეორის დახმარებით. ამ ორ პიროვნებას ასევე შეეძლო, ერთი მხრივ, თავად ცხოვრებიდან ემსჯელათ ზეგნაესი სამყაროს სულიერ ასპექტზე, რაც მათთან მოდიოდა როგორც ადრინდელი ინკარნაციების გამოძახილი. რამდენადაც ბუნების სამეფოთა წარმოშობა მათ უწესოს მისტერიებიდან ქალღმერთ არტემიდას გავლენით, ამიტომ ახლა მათ შეეძლოთ, მეორე მხრივ, გაეგოთ, როგორ წარმოიშვა ადამიანის გარეთ არსებული საგნები და მოვლენები დედამიწაზე, თანდათანობით როგორ წარმოიქმნა დედამიწაზე არსებული ყოველივე ადამიანურსებარეთა პირველადი ნივთიერებისაგან და როგორ აღიქვა იგივე ნივთიერება ადა-

მიანმაც. ამ ორი პიროვნების ცხოვრება, – რომელიც ნაწილობრივ ემთხვევა ეფუძნება პერაკლიტებს* ცხოვრების უკანასკნელ წლებს და ნაწილობრივ შემდგომ დროს, – გახდა განსაკუთრებით მდიდარი შინაგანად და შიგნიდან მძლავრად გასხივოსნდა უდიდესი კოსმოსური საიდუმლოებების ნათლით. გარდა ამისა, მათში იყო იმის ძლიერი ცოდნა, ადამიანი თავის მშვინვიერ ცხოვრებაში როგორ შეიძლება შეუერთდეს არა მარტო მას, რაც პორიზონტალურად არის განფენილი მის ირგვლივ დედამიწაზე, არამედ იმასაც, რაც ეწევა ზევით, როცა ის თავად აღწევს სიმაღლეებს თავისი არსებით. ასეთი იყო შინაგანი მშვინვიერი ორგანიზაცია ამ ორი პიროვნებისა, რომლებიც ერთობლივად მოქმედებდნენ ეგვიპტურ-ქალდეურ ეპოქაში, ხოლო შემდეგ ერთად ცხოვრობდნენ პერაკლიტებს დროს და ბოლოს ეფუძნება მისტერიებთან კავშირში. ახლა შეიძლება განვაგრძოთ ამ ერთობლივი მოღვაწეობის შემდგომი დაკვირვება. მშვინვიერმა ორგანიზაციამ, რომელიც განვითარდა ორთავეში, განვლო სიკვდილი, სულიერი სამყარო და დაიწყო თავისი თავის მომზადება მიწიერი ცხოვრებისთვის, რომელსაც კვლავ უნდა დაესახა ამოცანები, რომლებიც ახლა, ცხადია, სრულიად სხვაგვარად გამოიყურებოდნენ. როცა ჩვენ ვაკვირდებით, როგორ პოულობდნენ ეს პიროვნებები თავიანთ გზას მიწიერი განვითარების ისტორიაში, შეგვიძლია დაგინახოთ, ადრინდელ დროებში სამშვინველის განცდათა წყალობით (ამ განცდებს აქვთ თავიანთი კარმული გაგრძელება მომავალ მიწიერ ცხოვრებაში) როგორ მზადდება ისეთი მოვლენები, რომლებიც სრულიად სხვა ფორმებს იღებენ შემდგომ ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც ეს პიროვნებები კიდევ ერთხელ შევლენ კაცობრიობის მიწიერ ევოლუციაში.

მე ეს მაგალითი მოვიყვანე იმიტომ, რომ ეს ორი პიროვნება გამოჩნდა იმ პერიოდის ბოლოს, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში პქნება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამაზე მე მიგითითეთ 13 წლის წინ შტუტგარტში ჩემ მიერ წაკითხულ ლექციებში. ფაქტობრივად ეს ყველაფერი გავარჩიე განსაზღვრული თვალსაზრისით. ამ პიროვნებებმა, რომლებმაც თავიდან ეგვიპტურ-ქალდეურ ეპოქაში გაიარეს ის,

რასაც შემიძლია ვუწოდო ფართომასშტაბიანი კოსმიური ცხოვრება, ხოლო შემდეგ გაადრმავეს ეს კოსმიური გამოცდილება შინაგანად, თავიანთი სამშვინველის გამკვრივების თვალსაზრისით, ახლა, მომდევნო ინკარნაციაში, ცხოვრობლებს, როგორც არისტოტელე და ალექსანდრე დიდი.* როცა წვდებიან არისტოტელესა და ალექსანდრე დიდის სამშვინველების დაფარულ სიღრმეებს, მაშინ, როგორც მე განვმარტე შტუტგარტში, ნელ-ნელა ნათელი მოეფინება ყველაფერს, რაც გამოვლინდა ასე პოლიტიკურად ამ ორ პიროვნებაში, რომელთა ცხოვრება მიმდინარეობდა იმ დროებში, როცა ბერძნული კულტურა დაცემისკენ მიდიოდა და იწყებოდა რომის ბატონობა.

ამაზე ჩვენ ვისაუბრებთ ხვალინდელ ლექციაში.

მეოთხე ლექცია
დორნახი, 1923 წლის 27 დეკემბერი

ჩემი გუშინდელი ამოცანა იყო, ცალკეული პიროვნებების მაგალითზე მქენებინა, როგორ მიღის თავისი გზით სამყაროს ისტორიული განვითარება. ის, ვინც ესწრაფვის სულისმეცნიერებაში შემდგომ ჩაღრმავებას, ვერ შეძლებს, წარმოიდგინოს საგნები და მოვლენები, თუ არ მიუთითებს ადამიანურ არსებაში ასახულ მოლენათა შედეგებზე. ვინაიდან ადამიანი შეოლოდ ჩვენს ეპოქაში შეიგრძნობს თავის თავს, — იმ მიზეზებით, რომლებზედაც ვიმსჯელებთ ამ ლექციების მიმდინარეობისას, — როგორც დანარჩენი სამყაროსგან მოწყვეტილ ცალკერძა არსებას. ყველა წინარე ეპოქებში და, უნდა აღინიშნოს, ყველა მომდევნოში, ადამიანი შეიგრძნობდა და კვლავ შეიგრძნობს თავს მოელი კოსმოსის წევრად, მთელი სამყაროს კუთვნილებად. მე არაერთხელ მითქვამს: ასევე არ შეუძლია თითს ცალკე არსებობდეს თავისთავად, არამედ მას არსებობა შეუძლია შეოლოდ ადამიანურ ორგანიზმთან ერთად, ვინაიდან იმ მომენტში, როცა თითო მოშორდება ორგანიზმს, ის უკვე არ იქნება თითი, დაიწყებს სიკვდილს, ის იქნება რადაც სხვა და დაემორჩილება სხვა კანონს, განსხვავებულს იმისგან, ვიდრე ის ეკუთვნოდა ადამიანის ორგანიზმს და როგორც თითო არის თითი მთლიან ორგანიზმთან კავშირით, ასეთივე სახით არის ადამიანი ის არსება, რომელსაც კოსმიურ მთლიანობასთან კავშირში გააჩნია ესა თუ ის ფორმა, იქნება ეს დედამიწაზე ცხოვრებისას, თუ სიკვდილსა და ახალ დაბადებას შორის ცხოვრებაში. ცხობიერება ამის შესახებ სახეზე იყო სწორედ ადრინდელ ეპოქებში, რომელიც მომავალში ხელახლა წარმოიქმნება. ის შეოლოდ გაფერმკრთალდა და დაიბინდა, რათა ადამიანს შესძლებოდა, მოელი სისავსით განვითარებინა თავისუფლების განცდა. მაგრამ, რაც უფრო ვუდრმავდებით უძველეს დროებს, მით უფრო ვამჩნევთ, როგორ აქვთ ადამიანებს გაცნობიერებული კოსმოსთან თავიანთი კუთვნილება.

მე დაგიხატეთ ცნობილი ეპოსიდან ორი პიროვნება: გილგამეში და ეაბანი. გაჩვენეთ, ეს პიროვნებები, როგორ ცხოვრობნენ უძველეს ეგვიპტურ-ქალდეურ ეპოქაში, იმის შესაბამისად,

რაც ადამიანებისთვის იმ დროებში იყო შესაძლებელი და როგორ მიაღწიეს მათ ჩაღრმავებას უფესური მისტერიების მეშვეობით. გუშინდელი ლექციის ბოლოს გითხარით, რომ მოვიანებით იმავე ადამიანურმა არსებებმა მონაწილეობა მიიღეს სამყაროს ისტორიულ განვითარებაში, უკვე როგორც არისტოტელებმდე და ალექსანდრემ. იმისათვის, რომ ახლა სრულად გავიგოთ მიწიერი განვითარების მსვლელობა იმ დროებში, როცა ადგილი ჰქონდა ამ ყველაფერს, უფრო მეტი დაკვირვებით უნდა ჩავიხედოთ იმაში, თუ რა შეეძლოთ, ასეთ სამშვინველებს აღექვათ, ამ სამ, ერთმანეთის მომდევნო პერიოდში.

მე ვისაუბრე იმაზეც, რომ პიროვნებამ, რომელსაც ერქვა გილგამეში, როგორ გადაწყვიტა მოსალოცად გამგზავრებულიყო დასავლეთში და გაიარა ატლანტიდის შემდგომი პერიოდის დასავლური ხელდასხმის რადაც სახე. თავდაპირველად წარმოდგენა შევიქმნათ მსგავსი ხელდასხმის ბუნებაზე, რათა კარგად გავითავისოთ ის, რასაც ადგილი ჰქონდა მოგვიანებით. ბუნებრივია, ჩვენ უნდა მივმართოთ იმ ადგილს, სადაც ძევლი ატლანტიდის ხელდასხმის გამოძახილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო შენახული. ეს ეხება პიბერნის მისტერიებს,* რომლებზეც ახლახან ვსაუბრობდი ჩვენს დორნახელ მეგობრებთან. ახლა საჭიროა გავიმეორო ზოგი რამ მაშინდელი ნათქვამიდან, სანამ ჩვენ შევძლებთ, სრულად და ნათლად გავიგოთ განსახილველი საგანი.

პიბერნის მისტერიები, ირლანდიური მისტერიები დიდხანს არსებობდა. ისინი არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტიანობის დაფუძნების პერიოდში და მათ უტყუარი სახით შემოინახეს ატლანტიდის ხალხთა სიბრძნეზე უძველესი მოძღვრების გარკვეული თვისებები. ნება მომეცით, დაგიხატოთ იმ ადამიანის განცდები, რომლის ხელდასხმაც მოხდა ირლანდიურ მისტერიებში ატლანტიდის შემდგომ ეპოქაში. ხელდასხმის მიღებამდე, იგი მკაცრად უნდა მომზადებულიყო. იმ დროებში ყოველთვის უჩვეულოდ მკაცრი და სასტიკი იყო ეს მომზადება, რომლის გავლაც მისტერიებში შესვლამდე აუცილებელი იყო. ადამიანს, შეიძლება ითქვას, შინაგანად უნდა გარდაექმნა თავისი მშვინვერი წყობა, მთელი თავისი ადამიანური კონსტიტუცია. პიბერნიულ მისტერიებში მნიშვნელოვნად ითვლებოდა, რომ მო-

წაფეს მძლავრი შინაგანი განცდით ესწავლა ამოცნობა, რა იყო იღუზორული მის თავით, – ყველა იმ საგანში, რომელსაც ადამიანი თავისი გრძნობადი აღქმის საფუძველზე მიაწერდა არსებობას. მაშინ ის შეძლებდა გაეცნობიერებინა ყველა სიძნელე და დაბრკოლება, რომლებიც ხვდება ადამიანს, როცა ის ისწავლის ჭეშმარიტებისკენ, ნამდვილი ჭეშმარიტებისკენ. მას აჩვენებდნენ, რომ, არსებითად, ყველაფერი, რაც ჩვენ გარს გვარტყია გრძნობად სამყაროში, არის იღუზია და რომ ჭეშმარიტება იმაღება ამ იღუზის მიღმა, ასე რომ, გრძნობადი აღქმის მეშვეობით ადამიანისთვის ფაქტობრივად მიუღდწეველია ჭეშმარიტი ყოფიერება.

ახლა თქვენ, შესაძლოა, თქვათ, რომ ანთროპოსოფიაში დიდი ხნის ყოფინის განმავლობაში თავად მიხვედით ამ დასკვნამდე და ეს საქმაოდ კარგად იცით. მაგრამ ყველა შემეცნება, რომელიც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს თანამედროვე ცნობიერებაში გრძნობადი სამყაროს იღუზორულ ხასიათთან დაკავშირებით, არაფერია იმ შინაგან აღგზნებულობასა და შინაგან ტრაგიზმთან შედარებით, რომელსაც იმდროინდელი ადამიანები განიცდიდნენ ჰიბრინიული ხელდასხმისთვის მომზადების დროს. რადგან, როცა თეორიულად ამბობენ: „ყველაფერი არის მაია, ყველაფერი არის იღუზია“, – ამას იღებენ ძალზე მარტივად. ჰიბრინიული მისტერიების მოწაფების ვარჯიშები კი წარმართავდნენ იმ მომენტისკენ, როცა მათ საკუთარი თავისთვის უნდა ეთქვათ: „ადამიანისთვის არ არსებობს შესაძლებლობა, გაარღვიოს იღუზია და მივიდეს ჭეშმარიტებამდე, ნამდვილ ჭეშმარიტებამდე“.

მოწაფეებს ამზადებდნენ ისეთი სახით, რომ თავიდან, სასოწარკვეთილებიდან გამომდინარე, ისინი კმაყოფილდებოდნენ იღუზიებით. ისინი ვარდებოდნენ სასოწარკვეთილებაში. მათ მიერ აღქმელი იღუზორულობა იმდენად ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველი იყო, რომ მისი გარღვევა შეუძლებელი გახდათ. ამ მოწაფეების ცხოვრებაში ყოველთვის ვპოულობთ განწყობას: მშვენიერია, მაშინ ჩვენ უნდა დავრჩეთ იღუზიაში. თუმცა ეს ნიშნავს: ჩვენ ფეხებში ნიადაგი გამოგვეცლება, ვინაიდან იღუზის ნიადაგზე მყარად დგომა არ შეიძლება. ჭეშმარიტად, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ძველ მისტერიებში მომზა-

დების ამ სასტიკ და უმკაცრეს წესებზე ძნელად თუ შეძლებთ, შევიქმნათ წარმოდგენა. შეძრწუნებული ადამიანები, ალბათ, უკან დაიხევდნენ იმის წინაშე, რასაც მოითხოვს ნამდვილი შინაგანი განვითარება.

ასეთი იყო განცდა, რომელიც უწნდებოდათ მოწაფეებს ყოფიერებასთან და მის იღუზორულ ხასიათთან დაკავშირებით. ამის შემდეგ მათ ელოდათ მსგავსი განცდა ჭეშმარიტების ძიბასთან დაკავშირებით. ისინი სწავლობდნენ იმ დაბრკოლებუბის წვდომას, რომელებიც ადამიანს აქვს თავის ემოციებში და ხელს უშლის მას მივიდეს ჭეშმარიტებამდე, ასევე ყველა იმ ბუნდოვანი და მშფოთვარე გრძნობის წვდომას, რომელიც არყევს ცოდნის მკაფიო სინათლეს. მაშინ ისინი კიდევ ერთხელ მიღიოდნენ ისეთ მომენტამდე, როცა საკუთარ თავს ეუბნებოდნენ: თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვიცხოვოთ ჭეშმარიტებაში, მაშინ მოგვიწვევს ვიცხოვოთ შეცდომებში, არაჭეშმარიტებაში? ვინაიდან ადამიანისთვის ცხოვრების იმ პერიოდთან მიახლოება, როცა ის სასოწარკვეთილია ყოფიერებასა და ჭეშმარიტებასთან მიმართებაში, ნიშნავს იმას, რომ იგი თავისი თავიდან ამოგლევს საკუთარ ადამიანურ არსებას.

ადამიანს ეს ყოველივე ეძლეოდა, რათა იმ განცდის მეშვეობით, რომელიც საპირისპიროა იმისა, რისთვისაც მას საბოლოოდ უნდა მიეღწია თავისი მიზნის სახით, შეძლებოდა ამ მიზანთან მისულიყო მართებული და დრმა ადამიანური გრძნობით. ვინაიდან, სანამ არ შეისწავლი იმას, რას ნიშნავს იცხოვრო ცდომილებასა და იღუზიაში, ვერ შეძლებ ყოფიერებისა და ჭეშმარიტების დაფასებას. სწორედ ჰიბრინის მოწაფეს უნდა ესწავლა ჭეშმარიტებისა და ყოფიერების დაფასება.

ამ ყველაფრის გავლის შემდეგ, როცა მოწაფე თითქოსდა უკიდურეს ზღვრამდე განიცდიდა საპირისპირო პოლუსს იმისას, რისთვისაც შეეძლო მიეღწია, იგი შეკვადათ, – აქ მე სწორად უნდა გადმოვცე ის, რაც ჰიბრინის მისტერიებში რეალურად ხდებოდა, – რაღაც სალოცავში, სადაც იყო უდიდესი შთამაგონებელი ძალის ორი ქანდაკება. ამ გიგანტური სიღილის ქანდაკებებიდან ერთ-ერთში, შიგნით იყო ფუღურო; ქანდაკების გარსი, მისი ცარიელი შიგთავსით, მთელი მასალა, რისგანაც შედგებოდა ქანდა-

კება, იყო მთლიანად ელასტიკური. ქანდაკებაზე ხელის დაჭერისას, ზემოქმედების ადგილას წარმოიშობდა დრმული, მაგრამ ხელის აღების შემდეგ ფორმა აღდგებოდა. მთლიანად ქანდაკება იმგვარად იყო გაკეთებული, რომ ყველაზე მეტად თავი ჰქონდა დამუშავებული. როცა ადამიანი უახლოვდებოდა ქანდაკებას, მას ჰქონდა ასეთი შეგრძნება: ძალები თავიდან მიემართებიან გიგანტურ სხეულში. ცხადია, მას არ შეეძლო ენასა შინაგანი სივრცე, თუმცა მისი შეგრძნება მხოლოდ შეხებისას შეეძლო. მოწაფეს აქეზებდნენ ხელი დაეჭირა. ის გრძნობდა, რომ თავის ძალები ასხივებს მთელ დანარჩენ სხეულზე, რომ ქანდაკებაში თავი ყველაფერს ნიშნავს.

ჩემო ძეირფასო მეგობრებო, სიამოქნებით ვუშვებ, რომ თანამედროვე ადამიანი ჩვენს თანამედროვე, ყოველდღიურ, პროზაულ ცხოვრებაში თუ დადგებოდა ამ ქანდაკების წინ, საეჭვოა, მას მასთან მიმართებით განეცადა რაიმე, აბსტრაქტული იდეის გარდა. ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ სრულიად სხვა საჭმეა, ჯერ მთელი შენი შინაგანი არსებით, სულითა და სამშვინველით, ასევე სისხლით და ნერვებით განიცადო ილუზიისა და ცდომილების ძლიერება, ხოლო ამის შემდეგ განიცადო მსგავსი გიგანტური ფიგურის შთამაგონებელი ძალა.

ქანდაკება იყო მამრობითი სქესის. მის გვერდით იდგა მეორე ქანდაკება – მდედრობითი სქესის. ის არ იყო ცარიელი და გაკეთებული იყო არა ელასტიკური, არამედ პლასტიკური მასალისაგან. როცა მოწაფე ეხებოდა ამ ქანდაკებას, – მას ამის გაკეთებასაც ასევე უბიძებდნენ, – ის ანგრევდა ფორმას, წარმოშობდა სხეულზე დრმულს.

მას შემდეგ, რაც მოწაფე ხვდებოდა, მუდმივად როგორ აღდგებოდა ერთ ქანდაკებაში მისი ელასტიკურობის ძალით ამ ქანდაკების ფორმა, ხოლო მეორე ქანდაკება როგორ დეფორმირდებოდა შეხებისაგან, – და აგრეთვე ზოგიერთი სხვა მოვლენის შემდეგ, რაზეც მე შემდგომში ვისაუბრებ, – ის ტოვებდა ამ ადგილს და მას მხოლოდ მაშინ აბრუნებდნენ, როცა ყველა დაზიანება, რომელიც მან წარმოშვა პლასტიკური, ანუ არაელასტიკური ქალის ფიგურაზე, აღდგენილი იყო და შესაბამისად ქანდაკება კვლავ ხელუხლებლად გამოიყერებოდა.

ყველა იმ მომზადების წყალობით, რომელსაც მოწაფე გადიოდა, – შემიძლია ესენი მხოლოდ ესკიზურად მოვხაზო, – მას ქალური ბუნების ქანდაკებასთან დაკავშირებით პქონდა დრმა შინაგანი განცდა მთელ თავის არსებაში – სხეულში, სამშვინველსა და სულში. რასაკვირველია, ეს შინაგანი განცდა უკვე ადრევე იყო მასში მომზადებული, მაგრამ მთლიანად წარმოიქმნებოდა მხოლოდ ქანდაკების შთამაგონებელი ზეგავლენის მეშვეობით. მასში წარმოიშობოდა შინაგანი გაშეშების გრძნობა და ეს მოქმედებდა ისე, რომ ის თავის სამშვინველს ხედავდა იმაგინაციებით სავსეს. ეს იმაგინაციები იყო ზამთრის თოვლიანი სურათები, რომლებიც გამოსახავდნენ დედამიწის ზამთარს. ასე მიპყავდათ მოწაფე ზამთრის ჭვრეტამდე სულიერში – შიგნიდან გარეთ.

ხოლო მეორესთან, მამაკაცის ქანდაკებასთან დაკავშირებით, მას პქონდა სხვაგარი განცდა. ის გრძნობდა, თოთქოს მასში ყოველივე ცოცხალი, რაც ჩვეულებრივ განფეხნილია მთელ სხეულზე, შევიდა მის სისხლში, თოთქოსდა სისხლი განიმსჭვალა ძალებით და მიიღოვის კანიდან გარეთ. თუ ის ერთი ქანდაკების წინ შეიგრძნობდა, რომ გაყიზული ჩონჩხი ხდებოდა, მეორე ქანდაკების წინაშე დგომისას გრძნობდა, რომ მთელი მისი შინაგანი სიცოცხლე სითბოში კვდება და ის ცხოვრობს მაგრად დაჭიმულ კანში. ადამიანში მთელი შინაგანის ეს განცდა, რომელიც კანიდან გარეთ მიისწრავოდა, მოწაფეს საშუალებას აძლევდა, მიეღო ახალი გასხივოსნება; მას შეეძლო ეთქა: „ახლა გრძნობ, ვინ იქნებოდი შენ, თუ იმ ყველაფრისაგან, რაც არის კოსმოსში, შენზე იმოქმედებდა მხოლოდ ერთი მზე“. ასეთი გზით ის სწავლობდა, შეემცნებინა მზის მოქმედება კოსმოსში და სწავლობდა იმასაც, ეს მოქმედება როგორ ნაწილდებოდა იქ. ის სწავლობდა ადამიანის მზესთან მიმართების შემეცნებას. ის იგებდა: მიზეზი იმისა, რომ სინამდვილეში ადამიანი ისეთი არ არის, რანაირადაც ის შეიგრძნობდა თავის თავს მზის ქანდაკების შთამაგონებელი გავლენის ქვეშ, გახლდათ ის, რომ სხვა ძალები კოსმოსის სხვა კუთხეებიდან მოქმედებით, მზის ამ მოღვაწეობას გარდაჭმიან. ასეთი გზით მოწაფე სწავლობდა, განეცადა თავისი თავი კოსმოსში; ხოლო, როცა მოწაფე განიცდიდა მთვარის ქან-

დაკების სუგესტიურ გავლენას, როცა ის, ასე ვთქვათ, შინაგანად იყინებოდა და განიცდიდა ზამთრის ლანდშაფტს, – მზის ქანდაკების შემთხვევაში ის განიცდიდა ზაფხულის ლანდშაფტს, – მაშინ ადამიანი გრძნობდა, როგორი იქნებოდა იგი, თუ იარსებებდა მხოლოდ მთვარის გავლენები.

სინამდვილეში რა იციან ჩვენს დროში სამყაროზე? მათ იციან, ვთქვათ, რომ ვარდპაჭკაჭას ყვავილი არის ლურჯი, რომ ვარდი წითელია, ცა – ცისფერი და ა.შ. თუმცა ეს ფაქტები მასზე გასაოცარ შთაბეჭდილებას არ ახდენს. ეს მხოლოდ ცნობებია იმაზე, რაც არის ადამიანის გარშემო. თუ ადამიანს უნდა, რომ იცოდეს კოსმოსის საიდუმლო, მაშინ ის, მთელი თავისი არსებით და ძალუმად უნდა იქცეს გრძნობის ორგანოდ. მზის ქანდაკების შთამაგონებელი გავლენის წყალობით მოწაფის მთელი არსება კონცენტრირებული იყო სისხლის ცირკულაციაში. იგი სწავლობდა თავისი თავის, როგორც მზის არსების შემეცნებას, როცა შინაგანად განიცდიდა ამ შთამაგონებელ გავლენას. იგი სწავლობდა, შეემეცნებინა საკუთარი თავი, როგორც მთვარის არსება, განიცდიდა რა მთვარის ქანდაკების შთამაგონებელ გავლენას. მაშინ მას ისევე შეეძლო მოეთხორ იმ შინაგან განცდებზე, რომლებიც მიიღო თავის ადამიანურ არსებაზე მზისა და მთვარის მოქმედებისგან, როგორც ახლა ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება, თუ როგორ მოქმედებს ჩვენზე ვარდი, ან ჩვენი სმენითი გამოცდილებით გამოვთქვათ მოსაზრება მი-ბემოლის ხმის ზემოქმედებაზე და ა.შ. ასე განიცდიდნენ მისტერიების მოწაფეები ატლანტიდის შემდგომ პერიოდშიც, როგორ იყო ჩართული ადამიანი კოსმოსში. ეს მათთვის იყო უშუალო განცდა.

ის, რაც დღეს მოგიყვით, არის მხოლოდ მცირე ნარკოვი იმ გრანდიოზული განცდებისა, რომლებსაც მოწაფეები აღწევდნენ ჰიბერნიის მისტერიებში და გრძელდებოდა ქრისტიანული ერის პირველ საუკუნეებამდე. ეს იყო კოსმიური განცდა – მზისა და მთვარის განცდა.

ეფესოს და მცირე აზიის მისტერიებში მოწაფეებს პერნდა სრულიად სხვა სახის განცდა. იქ ის განიცდიდა, განსაკუთრებით ძლიერი სახით, მთელი თავისი არსებით იმას, რამაც შემდგომ პარადიგმატული გამოხატულება პოვა იოანეს სახარების

დასაწყისში: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“.

ეფესოში მოწაფე მიჰყავდათ არა ორ ქანდაკებასთან, არა მედ ერთთან, რომელიც ცნობილი იყო როგორც არტემიდა ეფესოდან. როგორც გუშინ გითხარით, საკუთარი თავის ამ ქანდაკებასთან გაიგივებით, რომელიც განასახიერებდა ცხოვრების სისავეს, სისხლსავეს ცხოვრებას, მოწაფე იკვალავდა გზას კოსმიურ ეთერში. ის უბრალო მიწიერი არსებობიდან მთელი თავისი შინაგანი აღქმით და განცდით მიიწევდა მაღლა, კოსმიური ეთერის განცდისკენ და მაშინ ის იყო ახალი ცოდნის მაუწყებელი. უპირველესად, მას ეცნობებოდა კაცორიობის ენის ჰეშმარიტი ბუნება. ამის შემდეგ, ადამიანური ენიდან გამომდინარე, ანუ კოსმიური ლოგოსის ადამიანური ხატიდან გამომდინარე, მოწაფეებს აჩვენებდნენ, როგორ ქსოვს და განაგებს სამყაროს სიტყვა მთელს კოსმოსში.

მე შემიძლია, ეს მოვლენები ისევ და ისევ მხოლოდ ესკიზურად მოვხაზო და გაჩვენოთ როგორ მიმდინარეობდა ყოველივე. მოწაფის დაბატული ყურადღება მიკურობილი იყო იმისკენ, რა ხდება, როცა ლაპარაკობს ადამიანური არსება, როცა იგი ტოვებს თავისი სიტყვის ანაბეჭდს ამონასუნთქმი. მოწაფე მიჰყავდათ იმის განცდამდე რა ხდება ჰაერის სტიქიაში, რასაც ადამიანი თავისი შინაგანი შემოქმედებით ახორციელებს ცხოვრებაში; ხოლო შემდეგ, იმის განცდამდე, როგორ უერთდება ორი მომდევნო პროცესი იმას, რაც ხდება ჰაერის ელემენტში.

წარმოიდგინეთ, რომ გვაქს ამონასუნთქი ჰაერი, რომელშიც აღბეჭდილია ადამიანის მიერ წარმოთქმული რაღაც სიტყვები (ნახ. 7. მარჯვენა მხარე, ღია ლურჯი წითელი სახით); იმ დროს, როცა სიტყვით გაფორმებული ეს სუნთქვა მკერდიდან მიემართება გარეთ, რიტმული ვიბრაცია ეშვება ქვევით და გაივლის მთელ თხევად ელემენტს, რომელიც გარს ევლება ადამიანურ ორგანიზმს (ყვითელი, წყალი). ასე რომ, მეტყველების დროს ადამიანს ჰაერის რიტმები აქვს ხორხის, მეტყველების ორგანოს დონეზე. მეტყველებასთან ერთად ხდება მთელი თხევადი სხეულის ტალღისებური აწევა და თუხოთუხი ადამიანურ არსებაში. სითხე, რომელიც ადამიანში არსებობს სამეტყველო ზონის ქვემოთ, მოძრაობაში მოდის და რეზონანსულად ვიბრი-

რებს. აი, სინამდვილეში რას ნიშნავს ის, რომ ლაპარაკისას ჩვენს მეტყველებას თან ახლავს შეგრძნება. თუ ადამიანურ არსებაში წყლის ელემენტი ასეთი სახით რეზონანსულად არ იქნება ვიბრაციაში, მეტყველება მისგან გამოვა ნეიტრალურად, ინდიფერენტულად და ადამიანი თავის მეტყველებას არ გამსჭვალავს გრძნობით. ხოლო ზევით, თავის მიმართულებით აღის სითბოს ელემენტი (წითელი) და სიტყვებს, რომლებსაც ჰაერში აღვეჭდავთ, მიაცილებენ ზემოთ მიმართული სითბოს ტალღები, რომლებიც მსჯალავენ ფიზიკურ თავს და ჩვენს სიტყვებს აძლევენ საშუალებას, შეიმოსონ აზრებით. ამგვარად, როცა ვლაპარაკობთ, გვაქს სამი რამ: ჰაერი, სითბო და წყალი ანუ სითხე.



ნახ. 7

hell – ნათელი. Wasser – წყალი. Luft – ჰაერი. rot – წითელი. blau – ცისფერი. hellblau – ნათელი-ცისფერი. Wärme – სითბო.

ეფესოს მოწაფე ამოსავალ წერტილად იღებდა ამ პროცესს, რომელიც თავად იძლევა მთლიან სურათს იმისას, თუ რა ცხოვრობს და იღვრება ადამიანურ მეტყველებაში. მაშინ მისთვის ნათელი ხდებოდა, რომ ადამიანურ არსებაში მიმდინარე არის ანთროპომორფიზირებული კოსმიური პროცესი და რომ, ოდესდაც, შორეულ წარსულში, თავად დედამიწა მოქმედებდა მსგავსი სახით. ოდონდ, მაშინ ეს იყო არა ჰაე-

რის, არამედ წყლის ელემენტი, თხევადი ელემენტი (მარცხნივ – ლურჯი), რომელიც აღვწერება გუშინ, როგორც მფრინავი, თხევადი ცილა, რომელსაც შეუძლია ტალღისებური მოძრაობა და თუხოთუხი. ადამიანში, მიკროკოსმში, როცა ის ლაპარაკობს ამონასუნთქმით, ოდესდაც ჰაერის ნაცვლად იყო მფრინავი, თხევადი ელემენტი – ცილა, რომელიც ატმოსფეროს მსგავსად ერტყა გარს დედამიწას. როგორც ახლა ჰაერი გადადის სითბოს ელემენტში, ასევე გადადიოდა ცილა ზევით რაღაც ჰაერის ელემენტში (მარცხნივ, ღია-ლურჯი), ხოლო ქვემოთ – რაღაც მიწის ელემენტში (ღია). მსგავსად იმისა, როგორც ჩვენს სხეულში წარმოიშობა გრძნობები თხევადი ელემენტის წყალობით, ზუსტად ასევე ჩაისახება დედამიწაში მიწიერი წარმონაქმნები, მიწიერი ძალები, ყველაფერი ის, რაც მოქმედებს დედამიწის შიგნით. ხოლო ზევით, ჰაერის ელემენტში, წარმოიშობა მქსოველი კოსმიური აზრები, რომლებიც შემოქმედებითად მოქმედებენ მიწიერში.

ძლიერი და დიდებული იყო შთაბეჭდილება, რომელსაც ადამიანური არსება იღებდა ეფესოში, როცა მას აჩვენებდნენ, მის საკუთარ მეტყველებაში როგორ ცხოვრობს იმის მიკროკოსმიური გამოძახილი, რაც ოდესდაც იყო მაკროკოსმიური. როდესაც ლაპარაკობდა ეფესოელი მოწაფე, იგი მეტყველების განცდის მეშვეობით გრძნობდა როგორ მოდიოდა მასთან კოსმიური სიტყვის მოქმედებაში შექრის განცდა. მას შეეძლო აღექვა, კოსმიური სიტყვა როგორ ამოძრავებდა მფრინაფდენად ელემენტს, როცა მას ანიჭებდა მოძრაობის უნარს, აზრის სისავსეს და მნიშვნელობას. ის ასევე ხედავდა, როგორ ადიოდა სიტყვა მაღლა, შემოქმედებითი კოსმიური აზრისკენ და ქვევით – ჩასახული მიწიერი ძალებისკენ.

ასე ცხოვრობდა მოწაფე კოსმიურში, სწავლობდა რა იმის გაგებას, რა იყო მის საკუთარ მეტყველებაში მართებული სახით: შენში არის ადამიანური ლოგოსი. ადამიანური ლოგოსი მოქმედებს შენი მეშვეობით შენივე მიწიერი ცხოვრების დროს და შენ, როგორც ადამიანი, ხარ ადამიანური ლოგოსი. ვინაიდან ჩვენ, როგორც ადამიანები, კუალიბდებით მეტყველების მეშვეობით იმისგან, რაც მიისწავლივის ქვევით, თხევად ელემენტში; მაშინ, როცა იმის წყალობით, რაც მიის-

წრაფვის ზევით, ჩვენ ვფლობთ ადამიანურ აზროვნებას ჩვენი მიწიერი ცხოვრების დროს. თუ შენში ადამიანური არსება არის მიკროკოსმიური ლოგოსი, მაშინ ოდესადაც საწყისთა დასაწყისამდე იყო ლოგოსი, და ის იყო ღმერთოან და თავად ის იყო ღმერთი.

ეფესოში ამას სიღრმისეულად იგებდნენ, რადგან გაგება ადამიანების მეშვეობით და თავად ადამიანების მიერ მოიპოვებოდა.

განვიხილავთ რა პიროვნებას, იმის მსგავსს, რაც იმალებოდა გილგამეშის სახელის ქვეშ, თქვენ უნდა გაიხსენოთ, რომ მთელი მისი ცხოვრება მიმდინარეობდა მისტერიების უახლოეს გარემოცვაში, ვინაიდან მთელი კულტურა, მთელი ცივილიზაცია უძველეს დროში გამოდიოდა მისტერიებიდან. ამიტომ, როცა ვამბობ სახელს „გილგამეშს”, თქვენ მას უნდა შეხედოთ, – რამდენადაც ის ცხოვრობდა ერებში, – არა ისე, როგორც პიროვნულად ხელდასხმულს ერეკის მისტერიებში, არამედ ისე, როგორც იმ ცივილიზაციის მქვიდრს, გამსჭალულს განცდებით, რომელიც განპირობებული იყო ადამიანის ზემოაღწერილი მიმართებით კოსმოსთან. შემდეგ ამ პიროვნებაში, დასავლეთში მისი მომლოცველობისას, შემოვიდა განცდა, რომელმაც საშუალება მისცა მას უშუალოდ გაცნობოდა თუ თავად პიბერნიულ მისტერიებს არა, – ის ასე არ უდრმავდებოდა, – იმას მაინც, რაც კულტივირებული იყო პიბერნიის მისტერიების კოლონიაში, რომელიც იმყოფებოდა, როგორც მე უკვე გითხარით, დღევანდელი ბურგენლანდის ადგილას. ის, რაც გილგამეშმა მიიღო იქ, ცხოვრობდა მის სამშვინველში და აგრძელებდა განვითარებას ცხოვრებაში მის სიკვილსა და ხელახლა დაბადებას შორის; ხოლო მომდევნო მიწიერ ცხოვრებისას მან ეფესოში განიცადა სამშვინველის გაღრმავება.

სამშვინველის გაღრმავება განიცადა ორივე ინდივიდუალობამ, რომლებზედაც ჩვენ ვისაუბრეთ. ჭეშმარიტად ეს იყო, თითქოსდა იმ დროების ცივილიზაციის სიღრმეებიდან ამოზრდილი უზარმაზარი ტალღა, რომელიც ამ სამშვინველებს დაატყვდა თავს. მათ ცოცხალ და დატვირთულ რეალობაში განიცადეს ის, რაც პომეროსის შემდგომდროინ-

დელ საბერძნეთში გახლდათ წარსულის მხოლოდ რაღაც მშვენიერი გამოძახილი.

სწორედ ეფესოში შეიძლებოდა გვქონდა ეოველივე ამის თითქოსდა დაგვიანებული განცდა. ეფესო იყო ის ადგილი, სადაც აგრეთვე ცხოვრობდა პერაკლიტე და სადაც უძველესი სინამდვილიდან ძალიან ბევრი რამის განცდა შეიძლებოდა გვიანდელ ბერძნულ ეპოქაშიც, თვით ქრისტეშობამდე VI-V საუკუნეებში. ეფესოში ჯერ კიდევ შეიძლებოდა პქონოდათ შეგრძება მთლიანი რეალობისა, რომელშიც ოდესადაც ცხოვრობდა ადამიანი, – იმ დღეებში, როცა მას ჯერ კიდევ პქონდა უშუალო მიმართება დათაებრივ-სულიერთან, როცა აზია მისთვის იყო მხოლოდ უმდაბლესი ზეცათა შორის, როცა მას ჯერ კიდევ პქონდა კავშირი უზენაეს სამყაროებთან, რომლებიც მოიცავდნენ უმდაბლესს. იმ შორეულ დროებში აზიაში ადამიანი განიცდიდა ბუნების სულების არსებობას, ხოლო ზევით – ანგელოზების, მთავარანგელოზებისა და სხვათა, კიდევ უფრო მაღლა კი – უფლებათა და დანარჩენ იერარქიათა არსებობას. შეიძლება ითქვას: რამდენადაც უშესებული თავად საბერძნეთში რჩებოდა მხოლოდ ადრინდელი რეალობის გამოძახილი და ის, რაც იყო სინამდვილე, ამის ტრანსფორმირება ხდებოდა გმირებზე თქმულებების ხატ-სახეებში, რომლებშიც ჯერ კიდევ ნათლად შეიმჩნეოდა მითოებები თავდაპირველ რეალობაზე; იმის გამო, რომ საბერძნეთში თავდაპირველი რეალობის დრამატულმა ელემენტმა სიცოცხლე შეიძინა ესქილებში, ამიტომ, ეფესოში, არსებითად, რჩებოდა იმის შესაძლებლობა, რომ მისტერიათა დრმა სიბრუნვეში ჩაძირვისას ადამიანი შეიგრძნობს იმ ძველი სინამდვილის გამოძახილს, როცა ის ჯერ კიდევ ცხოვრობდა დათაებრივ-სულიერ სამყაროსთან უშუალო ურთიერთკავშირში. ბერძნის მთავარი თავისებურება ის იყო, რომ მან აიღო კოსმოსის შესახებ ადამიანის უძველესი განცდები და ჩადო მითებში, მშვენიერებაში, ხელოვნების სტიქიაში, გარდაქმნა რა ისინი ხატებად, რომლებიც მისთვის უფრო ადამიანური და მახლობელები იყო.

ახლა ჩვენ უნდა მივუძრუნდეთ იმ დროს, როცა, ერთი მხრივ, ბერძნულმა ცივილიზაციამ მიაღწია თავის პიკს,

როცა სპარსულ ომებში მან ამაყად მიაყენა თითქოსდა უკანასკნელი დარტყმა აზიურ რეალობას, ხოლო მეორე მხრივ – როცა საბერძნეთი უკვე იწყებდა დაცემას. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რა შეიძლებოდა, განეცადა მსგავსი ეპოქის ადამიანს, თუ იგი თავის სამშვინეულში ჯერ კიდევ ატარებდა იმის ნათელ გამოძახილს, რაც ოდესდაც იყო დვოაქტრივ-სულიერი მიწიერი რეალობა ადამიანის სეჟულში, სამშვინველსა და სულში.

ჩვენ ვნახავთ, როგორ ცხოვრობდნენ ალექსანდრე დიდი და არისტოტელე თავიანთოვის ძნელად შესაგუებელ სამყაროში, რომელიც სინამდვილეში მათვის ძალზე ტრაგიკული იყო. საქმე ისაა, რომ არისტოტელეს და ალექსანდრეს სულიერთან სრულიად სხვანაირი მიმართება ჰქონდათ, ვიდრე გარშემოყოფთ. ვინაიდან, მართალია მათზე არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი განსაკუთრებულად ინტერესდებოდნენ სამოთრაკიული (samothrakischen) მისტერიებით, და მაიც, მათი სამშვინველები გრძნობდნენ უდიდეს ნათესაობას იმასთან, რა მოსდიოდათ კაბირებს (Kabiren) სამოთრაკიულ მისტერიებში. სიმართლე რომ ვთქვათ, შეუა საუკუნეებში იყვნენ აღამიანები, რომლებმაც იცოდნენ, რას ნიშნავდა ეს. თანამედროვე ადამიანებს აქვთ სრულიად მცდარი შეხედულებები შეუა საუკუნეებზე. მათ არ ესმით, რომ XIII და XIV საუკუნეებამდე ყველა ფენაში არსებობდნენ პიროვნებები, რომლებიც ფლობდნენ მკაფიო სულიერ ხედვას, – ყოველ შემთხვევაში იმ მხარეში, რომელსაც უძველეს აღმოსავლეთში ეძახდნენ აზიას. „სიმდერა ალექსანდრეზე“,^{*} დაწერილი ვინმე პასტორის მიერ, წარმოადგენს გვიანდელი შეუა საუკუნეების მნიშვნელოვან დოკუმენტს. ალექსანდრესა და არისტოტელეს მოღვაწეობის შესახებ თანამედროვე ისტორიულ მონაცემებთან შედარებით ლამპრების პოემა, რომელიც შეიქმნა XII საუკუნეში, წარმოადგენს გრანდიოზულ კონცეფციას, რომელიც ენათესავება უძველეს გაგებას იმისას, თუ რა განხორციელდა ალექსანდრე დიდის მეშვეობით.

თქვენ შეგიძლიათ, თქვენი სამშვინველის წინაშე უბრალოდ დააყენოთ შემდეგი. ალექსანდრეზე სიმდერაში მდგვალი ლამპრები იძლევა ასეთ გასაოცარ აღწერას: გაზაფხუ-

ლის დადგომასთან ერთად თქვენ მიდისართ ტყეში, მოხვდით ტყის პირას, სადაც ხარობენ ყვავილები და მზე ისე დგას, რომ ხეების ჩრდილი ეცემა ყვავილებს. მაშინ გაზაფხულზე, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, როგორ გამოდიან ხეების ჩრდილქვეშ სულები, – ყვავილთა შვილები, – ყვავილების გვირგვინებიდან და მინდორში აწყობენ ფერხულს. ლამპრების ამ აღწერიდან მკაფიოდ შეგვიძლია აღვიქვათ იმ დროის ადამიანისთვის ჯერ კიდევ მისაწვდომი უძველესი და ჭეშმარიტი განცდის ანარეკლი. ისინი არ შედიოდნენ ტყეში პროზაულად ამ სიტყვების სათქმელად: აქ ბალახია, აქ ყვავილები, ხოლო იქ ხეები; არამედ, თუ ისინი უახლოვდებოდნენ ტყეს, თუკი მზე ანათებდა მათ ზემოთ და ჩრდილი ეცემოდა ყვავილებს, მაშინ ხეების ჩრდილქვეშ მათ წარმოუდგებოდათ ყვავილთა ბინადრების მთელი სამყარო, ბინადრების, რომლებიც რეალურად ევლინებოდათ მანამდე, სანამ ისინი შევიღოდნენ ტყეში. რადგან ტყეში შესვლისას ისინი სხვა სტიქიურ სულებსაც აღიქვამდნენ. ყვავილთა სულების ეს ფერხული ევლინებოდა ეკლესიის მსახურ ლამპრებზესაც და მას განსაკუთრებით მოსწონდა ამის აღწერა. ეს ჭეშმარიტად მნიშვნელოვანია. ლამპრების ჯერ კიდევ XII საუკუნის დასაწყისში, როცა სურდა, აღწერა ალექსანდრე დიდის ლაშქრობები, მათ ყველგან მსჯვალავდა ბუნების აღწერით, რომლებიც შეიცავდა სტიქიური სამეფოების შესახებ გამოცხადებებს. პოემას საფუძვლად ედო ასეთი ცნობიერება: იმის აღსაწერად, რა ხდებოდა ოდესდაც მაკედონიაში, როცა არისტოტელეს მიერ დამოღვრილი ალექსანდრე იწყებდა თავის ლაშქრობას აზიაში, ჩვენ არ შეგვიძლია, უბრალოდ აღვწეროთ პროზაული დედამიწა, როგორც ამ მოვლენების ჩარჩო; არა, დანამდვილებით მათი აღწერისას, ჩვენ მასში, დედამიწის პროზაულ აღწერასთან ერთად, უნდა ჩავრთოთ ელემენტარული არსებების სამყარო“.

როგორი კონტრასტია ისტორიის თანამედროვე წიგნთან, რომელიც, რასაკვირველია, სრულიად შესავერისია ჩვენი დროისთვის. იქ წაიკითხავთ, რომ ალექსანდრემ, თავისი მას-წავლებლის – არისტოტელეს რჩევის მიუხედავად, როგორ ჩაიფიქრა, თავის თავზე აედო მისია, ბარბაროსები მიეერთვ-

ბინა ცივილიზებული კაცობრიობისთვის, ასე ვთქვათ, ერთიან კულტურულ მნიშვნელამდე მიეყვანა ცივილიზებული ბერძნები, – ელინები, მაკედონელები, – და ბარბაროსები. ცხადია, ეს ძალზე დამაჯერებულია თანამედროვეებისთვის, მაგრამ როგორი მიამიტობაა ნამდვილ ჭეშმარიტებასთან შედარებით. მეორე მხრივ, ჩვენ ვიდებთ გრანდიოზულ შთაბეჭდილებას, როცა ვუყურებთ ალექსანდრეს ლაშქრობების სურათს, რომელიც მოგვცა ლამპრეხტმა და რომელშიც იგი ამ ლაშქრობებს სრულიად სხვა მიზანს მიაწერს. ამდენად, ის, რაც მე ზემოთ აღვწერე, როგორც ბუნებრივ-ელემენტარული სამეფოების, სულიერის შესვლა ფიზიკურ ბუნებაში, – ეს აუცილებელი იყო მხოლოდ შესავლის სახით. მდვდელ ლამპრეხტის პოემის „სიმდერა ალექსანდრეზე“ მიხედვით მაინც რა არის ალექსანდრეს ლაშქრობების მიზანი?


ალექსანდრე მიდის სამოთხის კარიბჭესთან. მართალია, ეს გამოხატულია იმ დროის ქრისტიანულ ენაზე, თუმცა სრულიად შეესატყვისება, როგორც მე გიჩვენებთ, ჭეშმარიტ სიმართლეს. ვინაიდან ალექსანდრეს ლაშქრობები არ წამოუწყია მხოლოდ დაპყრობისთვის, კიდევ უფრო ნაკლებად – ბარბაროსების შესაერთებლად ბერძნებთან, მიუხედავად არისტოტელეს რჩევისა. არა, ისინი განმსჭვალული იყო ნამდვილი და უმაღლესი სულიერი მიზნით. ამ ლაშქრობების იმპულსი სულისგან მოდიოდა. მათ შესახებ ჩვენ ვკითხულობთ ლამპრეხტის პოემაში, რომელიც ალექსანდრეს სიკვდილიდან 15 საუბანის შემდეგ უდიდესი აღფრთოვანებით მოგვითხრობს ამ გმირულ ისტორიას. ის მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ მივიდა ალექსანდრე სამოთხის კარიბჭესთან, მაგრამ ვერ შეძლო შიგნით შესვლა, რადგანაც, როგორც ლამპრეხტი ამბობს, სამოთხეში შესვლა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ფლობს ჭეშმარიტ თავმდაბლობას, მორჩილებას, ხოლო ალექსანდრეს, რომელიც ცხოვრობდა ქრისტიანულ ეპოქამდე, ჯერ არ შეეძლო მათი დაუფლება. მხოლოდ ქრისტიანობას შეეძლო, კაცობრიობისთვის მოეტანა ჭეშმარიტი თავმდაბლობა და მორჩილება. მიუხედავად ამისა, თუ ამ მოვლენებს აღვიქვამო არა ცრურწმენით, არამედ გახსნილი გონებით, ჩვენ ვნახავთ, – ლამპრეხტი, ქრისტიანი

მდვდელი, ჯერ კიდევ გრძნობს რაღაცას ალექსანდრეს ლაშქრობების ტრაგედიიდან.

ახლა მე მსურს განსაკუთრებული უურადღება მივაპყრო სწორედ ალექსანდრეს გასაოცარ ლაშქრობებს, რათა აღვწერო, რა მოხდა ადრე და რა მოხდა შემდეგ დასავლური კაცობრიობის ისტორიაში, აღმოსავლეთან მისი კავშირის თვალსაზრისით. ვინაიდან ამ მოვლენათა საფუძველში არსებული შეგრძნება, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ ფართოდ იყო გავრცელებული შეა საუბანების შედარებით გვიანდელ პერიოდშიც. ამასთან, არა როგორც ზოგადი შეგრძნება: ის არსებობდა იმდენად კონკრეტული ფორმით, რომ შეიძლებოდა, წარმოქმნილიყო „სიმღერა ალექსანდრეზე“, რომელიც საოცრად დრამატული ხალით აღწერდა მოვლენებს, მიმდინარეს ჩემ მიერ დახასიათებული ორი არსების წყალობით. მაკედონიის ისტორიაში ამ მოქნების მნიშვნელობა განვენილია, ერთი მხრივ, შორეულ წარსულამდე, მეორე მხრივ, შორეულ მომავლამდე. მნიშვნელოვანია, შევიგნოთ, რომ მსოფლიო ისტორიული ტრაგიზმი ნათელს ჰყენებული ფრაგმენტებისა და ალექსანდრესთან. ტრაგიზმი თავის თავს გარეგნულადაც ავლენს. ეს აშკარა შემდეგი ფაქტიდან. მსოფლიო ისტორიისთვის საბედისწერო განსაკუთრებული ვთარებების გამო, არისტოტელეს თხზულებებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მიაღწია დასავლეთ ევროპამდე, შემდეგ კი მას სწავლობდა და ინახავდა ეპლესია. ფაქტობრივად ეს იყო თხზულებები მხოლოდ ლოგიკაში და თხზულებები, შემოსილი ლოგიკური ფორმით. თუმცა სერიოზული შესწავლა იმ მცირედის, რაც შენარჩუნდა არისტოტელეს საბუნებისმეტყველო მეცნიერულ თხზულებებში, გვიჩვენებს, ჯერ კიდევ რამდენად ძლიერ ხედვას ფლობდა იგი ადამიანის არსების კავშირების შესახებ კოსმოსთან. ნება მომეცით, თქვენი ურადღება მივაპყრო მხოლოდ ერთ რამეზე.

ჩვენს დროში ჩვენ ვსაუბრობთ მიწიერ სტიქიებზე: წყლის, პაერის, ცეცხლისა და სითბოს ელემენტებზე, შემდეგ კი ეთერის შესახებ. როგორ გამოხატავს არისტოტელე ამ ყველაფერს? იგი აღწერს დედამიწას, მაგარ, მყარ დედამიწას (ნახ. 8. ნათელი, შუაგული), თხევად მიწას, წყალს (ნათელი-

წითელი), შემდეგ პაერს (ცისფერი); და ეს ყველაფერი გან-
მსჭვალული და გარემოცულია ცეცხლით (კაშაშა წითელი).



ნახ. 8

- 1) hell – ნათელი.
- 2) fielrot – მკაფიო წითელი.
- 3) blau – ცისფერი.
- 4) hellrot – ნათელი წითელი.

ამ თვალსაზრისით არისტოტელესთვის დედამიწა განვენი-
ლია მთვარემდე. ხოლო კოსმოსიდან, განეფინება რა ვარ-
სკვლავებიდან მთვარემდე, – არა დედამიწის სფეროში, რო-
გორც ნათქამია, არამედ მხოლოდ მთვარემდე, – ჩვენამდე მო-
დის თითქოსდა ზოდიაქოდან, ვარსკვლავებიდან ეთერი, რომე-
ლიც ავსებს კოსმიურ სივრცეს (ნათელი პერიფერიებზე). ეთე-
რი განვენილია ქვემოთ, თითქმის მთვარემდე.


სწავლულებს შეუძლიათ, ეს ყველაფერი წაიკითხონ არის-
ტოტელეს წიგნებში, მაგრამ თავად არისტოტელე თავის მოწა-
ფეს ალექსანდრეს ხშირად უმეორებდა: ის ეთერი, რომელიც
გავიდა დედამიწის სითბოს სფეროს მიდმა, სინათლის ეთერი,
ქიმიური ეთერი და სიცოცხლის ეთერი ოდესდაც დაკავშირე-
ბული იყო დედამიწასთან. ის აღწევდა დედამიწამდე. ევოლუცი-

ის უძველეს სტადიებზე მთვარის გასვლის შედეგად ეთერი
მოსცილდა დედამიწას. ამიტომ ყველაფერი, რაც ჩვენ გარს
გვარტყია სივრცეში, როგორც მკვდარი სამყარო, ეთერით არ
იყო განმსჭვალული, – ასე მოძღვრავდა არისტოტელე ალექ-
სანდრეს. ხოლო, გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, მცენარეე-
ბი, ცხოველები და ადამიანური არსებები დედამიწაზე აღორ-
ძინდებიან ახალი სიცოცხლისთვის; მაშინ ელემენტარული სუ-
ლები ხელახლა აგზავნიან ეთერს მთვარის სფეროდან ამ
ახალდაბადებულ არსებებში. ასე რომ, მთვარე ფორმას აძლევს
და აქანდაკებს არსებებს.

ჰიბერნიის მისტერიებში ქალის უზარმაზარი ფიგურის წი-
ნაშე დგომისას, მისტერიების მოწაფეს პქონდა ძალზე ცოცხა-
ლი განცდა იმისა, რომ ეთერი სინამდვილეში არ ეჯუთვნის დე-
დამიწას, მაგრამ მას ყოველწლიურად აგზავნიან დედამიწისკენ
ელემენტარულ სულები სიცოცხლის აყვავების საჭიროებისას. ასევე იყო არისტოტელესთვისაც. ის ჯერ კიდევ დრმად იმსჭვა-
ლებოდა ადამიანური არსების კოსმოსთან კავშირით. მისმა მო-
წაფებმ თეოფრასტმა* ყველაფერი გააკეთა, რომ ის ნაწარმოებე-
ბი, რომელებიც ამ მოვლენებს ეხება, დასავლეთამდე არ მისუ-
ლიყო. თუმცა ზოგი მათგანი მივიდა აღმოსავლეთამდე, სადაც
ჯერ კიდევ ინახებოდა ჭეშმარიტების ასეთი გაგება. ხოლო
იქიდან, ჩრდილო აფრიკისა და ესპანეთის გავლით ებრაელებმა
და არაბებმა ეს ქმნილებები ჩაიტანეს დასავლეთ ეკროპაში, სა-
დაც ისინი შეეჯახა, როგორც უკვე აღვწერე, ჰიბერნიული მის-
ტერიების გავლენას, რამდენადაც ისინი ამ ხალხის ცივილიზა-
ციასა და კულტურაში აისახებოდა.

და მაინც ის, რაც აღვწერე, იყო მხოლოდ როგორც ამოსა-
გალი წერტილი სწავლებისთვის, რომელიც არისტოტელე გა-
დასცა ალექსანდრეს. ეს სწავლება მთლიანად განეკუთვნებოდა
შინაგან განცდას. მე შემიძლია, მოკლედ აღვწერო ეს დაახლო-
ებით ასე: ალექსანდრე სწავლობდა არისტოტელესგან გავგო,
ადამიანის გარეთ, გარემომცველ სამყაროში არსებული მიწის,
წყლის, პაერისა და ცეცხლის ელემენტები როგორ ცხოვრობენ
თავად ადამიანური არსების შიგნითაც, რის გამოც ის წარმო-
ადგენს მიკროკოსმოსს. ის სწავლობდა, როგორ ცხოვრობს
ადამიანური არსების ძვლებში მიწის ელემენტი, როგორ ცხოვ-

რობს წყლის ელემენტი სისხლის ცირკულაციაში, ასევე მის ყველა სითხესა და წვერში. ჰაერის ელემენტი კლინდება ყველა-ფერში, რაც დაკავშირებულია სუნთქვასა და სუნთქვის მოძრაობასთან – მეტყველებასთან, ხოლო ცეცხლის ელემენტი ცხოვრობს ადამიანის აზრებში. ალექსანდრე ჯერ კიდევ ფლობდა ელემენტებში სიცოცხლის ცნობიერ წარმართვას. ელემენტებში სიცოცხლის ამ განცდასთან ერთად მას პქნდა დედამიწასთან ახლო და ინტიმური კავშირის განცდა. ჩვენს დროში, როცა კრიზისურობთ აღმოსავლეთში, დასავლეთში, სამხრეთსა და ჩრდილოეთში, ჩვენ ვერ ვამჩნევთ იმას, ამ დროს რა იღვრება ჩვენს არსებაში, რაღაც ვამჩნევთ მხოლოდ იმას, რასაც აღიქვამს ჩვენი გარეგანი გრძნობათა ორგანოები. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ მხოლოდ იმას, რასაც აღიქვამს ჩვენ-ში არსებული ძეგლი (მიწიერი) სუბსტანციები და არა იმას, რასაც აღიქვამს ჩვენს ორგანიზმი არსებული სხვა სტიქიები. მაგრამ არისტოტელე ასწავლიდა ალექსანდრეს დაახლოებით ამგვარად: როცა გადაადგილდები დედამიწაზე აღმოსავლეთის კენ, თანდათანობით ჩაგითრებს ელემენტი, რომელიც გამოგაშრობს. შენ ეფლობი სიმშრალეში. (იხ. ნახ. 9).



ნახ. 9

Warme – სითბო. Feuer – ცეცხლი. Trickene – სიმშრალე. Osten – აღმოსავლეთი. Irdische – მიწიერი. Kalte – სიცივე. Wasser – წყალი. Westen – აღმოსავლეთი. Feuchte – სინოტივე. Luft – ჰაერი.

ამაში არ უნდა დავინახოთ ის, რომ, თუ ადამიანი მიდის აზიაში, მაშინ იგი მთლიანად გამოშრება. ცხადია, ჩვენ აქ ვეხებით ისეთ ზემოქმედებებს, როგორიც შეეძლო ალექსანდრეს შეეგრძნო მას შემდეგ, როცა მიიღო სახელმძღვანელო მითოებები არისტოტელესგან. მაგედონიაში ყოფნისას მას შეეძლო შეეგრძნო შემდეგი რამ: მე თავად მაქვს მცირეოდენი სინოტივე, რომელიც აღმოსავლეთში ღრმად შეჭრის დროს იკლებს. ამგვარად დედამიწაზე მოგზაურობისას ის აღიქვამდა მის კონფიგურაციას ისე, როგორც შეგიძლიათ სხეულის რომელიმე ნაწილის აღქმა შეხებით. ვთქვათ, როცა ადამიანს სხეულის რომელიმე ნაწილზე ხელით მსუბუქად ეხებით, შეიგრძნობთ განსხვავებას ცხვირს, თვალსა და პირს შორის. ასეთ პიროვნებას შეეძლო, აღიქვა განსხვავება იმ განცდებს შორის, რომელიც მასში წარმოიშობოდა, როცა ის მიდიოდა სიმშრალეში და იმ განცდას შორის, რომელიც, მეორე მხრივ, მასში იყო, როცა იგი დასავლეთში ღრმად შეჭრისას, თანდათანობით შედიოდა სინოტივეში. (იხ. ნახ. 9).

სხვა დიფერენციაციებს ადამიანები განიცდიან, თუმცა უხეშად, ჯერ კიდევ დღემდე. ჩრდილოეთის მიმართულებით ის განიცდის სიცივეს, სამხრეთის მიმართულებით – სითბოს, ცეცხლის ელემენტს. სინოტივესა და სიცივეს შორის ურთიერთქმედებას ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ის უკვე აღარ განიცდის. არისტოტელემ ალექსანდრეში გააღვიძა ყველაფერი ის, რაც განვლო გილგამეშმა, როცა უშუალოდ შინაგანი განცდით აღიქვა ის, რაც შეიგრძნობა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით შუალედურ ზონაში სინოტივესა და სიცივეს შორის: წყალი. ალექსანდრესნაირ ადამიანს არა თუ არ შეეძლო ასე გამოეხატა, არამედ სინამდვილეშიც არ ამბობდა ასე: აქ გადის გზა ჩრდილო-დასავლეთისკენ. ამის ნაცვლად ამბობდა: ეს გზა გადის იქ, სადაც ჭარბობს წყლის ელემენტი. შუალედურ ზონაში, სინოტივესა და სიცივეს შორის, დევს ელემენტი, რომელშიც ჭარბობს ჰაერი. ასეთი იყო სწავლება უძველეს ბერძნულ-ქრისტიანულ მისტერიებსა და უძველეს სამოთრაკიულ მისტერიებში,* აი სწორედ ამას ასწავლიდა არისტოტელე თავის უახლოეს მოწაფეს. ხოლო სიმშრა-

ლესა და სიცივეს შორის ზონაში, ანუ მაკედონიიდან ციმბირის მიმართულებით, ადამიანს ჰქონდა დედამიწის იმ რეგიონის განცდა, სადაც ჭარბობდა თვითონ მიწა, მიწიერი – მიწის სტიქია, სიმყარე. შუალედურ ზონაში, სითბოსა და სიმშრალეს შორის, ე.ი. ინდოეთის მიმართულებით, განიცდებოდა დედამიწის რეგიონი, სადაც მართვდა ცეცხლის ელემენტი. ამიტომ არისტოტელეს მოწაფე, მიუთითებდა რა ჩრდილო-დასავლეთზე, ამბობდა: იქ მე ვგრძნობ წყლისა და მიწის სულების მოქმედებას; როცა მიუთითებდა სამხრეთ-დასავლეთზე, ამბობდა: იქ მე ვგრძნობ პაერის სულებს; როცა მიუთითებდა ჩრდილო-აღმოსავლეთზე, მირითადად იქ ხედავდა მიწის სულების ლიკლივს; ხოლო როცა მიუთითებდა სამხრეთ-აღმოსავლეთზე ინდოეთის მიმართულებით, ხედავდა ცეცხლის სულების ლიკლივს, ხედავდა იქ მათ საკუთარ სტიქიაში.

და ბოლოს, თქვენ შეგიძლიათ, შეიგრძნოთ დრმა, შეიძრო კავშირი ბუნებრივსა და ზნეობრივს შორის, როდესაც გაუწყებთ, რომ ალექსანდრე ამბობდა ამგარად: მე უნდა დავტოვო ცივი, ტენიანი სტიქია და გავემართო ცეცხლოვანისკენ, უნდა განვახორციელო მოზაურობა ინდოეთში. ეს იყო გამოხატვის საშუალება, შეიძროდ დაკავშირებული როგორც ბუნებრივთან, ასევე ზნეობრივთან. ამაზე დაწვრილებით ხვალ ვისაუბრებ. დღეს მინდოდა, მეჩვენებინა იმის სურათი, რა ცოცხლობდა იმ დროს. ვინაიდან ყველაფერში, რაც მიმდინარეობდა არისტოტელესა და ალექსანდრეს შორის, შეგვიძლია დაინახოთ ასევე იმ დიდი და ძლიერი ბიძგის ანარეკლი, რომელიც მოხდა მსოფლიო ისტორიაში. იმ დროებში, ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო წარსულის დიდებულ მისტერიებზე ინტიმური საუბარი მოწავეებთან. ამის შემდეგ კი კაცობრიობამ დაიწყო უპირატესად ლოგიკის, აბსტრაქტული ცოდნის, კატეგორიების აღქმა და განაგდო ყველაფერი დანარჩენი. ამიტომ ამ მოვლენებში უნდა განვითარებოთ უდიდესი, დრმა ბიძგის გამოვლენა კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში და ამავე დროს დავინახოთ გადამწყვეტი მომენტი მთლიანად ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში აღმოსავლეთთან მისი კავშირის თვალსაზრისით.

მესუთი ლექცია
დორნახი, 1923 წლის 28 დეკემბერი

უმცელესი დროის მისტერიებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევესოს. როცა მე მოგითხოვბით ალექსანდრეს როლზე დასავლეთის განვითარებაში, ხმირად ვასესენებდი ასევე ეფესოს მისტერიებს. ჩვენ მხოლოდ მაშინ ჩავწვდებით უმცელესი და შედარებით ახალ დროის მოვლენათა მნიშვნელობას, თუ გავიგებთ და შევაფასებთ ამ მისტერიების ხასიათში მომხდარ უდიდეს ცვლილებას, რომლებიც სინამდვილეში იყო ის წყაროები, რომლიდანაც გამოვიდნენ ყელა უდიდესი ცივილიზაციები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადასვლის დროს და, პირველ რიგში, საბერძნეთში. ეს ცვლილება იყო შემდეგი სახის.

თქვენ ხედავთ, რომ, თუ ყურადღებას მივაპყრობთ აღმოსავლეთის უმცელეს მისტერიებს, ყველგან ვიდებთ შთაბეჭდილუბას: მისტერიების ქურუმებს, თავიანთი ხილვებიდან გამომდინარე, შეეძლოთ, მოწაფეებისთვის გაეხსნათ დიადი და მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებები. რაც უფრო შორს მივღივართ წარსულისკენ, მით უფრო მეტად ჩანს, რომ ამ ბრძენებს ანუ ქურუმებს აქვთ ძალაუფლება, უშუალოდ გამოიწვიონ მისტერიებში თავად ღმერთების, სულიერი არსებების ყოფნა, რომლებიც მართავენ პლანეტარულ სამყაროებს, მიწიერ ფაქტებსა და მოვლენებს, ასე რომ, ღმერთები რეალურად იმყოფებოდნენ იქ.

ადამიანური არსების კავშირი მაკროკოსმოსთან მუდავნები ბოლო მრავალ სხვადასხვა მისტერიაში ისეთივე გრანდიოზული სახით, როგორც მე გუშინ აღვწერე ჰიბერნიის მისტერიებთან დაკავშირებით, ასევე მოძღვრებებით, რომლებიც არისტოტელეს ჯერ კიდევ შეეძლო გადაცემა ალექსანდრე დიდისთვის. აღმოსავლეთის ყველა უმცელესი მისტერიის ძირითადი თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ ზნეობრივი იმპულსები ბუნებრივისაგან მკვეთრად გამიჯნული არ იყო. როცა არისტოტელე მიუთითებდა ალექსანდრეს ჩრდილო-დასავლეთისკენ, სადაც ჭარბობდა წყლის სტიქიის სულები, იქიდან მოდიოდა არა მარტო ფიზიკური იმპულსი, როგორც ახლა ჩვენ აღვიკვამთ, როცა უბერავს ჩრდილო-დასავლეთის ქარი და ა.შ., არამედ ფიზიკურთან ერთად მოდიოდა ზნეობრივი იმპულსებიც. ფიზიკუ-

რი და ზნეობრივი იყო ერთიანი. ეს შესაძლებელი იყო ამ მისტერიებში მიღებული შემეცნების წყალობით, ბუნების სული კი რეალურად აღიქმებოდა მისტერიებში, ადამიანი თავის თავს გრძნობდა მთელს ბუნებასთან ერთიანობაში. აქ ჩვენ ვაკვირდებით ადამიანის რადაც კავშირს ბუნებასთან, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა სწორედ გილგამეშის ცხოვრებასა და მის მომავალ ინკარნაციას შორის მიმდინარე დროებში, როდესაც ის ასევე იმყოფებოდა მჟიდრო კონტაქტში მისტერიებთან, კერძოდ, უფესოს მისტერიებთან. იმ დროის ადამიანებში ჩვენ ჯერ კიდევ ვპოულობთ ადამიანური არსების ბუნების სულთან კავშირის ცოცხალ ხედვასა და ადქმას. ეს კავშირი იყო შემდეგი სახის. ბუნებაში სტიქიური სულების მოქმედების შესწავლისა და პლანეტარულ პროცესებში გონიერი არსებების მოქმედების შესწავლის წყალობით, ადამიანი მიღიოდა ასეთ დასკვნამდე: ყველან, ირგვლივ მე ვხედავ მცენარუელი სამყაროს გამოვლინებას, – მწვანე ყლორტები, კოკრები და ყვავილები, შემდეგ ხილი; იქ, მინდორსა და ყანაში მე ვხედავ ერთწლიან მცენარეს, რომელიც ყვავილობს გაზაფხულზე და ჭკნება შემოვლობაზე; ვხედავ ხეებს, რომლებიც იზრდებიან ასეული წლის განმავლობაში, გარედან წარმოქმნიან ქრექს, ხევდებიან, ფართოდ და ღრმად იკეთებენ ფეხებს მიწაში. ყველაფერს, რაც ახლა გარეთ განვისყილია ერთწლიან ბალახესა და მცენარეში, რაც აქ აღმოცენდება საზეიმო იმპულსებით მიწაში, ამას მე, რომრც ადამიანი, ოდესლაც ჩემ შიგნით ვატარებდი.

თქვენ იცით, რომ ახლა, როცა ჰაერში არის ნახშირორჟანგი, წარმოშობილი ადამიანური არსებების სუნთქვის შედეგად, ჩვენ შეგვიძლია ვიგრძოთ, რომ თავად ამოვისუნთქეთ ნახშირორჟანგი, ამოვისუნთქეთ ის სივრცეში. ამიტომ, მე შემიძლია გითხრათ, დღეს ადამიანს სუსტი კავშირი აქვს კოსმოსთან. ჩვენი ბუნების ჰაეროვანი ნაწილის წყალობით, ჰაერის წყალობით, რომელიც წარმოადგენს სუნთქვისა და სხვა ჰაეროვანი პროცესების საფუძველს, რომლებიც მიმდინარეობს ადამიანის ორგანიზმში, ჩვენ გვაქვს ცოცხალი კავშირი დიდ სამყაროსთან, მაკროკოსმოსთან. ახლა უკვე შეუძლია ადამიანურ არსებას შეხედოს მისგან გამოსულ სუნთქვას, ნახშირორჟანგს, რომელიც მასში იყო, ახლა კი მის გარეთა. მაგრამ ისევე, რო-


გორც ახლა შეუძლია ადამიანს შეხედოს ნახშირორჟანგს, რომელსაც ამოისუნთქვას, – ჩვეულებრივ ის ამას არ აკოტებს, თუმცა შეეძლო კი, – ასევე უმზერდა მთელ მცენარეულ სამყაროს ადამიანი, რომელმაც მიიღო კურთხევა აღმოსავლეთის მისტერიებში ან აღიქვა სიბრძნე, გამომდინარე აღმოსავლეთის მისტერიებიდან. ის ეუბნებოდა თავის თავს: მე ვუმზერ უძველეს მზის ეპოქას სამყაროს განვითარებაში. მაშინ მე ჯერ კიდევ ვატარებდი ჩემში მცენარეებს. ამის შემდეგ მე მათ საშუალება მივეცი, გადმოდვრილიყვნენ ჩემგან მიწიერი არსებობის ფართო წრეებში. მაგრამ სანამ ვატარებდი მცენარეებს ჩემ შიგნით, სანამ ჯერ კიდევ ვიყავი ადამ-კადმონი, რომელიც მოიცავს მთელ დედამიწას და მასთან ერთად მთელ მცენარეულ სამყაროს, იქამდე მთელი ეს მცენარეული სამყარო შედგებოდა წყლოვან-ჰაეროვანი სუბსტანციისაგან.

შემდეგ ადამიანურმა არსებამ გამოყო თავისგან ეს მცენარეული სამყარო. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გახდით უზარმაზარი, როგორც მთელი დედამიწა, ხოლო შემდეგ თითქოსდა თქვენ შიგნით გამოყავით ბუნების მცენარეული საწყისი და ეს მცენარეული სუბსტანცია გადის მეტამორფოზას წელის ელემენტში – აღმოცენდება, ჭკნება, იფურჩქება და სახეცვლილებისას იქნებს განსხვავებულ გარეგნობასა და ფორმას, მაშინ თქვენ კვლავ გამოიწვევთ თქვენს სულ მი იმას, როგორ იყო ეს ოდესლაც. ეს რომ ასე იყო ოდესლაც, ამის თქმა საკუთარი თავისთვის შეუძლოთ მათ, ვინც მიიღო აღზრდა და სწავლება აღმოსავლეთში, დაახლოებით გილგამეშის დროს. როდესაც ისინი თავის გარშემო უყურებდნენ მინდვრებს და ხედავდნენ მცენარეების ამოზრდას, ამბობდნენ: ჩვენი განვითარების ადრეულ საფეხურებზე ჩვენ გამოვყავით მცენარეები ჩვენგან და დედამიწა მიიღო ისინი. მიწამ მათ უბობა ფეხები და მიანიჭა ხის ბუნება. მაგრამ მცენარეული ბუნება, როგორც ასეთი, თითქოსდა მთლიანად მოიცილა ადამიანურმა არსებამ და მიიღო დედამიწა. ამრიგად, ადამიანი გრძნობდა შინაგან მსგავსებას მთელ მცენარეულ ბუნებასთან.

მსგავსი სახის კავშირს ადამიანი არ გრძნობდა უმაღლეს ცხოველებთან, რადგანაც მან იცოდა, რომ მხოლოდ მაშინ დაიკავებდა თავის ჭეშმარიტ აღგილს დედამიწაზე, როდესაც გადა-

ლახავდა ცხოველურ ფორმას, დატოვებდა რა ცხოველურს უკან, თავის უკოლურიაში. მცენარეული მან თან წამოიდო თვით დედა-მიწამდე და სწორედ მაშინ გადასცა მას, რათა მიეღო ისინი თავის წიაღში. მცენარეებისთვის ის იყო ღმერთების შუამავალი და დამიწაზე, შუამავალი ღმერთებსა და დედამიწას შორის.

მსგავსი უდიდესი განცდების მქონე ადამიანები იქნენ გრძნობას, რომლის გამოსახვაც სრულიად მარტივად შეიძლება (ნახ. 10): ადამიანი დედამიწაზე ჩამოვიდა კოსმოსიდან (ყვითელი). საკითხი ამ არსებების რიცხვის შესახებ ამჯერად მთავარი არ არის, რადგან, როგორც მე გუშინ ვთქვი, ისინი ყველანი ერთიმეორები იმყოფებოდნენ. ის, რაც შემდგომში მცენარეულ სამყაროდ იქცევა, გამოცალკევდება ადამიანისგან, შემდეგ დედამიწა იღებს მას და საშუალებას აძლევს დაფეხვიანდეს (მუქი მწვანე ხაზები). ადამიანური არსება განიცდიდა გრძნობას, თითქოს დედამიწა მან შემოსა მცენარეული სამოსლით (წითელი პერიფერიებში), ხოლო დედამიწა მადლიერი იყო ამ შემოსვით და მისგან წყლოვან-ჰაეროვან ელემენტში მიიღო ის, რისი შთაბერვაც ადამიანმა შეძლო მასში. ამ განცდაში შესვლისას ადამიანი გრძნობდა, რომ ჭიდროდ იყო დაკავშირებული დვოთაებასთან, მერკურის მთავარ დვოთაებასთან. ამ შეგრძნების მეშვეობით, რომ მცენარეები თავად მოიტანა დედამიწაზე, ადამიანი განსაკუთრებულ ურთიერთობაში შედიოდა დვთაება მერკურთან.



ნახ. 10

rot – წითელი. gelb – ყვითელი. hellgrün – ნათელი მწვანე. dunkel-grün – მუქი-მწვანე.

ამის საპირისპიროდ ცხოველებთან მიმართებით ადამიანს ჰქონდა სხვანაირი გრძნობა: მან იცოდა, რომ თავად ვერ მოიტანდა მათ დედამიწაზე, მას უნდა გამოეყო ისინი, უნდა განთავისუფლებულიყო მათგან, სხვანაირად ის მართებული სახით ვერ განავითარებდა თავის ადამიანურ ფორმას. მან განავდო თავისგან ცხოველები, განაგდო თავისი გზიდან (წითელი, შტრიხები გარედან) და შემდეგ მათ გაიარეს თავიანთი საკუთარი განვითარება უფრო დაბალ საფეხურზე, ვიდრე ადამიანია.

ასე შეიგრძნობდა უმველესი, – გილგამეშის ეპოქის და უფრო გვიანდელი, – დროის ადამიანი თავის თავს ცხოველურ და მცენარეულ სამეფოებს შორის. მცენარეულ სამეფოსთან დაკავშირებით ის იყო მთესველი, რომელიც თესლს მიწაში ფლავდა და ანაყოფიერებდა მათ მიწით, გამოდიოდა რა როგორც დეთის შეამავალი. ცხოველურ სამეფოსთან დაკავშირებით ის გრძნობდა, თოთქოს მან განავდო ის თავისგან, რათა გამხდარიყო ადამიანი, რომ არ დამძიმებულიყო ცხოველებით, რომლებიც სინამდვილეში იყვნენ შეჩერებულები და გაჩერებულები განვითარებაში. ცხოველთა მთელი ეგვიპტური კულტი დაკავშირებულია ასეთ შეხედულებასთან. ამას ასევე უკავშირდება ცხოველების მიმართ შებრალების დრმა გრძნობა, რომელსაც აზიაში ვხვდებით. ეს იყო ბუნების გრანდიოზული ჰკრეტა, როცა ადამიანი თავის კავშირს გრძნობდა ერთი მხრივ – მცენარეულ სამყაროსთან, მეორე მხრივ – ცხოველთა სამყაროსთან. ცხოველებთან დაკავშირებით ის განიცდიდა განთავისუფლების გრძნობას, მცენარეულთან კი – ახლო და ინტიმურ ნათესაობას. მცენარეული სამყარო იყო პატარა ნაწილაკი თავად მისი და ის განიცდიდა წრფელ სიყარულს მიწის მიმართ, რამდენადაც მიწა იღებდა თავისთან კაცობრიობის ნაწილს, აძლევდა მათ ფესვები გაედგათ და ამასთან ერთად თავისი ნივთიერებაც გაუზიარა, რომ ხეები შემოსილიყვნენ ქერქით. ზნეობრივი ელემენტი არსებობდა ყოველთვის, როცა ადამიანი თავის ირგვლივ ფიზიკურ სამყაროს განიხილავდა. უყურებდა რა მცენარეს მინდორში, ის აღიქვამდა არა მხოლოდ ერთ ბუნებრივ აღმონაცენს, არამედ განიცდიდა და გრნობდა ადამიანის ზნეობრივ დამოკიდებულებას ამ აღმონაცენთან. რაც შეეხება ცხოველებს, ადამიანი ისევ და ისევ გრძნობდა მათთან

სხვანაირ ზნეობრივ დამოკიდებულებას: ის იკაფავდა გზას მათგან დამოუკიდებლად.

ასე ვპოულობთ მთელ აღმოსავლურ მისტერიებში სულიერი ბუნების გრანდიოზულ ჭვრეტას. მოგვიანებით ასეთი მისტერიები საბერძნეთშიც იყო, მაგრამ ბუნებისა და სულის შედარებით ნაკლებად ქმედითი აღქმით ბუნებაში. ბერძნული მისტერიები, რასაკვირველია, გრანდიოზულია და ამაღლებული, მაგრამ ისინი აღმოსავლურისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ამ უკანასკელის თავისებურება ის იყო, რომ ისინი არ მიისწრაფოდნენ, დახმარებოდნენ ადამიანს, თავისი თავი შეეგრძნო დედამიწაზე, არამედ მათი წყალობით ადამიანი თავის თავს შეიგრძნობდა კოსმოსის ნაწილად, სამყაროს ნაწილად. საბერძნეთში მისტერიები დასაწყისში გადიოდნენ ისეთ სტადიას, როცა ადამიანი შეიგრძნობდა თავის თავს დედამიწასთან ერთიანს. აღმოსავლურ მისტერიებში კი თავად სულიერ სამყაროს ჭვრეტნებს ან შეიგრძნობდნენ. ასეოდუტურად სწორი იქნება ვთქვათ, რომ უძველეს აღმოსავლურ მისტერიებში, თვითონ დმერთები ჩნდებოდნენ ჭურუმებს შორის, რომლებიც აღავლენებნენ ლოცვებს და ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას. იმ ძელ დროებში მისტერიათა ტაძრები იყო დმერთების მიწიერი თავშესაფარი, სადაც ისინი ჭურუმების საშუალებით ადამიანებს აჯილდოებდნენ იმით, რითაც კი შეეძლოთ მათ დაეჯილდოებინათ ისინი ზეციური განხეულიდან. ბერძნულ მისტერიებში კი უფრო ჩნდებოდნენ დმერთთა ხატები, გამოსახულებები, თითქოსდა ფანტომები, – ნამდვილი და არა ყალბი, მაგრამ მაინც ფანტომები, – რომლებიც უკვე დავთაებრივი, რეალური არსებები კი არ იყვნენ, არამედ მოჩვენებები. ამიტომაც ჰქონდათ ბერძნების სრულიად სხვანაირი განცდები, ვიდრე იმ ადამიანებს, რომლებიც ეპუთვნობდნენ უძველეს აღმოსავლურ კულტურას. ბერძნები გრძნობდნენ, რომ დმერთები არსებობდნენ, მაგრამ ადამიანისთვის მისაწვდომია მხოლოდ მათი გამოსახულება, ისევე როგორც ჩვენ გვაქვს მეხსიერებაში წარსულის განცდებიდან სურაოები, მაგრამ არა თავად განცდები.

ასეთი იყო მირითადი გრძნობა, რომელიც იდვრებოდა ბერძნული მისტერიებიდან. ბერძენი გრძნობდა, თითქოს ის თავის თავში ატარებს კოსმიურ მოგონებას, არა კოსმოსის გამოვლინე-

ბას, არამედ მის გამოსახულებას, არა ღმერთებს, არამედ ღმერთების გამოსახულებას, მოვლენებისა და პროცესების გამოსახულებას სატურნზე, მზესა და მთვარეზე. უკვე აღარ იყო ცოცხალი კავშირი იმასთან, რაც სინამდვილეში ხდებოდა სატურნზე, მზესა და მთვარეზე, – ისეთი სახის ცოცხალი კავშირი, როგორიც ადამიანურ არსებას აქვს თავის ბავშვობასთან. აღმოსავლური ცივილიზაციის ადამიანებს ჰქონდათ ეს რეალური კავშირი მზესთან, მთვარესა და სატურნთან. ისინი ამას იდებდნენ თავიანთი მისტერიებიდან. ბერძნების მისტერიებს კი ჰქონდათ სურათისებური, ანუ ხატოვანი ხასიათი. მათში ჩნდებოდა ან იმყოფებოდა სულიერ-დავთაებრივი რეალობის ჩრდილები, მაგრამ, ამასთან ერთად, იყო რაღაც მნიშვნელოვანი, ვინაიდან არსებობდა კიდევ სხვა განსხვავება აღმოსავლურსა და ბერძნულ მისტერიებს შორის.

აღმოსავლურ მისტერიებში, თუ ადამიანს სურდა, შეემცნებინა რაიმე იქ განხორციელებული გრანდიოზული, გიგანტური განცდებიდან, ის ყოველთვის მზად იყო დალოდებოდა ზუსზ დროს. ამა თუ იმ განცდის მრავალება შეიძლებოდა მხოლოდ შესაბამისი მსხვერპლშეწირვის შედეგად, რომელთაგანაც ზოგი ხდებოდა შემოდგომაზე, ზოგი მხოლოდ გაზაფხულზე, ზოგი შეაგულ ზაფხულში და ზოგიც შეაზამთარში. ზოგჯერ დმერთებისთვის მსხვერპლშეწირვა ხდებოდა განსაზღვრულ დროს, რომელიც გამორჩეული იყო მთვარის განსაკუთრებული კონსტრუქციით. ამ განსაკუთრებულ დროს მისტერიებში ჩნდებოდნენ დმერთები და ადამიანებს შეეძლოთ დასწრებოდნენ მათ გამოჩენას. თუ მომენტს გაუშვებდნენ, მაშინ უწევდათ ლოდინი ზოგჯერ 30 წლამდე, სანამ დაბრუნდებოდა შემთხვევა, როცა დავთაებები ისევ გაისხებოდნენ მისტერიებში. მაგალითად, ყველაფერს, რაც ეხება სატურნს, მისტერიების სვეროში შეუძლია მხოლოდ 30 წლიწადში ერთხელ შევიდეს; ყველაფერს, რაც დაკავშირებულია მთვარესთან – დახმარებით 18 წელიწადში და ა.შ. აღმოსავლური მისტერიების ჭურუმები დამოკიდებული იყვნენ დროზე, ასევე ადგილებსა და სხვა მდგომარეობაზე. გრანდიოზული, გიგანტური შემეცნებისა და განჭვრეტის მიღებისას, სრულიად სხვადასხვაგარ გამოცხადებას აღიქვამდნენ მთიანი გამოქვა-

ბულის სიღრმეში და მაღალი მოების მწვერვალებზე, ან გამოცხადება განსხვავდებოდა იმის მიხედვით, სად იმყოფებოდა ადამიანი – სანაპიროზე თუ აზის კონტინეტის სიღრმეში. ასე რომ, აღმოსავლური მისტერიების თავისებურება იყო მათი განსაზღვრული დამოკიდებულება დროსა და ადგილზე.

საბერძნეთში გრანდიოზული, გიგანტური რეალობები გაქრა; გამოსახულებები ჯერ კიდევ რჩქოდა. ეს გამოსახულებები არ იყო დამოკიდებული წლის დროებზე, ასწლეულების მსვლელობასა თუ ადგილზე: ადამიანებს შეეძლოთ ჰქონოდათ გამოსახულებები, როცა ემზადებოდნენ მართებული სახით, როცა ასრულებდნენ ამა თუ იმ სავარჯიშოს, ან როცა ახდენდნენ ამა თუ იმ პრად მსხვერპლშეწირვას. თუ ადამიანი მსხვერპლშეწირვაში ან საკუთარ სიმწიფეში მიაღწევდა გარკვეულ დონემდე, მაშინ იმის გამო, რომ ის, როგორც ადამიანური არსება ასე წინ წავიდა, მას შეეძლო დაიდი სამყაროსეული მოვლენებისა და დაიდი სამყაროსეული არსებების ჩრდილების განჭვრეტა.

აი, რა იყო მისტერიების ბუნებაში მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელსაც ვხვდებით უძველესი აღმოსავლეთიდან საბერძნეთში გადასვლის დროს. უძველესი აღმოსავლური მისტერიები ექვმდებარებოდნენ სივრცესა და ადგილის პირობებს, მაშინ როცა ბერძნულ მისტერიებში კურადღება კეცეოდა თვითონ ადამიანურ არსებას და იმას, რაც მათ მიჰქონდათ დმერთებთან. ღმერთი, ასე ვთქვათ, არსებობდა თავისი ფანტომური სახით. ამრიგად, ბერძნული მისტერიები ჰქონდნენ უმზადებდნენ გზას თანამედროვე კაცობრიობას.

შემდეგ, უძველეს აღმოსავლურ და ბერძნულ მისტერიებს შორის დგას ეფესოს მისტერიები. მათ განსაკუთრებული ადგილი უკავიათ, ვინაიდან ეფესოს ხელდასხმულებს ჯერ კიდევ შეეძლოთ უძველესი აღმოსავლეთის გიგანტური, დიდებული ჰეშმარიტებიდან რაღაც განეცადათ. მათ სამშვინველებს ჯერ კიდევ გააჩნდათ დრმა შინაგანი განცდა, რომ ადამიანური არსებები დაკავშირებული იყნენ მაკროკოსმოსთან და მაკროკოსმიურ ღვთაებრივ-სულიერ არსებებთან. ეფესოში ადამიანს ჯერ კიდევ შეეძლო, განკვერიტა ზემიწიერი და საკმაოზე მეტადაც. არტემიდასთან, ეფესოს მისტერიის ქალღმერთთან, გაიგივებას, ადამიანისთვის ჯერ კიდევ მოჰქონდა ბუნების სამეფოსთან თავისი კაჭ

შირის ცოცხალი გრძნობა. მცენარეული სამყარო შენია, დედამიწამ მიიღო იგი მხოლოდ შენგან. შენ დაძლიერ ცხოველთა სამყარო, შენ იგი უკან მოიტოვე. შენ ცხოველებისკენ უნდა მიიხედო დიდი თანაგრძნობით; განვითარების გზაზე ისინი უნდა ჩამორჩინოდიყვნენ, რათა შენ გამხდარიყვა ადამიანი. მაკროკოსმოსთან თავისი ერთიანობის გრძნობის ეს განცდა, ჯერ კიდევ მისაღწევი იყო ეფესოს ხელდასხმულთათვის, ის ჯერ კიდევ იღებდა ამას უშეალოდ ეფესოს რეალობებიდან.

ამასთან ერთად, ეფესოს მისტერიები, ასე ვთქვათ, მოწოდებული იყვნენ, პირველებს მიემართათ დასავლეთისთვის. როგორც ასეთი, ისინი არ იყვნენ დამოკიდებულნი წელიწადის დროებზე, საუკუნეების მსვლელობაზე, ასევე არ იყვნენ დამოკიდებულნი დედამიწის აღგილებზე. ეფესოში ჯერ კიდევ დიდი ყურადღება ექცეოდა სავარჯიშოებს, როგორც გადიოდა ადამიანური არსება, როცა საკუთარ თავს ამზადებდა ღმერთებისადმი მსხვერპლშეწირვებითა და თვითმიძღვნის წყალობით. ასე რომ, ერთი მხრივ, ეფესოს მისტერიები თავიანთი მისტერიალური ჰქონდნენ მიმართებით ჯერ კიდევ უბრუნდებოდნენ წარსულს, უძველეს აღმოსავლეთს, მაშინ როცა, მეორე მხრივ, ისინი უკვე მიმართებით იყვნენ თავად ადამიანის განვითარებაზე და ამიტომ ეგუებოდნენ ბერძნების ბუნებასა და ხასიათს. ესენი იყვნენ საბერძნეთის აღმოსავლური მისტერიებიდან ყველაზე უკანასკნელნი, სადაც ძველ ტიტანურ ჰეშმარიტებებს ჯერ კიდევ შეეძლოთ, მიახლოებოდნენ ადამიანს, რადგან აღმოსავლეთში მისტერიები არსებითად უკვე დაუცა.

დასავლეთის მისტერიებში კი უძველესი ჰეშმარიტებები უფრო დიდხანს არსებობდა. პიბერნიის მისტერიები ქრისტიანობის დაბადებიდან ასწლეულების შემდგებაც ჯერ კიდევ არსებობდა. და მაინც, პიბერნიის ეს მისტერიები წარმოადგენს ორმაგად საიდუმლოს და ოკულტურს. დაე, თქვენთვის ცნობილი იყოს, რომ თუნდაც ეწ. აკამა-ქრისტიანის დახმარებით სრულებითაც არ არის ადვილი იმ ქანდაკებების დაფარული საიდუმლოებების წვდომა, რომლებზედაც გუშინ გესაუბრებოდით, – მზისა და მოვარის ქანდაკებების, მამრობითი და მდედრობითი ქანდაკებების. აღმოსავლური მისტერიების გამოსახულებებთან მიახლოება და მათი გამოწვევა ასტრალური სამყაროდან შედა-

რებით ადგილია იმისთვის, ვინც შეისწავლა მსგავსი საგნები. მაგრამ საკმარისია, ვინმემ დაიწყოს ან ისურვოს, მიუღეს პიბერნიულ მისტერიებს ასტრალური გაგებით, რომ იგი მაშინვე გაბრუვდება. ისინი განაგდებენ მას თავისგან. ირლანდიური, პიბერნიული მისტერიები დღეს ნებაყოფლობით არ უშვებენ თავიანთი თავის განჭვრებას აკაშა-ქრონიკის ხატებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უფრო დიდხანს შენარჩუნდნენ თავიანთ თავდაპირველ სიწმინდეში.

შემდეგ ჩვენ უნდა გახსნოვდეს, რომ ის ინდივიდუალობა, რომელიც ცხოვრობდა ალექსანდრე დიდში, მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდა გილგამეშის დროინდელ ჰიბერნიულ მისტერიებთან, როდესაც მან გადაწყვიტა მოგზაურობა დასავლეთში, იმ ადგილას, რომელიც მდებარეობს დღევანდელი ბურგენლანდის მეზობელად. ეს მისტერიები ცხოვრობდნენ ამ ინდივიდუალობაში, ცხოვრობდნენ ძალიან ძველი მანერით. ვინაიდან ეს იყო იმ დროებში, როდესაც დასავლეთში ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო ატლანტიდის ეპოქის გამოძახილი. შემდეგ ეს განცდები გადაგანილ იქნა მშვინვეური მდგომარეობის გავლით იმ სფეროში, რომელიც მიმდინარეობს სიკვდილსა და ხელახლ დაბადებას შორის. ხოლო უფრო მოგვიანებით, ორივე მეგობარმა, – ებანმა და გილგამეშმა, - ერთმანეთი მონახეს ერთად ცხოვრებისას ეფესოში, სადაც დრმა ცნობიერებით განიცადეს ის, რაც მათ გილგამეშის დროს განიცადეს მეტ-ნაკლებად გაუცნობიერებლად ან ქვეცნობიერად დამატებით გადაებრივ-სულიერ სამყაროსთან დაკავშირებით. ეფესოს პერიოდში მათი ცხოვრება შედარებით მშვიდობიანი იყო; მათ საშუალება პქონდათ, უფრო სატიკ დროებში მიღებული გადაემუშავებინათ და აეთვისებინათ.

საჭიროა დაფიქრება: საბერძნეთის დაცემისა და მაკედონიის აღმავლობის ეპოქაში, სანამ ეს ინდივიდუალობები კვლავ გამოვლინდებოდნენ, რა იყო საბერძნეთისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი. უწინდელი დროის საბერძნეთს, რომელიც ფართოდ იყო გადაჭიმული და თავის საზღვრებში მოიცავდა ასევე ევროპის და თითქმის უშუალოდ აღწევდა მცირე აზიამდე, თავის მოჩვენებით ხატებში ჯერ კიდევ პქონდა უძველესი დროის ღმერთების გამოძახილი. მართალია მოჩვენებითად, მაგრამ სულიერ სამყაროსთან ადამიანის კავშირი ჯერ კიდევ განიცდებო-

და. თუმცა საბერძნეთი მიისწრაფოდა თანდათან გათავისუფლებულიყო მოჩვენებებისგან. ჩვენ შეგვიძლია დავაკირდეთ, ნაბიჯ-ნაბიჯ როგორ შორდებოდა ბერძნული ცივილიზაცია იმას, რასაც შეიძლება დამატებრივი ცივილიზაცია ვუწოდოთ, და რაც სულ უფრო მეტად და მეტად იძნდა დრმა მიწიერ ხასიათს.

დიახ, ძალზე მნიშვნელოვანია ისტორიული ჩამოყალიბების პროცესში, რომ დღეს ყველაზე მთავარი ჯერ კიდევ უბრალოდ ხელშეუხებელი რჩება ისტორიის გარეგანი მატერიალისტური განხილვისთვის. მთელი ბერძნული ხასიათისა და კულტურის გასაგებად უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბერძნულ ცივილიზაციაში კოოულობრივი უძველესი დამატებრივი რეალობის მოჩვენებით გამოსახულებას, ფანტომს, რომელშიც ადამიანს კავშირი პქონდა ზეგრძნობად სამყაროსთან, ვინაიდან ადამიანი უკვე თანდათან გამოდიოდა ამ დამატებრივისგან და სწავლობდა თავისი საკუთარი, ინდივიდუალური, პირადი სულიერი შესაძლებლობების გამოყენებას. ეს ნაბიჯ-ნაბიჯ ხდებოდა. ესქილეს დრამების მხატვრულ სახეებში გამოსახულია ის გრძნობა, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილი პქონდა ადამიანს ღმერთების უძველესი დროებიდან. მაგრამ როგორც კი გამოჩნდა სოფოკლე, ადამიანი ჩამოშორდა დამატებრივ-სულიერ არსებობასთან კავშირის გრძნობას. ამის შემდეგ ჩნდება რაღაც, რაც უკავშირდება სახელს, რომლის მნიშვნელობაც ჯერ კიდევ შეუფასებელია გარკვეული თვალსაზრისით, თუმცა ამის შესახებ სხვა აზრიც არის სამყაროში.

როგორც ხედავთ, უძველეს ბერძნულ დროებში არ იყო აუცილებლობა, წერილობით დაფიქსირებულიყო ისტორიული მოვლენები. თქვენ იკითხავთ: რატომ? – იმიტომ, რომ არსებობდა ცოცხალი ჩრდილები იმ კვლავრისა, თუ რამე მნიშვნელოვნი ხდებოდა წარსულში. ისტორია ვლინდებოდა იმაში, რაც მისტერიებში თავის თავს აკლებდა. იქ ადამიანებს ხელი მიუწვდებოდათ მოჩვენებით ხატებთან, ჩრდილების ცოცხალ გამოსახულებებთან. ამიტომ, რა საჭირო იყო მაშინ ისტორიის ჩაწერა? მოგვიანებით, მაიც მოვიდა დრო, როცა მოჩვენებითი გამოსახულებები ჩაეფლნენ უმდაბლეს სამყაროში, სადაც ადამიანურ ცნობიერებას უკვე ადარ შეეძლო მათი აღქმა. აი, მაშინ წარმოიშვა მისწრაფება, ჩაწერათ ის, რაც ხდებოდა. გამოჩნდა პერიდოტე,

პირველი ისტორიკოსი, რომელიც ისტორიას წერდა პროზის ფორმით. იმ დროიდან შეიძლება დაგასახელოთ მისი მრავალი მიმდევარი. ყველა მათგანს ამოძრავებდა ერთი განზრახვა, სურვილი, – კაცობრიობა ჩამოეცილებინა დვთაებრივ-სულიურისგან და იგი უშეალოდ მიწიერ ჩარჩოებში მოქმედია. და მაინც, მთელი ბერძნული კულტურის განმავლობაში მიწიერისკენ მიმართული ყველა ეს განვითარება გაცისკროვნებული იყო ციალით, რომლის შუქმაც, როგორც ხვალ გაიგებო, ვერ შეაღწია ვერც რომში, ვერც შეა საუკუნეებში. ხოლო იქ, საბერძნებოში, ეს სინათლე იყო. რაც შეეხება მოჩვენებით ხატებს, ბერძნული ცივილიზაციის დაისის თვით მიმქრალ ჩრდილოვან ხატებს, ადამიანი ჯერ კიდევ გრძნობდა, რომ ისინი თავიანთ საფუძველში დვთაებრივი არიან.

ამ ყველაფერს შორის იდგა ეფესო, როგორც თავშესაფარი, სადაც ადამიანი პოულობდა იმის ახსნას, რაც ფრაგმენტულად არსებობდა ბერძნულ კულტურაში. ჰერაკლიტემ, ისევე როგორც სხვა ფილოსოფოსებმა, როგორებიც იყვნენ პლატონი და პითაგორა, სწავლება გაიარა ეფესოში. ეფესო სინამდვილეში იყო ის ადგილი, სადაც გარკვეულწილად შემოინახეს უძველესი აღმოსავლური სიბრძე. იმ ორმა სამშვინველმა, რომლებიც ცხოვრობდნენ არისტოტელები და ალექსანდრე დიდში და ჰერაკლიტეს შემდგომ იმყოფებოდნენ ეფესოში გარკვეული დროის მანძილზე, შეძლო იქ აღმოსავლურ მისტერიათა უძველესი ცოდნის მემკვიდრეობიდან იმის აღქმა, რაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ეფესოს მისტერიებში. ის, რაც ეფესოში იყო მისტერიათა არსი, განსაკუთრებით გულში ჩამწვდომად დაუკავშირდა ალექსანდრეს სამშვინველს. ახლა კი ჩვენ ვუახლოვდებით ერთ-ერთ იმ ისტორიულ მოვლენას, რომელიც ტრიფიალური თვალსაზრისით შეიძლება უბრალო შემთხვევითობად მიიჩნიონ, მაგრამ ის ღრმადაა განვითარებილი კაცობრიობის განვითარების შინაგან ურთიერთკავშირებში.

ამ მოვლენის მნიშვნელობას რომ ჩავწერეთ, გავიხსენოთ შემდეგი: უნდა გვახსოვდეს, იმ ორ სამშვინველში, რომლებიც შემდგომ გახდნენ არისტოტელე და ალექსანდრე დიდი, ცხოვრობდა პირველ რიგში ყველაფერი ის, რაც მათ მიიღეს წარსულის უძველეს დროებში და მერე დაამუშავეს. შემდეგ კი ეფესო-

ში უჩვეულო ფასეულობით აღიცხო ის, რაც მათ სამშვინველებში უკვე ცხოვრობდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ სამშვინველებშიც ცხოვრობდა მთელი აზია, თავისი იმ „ბერძნული“ ფორმით, რომელიც მათ მიიღეს ეფესოში, განსაკუთრებით კი იმის სამშვინველში, რომელიც შემდგომ გახდა ალექსანდრე დიდი. წარმოიდგინეთ როლი, რომელიც ამ პირვენებამ ითამაშა. მე აღვწერე, როგორი იყო ის გილგამეშის დროს; ახლა კი თქვენ უნდა წარმოიდგინოთ, ალექსანდრე დიდსა და არისტოტელეს შორის ურთიერთობის დროს როგორ იქნა აღდგენილი ცოცხალი შემეცნებანი, რომლებიც დაკავშირებული იყო უძველეს აღმოსავლეთან და ეფესოსთან, მაგრამ აღდგენილი ახალი ფორმით. უბრალოდ, წარმოიდგინეთ ეს ყველაფერი. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, თუ ეფესოს მისტერიების გიგანტური დოკუმენტი, რომელიც გაუგონარი ინტენსივობით ცხოვრობდა ამ ორ სამშვინველში, თუკი ეს გიგანტური დოკუმენტი, ეფესოს მისტერიები, კიდევ იქნებოდა და თუ ალექსანდრე ეფესოს მისტერიებს შეხვდებოდა ალექსანდრეს ინკარნაციაში. თუ შევძლებოთ ამის წარმოდგენას, სწორად შევაფასებოთ იმ ფაქტს, რომ იმავე დღეს, როცა დაიბადა ალექსანდრე, ჰეროსტრატემ ჩირალდანი ჩააგდო ეფესოს სალოცავში. იმავე დღეს ეფესელი არტემიდას ტაძარი მოდალატურად დაწვეს ძირფესვიანად. ის სამუდამოდ გაქრა. მისმა მონუმენტურმა დოკუმენტმა იმ ყველაფერთან ერთად, რაც მას ეხებოდა, შეწყვიტა არსებობა. ის არსებობდა მხოლოდ, როგორც ისტორიული მისია ალექსანდრესა და მისი მასწავლებლის არისტოტელეს სამშვინველებში.

ახლა კი ყველაფერი ის, რაც ცხოვრობდა ალექსანდრეს სამშვინველში, თქვენ უნდა დაუკავშიროთ იმას, რაზედაც გუშინ გიყვბოლით, როცა გაჩვენეთ, როგორ იყო შთაგონებული ალექსანდრე დიდის მისია დედამიწის კონფიგურაციიდან გამოსული იმპულსით. თქვენ აღვიდად გაიგებოთ, უფესოსთან ერთად როგორ ჩაქრა ის, რაც აღმოსავლეთში იყო დვთაებრივ-სულიერის რეალური გამოცხადება. სხვა მისტერიებმა, არსებითად, უკვე დაცემის პირას მისულებმა, შემოინახეს მხოლოდ ტრადიციები, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ტრადიციებს ჯერ კიდევ შეეძლოთ, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ნატურებში გაღვიძებინათ ნათელხილვის ძალები. მაგრამ ძველი დროების

დიდებულება, დიდება და ტიტანურობა წავიდა. აღმოსავლეთი-დან გავრცელებული სინათლე ეფესოში საბოლოოდ ჩაქრა. ახლა შეგიძლიათ შეაფასოთ გადაწყვეტილება, რომელიც ალექსანდრემ მიიღო თავის სამშვინველში: დაებრუნებინა აღმოსავლეთისთვის დაკარგული, თუნდაც იმ ფორმით, როგორითაც ის შემონახული იყო საბერძნეთში, – მოჩვენებითი, ჩრდილოვანი სურათით. აქედან წარმოიშვა აზიაში ექსპედიციის იდეა. ამის-თვის აუცილებელი იყო, რაც შეიძლება უფრო შორს წინ წაწევა, რათა აღმოსავლეთისთვის კიდევ ერთხელ, თუნდაც მოჩვენებითი ფორმით, როგორი სახითაც არსებობდა იგი ბერძნულ კულტურაში, მიეტანათ ის, რაც მან დაკარგა.

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ექსპედიციის განხორციელებისას ალექსანდრე, ჩვენდა გასაოცრად, არ ცდილობს არსებული კულტურების დაკურობას, არ ცდილობს ჩანერგოს აღმოსავლეთში ელინიზმი რაიმე გარეანული თვალსაზრისით. უკელვანი, სადაც არ უნდა მისულიყო, ალექსანდრე დიდი არა თუ იღებდა ქვეყნის ჩვეულებებს, არამედ ითვალისწინებდა თავისი დაპყრობილი ტერიტორიების მკვიდრთა ზრახვებსა და იმჟღებს, შეეჭლო განმსჭვალულიყო მათი აზრებით. როცა ის ჩავიდა ეგვიპტეში, მიიღეს, როგორც მხსნელი და განმათავისუფლებელი სულიერი ბორკილებისაგან, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ბოჭავდა. ის ასაჩუქრებს სპარსეთის სამეფოს კულტურითა და ცივილიზაციით, რომელსაც სპარსელები თვითონ ვერასდროს წარმოშობდნენ. მან მიაღწია ინდოეთამდეც. ის გეგმავდა გაეწონასწორებინა, პარმონიაში მოეცვანა ელინისტური და აღმოსავლური ცივილიზაციები; ის ყოველ ნაბიჯზე აფუძნებდა აკადემიებს. უკელაზე მეტად ცნობილია ალექსანდრიასა და ჩრდილოეთ ეგვიპტეში დაარსებული აკადემიები. მათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ შემდგომი დროისთვის. მაგრამ, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მთელ აზიაში დაფუძნებულ დიდ და მცირე აკადემიებში ისწავლებოდა არისტოტელეს შრომები. მცირე აზიაში ალექსანდრეს მიერ დაწყებული ამგვარი საქმეები გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში, რომელიც შორსწაულ ექისავით ისევ და ისევ იმეორებდა თავის თავს. ერთი მძლავრი დარტყმით დანერგა ალექსანდრემ არისტოტელესეული ბუნებისმეტყველება აზიასა და თვით ინდოეთშიც. ადრეულმა

სიკვდილმა ხელი შეუშალა მას მიეღწია არაბეთამდე, თუმცა სწორედ ეს იყო მისი მირითადი მიზანი. მან შეაღწია აღმოსავლეთში თვით ინდოეთამდე, ასევე ეგვიპტემდე. იგი ყველგან ნერგავდა არისტოტელესგან მიღებულ ბუნების სულიერ შემეცნებას, რომელიც ადამიანებისთვის ნაყოფიერი გახადა. იგი ხალხს ყველგან აგრძნობინებდა, რომ ეს მათვის იყო მშობლიური და არა უცხო ელემენტი, არა ელინიზმის მიერ მათვის თავს მოხვეული იარაღი. ასეთი რამ მხოლოდ ალექსანდრეს ცეცხლოვან ნატურას შეეძლო განეხორციელებინა. მომდევნო წლებში ბევრი სწავლული გამოვიდა საბერძნეთიდან. გარეგნული ედესის გარდა არსებობდა ისეთი აკადემიები, როგორიც იყო განსაკუთრებით, გონდიშაპური, რომელიც საბერძნეთიდან მრავალი ასწლეულის განმავლობაში მუდმივად ძლიერდებოდა.

ამით შესრულდა უდიდესი რამ, რომ აღმოსავლეთიდან ამომავალი სინათლე წითელი, მარჯვნივ, ნახ. 11), რომელიც პერიოდრატეს ჩირადდანმა გააქრო ეფესოში, ეს სინათლე, უფრო სწორად, მისი მოჩვენებითი ანარეკლი, ახლა ისევ აინთ საბერძნეთიდან და აგრძელებდა კაშკაშს, ციალს (კაშკაშა-მწვანე, მარცხნიდან-მარჯვნივ), იმ დრამატულ მომენტამდე, როცა აღმოსავლეთში, რომის ტირანის გავლენით,* ბერძნული ფილოსოფიური სკოლები საბოლოოდ დაიხურა. ჩვ. წ. აღ-ით VI საუკუნეში უკანასკნელი ბერძენი ფილოსოფოსები გაიქცნებ გონდიშაპურის აკადემიაში.



ნახ. 11

rot – წითელი. gelb – ყვითელი. hellgrün – ნათელი მწვანე. hell – ნათელი.

ამ ყველაფერში ჩვენ ვხედავთ ორი ელემენტის ურთიერთქმედებას, ერთი, რომელიც წინ მიდის, მეორე კი უკან რჩება. ალექსანდრეს მისია მეტ-ნაკლებად გაუცნობიერებლად ეჭრდნობოდა შემდეგ ფაქტს: ცივილიზაციის ტალღები საბერძნეთში ლუციფერული მანერით იჭრებოდა, მაშინ როცა აზიაში ისინი რჩებოდნენ უკანა პლანზე არიმანული სახით. ეფესოში იყო თანაფარდობა. ალექსანდრემ, რომლის დაბადების დღეზეც ფიზიკურად დაიწვა ეფესო, გადაწყვიტა დაეფუძნებინა სულიერი ეფესო, რომელიც თავის მზიურ სინათლეს გააგზავნიდა შორს, აღმოსავლეთსა და დასავლეთში. სინამდვილეში ეს იყო ყველა მისი წამოწევების მიზანი: დაეფუძნებინა სულიერი ეფესო, რომელიც გავრცელდებოდა მცირე აზიის გავლით აღმოსავლეთით ინდოეთში, რომელიც ასევე მოიცავდა უგვიპტურ აფრიკასა და აღმოსავლეთ ევროპას.

შეუძლებელია გავიგოთ დასავლეთის კაცობრიობის სულიერი განვითარება, სანამ მას არ დავინახავთ ამ ფონზე. ვინაიდან, იმის მცდელობის კვალდაკვალ, რომ მთელ მსოფლიოში გავრცელებულიყო უმველესი თაყვანსაცემი ეფესო, ეგვიპტურ ალექსანდრიაში შენახული იქნა ის, რაც ოდესადაც ჰქონდათ ეფესოში, ოღონდ მანათობელი ასოების ადგილას ეს იყო გაფერმკრთალებული ნიშნები. მალე ეფესოს ამ გვიანდელი აყვავების კვალდაკვალ დაიწყო თავის დამკვიდრება სრულიად ახალმა ძალამ – რომის ძალამ, რომელიც არის ახალი სამყარო. სამყარო, რომელსაც არანაირი საერთო არა აქვს საბერძნეთის მოჩვენებით სახეებთან, რომელშიც ადამიანი ინახავს იმ ძველი დროის შესახებ მოგონებას. ჩვენ ვერ შევხვდებით ისტორიის ამაზე უფრო სერიოზულ, ან უფრო მნიშვნელოვან პერიოდს. ეფესოს დაწვის შემდეგ, ალექსანდრეს წამოწევების წყალობით შეადგინეს გეგმა, შექმნათ სულიერი ეფესო. ეს სულიერი ეფესო შემდეგ გადაგდებულ იქნა ახალი ძალის მიერ, რომელიც თავის თავს წარმოადგენს დასავლეთში თავდაპირველად, როგორც რომი, მოგვიანებით, როგორც ქრისტიანობა და ა.შ. ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიგებთ სწორად კაცობრიობის განვითარებას, როცა ვამბობთ: ჩვენ ინტელექტის მეშვეობით, ჩვენეული წვდომის უნარით, ჩვენი უნარით, რომ განვახორციელოთ ნებელობის მეშვეობით, ჩვენი გრძნობებითა და

განწყობებით, ჩვენ შეგვიძლია ჩავიხედოთ საუკუნეთა მიღმა, მხოლოდ უძველეს რომამდე. იქ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ არ შეგვიძლია გადავხედოთ არც საბერძნეთს, არც აღმოსავლეთს. იქით საჭიროა ჩავიხედოთ იმაგინაციურად, იქ აუცილებელია სულიერი ხედვა.

დიახ, შეგვიძლია, მივიხედოთ უკან სამხრეთისკენ ჩვეულებრივი პროზაული გაგებით, მაგრამ არა – აღმოსავლეთისკენ. აღმოსავლეთისკენ შეხედვისას ჩვენ უნდა მივმართოთ იმაგინაციებს. უკანა პლანზე უნდა ვნახოთ უძველესი ატლანტიდის შემდეგდორინდელი აზიის მისტერიების უძლიერესი ტაძრები, სადაც ბრძენი ჭურუმები თითოეულ თავის მოწაფეს უხსნიდნენ მის კაშმირს დათაებრივ-სულიერ კოსმოსთან. იქ შეიძლება ვიპოვოთ ცივილიზაცია, რომელიც აღიქმება გილგამეშის დროინდელი მისტერიებიდან, როგორც მე აღვწერ. ჩვენ უნდა ვნახოთ ეს არაჩვეულებრივი ტაძრები, რომლებიც მთელ აზიაშია გაფანტული, ხოლო წინა პლანზე – ეფესო, რომელმაც თავის მისტერიებში ჯერ კიდევ შემოინახა ბევრი რამ იქიდან, რომელიც სხვა ტაძრებში თითქმის გაქრა, თუმცა, ამავდროულად, ხასიათით ის უკვე თავად გახდა ბერძნული, ვინაიდან ეფესოში ადამიანს უკვე აღარ სჭირდებოდა მნათობთა ხელსაყრელი კონსტელაციების ან წელიწადის საჭირო დროის ლოდინი, არც იმას უნდა დალოდებოდა, როდის მიაღწევდა განსაზღვრულ ასაკამდე, როცა შეეძლო მიეღო ღმერთების გამოცხადება. ეფესოში, თუ ადამიანი ამისთვის მომწიფებული იყო, მას შეეძლო სხვადასხვა მსხვერპლის მიტანა და განსაზღვრული საგარჯიშოების შესრულება, რომელიც საშუალებას მისცემდა მას, ისე მიახლოებოდა ღმერთებს, რომ ისინი მოწყალედ გარდამოსულიყვნენ მასთან. და აი, ამ სამყაროში, რომელიც თქვენ წინაშე წარმოჩდება ამ სურათით, განსწავლული და მომზადებული იქნა ჰერაკლიტეს ღროში თავი პიროვნება, რომლებზეც ჩვენ ვისაუბრეთ. შემდეგ, 356 წ. ჩვენს ერამდე, ალექსანდრე დიდის დაბადების დღეს, ვხედავთ ცეცხლის ენებს, რომელიც ეფესოს ტაძრიდან ამოვარდა. ალექსანდრე დიდი თავის მასწავლებელს პოულობს არისტოტელები და ეს პბავს იმას, თითქოსდა ამ ზეცისკენ აგარდინილი ეფესოს ცეცხლისგან გაისმოდეს მბლავრი ხმა მათვების, ვისაც აქვს სმენა: დააფუძნეთ სულიერი ეფე-

სო და დაე, ძველი, ფიზიკური ეფექტო კაცობრიობის მეხსიერებაში იდგას, როგორც მისი ცენტრი, მისი შუაგული.

ამრიგად, ჩვენ თვალწინ გვაქვს უძველესი აზიის სახე თავისი მისტერიალური ცენტრებით, ხოლო წინა პლაზე – ეფექტო და მისი მისტერიის მოწაფეები. ჩვენ ვხედავთ ცეცხლმოკიდებულ ეფექტოს, შემდეგ ვხედავთ ალექსანდრეს ექსპედიციებს, რომელთაც აღმოსავლეთში გადაიტანეს ბერძნების წვლილი კაცობრიობის პროგრესში. ასე რომ, აზიაში სურათ-ხატების ფორმით დაბრუნდა ის, რაც მან დაკარგა თავის რეალობაში.

როცა ვაკვირდებით აღმოსავლეთს და ჩვენს იმაგინაციებს ვაძლევთ საშუალებას, მოწყდეს ამაღელვებელ მოვლენებს, რომლებსაც იქ ვამჩნევთ, ჩვენ შევძლებოთ, ჰეშმარიტი სახით დავინახოთ კაცობრიობის ისტორიის ეს უძველესი თავი, რადგან მას იმაგინაციებით უნდა დავვუფლოთ. ამის შემდეგ ჩვენ თანდათანობით შევიმეცნებთ, უწინარეს ყოვლისა, რომის სამყაროს, შუა საუკუნეების სამყაროს გამოჩენას, რომელიც გრძელდება ჩვენს დრომდე. ისტორიის ყველა სხვა დაყოფას პერიოდებად: უძველესი, შუა საუკუნეები და ახალი, ან როგორც მათ კიდევ შეიძლება უწოდონ, – მიკავს ყალბ წარმოდგენებამდე. თქვენ თუ დრმად და ყურადღებით შეისწავლით სურათს, რომელიც მე წარმოვადგინე თქვენ წინაშე, ის მოგცემთ საშუალებას, ჰეშმარიტად ჩაწვდეთ იმ დაფარულ მიმოინარეობებს, რომლებმაც განმსჭვალეს ევროპის ისტორია ჩვენს დრომდე.

მემკვეთი დეპია
დორნახი, 1923 წლის 29 დეკემბერი

აღმოსავლეთთან მიმართებით დასავლეთის ისტორიის გაგებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაკციოთ გოლგოთის მისტერიამდე და მის შემდგომ სამოთხ ასწლეულს. მოვლენების ჰეშმარიტი მნიშვნელობა, რომელთაც ჩვენ განვიხილავთ, – მოვლენების რომელთაც თავის აპოგეას მიაღწიეს არისტოტელიზმი და ალექსანდრეს ექსპედიციებში მაკედონიიდან აზიაში, – მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ისინი ქმნიან თითქოსდა დასასრულს აღმოსავლეთის ცივილიზაციისა, რომელიც ჯერ კიდევ ჩაფლულია მისტერიის იმპულსებში.

აღმოსავლური მისტერიების წმინდა და ჰეშმარიტ იმპულსებს საბოლოო წერტილი დაუსვა დანაშაულებრივმა ხანძარმა ეფექტში. ამის შემდეგ ვპოულობთ მხოლოდ მისტერიების ტრადიციებს, ტრადიციებსა და მოჩვენებით სახეებს, ასე ვთქვათ, უძველეს, ლეონო შთაგონებული ცივილიზაციის ნარჩენებს, რომლებიც მიმოიფარგა ევროპაში და ძირითადად საბერძნებული. ხოლო გოლგოთის მისტერიიდან თხხასი წლის შემდეგ, მოხდა მეორე უდიდესი მოვლენა, რომელშიც ჩანს ის, რაც ჯერ კიდევ რჩებოდა, შეიძლება მათ ასე ვუწოდოთ, მისტერიების ნარჩენებისაგან. დავაკვირდეთ იულიანე აპოსტოლის* (განდგომილის) სახეს. რომის იმპერატორმა იულიანე განდგომილმა IV ს-ში მიიღო ხელდასხმა იმ ზომით, რა ზომითაც მაშინ შესაძლებელი იყო ხელდასხმა ელევზინის მისტერიების ერთ-ერთი იეროფანგისაგან. ეს ნიშნავს, რომ მან შეძლო ძეგლი აღმოსავლეთის დათაებრივი საიდუმლოს განცდა, რამდენადაც მსგავსი განცდის მიღება ელევზინის მისტერიებში ჯერ კიდევ შეიძლებოდა.


განხილული პერიოდის დასაწყისში დგას დამწვარი ტაძარი ეფექტო. სწორედ ეფექტოს ტაძრის დაწვის დღეს ამ ქვეყანას მოევლინა ალექსანდრე დიდი. ეს პერიოდი მთავრდება 363 წელს იულიანე განდგომილის ძალადობრივი სიკვდილით აზიის სიღრმეში. ამ ორ დღეს შორის დგას გოლგოთის მისტერია. ახლა კი რამდენადმე გამოვარკვიოთ

დროის ეს პერიოდი, როგორც რგოლი კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის ჯაჭვში. თუ გვინდა ამ პერიოდის საზღვარს იქით გახედვა, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევცვალოთ ხილვისა და აღქმის ძალა. ეს ცვლილება ემსგავსება იმას, რაც უკვე გაგვიგია სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით. თუმცა, როცა ვსაუბრობთ მსგავს მოვლენებზე, იშვიათად ვუკავშირებთ მათ ერთმანეთს.

გაიხსენეთ ჩემს წიგნში „სულისმცოდნება“,* როგორ აღვწერდი ადამიანთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამყაროს. მე აღვწერე ისინი, როგორც ფიზიკური სამყარო. მასთან მოსაზღვრე გარდამავალი სამყარო, სხვაგვარად – სამშვინველთა სამყარო. შემდეგი სამყარო, რომელშიც შესასვლელი შეიძლება იპოვოს მხოლოდ ჩვენი ბუნების უმაღლესმა ნაწილმა, არის სულთა სამყარო. თუ გვერდს ავუკლით სულების სამყაროს, – მას თანამედროვე ადამიანი განვლენს სიკადილსა და ახალ დაბადებას შორის, – ზოგიერთ თავისებურებას და თუკი დავაკირდებით მის მხოლოდ ზოგად თვისებებსა და თავისებურებებს, აღმოვაჩენთ, რომ საჭიროა ჩვენს ფიქრება და გრძნობებს მივცეთ ახალი ორიენტაცია, სანამ შევძლებთ სულთა სამყაროს წვდომას. საინტერესოა, რომ ჩვენ უნდა შევცვალოთ და გარდავქმნათ ჩვენი აზრებისა და გრძნობების შინაგანი ცხოვრება ისეთივე სახით, თითქოსდა გვსურდეს, ჩავწვდეთ იმას, რაც დევს აღნიშნული პერიოდის მიღმა. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ შეგვიძლია, თანამედროვე წარმოდგენების გამოყენებით, გავიგოთ ის, რაც ხედებოდა ეფეხოს ტაძრის დაწვამდე. უნდა ჩამოვაყალიბოთ სხვა ცნებები და სხვა წარმოდგენა, რათა განვჭვრიტო ადამიანური არსებები, რომლებიც ისევე იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთი სამშვინველების დმერთებთან მუდმივ კავშირში, როგორც იმაში, რომ ადამიანი სუნთქვის საშუალებით მუდმივ შეხებაშია გარეგან ჰაერთან.

ამ სამყაროდან დაწყებული, რომელიც არის მიწიერი დევახანის, მიწიერ სულთა სამყაროს გარკვეული სახე, – ვინაიდან მიწიერი სამყარო არაფერს გვაძლევს ამ სამყაროს გასაგებად, – ჩვენ ვუახლოვდებით შუალედურ პერიოდს, რომელიც გრძელდებოდა ძვ. წელთაღრიცხვით 356 წლიდან ახ.

წელთაღრიცხვით დაახლოებით 363 წლამდე. ამ პერიოდის ფარგლებს მიღმა რა ძევს? ამ პერიოდის ერთ მხარეს არის აზია, მეორე მხარეს – ევროპა, მათ შორის ძევს სამყარო, რომლიდანაც კაცობრიობა, სწორედ განპირობებულობის გამო, გამოვიდა ისეთივე სახით, როგორც უძველესი კაცობრიობა აღმოსავლური სამყაროდან საბერძნეთის გავლით შევიდა რომის იმპერიაში (იხ. ნახ. 12).



ნახ. 12

hell – ნათელი. 356 v. Chr. – 356 ძვ. წელთაღრიცხვით. 363 n. Chr. – 363 ახ. წელთაღრიცხვით.

ვინაიდან ის, რაც შუა საუკუნეების ასწლეულების შემდეგ ჩვენს დროებამდე ვითარდებოდა, როგორც ცივილიზაცია, ეს ცივილიზაცია, რომელიც იგებოდა, ვითარდებოდა მისტერიების საკუთარი შინაგანი არსის გვერდის ავლით, ვითარდებოდა სწორედ იმის საფუძველზე, რაც შეიძლება ადამიანმა ააგოს თავისი საკუთარი ცხებებისა და წარმოდგენების დახმარებით. ჩვენ შეგვიძლია, ამ ტენდენციას თვალი მივადევნოთ საბერძნეთში პერიოდობებს დროიდან და შემდგომში. პერიოდობები აღწერდა ისტორიის ფაქტებს გარუგანი სახით და არ ეხებოდა სულიერს, ან ეხებოდა უაღრესად მცდარად. შემდგომში სხვებიც მის კვალდაკვალ მიღიან სწორედ ამ მიმართულებით. მიუხედავად ამისა, საბერძნეთში ჩვენ ყოველთვის შევიგრძნობთ თითქოსდა უკანასკნელ სიოს იმ ჩრდილისმაგარი სახეებისა, რომელმაც

ადამიანს უნდა შეახსენოს სულიერი ცხოვრების შესახებ. მეორე მხრივ, რომი იწყებს პერიოდს, რომელთანაც თანამედროვე ადამიანი ჯერ კიდევ გრძნობს ნათესაობას, პერიოდს, რომელსაც გააჩნია ფიქრისა და გრძნობის სრულიად ახალი სახე, და რომელიც დაცილებულია იმასაც კი, რასაც ჩვენ თვალს ვადევნებოთ ჯერ კიდევ საბერძნებით. მხოლოდ ისეთი პიროვნება, როგორიც იყო იულიანე განდგომილი, განიცდის რაღაც მიზიდულობის მსგავსს უძველესი სამყაროს მიმართ და გამოავლენს პატიოსნების ელექტრის მისტერიებში ხელდასხმის ძებნისას. მაგრამ იმას, რაც იულიანეს შეეძლო ამ მისტერიებიდან მიეღო, უკვე აღარ პქონდა შემეცნების ძალა. მეტიც, იგი თავად ეკუთვნოდა იმ სამყაროს, რომელშიც ადამიანებს უკვე არ შეეძლოთ, თავიანთ მშვინვიერში დაუფლებოდნენ აღმოსავლეთის მისტერიების ტრადიციებს.

თანამედროვე კაცობრიობა ვერასდროს განვითარდებოდა, თუ აზიას ჯერ არ მოჰყებოდა საბერძნებით, შემდეგ – რომი. თანამედროვე კაცობრიობა ეყრდნობა პიროვნებას, ინდივიდის პიროვნებას. აღმოსავლეთის კაცობრიობა მოწყობილი იყო სხვაგვარად. აღმოსავლეთის ადამიანი თავის თავს განიცდიდა უწევები დვთაებრივი პროცესის ნაწილად. დედამიწის ევოლუციაში დმერთებს თავიანთი მიზნები პქონდათ. დმერთებს სურდათ ესა თუ ის, და ესა თუ ის ხდებოდა ქვევით, დედამიწაზე. დმერთები ზემოქმედებდნენ ადამიანების ნებაზე, მათი ინსპირირებით. დმერთების მიერ იყო შთაგონებული ყველაფერი, რასაც ასრულებდნენ აღმოსავლეთის უძლიერესი და უდიდესი პიროვნებები, რომლებზეც მე ვისაუბრე. დმერთები ბრანგებდნენ, ადამიანი ახორციელებდა. უძველეს დროებში მისტერიები მორგებული და ორგანიზებული იყო ამ მიზნისთვის, – გაეერთიანებინათ დვთაებრივი ნება და ადამიანის ქმედება.

ეფესოში პირველად ვპოულობთ ჩვენ რაღაც სხვას. იქ მისტერიის მოწაფეები, როგორც გითხარით, ზრუნავდნენ საკუთარი მომზადების დონეზე და უკვე აღარ აკვირდებოდნენ წლის დროებსა და პერიოდებს. გამოჩნდა პიროვნების პირველი ნიშანი. იქ კი, უწინდელ ინკარნაციებში, არისტო-

ტელემ და ალექსანდრე დიდმა აღიქვეს პიროვნული იმპულსი. მაგრამ ახლა დგება ახალი პერიოდი, ახალი პერიოდის განთიადი, როცა იულიანე განდგომილი განიცდის, თითქოსდა უკანასკნელად, რომ ადამიანის მისტრაფება, თვით ამ გვიანდელ საუკუნეში, მოათავსოს აღმოსავლეთის მისტერიებში. ახლა ადამიანური სამშვინველი სრულიად სხვანაირი ხდება იმასთან შედარებით, ვიდრე ის იყო საბერძნები.

წარმოიდგინეთ კიდევ ერთხელ ადამიანი, რომელმაც მიიღო გარკვეული ცოდნა ელექტრინის მისტერიებში. მისი სამშვინველის კონსტიტუცია არ იყო გადმოღებული ამ მისტერიებიდან: ამას იგი უმაღლის იმ უბრალო ფაქტს, რომ ცხოვრობს ამ ეპოქაში. როცა თანამედროვე ადამიანი იხსენებს, ანუ, როგორც ამბობენ, თავის თავში იქექება, მაშინ რა შეუძლია მას, არსებითად, გაიხსენოს? მას შეუძლია, გაიხსენოს რაიმე ისეთი, რომელიც თავად გადაიტანა თავისი ახლანდელი ცხოვრების დროს, თუნდაც ის, რაც გადაიტანა 20 ან 30 წლის წინ. ეს აზრობრივი რეტროსპექტივია, რასაკვირველია, არ მიდის მისი საკუთარი ცხოვრების იქთ. ეს სხვაგვარად იყო ადამიანისთვის, რომელიც ეკუთვნოდა, მაგალითად, ეფესოს ცივილიზაციას. თუ იგი მიიღებდა მისთვის მისაწვდომ ცოდნას ეფესოში, თუნდაც ცოტაოდენი დოზით, მაშინ მოგონების პროცესი მასში მიმდინარეობდა ისე, რომ, როცა მოგონებებში ის იძირებოდა საკუთარ თავში, მის სამშვინველში პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მოგონებების ნაცვლად ამოტივტივდებოდა მიწიერ არსებობამდელი მოვლენები, მოვლენები, რომლებიც წინ უსწრებდა დედამიწის ევოლუციის პერიოდს. ის გადადიოდა მთვარის პერიოდში, მზის პერიოდში, რომელიც წინ უძლებების ცალკეულ სამეფოებს. მას შეეძლო ასევე ჩაეხდა თავის თავში და ენახა ადამიანის ერთიანობა კოსმიურ მთლიანობასთან. ის ხედავდა, ადამიანი როგორ იყო დაკავშირებული და შეერთებული კოსმოსთან. მის სამშვინველში მცხოვრები ეს ყველაფერი იყო ნამდვილი საკუთარი მეხსიერება, ადამიანის კოსმიური მეხსიერება.

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენ საქმე გვაქვს იმ პერიოდთან, როცა ეფესოში ადამიანს შეეძლო განეცადა

სამყაროს საიდუმლოებანი. ადამიანური სამშვინველი ფლობდა მეხსიერებას დიდი ხნის წინ გავლილ კოსმოსურ ეპოქაზე. ასეთი მეხსიერება წინ უსწრებდა ევოლუციურად კიდევ რაღაცას. მას წინ უსწრებდა ამ ადრინდელი დროების რეალური განცდა. ამისგან დარჩა მხოლოდ ადრინდელი ეპოქების განტვრეტა. მაგრამ იმ დროს, რომელზედაც მოგვითხრობს ეპოსი გილგამეშის შესახებ, არ შეგვიძლია, ვისაუბროთ წარსული, კოსმიური ეპოქების მეხსიერებაზე, უნდა ვისაუბროთ ნამდვილ, გავლილ განცდაზე.

კოსმოსური მეხსიერების შემდგომ ეპოქაში მოვიდა ის, რასაც მე უწოდე შუალედური ეპოქა ალექსანდრედან იულიანე განდგომილამდე. ახლა ეს პერიოდი დროებით გამოვტოვოთ. შემდეგ მოჰყვა ეპოქა, რომელმაც წარმოშვა შუა საუკუნეებისა და თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაცია. აქ უკვე ადარ არის მოგონება კოსმიურ წარსულზე, კიდევ უფრო ნაკლებადაა წარსულის განცდები აწმოში, არამედ დარჩა მხოლოდ ტრადიციები.

პირველი: წარსულის განცდა ახლანდელ დროში.

მეორე: სამშვინველის მეხსიერება კოსმიურ წარსულზე.

მესამე: ტრადიცია.

ახლა შეიძლება ვაწარმოოთ წერილობითი ქრონიკა. წარმოშობა ისტორია. ისტორია პირველად ჩნდება რომის პერიოდში. დაფიქრდით გრანდიოზულ განსხვავებაზე! დაფიქრდით, როგორ განიცდიდნენ ეფესოს მისტერიების მოწაფეები დროს. მათ არ სჭირდებოდათ ისტორიის წიგნები. წერილობითი მატიანე მათვის, ალბათ, სასაცილო იყო. საჭირი იყო განსჯა და საკმარისად დრმა მედიტაცია და წარსული აღდგებოდა საკაცობრიო ცნობიერების სიღრმიდან. აქ არ იყო ფსიქოანალიზის დემონსტრაცია თანამედროვე დოქტორთა სტილში. ადამიანური სამშვინველი განიცდიდა უდიდეს აღვრთოვანებას, როცა ამგვარი სახით გამოიხმობდა ცოცხალი მეხსიერებიდან გამქრალს.

შემდგომ დროებში კაცობრიობამ ეს შესაძლებლობა დაკარგა და აუცილებელი გახდა წარსულის ჩაწერა. მაშინ, როცა ადამიანი თავისი ძველი კოსმიური მეხსიერების ძალას ნელ-ნელა კარგავდა და იწყებდა უხეში სახით სამყაროს უდიდესი მოვლენების ჩაწერას, მთელი ამ დროის განმავლობაში მის შინაგან არსებაში ვითარდებოდა პირადი მოგონებები, პირადი მეხსიერება, ვინაიდან თითოეულ ეპოქას აქვს საკუთარი მისია, საკუთარი ამოცანა. აქ თქვენ გაქვთ საპირისპირო მხარე იმისა, რაც წარმოგიდგინეთ ამ ციკლის პირველივე ლექციაში, როცა აღვწერდი იმის წარმოქმნას, რაც ჩვენ აღვნიშნეთ როგორც „დროითი მეხსიერება“. ესაა მეხსიერება დროში ან დროითი მეხსიერება, რომლის აკვანიც საბერძნეთშია, რომელიც ვითარდებოდა რომის კულტურის გავლით შუა საუკუნეებში და ახალ დროებში. იულიანე განდგომილის დროს კი პიროვნების კულტურის განვითარებისთვის ბირთვი უკვე სრულად იყო ჩადებული. ამის დასტურია ის, რომ იულიანე განდგომილს, არსებითად, სარგებლობა ვერ მოუტანა ელევზინის მისტერიებში ხელდასხმამ.

ახლა ჩვენ მივუახლოვდით პერიოდს, როცა დასავლეთის ადამიანი, ქრისტეშობის III, IV საუკუნეებიდან ჩვენს დრომდე, თავის მიწიერ ცხოვრებას მთლიანად სულიერი სამყაროს გარეშე ატარებს, ცხოვრობს ცარიელ, აბსტრაქციებად ქცეული ცნებებითა და იდეებით. რომში თვით ღმერთები იქცნენ აბსტრაქციებად. ჩვენ მივაღწიეთ იმ დროს, როცა კაცობრიობას უკვე ადარ გააჩნია არანაირი ცოდნა სულიერ სამყაროსთან ცოცხალი კავშირის შესახებ. დედამიწა უკვე ადარ არის აზია, ზეცათაგან უმდაბლესი, დედამიწა – თავისთავად რაღაც სამყარო, ზეცა კი არის შორს, შეუღწევდი და ადამიანის თვალისწვის წყვდიადით დაფარული. დადგა დრო, როცა ადამიანი, დასავლეთის ყველა ქვეყანაში გავრცელებული რომის კულტურის გავლენით, თავის თავში გამოიმუშავებს პიროვნებას.

ზუსტად ისე, როგორც მშვინვიერი სამყარო ესაზღვრება სულიერ სამყაროს, სულთა სამყაროს, რომელიც უფრო მაღლაა, ასევე ესაზღვრება დასავლეთის ცივილიზაციაც, რომელიც თავისებური სახით არის მშვინვიერი სამყარო, დროში სულიერ, აღმოსავლურ სამყაროს. სამშვინველთა ეს სამყარო ვრცელდება დღევანდელ დღემდე. დღეს, ჩვენს დროში, ადამიანთა უმრავლესობა საერთოდ ვერ ამჩნევს იმ

ფაქტს, რომ კვლავ ხდება სხვა გრანდიოზული ცვლილება. მათვის, ვინც ჩემს ლექციებს ხშირად უსმენს, ცნობილია, რომ მე უხალისოდ ვუწოდებ რომელიმე პერიოდს გარდამავალს, რადგანაც სინამდვილეში ასეთია ყველა პერიოდი, – ყოველი პერიოდი წარმოადგენს გარდამავალ პერიოდს წარსულიდან მომავლისკენ. მთავარია ის, რა რაში გადადის. ნათქვამი უკვე გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში, თითქოსდა გადადისარ რა სულთა სამყაროდან სამშვინველთა სამყაროში, ამის შემდეგ მოღისხარ ფიზიკურ სამყაროში. თანამედროვე ცივილიზაციაში კი, – როგორც ის ვითარდებოდა აქამდე, – ჩვენ შეგვიძლია კვლავ და კვლავ აღმოვაჩინოთ სულის გამოძახილები. თვით მატერიალიზმიც ვერ უცლის გვერდს სულის გამოძახილს. ჭეშმარიტი და ნამდვილი მატერიალიზმი ყველა სფეროში იმყოფება ჩვენთან მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და მთელი თავისი მნიშვნელობით გასაგებია ჯერ მხოლოდ მცირე ნაწილისთვის. მაგრამ ის მოქმედებს წარმოუდგენელი ძალით და ახლა აქ ჩვენ გადავდივართ მესამე საყაროში, რომელიც სინამდვილეში ისევე გამოირჩევა წინარე რომის სამყაროსგან, როგორც ეს უკანასკნელი – აღმოსავლურისგან.

შემდეგ არსებობს დროის კიდევ ერთი პერიოდი, რომელიც ამოვარდნილია განვითარების ასეთი ხაზიდან: ეს პერიოდია ალექსანდრესა და იულიანეს შორის. ამ პერიოდის შუაში მოღის გოლგოთის მისტერია. ისინი, ვისთვისაც განკუთვნილი იყო გოლგოთის მისტერია, ვერ აღიქვამდნენ მათ იმ ადამიანების მსგავსად, რომლებსაც ესმოდათ მისტერიები: სხვაგვარად მათ ექნებოდათ სრულიად სხვა ცნებები ქრისტებ, რომელიც ცხოვრობდა ადამიან იქსოში ნაზარეთიდან. გოლგოთის მისტერიის მხოლოდ მცირერიცხოვან თანამედროვეებს, მაშინდელი მისტერიების ხედასხმულებს შეეძლოთ პქონოდათ მსგავსი გაგება. სამაგიეროდ, დასავლეთის კაცობრიობის უმეტეს ნაწილს არა აქვს წარმოდგენები და ცნებები გოლგოთის მისტერიების სულიერი წვდომისთვის. ამიტომ პირველი გზა, რომლითაც გოლგოთის მისტერიამ დაიმკვიდრა თავისთვის ადგილი დედამიწაზე, იყო გარეგანი ტრადიციის გზა. მხოლოდ პირველ

ასწლეულებში არსებობდნენ ასეთი ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ, მისტერიებში თავიანთი მონაწილეობის წყალობით სულიერად ჩაწვდომოდნენ იმას, რაც მოხდა გოლგოთის მისტერიის დროს.

თუმცა ეს ყველაფერი არ არის. იყო კიდევ რაღაც, რაზედაც მე ვისაუბრე ლექციების წინა ციკლში* და ჩვენ კვლავ უნდა მივუბრუნდეთ მას. ყველგან, პიბერნიაში, ირლანდიაში ჯერ კიდევ რჩებოდა ძველი ატლანტიდის სიბრძნის გამოძახილი. პიბერნიის მისტერიებში, რომელთა ფრაგმენტული აღწერაც გადმოგვეცით, პქონდათ ორი ქანდაკება, რომლებიც ადამიანზე მოქმედებდნენ სუბესტიურად, რაც შესაძლებლობას აძლევდა, მას სამყაროსთვის შექედა ისევე მკვეთრად, როგორც ამას ხედავდნენ ძველი ატლანტიდელები. ღრმა სერიოზულობის ატმოსფეროთი მკაცრად იცავდნენ ამ პიბერნიულ მისტერიებს. ასეთები იყვნენ ისინი გოლგოთის მისტერიის დროსაც. გოლგოთის მისტერია ხდებოდა აზიაში; იერუსალიმში კი მოხდა მოვლენა, რომელიც ადამიანებისთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით სახარების საშუალებით, ტრადიციული გზით. იმ მოქმენტში, როცა პალესტინაში თამაშდებოდა გოლგოთის მისტერია, ის ცნობილი გახდა პიბერნიულ მისტერიებში და მას ნათელმხილველურად ჭვრებდნენ. მართალია, არანაირი ზეპირი ცნობა არ მოგიოდა და შეუძლებელი იყო რაიმენაირი კავშირი, მაგრამ პიბერნიის მისტერიებში ეს მოვლენა შესრულდა სიმბოლური სურათით სწორედ იმ დროს, როცა ის ნამდვილად განხორციელდა იერუსალიმში. მას შეიმუცნებდნენ არა ტრადიციის საშუალებით, არამედ სულიერი გზით. მაშინ, როცა პალესტინაში ეს უდიადესი მოვლენა კონკრეტულ, ფიზიკურ რეალობაში თამაშდებოდა, პიბერნიის მისტერიებში, გარკვეული რიტუალის მეშვეობით, ზუსტად იმავე დროს, როცა ხორციელდებოდა გოლგოთის მისტერია, მისი ცოცხალი სურათი აღიბეჭდებოდა ასტრალურ სინათლეში.

კაცობრიობის ევოლუციის მოვლენები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. არსებობდა თითქოსდა რაღაც გზარი ან ჩავარდნა, რომელიც იმ დროს გავრცელდა სამყაროში.

როში, რომელშიც თანდათან იკარგებოდა ადამიანის წარსულში არსებული სიახლოვე დმერთებთან.

აღმოსავლეთში დმერთების უძველესი გამოცხადება დაცემამდე მივიდა ეფესოს დაწვის შემდეგ. პიბერნიაში ის კიდევ რამდენიმე საუკუნე რჩებოდა ქრისტეს შემდეგ, მაგრამ შემდგომში იქაც დაიკარგა. ყველაფერი, რაც ასხივებდა გოლგოთის მისტერიიდან, განვითარდა ტრადიციის მეშვეობით, გადაეცემოდა ზეპირი ტრადიციის გზით და ჩვენ ვპოულობთ დასავლეთში ცივილიზაციის განვითარებას, რომელიც მთლიანად ზეპირ ტრადიციას ეფუძნება. მოგვიანებით ეს ცივილიზაცია ეყრდნობა უფრო მეტად ბუნების გარეგან დაკვირვებას, ბუნების კვლევას გარეგანი გრძნობების დახმარებით, რაც სრულად შეესაბამება ტრადიციას, – წერილობით თუ ზეპირი სახით, – ისტორიის სფეროში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას: აქ ჩვენ გავაქს პიროვნების ცივილიზაცია. ამ ცივილიზაციაში გოლგოთის მისტერია ყველაფერი იმით, რაც ეპუთვნის სულს, უკვე აღარ აღიქმებოდა ადამიანის მიერ, ის უბრალოდ გადაეცემოდა როგორც ისტორია (ნახ. 13). ჩვენ მთელი სიცხადით უნდა წარმოვიდგინოთ ეს სურათი, ცივილიზაციის სურათ-ხატი, რომლისგანაც განდევნილია ყველაფერი სულიერი. ეს აულტურა იწყება იმ დროიდან, რომელიც მოსდევდა იულიანე განდგომილის(აპოსტატის) დროს, და გრძელდება იქამდე, სანამ XIX ს. ბოლოს, დაწყებული 70-იანი წლების დასასრულიდან, სულიერი სამყაროდან არ მოვიდა თითქოსდა ახალი მოწოდება კაცობრიობისადმი. იწყება ეპოქა, რომელსაც ხშირად აღვწერდი, როგორც მიქაელის ეპოქას. დღეს მე მსურს, დავახსიათო ის, როგორც ეპოქა, რომელშიც ადამიანი, თუ მას უნდა დარჩენა თავის ძველ მატერიალიზმში, – კაცობრიობის დიდ ნაწილს კი ეს სურს, – ის აუცილებლად ჩავარდება საშინელ უფსკრულში; მას არ ექნება სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაეცეს და დაკარგოს ადამიანობა, ის უბრალოდ ვერ შეძლებს დარჩეს ადამიანურ სიმაღლეზე. ადამიანურ სიმაღლეზე რომ გაძლოს, მან უნდა გაუხსნას თავისი გრძნობები სულიერ გამოცხადებებს, რომლებიც ხე-

ლახლა გვიახლოვდება XIX საუკუნის ბოლოდან. ახლა ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

ვინაიდან, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ პეროსტრატეში მოქმედებდნენ ცნობილი სულიერი ძალები. ის იყო, ასე ვთქვათ, უკანასკნელი დაშნა, რომელიც გაშიშვლებული იყო ზოგიერთი სულიერი ძალის მიერ აზიდან. როცა ის ეფესოს ტაძარში ცეცხლმოკიდებულ ჩირალდანს აგდებდა, მის უკან იდგნენ დემონური არსებები, ეჭირათ რა იგი, როგორც უჭირავთ ხმალი ან ჩირალდანის ტარი. ის იყო მხოლოდ ხმალი ან ჩირალდანი მათ ხელში. ვინაიდან ამ დემონურ არსებებს განზრახული პქონდათ მომავალ ევროპულ ცივილიზაციაში არ დაეშვათ არსებები სულების სფეროდან. იქ უნდა გადაეკერთ მისასვლელი სულიერისთვის.


არისტოტელე და ალექსანდრე ეწინააღმდეგებოდნენ ამ არსებების მოღვაწეობას. და მაინც, რა განახორციელეს მათ ისტორიაში? ალექსანდრეს ლაშქრობების წყალობით არისტოტელეს ბუნებისმეტყველებამ შეაღწია აზიაში, და ყველგან გავრცელდა საფუძვლიანი ბუნებისმეტყველება. არა მხოლოდ ეგვიპტეში, არამედ ყველგან. აზიაში ალექსანდრე აფუმნებდა აკადემიებს და ეს აკადემიები გადაიქცენ ძველი სიბრძნის სავანედ, სადაც ჯერ კიდევ დიდხანს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო მისი სწავლება. საბერძნეთის ბრძენებს ყოველთვის შეეძლოთ იქ მისულიყვნენ და თავშესაფარი ეპოვათ. ალექსანდრეს წყალობით ბუნებისმეტყველება გადაიტანეს აზიაში.

ეს ღრმა ბუნებისმეტყველება ევროპაში ვერ შეაღწევდა იგივე სახით. ევროპას არ შეეძლო სრულიად პატიოსნად მისი მიღება. მას უნდოდა მხოლოდ გარეგანი ცოდნა, გარეგანი კულტურა, გარეგანი ცივილიზაცია. ამიტომ არისტოტელეს მოწაფემ თეოფრასტმა არისტოტელიზმიდან ამოიღო ის, რისი აღქმაც შეეძლო დასავლეთს და ასე გაავრცელა. ეს იყო მეტწილად ლოგიკური თხზულებები. მაგრამ ესეც ძალზე მნიშვნელოვანია. ვინაიდან არისტოტელეს ყველა თხზულებას ახასიათებს ის თავისებურება, რომ ისინი იკითხება სხვანაირად, ვიდრე სხვა ავტორთა თხზულებები; ამ მხრივ არც მისი აბსტრაქტული და ლოგიკური თხზულებები

ბია გამონაკლისი. ექსპერიმენტისთვის ჯერ წაიკითხეთ პლატონი, შემდეგ არისტოტელებ შინაგანი სპირიტუალური, მედიტაციური სულისკვეთებით და თქვენ ნახავთ, რომ ამ დროს სრულიად სხვადასხვა განცდა წარმოიშობა. როცა თანამედროვე ადამიანი კითხულობს პლატონს ჭეშმარიტი, ნამდვილი სულიერი გრძნობით და მედიტაციური განწყობილებით, რამდენიმე ხნის შემდეგ მასში წარმოიშობა შეგრძნება, მსგავსი იმისა, თითქოს მისი თავი იყო ცოტათი მაღლა, ვიდრე ის არის სინამდვილეში, თითქოსდა ის გაიზარდა თავისი ფიზიკური ორგანიზმის ფარგლებს იქით. ეს აუცილებელი განცდაა ყველასთვის, კინც კითხულობს პლატონს, თუ მას, ცხადია, ძალზე მშრალად არ წაიკითხავენ.

არისტოტელესთან საქმე სხვაგვარადაა. არისტოტელესთან ვერასდროს იგრძნობთ, რომ თქვენ გამოდისართ თქვენივე სხეულიდან; როცა კითხულობთ არისტოტელეს, მომზადებული მედიტაციურად, თქვენ ნახავთ, რომ ის მუშაობს უშუალოდ ფიზიკურ ადამიანში. თქვენი ფიზიკური ბუნება ნაბიჯს დგამს წინ არისტოტელეს წაკითხვის შემდეგ. მისი ლოგიკა ქმედითია. ეს ლოგიკა უბრალო დაკვირვებისა და განხილვის ლოგიკა კი არ არის, არამედ ეს არის ლოგიკა, რომელიც მოქმედებს შინაგან არსებაში. თვითონ არისტოტელე მთელი თავით მაღლა დგას იმ პედანტებთან შედარებით, რომლებიც მოვიდნენ მის შემდეგ და განავითარეს მისგან აღებული ლოგიკა. გარკვეული თვალსაზრისით, შეგვიძლია ვთქათ, რომ არისტოტელეს თხზულებები მაშინ ესმით სწორად, როცა მათ განხილავენ, როგორც წიგნებს მედიტაციისთვის. ეს არის ძალზე საყურადღებო რამ. იფიქრეთ, რა მოხდებოდა, თუ არისტოტელეს საბუნებისმეტყველო თხზულებები გადავიდოდა დასავლეთში და მიაღწევდა შუალდა სამხრეთ ეკროპამდე. ცხადია, ისინი იქნებოდა ბევრის მოცემი, მაგრამ საზიანო. ვინაიდან ბუნებისმეტყველება, რომელიც არისტოტელეს შეეძლო გადაეცა ალექსანდრესთვის, თავისი წვდომისთვის ითხოვდა ისეთ სამშვინველებს, რომლებიც ჯერ კიდევ ეხებოდნენ ეფესოს ეპოქის სულისკვეთებას, იმ დროს, რომელიც წინ უძღვდა ეფესოს დაწვას. ასეთი სამშვინველების პოვნა შეიძლებოდა მხოლოდ აზია-

ში ან ეგვიპტეში და ალექსანდრეს ლაშქრობებმა მოიტანა სწორედ ეს ბუნებისმეტყველება, რომელიც სწვდებოდა ბუნების არსს (ნახ. 13. ნარინჯისფერი, მარჯვნივ). მხოლოდ მოგვიანებით შემოვიდა ის ევროპაში, სხვადასხვა გზით, განსაკუთრებით, მაგ: ესპანეთის გავლით, მაგრამ ყველთვის გაფილტრული, ან შეიძლება ითქვას, შერბილებული ფორმით (ნახ. 13. ყვითელი მარჯვნიდან მარცხნივ).



ნახ. 13

gelb – ყვითელი. 356 v. Chr. – 356 ძვ. წელთაღრიცხვით. 363 n. Chr. – 363 ა. წელთაღრიცხვით. hell – ნათელი. Orange – ნარინჯისფერი. hell – ნათელი. Zivilisation der persönlichkeit – პიროვნების ცივილიზაცია. Spirituelles wird noch historisch überliefert – სულიერი ჯერაც ისტორიული ტრადიციით გადაეცემა.

არისტოტელეს ის თხზულებები, რომლებმაც უშუალოდ შეაღწიეს ეკროპაში, იყო მისი თხზულებები ლოგიკასა და ფილოსოფიაში. ისინი გადარჩა და შუა საუცნებების სქლასტიკაში ახალი ცხოვრება შეიძინა.

ამგვარად, ჩვენ გვაქვს ორი მიმდინარეობა. ერთი მხრივ, ყოველთვის გვაქვს სიბრძნის ნაკადი, რომელიც განეფინება ყოველმხრივ უბრალო ხალხს შორის, ეს არის შუა საუცნებების უამრავი აზრისა და შეხედულების იდუმალი წყარო. ეს არის ნათესი, რომელიც ოდესაც ალექსანდრემ თავისი ლაშქრობების წყალობით აზიაში გადაიტანა, ახლა კი ის

კვლავ დაბრუნდა უკან ევროპაში სხვადასხვა გზით, მაგალითად, არაბების მეშვეობით, მოგვიანებით კი – უკან დაბრუნებული ჯვაროსნების მეშვეობით. ჩვენ ვპოულობთ მას ევროპის ყოველ კუთხეში, რომელიც შეუმჩნევლად იღვრება იდუმალ ადგილებში. ამ ადგილებში მოდიოდნენ ადამიანები იაკობ ბიომეს,* პარაცელსის* და ბევრი სხვის მსგავსად, რათა მათ აღექვათ ის, რაც მივიდა იქ ირიბი გზებით და ნარჩუნდებოდა ევროპული ცხოვრების ამ ფართო, პრიმიტიულ წრეებში. ევროპაში ჩვენ გვქონდა უფრო მეტი სალხური სიბრძნე, ვიდრე ჩვეულებრივ აღიარებენ. ნაკადი ახლაც გრძელდება. ის თავისი სიბრძნის შემოდინებით ასაზრდოებს ისეთ ღრმა პიროვნებებს, როგორიცაა ვალენტინ ვეგელი,* ან პარაცელსი, ანდა იაკობ ბიომე და კიდევ ბევრი სხვა, ვისი სახელებიც ნაკლებადაა ცნობილი. ზოგჯერ კი ის შეგხვდებათ, – როგორც, მაგალითად, ბაზილიუს ვალენტინუში,* – ახალ ნაკადთან ერთად, რომელიც ევროპაში მოგვიანებით აღწევს. შეა საუკუნეების მონასტრებში ცხოვრობს ალქიმიური სიბრძნე: არა ის ალქიმია, რომელიც აჩვენებს მხოლოდ მატერიის უბრალო გარდასახვას, არამედ ალქიმია, რომელიც აჩვენებს სამყაროში თავად ადამიანური არსების ცვლილებების შინაგან ბუნებას. ამასთან, აღიარებული სწავლულები დაკავებული იყვნენ სხვა არისტოტელეთი, ცუდად გაგებული, გადამუშავებული, რაღაც ლოგიზირებული არისტოტელეთი. და მაინც, ამ არისტოტელესეულმა ფილოსოფიამ, რომელსაც სწავლობდნენ სქოლასტიკოსები და შემდგომ დროინდელი სწავლულები, დასავლეოს სიკეთე მოუტანა. ვინაიდან, მხოლოდ XIX ს-ში, როცა გადაეწივნენ არისტოტელეს სწორად გაგებას და მარტივად სწავლობდნენ მას, თითქოს ეს წიგნი იყო სხვა წიგნების მსგავსი და არა წიგნი მედიტაციაში ვარჯიშისთვის, ვინაიდან მხოლოდ XIX საუკუნეში მოხდა ისე, რომ ადამიანები სხვას აღარაფერს იღებდნენ არისტოტელესაგან, იმიტომ, რომ ის უკვე აღარ ცხოვრობდა და აღარ მოქმედებდა მათში, ვინაიდან გადაიქცა არა სავარჯიშოების წიგნად, არამედ – შესწავლის საგნად. XIX საუკუნემდე არისტოტელე იყო წიგნი მედიტაციაში ვარჯიშისთვის, მაგრამ XIX საუკუ-

ნეში ყველაფერი მიმართული იყო იმისკენ, რომ ის, რაც ოდესაც იყო სავარჯიშო, გადაექციათ სამუშაოდ, აქტიურ დალად, გარდაექმნათ აბსტრაქტულ ცოდნად.


ახლა განვიხილოთ ეს მოვლენები სხვა კუთხით. საბერძნეთში ჯერ კიდევ მყარად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ განჭვრება და გაგება მთლიანად ადამიანური არსებიდან მომდინარეობს. მასწავლებელი არის ტანმოვარჯიშე*. ვინაიდან თავად ღმერთები ვლინდებიან ადამიანის ფიზიკურ მოძრაობებში, ამიტომ მოძრაობაში მყოფი მთლიანი ადამიანური არსებიდან იბადება რაღაც ისეთი, რომელიც შემდეგ მჟღანდება და თავს ავლენს, როგორც ადამიანური გაგება. ტანმოვარჯიშე არის მასწავლებელი. რომში რიტორი* (მჟევრმეტყველი) ცვლის ტანმოვარჯიშეს. ადამიანურ არსებას თავის მთლიანობაში თითქოს რაღაც უკვე წაერთვა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ გაგაქს კავშირი მოქმედებასთან, რომელსაც ადამიანური არსება თავისი ორგანიზმის რომელიდაც ნაწილში ახორციელებს. ლაპარაკისას როგორი მოძრაობები წარმოიქმნება მთელ ჩვენს არსებაში? ჩვენ ვლაპარაკობთ გულით და ფილტვებით, ვლაპარაკობთ ისე, რომ მოვიცავთ ჩვენს დიაფრაგმასა და მის ქვედა ნაწილს. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მეტყველება ისევე ინტენსიურად ცხოვრობს მთელ ადამიანურ არსებაში, როგორც ტანმოვარჯიშის მოძრაობები, მაგრამ ის ცხოვრობს მის უმეტეს ნაწილში. რაც შეეხება აზრებს, ისინი, ცხადია, არის მხოლოდ ექსტრაქტი იმისგან, რაც ცოცხლობს მეტყველებაში და არა უმეტეს. რიტორი იკავებს ტანმოვარჯიშის აღგილს. ტანმოვარჯიშეს საქმე აქვს მთელ ადამიანურ არსებასთან, სოლორიტორი თიშავს წევრებს და საქმე აქვს ადამიანური არსების მხოლოდ ნაწილთან, ასევე იმასთან, რაც ამ ნაწილიდან იგზავნება თავში და იქ გადაიქცევა წვდომად და ცნებად. მესამე სტადია ვლინდება მხოლოდ ახალ დროებში: ეს არის დოქტორი, რომელიც წვრთნის მხოლოდ თავს, ზრუნავს რა მხოლოდ აზრებზე. ლაპარაზიტყვაობის პროფესორებს ნიშნავენ ზოგიერთ უნივერსიტეტში XIX საუკუნიდანაც კი, მაგრამ ისინი უკვე აღარ სჭირდებათ ამ უნივერსიტეტებს, ვინაიდან გაქრა მეტყველების დირსეუ-

ლად დაფასების ჩვეულება, შენარჩუნდა მხოლოდ ერთი – აზროვნება. რიტორები გადაშენდნენ. აღზრდაში მოთავენი გახდნენ დოქტორები* და პროფესორები, რომლებიც უურადებას აქცევდნენ ადამიანური არსების მხოლოდ უმცირეს ნაწილს, კერძოდ მის თავს.

სანამ იქ ჯერ კიდევ არსებობდა ნამდვილი არისტოტელე, იყო წვრთნა, წესრიგი, სავარჯიშოები, რომელთაც ადამიანი იღებდა მისი შრომების შესწავლის შედეგად. ორივე მიმდინარეობა პარალელურად მიდიოდა. აქ მყოფთაგან მათთვის, ვინც არც ისე ახალგაზრდაა და ვინც დაინტერესებული იყო აზრების განვითარებით XIX ს. უკანასკნელ ათწლეულში, ნათელია (თუ ჩვენ გვიწევდა წასვლა სოფლის ადამიანებთან პარაცელსის მსგავსად), რომ მუა საუკუნეების ხალხური ცოდნის უკანასკნელი ნარჩენები, რომლებითაც საზრდოობდნენ იაკობ ბიომე და პარაცელსი, ჯერ კიდევ არსებობდა ევროპაში გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. მეტიც, სწორია ასევე ის, რომ გარკვეული ორდენების შიგნით და გარკვეული ჩაკვიდი წრეების ცხოვრებაში XIX ს. უკანასკნელ ათწლეულებამდე აულტივირებული იყო არისტოტელეს მიხედვით შინაგანი წესრიგის სახე. ასე რომ, გასულ წლებში აქა-იქ ჯერ კიდევ შეხვდებოდით არისტოტელესუეული სიბრძნის უკანასკნელ ყლორტებს, რომელიც ალექსანდრემ ჩაიტანა აზიაში, აფრიკასა და ესპანეთში. ეს იგივე სიბრძნეა, რომელმაც ახალი სიცოცხლე შეიძინა ისეთ ადამიანებში, როგორიცაა ბაზილიუს ვალენტინუსი, ასევე მათში, რომლებიც მოვიდნენ შემდგომ და რომელთაგანაც საზრდოობდნენ იაკობ ბიომე, პარაცელსი და კიდევ სხვები. ის კვლავ დაბრუნდა ევროპაში, მაგრამ სხვა გზით – ჯვაროსნების წყალობით. არისტოტელესუეული სიბრძნე ფართოდ იყო განვითარებით უბრალო ხალხში. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ XIX ს. ბოლო ათწლეულებში ჯერ კიდევ შეეძლოთ შეესმინათ, თუნდაც რამდენადმე დამახინჯებული და ძნელად საცნობი სახით, აღექსანდრეს ექსპედიციების მეშვეობით აზიაში ჩატანილი ძველი ბუნებისმეტყველების უკანასკნელი გამოძახილი. ბუნების ძალებსა და სუბსტანციებს შორის კავშირებზე ძველ ალქიმიასა და

ძველ ცოდნაში, რომელიც ასე გასაოცრად ცხოვრობდა უბრალო სოფლის ადამიანებში, ჩვენ კვლავ შეგვიძლია შევამჩნიოთ მისი უკანასკნელი გამოძახილი. ახლა ისინი აღარ არსებობს. მათ შესახებ ვერსად მოვისმენთ.

ზუსტად ასევე, იმ დროს ჯერ კიდევ იყვნენ ცალკეული ადამიანები, რომლებიც წარმოაჩენდნენ არისტოტელეს სულიერ მოძღვრებას. ახლა უკვე ისინიც აღარ არიან. ასე ინახებოდა ის, რაც ოდესაც გადატანილ იქნა აღმოსავლეთში (ნახ. 14. წითელი მარჯვნიდან მარცხნივ) და ისიც, რაც შემოვლითი გზით იყო გადმოტანილი დასავლეთში არისტოტელეს მოწაფის თეოფრასტის მიერ (ლურჯი – ცენტრიდან მარცხნივ). და ის, რაც გადატანილი იქნა აღმოსავლეთში, კვლავ დაბრუნდა უკან.



ნახ. 14

gelb – ყვითელი. 356 v. Chr. – 356 ძვ. წელთაღრიცხვით. 363 n. Chr. – 363 ა. წ. წითელადრიცხვით. hell – ნათელი. Orange – ნარინჯისფერი. hell – ნათელი. Zivilisation der persönlichkeit – პარაცელსის ციფლიზაცია. Spiritueller wird noch historisch überliefert – სულიერი ჯერაც ისტორიული ტრადიციით გადაეცემა. blau – ცისფერი. rot – წითელი.

XIX ს. 70-80-იან წლებში ახალ, უშუალო სულიერ შემეცნებას შეეძლო მიკედლებოდა იმას, რაც უკანასკნელი

ელორტების სახით განვითარდებოდა იქო იმ მოვლენებში, რომლებიც მე აღვწერ. ჭეშმარიტად, არსებობს გასაოცარი ურთიერთქმედება ყველა ამ მოვლენას შორის. ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, როგორ ვლინდებოდა მათში ალექსანდრეს ლაშქრობები და არისტორელეს სწავლება, რათა არ გამწყდარიყო ძაფები, რომელიც ადამიანს აკავშირებს უძველეს სულიერებასთან, რათა მათი მეშვეობით დავაგვირისტო მომავალი მატერიალისტური ცივილიზაცია, რომ მათ გაძლონ იმ დრომდე, სანამ მოცემული იქნება ახალი სულიერი გამოცხადებები.

ამ თვალსაზრისით შეგვიძლია მართებულად გავიგოთ ისტორიული მოვლენები, რადგან სშირ შემთხვევაში იმას, რაც გვეხმარება უსარგებლო წამოწყებებად, შესაძლოა დრმა მნიშვნელობა პქნოდეს კაცობრიობის ისტორიული განვითარებისათვის. ადგილია თქმა, რომ ალექსანდრეს ექსპედიციებმა აზიაში და ეგვიპტეში ჩაიარა და განვლო. მაგრამ ეს ასე არ არის. ადგილია თქმა, რომ არისტორელებმ არსებობა შეწყვიტა XIX ს-ში, მაგრამ მას არსებობა არ შეუწყვეტია. ორივე ნაკადი გრძელდებოდა იმ მოქნეამდე, სანამ შესაძლებელი არ გახდა სულის ცხოვრების განახლება.

მე არაერთხელ მითქამს თქვენთვის სხვადასხვა მიმართებაში, როგორ დაიწყო ახალი სულიერი ცხოვრება XIX ს. 70-იანი წლების ბოლოს და როგორ იზრდებოდა ის უფრო მეტად და მეტად ასწლეულის ამ შემობრუნების მომენტიდან. ჩვენი ამოცანაა, მთელი თავისი სისავსით აღვიკვათ სულიერი ცხოვრების შემოდინება, რომელიც ზემოდან გვედვრება. ვინაიდან ახლა ჩვენ ვიმყოფებით ისეთ დროში, როცა კაცობრიობის სულიერი გახსნისკენ ნამდვილი გადასვლა ხდება. ჩვენ თუ ვერ გავაცნობიერებთ ამ საოცარ კავშირებს და იმას, რაოდენ ღრმადაც აწმურ დაკავშირებული წარსულთან, მაშინ აღმოვჩნდებით ნამდვილი ბრძები მნიშვნელოვანი ამბების წინაშე, რომლებიც მიმდინარეობს ჩვენ გარშემო ჩვენი დროის სულიერ ცხოვრებაში. ჩვენი დროის ადამიანების უმეტეს ნაწილს გამუდმებით სძინავს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებთან მიმართებით. ანთროპოსოფიის ამოცანაც სწორედ ის არის, რომ გამოაღვიძოს ადამიანი ამ ძილისგან.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ყველანი, ამ საშობაო შეკრებაზე აქ მოსულნი, გრძნობთ იმპულსებს, რომლებიც მოგიწოდებთ გაიღვიძოთ. გვიახლოვდება დღე, როცა ეს შეკრება დამთავრდება, დადგება წლისთავი იმ დღისა, როდესაც აითო საშინელი ცეცხლი, რომელმაც დაანგრია გოვთეანუმი. დაე, მსოფლიომ რაც უნდა ის იფიქროს გოვთეანუმის დაწვის შესახებ; ანთროპოსოფიული მოძრაობის განვითარებისთვის ამ სანდარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია შევაფასოთ მთელი მისი მნიშვნელობა, სანამ საკუთარ მზერას არ მივაპყრობთ კიდევ რადაცას. როცა იმ დამით აბრიალებული ცეცხლის ფიზიკურ აღებს აზრობრივად თვალს გადავავლებოთ, ჩვენ კვლავ დავინახავთ გასაოცარ ელგარებას, რომელსაც აქეთ-იქით აფრქვევდა გამდნარი ორდანის მილები და ლითონის სხვა კონსტრუქციები, როცა ცეცხლის აღში ქმნიდა ფერთა საოცარ თამაშს. შეძეგ კი მეხსიერებაში თვალი გადავავლოთ წარსულ წელს, მაგრამ ამ მეხსიერებაში უნდა იცოცხლოს იმ ფაქტმა, რომ ფიზიკური არის მაია, რომ ჩვენ ცეცხლის ენებზე სიმართლე უნდა ვეძებოთ სულიერ ცეცხლში, რომლის ანთებაც ახლა გვმართებს ჩვენს გულებსა და სამშვინველებში. გოვთეანუმის მატერიალური ფერფლიდან ჩვენთვის უნდა აღმოცენდეს სულიერად ცოცხალი გოვთეანუმი.

მე არ მჯერა, რომ შესაძლებელია ამას შეგხედოთ მთლიანად მსოფლიო ისტორიული თვალსაზრისით, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ, ჩვენთვის ძვირფასი გოვთეანუმის თავზე აბრიალებული უზარმაზარი სანდრის ყურებისას, განვგვრიტოთ ის სხვა დანაშაულებრივი დაწვა ეფესოს ტაძრისა, როცა დემონური ძალებით მართულმა პეროსტრატემ ანთებული ჩირალდანი ისროლა ტაძარში. როცა ჩვენ ამ ორ მოვლენას შევაჯერებთ ისე, რომ ერთს დაგაუენებთ წინა და მეორეს უკანა პლაზე, მაშინ გვექნება სურათი, რომელიც მოგვცემს ჩვენს, შეიძლება ითქვას, საკმაო ძალებს იმისათვის, რომ ჩვენს გულებში ღრმად აღვეგჭდოთ ის, რაც დავკარგეთ ერთი წლის წინ და საჭიროა ვისწრაფოთ მისი ხელახლა აშენებისკენ.

მემკვიდრე ლექცია
დორხანი, 1923 წლის 30 დეკემბერი

უკანასკნელი უდიდესი გარდვევა კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში მოხდა მე-15 საუკუნის პირველ მესამედში, რაზეც ჩვენ ჩემირად გვისაუბრია. ეს იყო გადასვლა განვითარებაში – განსჯითი სამშვინველიდან ცნობიერი სამშვინველისკენ. ჩვენ ვცხოვრობთ სწორედ იმ ეპოქაში, როცა კაცობრიობა ავითარებს უმთავრესად ცნობიერ სამშვინველს. ამ ეპოქაში მთლიანად დაკარგულია თვით ბუნების სულ ში ჭეშმარიტად შედწევის უნარი, დაკარგულია ადამიანის არსების ურთიერთკავშირი ბუნების უფრო ღრმა იმპულსებსა და ძალებთან. ჩვენს დროში, როცა ადამიანს განვიხილავთ თავისი ფიზიკური კონსტიტუციის თვალსაზრისით, ჩვენ ვსაუბრობთ, მაგალითად, ქიმიურ ნივთიერებებზე, როცა მათ, ქიმიკოსების მსგავსად, ელემენტებს ვუწოდებთ. მაგრამ ადამიანს არაფერში ადგება იმის ცოდნა, რომ საჭმელი შეიცავს წყალბადსა და აზოტს, ისე, როგორც მესაათეს იმის ცოდნა, რომ მის ხელო არსებული საათი შედგება შუშისგან თუ, ვთქვათ, ვერცხლისა და რომელიმე სხვა მასალისგან. ამგვარი სახის ეველანაირი ცოდნა, რომელსაც ჭეშმარიტი სუბსტანციები დაჰყავს ამ მარერიალურ აბსტრაქციებამდე – წყალბადამდე, ჟანგბადამდე და ა.შ., – არანაირ ჭეშმარიტ ცოდნას არ აძლევს ადამიანის არსებას. საათების მექანიზმი გასაგები ხდება მასში ძალით შემაკავშირებული სისტემის დაკვირვებისას. ანალოგიურად, თუ გვინდა, გავიგოთ ადამიანის ბუნება და არსება, მაშინ საჭიროა ჩავწვდეთ სხვადასხვა იმპულსის მოქმედებას, რომელიც ვლინდება ბუნების ყველა სამეცნიერო ში, გავიგოთ მათი მოქმედება სწორედ ადამიანის არსებაში, ვინაიდან აქ ისინი ვლინდება სხვაგვარად, ვიდრე ბუნების სხვა სამეფოებში. მაგრამ ახალ დროებში უკვე აღარ არსებობს არანაირი ჭეშმარიტი ხედვა სამყაროსთან ადამიანის კავშირების შესახებ. თვით XIV-XV საუკუნეებამდე ეს ხედვა და ცოდნა ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო; მიუხედავად ამისა, მიდიოდა რა თანდათან დაცემამდე, ის კიდევ უფრო მეტი ან ნაკლები ხარისხით აგრძელებდა არსებობას და ნი-

ჭით დაჯილდოებულ ნატურებს ინსტინქტურად ჯერ კიდევ შეუძლოთ მათი გამოყენება. მოგვიანებით ნელ-ნელა მთლიანად გაქრა სამყაროსთან ადამიანის კავშირის ჭეშმარიტი წვდომა, რომელიც ჯერ კიდევ მიღწევადი იყო ისეთი პიროვნებებისთვის, როგორებიც იყვნენ პარაცელსი, იაკობ ბორე და სხვები.

რა იცის, მაგალითად, XV საუკუნიდან თანდათანობით გაძლიერებულმა უახლესმა ბუნებისმეტყველებამ, ვთქვათ, მცენარეთა ან ცხოველთა სამყაროს მიმართებაზე ადამიანის არსებასთან? სწავლული იკვლევს მცენარეებს მათი ქიმიური სტრუქტურის მიხედვით და ცდილობს, ამა თუ იმ საშუალებით შეისწავლოს, როგორ ვლინდება იგივე ქიმიური ელემენტები ადამიანში. შედეგად შეიძლება ის ცდილობს, შექმნას ცნება, ჩვეულებრივ წარუმატებლად, როგორ გავლენას ახდენენ ეს სუბსტანციები ჯანმრთელ და ავადმყოფ ადამიანის არსებაზე. მთელი ეს კვლევები, არსებითად, კიდევ უფრო აძლიერებს უცოდინარობის წყვდიადს ადამიანის ირგვლივ. ჩვენს დროში, თუ მართლა გვსურს, მივაღწიოთ პროგრესს ადამიანის შემეცნებაში, ისტორიულად მიღწეული განჭვრების საფუძველზე, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, თავიდან შევისწავლოთ ის, რაში მდგრმარეობს ადამიანის არსების ჭეშმარიტი დამოკიდებულება მის გარემომცველ ბუნებასთან.

ადამიანის ცნობიერებაში თვით უკანასკნელ დიდ რევოლუციამდე, რომელიც მოხდა XV საუკუნეში, ნათლად აღიქვამდნენ უდიდეს განსხვავებას ადამიანის არსებაში არსებულ ლითონებსა და ბუნებაში არსებულ ლითონებს შორის. ადამიანის ფიზიკურ ბუნებაში სხვადასხვა სუბსტანციის გამოკვლევისას, მასში, – მეტად თუ ნაკლებად, – აღმოჩნდება გარკვეული ლითონები. მაგალითად, ადამიანის ორგანიზმი არის რკინა სხვა სუბსტანციასთან შეხამებულად, ასევე არის მაგნიუმი და ჩვენ შეგვიძლია დაგასახელოთ ბევრი სხვაც. XV საუკუნემდე ადამიანები მგრძნობიარედ აღიქვამდნენ განსხვავებას იმ მეტალებს შორის, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ადამიანის ორგანიზმის კვლევისას და იმათ შორის, რომელიც არსებობს გარე ბუნებაში, მაგრამ

ადამიანის ორგანიზმში მაშინვე არ ვლინდება. ადრეული ხანის ადამიანები ამბობდნენ: ადამიანი არის მიკროკოსმოსი. ყველაფერი, რაც არის გარე სამყაროში, მაკროკოსმოსში, არის ამა თუ იმ სახით ადამიანშიც. ეს იყო მათვის არა უბრალოდ ზოგადი აბსტრაქტული პრინციპი, არამედ საიდუმლო შემცირებაში თუნდაც ოდნავ მაინც წინწასული ადამიანისთვის ეს კანონზომიერად გამომდინარეობდა იქიდან, რაც იცოდნენ ადამიანისა და სამყაროს ბუნების შესახებ. ადამიანებმა იცოდნენ, რომ ადამიანის ჭეშმარიტ გაგებამდე მივიღოდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც თავს მოუფრიდნენ მთელ ბუნებას, მთელი თავისი იმპულსებით, მთელი თავისი შემადგენელი სუბსტანციებით. მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიღოთ ადამიანის არსების ხატი, იმაგინაცია. ხოლო დისპარმონის ელემენტი ამ ხატში იქრება მაშინ, როცა ბუნებაში აღმოვაჩენთ ისეთ რამეს, რასაც ვერ აღმოვაჩენთ ადამიანში. ასე აზროვნებდნენ IX-XI საუკუნეების ბუნებისმეტყველები. იმ დროებში ცნობილი იყო კიდევ რაღაც სხვა, კერძოდ: ის, რაც ათვისებულია ფიზიკური კვების საშუალებით, არის მხოლოდ ნაწილი, შესაძლებელია, ყველაზე უმნიშვნელო ნაწილიც კი იმისა, რაც ემსახურება ფიზიკური ორგანიზმის ან, უფრო, მთლიანობაში მთელი ადამიანური ორგანიზმის გაძლიერებას.

დღეს თანამედროვე ადამიანისთვის ძნელი არ არის ამაღლდეს ფიზიკური კვების კონცეფციის დონეზე და ჩართოს მასში ასევე სუნთქვა, ვინაიდან სუნთქვაც ნივთიერებათა ცვლის ფორმაა. მაგრამ მას აზრადაც არ მოუვა წინსვლა. უწინდელი ბუნებისმეტყველი ვთარდებოდა. მისთვის ცხადი იყო, რომ, როცა ადამიანი უყურებს საგნებს, ის არა მარტო ხედავს თვალებით, არამედ აღქმის პროცესის დროს იგი, თვალების მეშვეობით, წარმოუდგენლად მცირე დოზით იღებს რაღაცას სამყაროს სუბსტანციების. და არა მხოლოდ თვალების, არამედ უურისა და ორგანიზმის სხვა ნაწილების მეშვეობითაც. შუა საუკუნეების ბუნებისმეტყველი მთლიანად აცნობიერებდა იმ სუბსტანციების უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც წარმოუდგენლად მცირე რაოდენობით გვხვდება ადამიანის ორგანიზმში (როგორიცაა, მაგ: ტყვია),


რომელსაც ადამიანი იღებს უსასრულოდ მცირე დოზით, იმ სუბსტანციებისა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს იქ, სადაც ჩვენ არ ვეძებთ. ტყვია, ეს ლითონია, რომლის არსებობის ჩვენებაც ადამიანში შეუძლებელია. მაგრამ ტყვია ფაქტობრივად გაბნეულია მთელ ფიზიკურ კოსმოსში ძალზე ნატიფი სხსარის მდგომარეობაში და ადამიანის არსება იღებს ტყვიას კოსმოსიდან იმ პროცესის დახმარებით, რომელიც გაცილებით უფრო ნატიფია, ვიდრე სუნთქვის პროცესი. ადამიანის არსება განუწყვეტლივ გამოყოფს სუბსტანციებს და აგდებს მათ პერიფერიებისკენ. თქვენ უბრალოდ კი არ იჭრით ფრჩხილებს: თქვენ განუწყვეტლივ აგდებთ სუბსტანციებს თქვენი კანიდან; მაგრამ იმ ზომით, როგორითაც განიდევნება ორგანიზმიდან ერთი ტიპის სუბსტანციები, მიიღება სხვები და აღიქმება ორგანიზმის მიერ.

აზროვნების ასეთი სახე ჰქონდა ბუნებისმეტყველს შუა საუკუნეებში – IX, X, XI ან XII საუკუნეებში. მას არ ჰქონდა სასწორი, არ ჰქონდა არანაირი უხეში საზომი ინსტრუმენტი, რომლითაც ზომავენ ნივთიერებებისა და ძალების მოქმედებას. მისი ამოცანა იყო დრმად ჩაწვდომოდა ბუნების შინაგან თვისებებს, გაეგო მისი შინაგანი იმპულსი და კავშირი ადამიანის არსებასთან. ამ გზით ადამიანებს შეეძლოთ გაეგოთ მრავალი საგანი თუ მოვლენა, რომლებსაც ისინი ერთხელ, მომავალში თავიდან აღმოაჩენენ. ვინაიდან, კაცმა რომ თქვას, თანამედროვეობამ არაფერი იცის ადამიანის არსების ჭეშმარიტი ბუნების შესახებ.

თქვენ იცით, რომ ადამიანის კონსტიტუციის კვლევისას, კლასიფიკაციის, ან სქემის გარკვეული სახე რომ გვქონდა, ჩვენ ვამბობდით: ადამიანი შედგება ფიზიკური სხეულის, ეთერული სხეულის, ასტრალური სხეულისა და „მე“-საგან ან „მე“ ორგანიზმისგან. მშვენიერია და ნათელი! ერთი შეხედვით, ეს უბრალოდ სიტყვებია; თუმცა ცუდი არ იქნება, თუ ამით დაგიწყებთ; ნებისმიერს შეუძლია, მათგან გამოიტანოს ჭეშმარიტების თუნდაც სუსტი გაგება. ჩვენ თუ გვინდა, გამოვიყენოთ ეს კლასიფიკაცია პრაქტიკულ ცხოვრებაში, განსაკუთრებით მედიცინაში, რომელიც მიჩნეულია მოღვაწეობის ძალზე მნიშვნელოვან სფეროდ და ამასთან ერთ-

ერთი იმ სფეროთაგან, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე დამოკიდებულები არიან ადამიანის არსების ჩვენეულ შემეცნებაზე, – მაშინ ჩვენ, ცხადია, არ შეგვიძლია, დავრჩეთ ამ სიტყვების ამარა: ჩვენ უნდა შევიდეთ იმაში, რაც მათ მიღმა არსებობს და რაც მათ შინაარსით აღავსებს. ჯერ ჩვენ ვიკიონოთ: რა ხდება ფიზიკურ სხეულთან მიმართებით? - თქვენ მალე ნახავთ, რატომ შევეხე ამ საკითხს. ჩვენ ფიზიკური სხეულის შესახებ სწორი ცნება როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ? ავიღოთ რომელიმე საგანი დედამიწაზე ადამიანის არსების გარეთ, ვთქვათ, მაგალითად, ქვა. ქვა ეცემა მიწაზე. ვამბობთ – ქვა მძიმეა, მას იზიდავს დედამიწა, აქეს წონა. ჩვენ ასევე გამოვაჭარავებთ სხვა ძალასაც, რომელიც მოქმედებს ქვაზე. მას აქვს კრისტალური სტრუქტურა, ამიტომ მასში მოქმედებს ფორმაქმნადი ძალები. ისინი ენათესავება მიწიერ ძალებს. მოკლედ რომ ვთქვათ, როცა ჩვენ გარშემო ვიხედებით, ყველგან ვპოულობთ ნივთიერებებს, რომლებიც ექვემდებარება მიწიერ ბუნებას. კარგად დავიმახსოვროთ: ჩვენ გვაქვს ნივთიერებები, რომლებიც დაქვემდებარებულია მიწიერ ბუნებას.

მავანმა, ვინც ვერ გაერპვა ამ მოვლენებში, შეიძლება, მიგვითიოს შავი ნახშირის ნატეხზე. რას წარმოადგენს ის სინამდვილეში? მიწის წიაღში ის ნახშირია, მაგრამ იმ მომენტიდან, როცა მას თუნდაც მცირე მანძილით მაინც მოაშორებთ დედამიწას, ის აღარ არის ნახშირი. რაც მას აქცევს ნახშირად, სხვა არაფერია, თუ არა დედამიწის ძალები. ასე რომ, თქვენ შეგიძლიათ თქვათ: აი, აქ არის დედამიწა, მის შიგნით კი – მიწიერი ძალები. მაგრამ მიწიერი ძალები არსებობს ასევე თითოეულ პატარა საგანში, რომელსაც ვპოულობთ აქ, დედამიწაზე. და ადამიანის ფიზიკური სხეულიც, რომელიც მართალია, გასაოცრად არის მოწყობილი, მიუხედავად ამისა, არსებითად საგანია, რომელიც დამკიდებულია დედამიწის ფიზიკურ ძალებზე, ძალებზე, რომელიც გამოდის დედამიწის ცენტრიდან. ამიტომ ადამიანის არსების ფიზიკური სხეული შეიძლება აღვწეროთ, როგორც ძალებზე დაქვემდებარებული, რომელიც გამოდის დედამიწის ცენტრიდან (ნახ. 15. ხაზები, მიმართული



ნახ. 15

მაგრამ დედამიწაზე არსებობს სხვა ძალებიც; ეს სხვა ძალები გამოდის დედამიწის მთელი გარემოცვიდან, შორეული პერიფერიულიდან (ნახ. 15. ხაზები ცენტრიდან). ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ სულ უფრო და უფრო სცილდებით დედამიწას და ადისარო განუზომელ სიმაღლეებზე, საიდანაც დედამიწაზე მოქმედებს დედამიწის ძალების საწინააღმდეგო ძალები, თანაც ყველა მიმართულებით. დიახ, ეს რეალობაა, არსებობს ასეთი ძალები, რომელიც მოდის სამყაროს ყოველი მხრიდან და მოქმედებს ყველგან, დედამიწის ცენტრის მიმართულებით.

შეიძლება მივიღოთ მათი სრულიად ნათელი და კონკრეტული სურათი შემდეგნაირად. თქვენ გახსოვთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სუბსტანცია, რომელიც წარმოშობს ყველანაირი ორგანიზმის საფუძველს, იქნება ეს მცენარეები, ცხოველები ან ადამიანი, არის ცილა. ცილა ასევე წარმოშობს საფუძველს ახალი მცენარის, ცხოველის, ადამიანის ჩანასახისთვის. განაყოფიერებული ჩანასახოვანი უჯრედისაგან წარმოიქმნება ის, რაც ვითარდება ორგანიზმში და ჩანასახის სუბსტანცია არის ცილა.




ნახ. 16

ჩვენს დროში ნამდვილი კვლევის ნაცვლად ფანტაზიორობენ და ხატავენ თავისთვის ცილას, რომელიც შედგენილია ქიმიური ნივთიერებების ჩახლართული კომბინაციისაგან. ამბობენ, რომ ის შედგება წყალბადის, ნახშირწყლის, ჟანგბადის, აზოტის, გოგირდისა და ასევე ფოსფორის მინარევისაგან, ოღონდ ყველაფერი რთულ შეხამებაში. ასე რომ, ატომისტი ცილაში ხედავს ქიმიური კომბინაციის ნიმუშს. მიღებულია, რომ ატომები და მოლექულები წარმოადგინო, როგორც ყველაზე რთული აგებულების ქმონე. ეს რთული მოლექულა, — ცილა, ან რაც გინდათ ის უწოდეთ, — წარმოიშობა ცხოველის ან მცენარის დედობრივ ორგანიზმში; ის ვითარდება, მისგან იბადება ახალი სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრეობითობის წყალობით წარმოიშობა.

სულიერებიდან გამომდინარე, ეს ყველაფერი უაზრობაა. ჭეშმარიტება ის არის, რომ დედობრივი ცხოველური ცილა სულაც არ არის რთული ქიმიური შენაერთი. ის განიხნევა, ინგრევა და ქაოსის მდგომარეობამდე მიღის. ცილა, რომელსაც სხვა შემთხვევაში იცავს სხეული, ჯერ კიდევ გარკვეულ დონემდე ორგანიზებულია, მაგრამ ცილა, რომელიც წარმოშობს საფუძველს გამრავლებისთვის, გამოირჩევა სწორედ იმ თავისებურებებით, რომ ის სრულიად დეზორგა-

ნიზებულ მდგომარეობაშია. მატერია, რომელსაც ის შეიცავს, მიღის ქაოსამდე და არ შედის არანაირ შენაერთებში. ის სახეზეა უბრალო გროვის სახით, ყოველგვარი წესრიგისა და თანაზომიერების გარეშე. სწორედ ამ მიზეზის გამო, ცილა არ ექვემდებარება დედამიწას. იქამდე, სანამ ცილას შეუძლია ამა თუ იმ საშუალებით იმყოფებოდეს შინაგანი შეჭიდულობის მდგომარეობაში, მანამდე იგი ექვემდებარება დედამიწის ცენტრიდან მოქმედ ძალებს. იმ მომენტიდან, როგორც კი ცილა შინაგანად დაიშლება და გაიხლის, იგი ექცევა კოსმოსის მთელი სფეროს გავლენის ქვეშ. ძალები მასზე მოქმედებს ყოველი მხრიდან. მაშინ ჩვენ ვიღებთ ცილის ციცქა გუნდას, რომელიც წარმოქმნის საფუძველს გამრავლებისთვის. ცილის ეს ციცქა გუნდა არის მთელი კოსმოსის ხაზი, ვინაიდან ცილოვანი სუბსტანცია გაიხლის, დაინგრა და მიყანილ იქნა ქაოსის მდგომარეობამდე, ანუ გადაიქცა კოსმიურ მტვრად და სწორედ ამის წყალობით გახდა მთელი კოსმოსის ზემოქმედებისთვის გამოსადეგი. ამ ყველაფერზე დღვევანდელ დღეს ადამიანებს წარმოდგენაც კი არა აქვთ.

მათი წარმოსახვით დიდ ქათამს აქვს რთული ცილა. ის შედის აკერცხის შემადგენლობაში. შემდეგ წნდება ახალი ქათამი. ეს არის ცილის განვითარების გაგრძელება, მისი შემდგომი განვითარება. შემდეგ ისევ ჩანასახოვანი სუბსტანცია; ასე გადადის ის ქათმიდან ქათმამდე. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ყველოვის, როდესაც ხდება თაობათა ცვლა, ცილა ესხნება მთელი კოსმოსის გავლენებს. ასე რომ, ერთი მხრივ ჩვენ გვაქვს მიწიერი სუბსტანციები, რომელიც ექვემდებარება მიწიერ, ან მიწის ცენტრიდან მომდინარე ძალებს. ასევე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ეს მიწიერი სუბსტანციები გარკვეულ პირობებში იმ ძალებისკენ მიმართული, რომლებიც მოქმედებენ შიგნით ყოველი კუთხიდან, სამყაროს ყველაზე შორეული საზღვრებიდან. ეს ძალები მოქმედებს ადამიანის ეთერულ სხეულში. ეთერული სხეული ექვემდებარება კოსმოსის ძალებს.




ნახ. 17

rot – წითელი. grün – მწვანე.

ასეთია ჭეშმარიტი შეხედულება ფიზიკურსა და ეთერულ სხეულზე. დაგუშვათ, თქვენ იკითხეთ: რა არის ჩემი ფიზიკური სხეული? პასუხი ასეთია: ეს ის სხეულია, რომელიც ემორჩილება პერიფერიის ყოველი მხრიდან მომდინარე ძალებს. ეს შეგვიძლია ნახატზეც ვაჩვენოთ. წარმოიდგინეთ, რომ ეს არის ადამიანის არსება. მისი ფიზიკური სხეული არის ის, რაც ექვემდებარება დედამიწის ცენტრისკენ მიმართულ ძალებს (ნახ. 17, წითელი). მისი ეთერული სხეული არის ის, რომელიც ექვემდებარება მთელი სამყაროს საზღვრებიდან მომართულ ძალებს (ნახ. 17, მწვანე). აქ ჩვენ გვაქვს ძალის სისტემა ადამიანში. არსებობს ძალები, რომელიც ეწვევა ქვემოთ, ისინი სინამდვილეში არსებობს მთელ ვერტიკალურ ორგანოებში და არსებობს ძალები, რომელიც მიმართულია გარედან შიგნით, ასეთი მიმართულებით (ნახ. 17, ხაზები). თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ, ადამიანის ფორმებში ამოიცნოთ, სად არის უფრო მეტად წარმოდგენილი ერთი სახის ძალა და სად – მეორე სახის. როგორც ჩანს, ფეხების ფორმა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ისინი მორგებულია მიწიერ ძალებს. თავი უფრო მორგებულია პერიფერიულის ძალებზე. ანალოგიურად შეგიძლიათ გამოიკვლიოთ ასევე ხელები და ეს სულაც არ არის უინტერესო. მიიდეთ ხელები მჭიდროდ ტანზე და ისინი დაექვემდებარება ძალებს, რომელიც მიემართება დედამიწის ცენტრისკენ. ამოძრავეთ ისინი თავისუფლად და თქვენ თავად დაექვემდებარებით იმ ძალებს, რომელიც ისწრაფვის მათში პერიფერიის ყველა მხრიდან.

ასეთია სინამდვილეში განსხვავება ხელებსა და ფეხებს შორის. ფეხები უცვლელად ექვემდებარება დედამიწის ცენტრიდანულ ძალებს, მაშინ, როცა ხელები ასეთია მხოლოდ განსაზღვრულ მდგრადულებით, ასე ვთქვათ, დამოკიდებულია ვთარებაზე. ადამიანს შეუძლია ისინი მოიპოვოს მიწისკენ ორიენტირებული ძალების სფეროდან და ჩართოს იმ ძალების შუაგულში, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ ეთერულს, – ძალების, რომლებიც იღვრება შიგნით პერიფერიებიდან. ანალოგიური რამ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ თითოეული ორგანოსთვის, – ის, თუ როგორი სახით არის ეს ორგანო ჩართული მთელ კოსმიურ სისტემაში.



ნახ. 18

აი, ასეთია ოქვენი ფიზიკური და ეთერული სხეული. რა ხდება ასტრალურ სხეულთან მიმართებით? სივრცეში არ არის ამ ორის გარდა სხვა ძალები. ასტრალური სხეული კი თავის ძალებს იღებს სივრცის მიღმიდან. თუ ეთერული სხეული იღებს მათ პერიფერიულიდან, ასტრალური სხეული იღებს მას სივრცის მიღმიდან.

ჩვენ შეგვიძლია ბუნებაში ვიპოვოთ განსაზღვრული ადგილები, სადაც დედამიწის ფიზიკური ძალები შედის სწორედ ეთერული ძალების შუაგულში, რომელიც მიისწავლიან იქითვენ ყოველი მხრიდან. თქვენ შეგვიძლიათ წარმოიდგინოთ ცილა, რომელიც თავდაპირველად არსებობს ფიზიკურ მიწაში. მანამდე, სანამ გოგირდს, ნახშირწყალს, უანგბადს, წყალბადს და აზოგს მასში შეიცნობენ რომელიმე ქიმიური ხერხით, ცილა ფაქტობრივად ექვემდებარება მიწი-ერ ძალებს. მაგრამ იმ მოქნებიდან, როგორც კი ის შედის გამრავლების პროცესის სფეროში, მაშინვე ამოვარდება ფიზიკური ძალიდან. სამყაროსეული ძალები იწყებს მასზე მოქმედებას მის დეზორგანიზებულ მდგომარეობაში. აღმოცენდება ახალი ცილა, როგორც მთელი სამყაროს სახე.

თქვენ ხედავთ, რომ ზოგჯერ მოულოდნელად წარმოიქნება შემდეგი მდგომარეობა: შეიძლება დეზორგანიზება, ცილის რდველა ბოლომდე ვერ მივიღეს. თქვენ შეგვიძლიათ, მაგალითად, ზოგიერთ ცხოველთან აღმოჩინოთ ცილის

ასეთი სუბსტანცია. გამრავლებისათვის აუცილებელია, ცილოვანი სუბსტანცია გაიხდიოს ისე, რომ მას შეეძლოს დაექვემდებაროს მთელი კოსმოსის ძალებს. მაგრამ ცხოველს შეიძლება, რაიმემ ხელი შეუშალოს გამრავლების მიზნით ისეთი ცილის სუბსტანციის წარმოქმნაში, რომელიც უშუალოდ გადაეცემოდა მთელ მაკროკოსმოსს. იმისათვის, რომ მან შეძლოს გამრავლება, ცილის სუბსტანციამ უნდა განიცადოს მთელი მაკროკოსმოსის მოქმედება. განსილულ შემთხვევაში ცხოველს არ შეუძლია წარმოქმნას ცილოვანი სუბსტანცია, რომელიც მოახერხებს გამრავლებას შემდგომი დახმარების გარეშე. ასე ხდება ბზიკ-მეკაკლურას (ცინიარიდეა, მწერი ფეხსახსროვანთა ოჯახიდან) შემთხვევაში. რას აკეთებს მაშინ მეკაკლურა? იგი თავის კვერცხს დებს მცენარის რომელიმე ნაწილში. თქვენ ნახავთ ამ პატარა კაკლებს მუხაზე და სხვა ხეზე, სადაც მუაკლურა დებს თავის კვერცხს. მაგალითად, ფოთლებზე* შეგიძლიათ ნახოთ ეს უცნაური წარმონაქმნი, თითოეულ ფოთლებზე – მეკაკლურას თითო კვერცხი. რატომ არის ეს ასე? რატომ დებს მეკაკლურა კვერცხს მუხის ფოთოლში, რის შედეგადაც წარმოიქმნება მუხის ვაშლი, რომელშიც მოთავსებულია კვერცხი, რომელსაც ახლავე შეუძლია განვითარება (ნახ. 19). ამის მიზეზია შემდეგი: მცენარის ფოთოლი თავის შიგნით შეიცავს ეთერულ სხეულს, რომელიც ჩართულია მთელ კოსმიურ ეთერულ სხეულში. ის მოდის მეკაკლურას კვერცხის დასახმარებლად.




ნახ. 19

საპუთარი თავის იმედად დარჩენილი კვერცხი, თავისთავად უმწერა. ამიტომ დებს მეკაკლურა კვერცხს სწორედ მცენარის იმ ნაწილში, რომელსაც უკვე გააჩნია ეთერული

სხეული და რომელიც ჩართულია კოსმიური ეთერის მთელ სისტემაში. ასე რომ, მეგაკლურა მიმართავს მუხას, დაეხმაროს თავისი ცილის განაღურებაში, რათა დედამიწის პერიფერიამ იმოქმედოს მასზე მუხის ფოთლის საშუალებით, მუხის საშუალებით. თავისთვის, მეგაკლურას კვერცხი განწირული იქნებოდა დასაღუპავად, ვინაიდან მას არ შეუძლია დაიშალოს, იგი საქმაოდ ძლიერადად შემჭიდროებული.

აქ ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ ბუნების საოცარი მოქმედება. ასეთივე მოქმედება არსებობს ბუნების სხვა ადგილებშიც. დავუშვათ, მაგალითად, რომ ცხოველი უუნაროა, მოიმარაგოს ჩანასახოვანი სუბსტანცია, რომელსაც გამრავლების მიზნით შეუძლია გაეხსნას კოსმოსურ ეთერს; დავუშვათ, რომ ის უუნაროა, გარდაქმნას რომელიდაც სუბსტანცია თავის თავში შინაგანი ქვების საშუალებად, ანუ შეაგუროს ისინი თავის შინაგან ქვებას. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ ფუტკარი. ფუტკარს არ შეუძლია ჭამოს ყველაფერი. ის ჭამს მხოლოდ იმას, რასაც მცენარეები უმზადებენ. ამ დროს ჩანს რადაც ძალიან უცნაური და განსაცვიფრებელი. ფუტკარი უახლოვდება მცენარეს, ექებს თაფლის წვენს, შთანთქავს მას და შინაგანად ითვისებს, შემდეგ კი აშენებს იმას, რითაც ჩვენ აღვფრთოვანდებით, – გასაოცარ უჯრედოვანი სკის სტრუქტურას. აქ ვაკვირდებით ორ უცნაურ და საკვირველ პროცესს: ფუტკარს, რომელიც ზის ყვავილზე და წუწნის წვენს, შემდეგ კი ფუტკარს, რომელიც მოხვდება სკაში და შიგნით, სხვა ფუტკრებთან ერთად აშენებს ფიჭის უჯრედს, რომელიც ივსება თაფლით. სინამდვილეში რა ხდება აქ? თქვენ უურადღებით უნდა დააკვირდეთ უჯრედის ფორმას. ის ჩამოყალიბებულია ასეთი სახით (ნახ. 20), აი, ერთი უჯრედი, მას უერთდება სხვა და ა.შ. ეს პატარა უჯრედები ფორმით ემსგავსება კიდევ ისეთ რადაცას, რასაც ვპოულობთ ბუნებაში, ოღონდ იქ დრუ სივრცეები ამოვსებულია: მათ აქვთ კვარცის კრისტალების, სილიციუმის მევის კრისტალების მოხაზულობა. თუ მთაში წახვალოთ და დააკვირდებით კვარცის კრისტალებს, აღმოაჩენთ, რომ მათი დახატვა შეიძლება იგივე ფორმით. ნახატი, მართალია, აჩვენებს არეულ-დარეულ ხაზებს, მაგრამ ძირითა-

დად ფორმა იქნება ფუტკრის ფიჭის უჯრედის ფორმის მსგავსი, რომელიც მოთავსებულია გვერდიგვერდ. ოღონდ ფიჭის უჯრედები გაპეტებულია ცვილისგან, ხოლო კვარცის – სილიციუმის მევისაგან.



ნახ. 20

როცა ჩვენ ჩავწერებით ამ მსგავსების არსეს, აღმოვაჩენთ შორეული წარსულის დედამიწის განვითარების გარკვეულ მომენტს, როცა მთებში პირველად ჩამოყალიბდა კვარცის კრისტალი. ის წარმოიქმნა ეთერულისა და ასტრალურის საერთო გავლენით, სილიციუმის მევის დახმარებით. აქ ვხედავთ გარემოცვიდან მოსულ ზემოქმედებას, რომელიც მოქმედებს როგორც ეთერულ-ასტრალური ძალები და სილიციუმის სუბსტანციაში აშენებს კვარცის კრისტალებს. მთებში ყველგან იპოვით ამ კრისტალებს თავისი გასაოცარი ექსკუთხიანი ფორმით. ის, რაც იპოვეთ მაგარ კრისტალებში, ოქვენ ამას ისევ აღმოაჩენთ როგორც ცარიელ ფორმებს, ცარიელ მოცულობებს სკის ცვილის უჯრედებში. და მაინც, რა ხდება? ფუტკარი იდებს ყვავილისგან იმას, რამაც ოდესდაც კვარცის კრისტალი მიიყვანა წარმოქმნამდე, არსებობამდე. ფუტკარი იღებს ამას ყვავილიდან და შემდეგ თავისი სხეულის სუბსტანციიდან ქმნის კვარცის კრისტალის მსგავსს. პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ფუტკარსა და ყვავილს შორის, მსგავსია იმისა, რაც დიდი ხნის წინ ხდებოდა მაკროკოსმოსში.

მე მოგიყევით ამის შესახებ იმიტომ, რომ გაიგოთ, რამდენად მნიშვნელოვანია, და არა უბრალოდ მიაქციოთ ყუ-

რადღება ნახშირწყლის, აზოტის, უანგბადისა და წყალბადის არსებობას, რასაც მიიღებთ უსუსური აბსტრაქტული ანალიზით, არამედ თვალყური აღევნოთ და აღნიშნოთ გასაოცარი ფორმაქმნადი პროცესები, შინაგანი მსგავსების მდგრმარეობა, რომელიც არსებობს ბუნებასა და მის პროცესებში. ოდესდაც, უძველეს დროში, მეცნიერება ინსტინქტურად იქმნებოდა მსგავსი დაკვირვებებით. ეს ყველაფერი დაკარგულია კაცობრიობის ისტორიული განვითარების მსვლელობაში, დაახლოებით XV საუკუნეში. ჩვენ ეს უნდა დავაბრუნოთ. ჩვენ კვლავ უნდა ჩავწვდეთ ბუნების შინაგან კავშირებს და მის დამოკიდებულებას ადამიანთან. მხოლოდ მაშინ, როცა ისევ შევიმეცნებთ მსგავს კავშირებს, ჩვენ კვლავ შევძლებთ ჰემმარიტ შეღწევას როგორც ჯანსაღი, ისე ავადმყოფი ადამიანის არსებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ფარმაკოლოგია დარჩება შემთხვევით მეცნიერულ სინჯებზე დაყრდნობილ უბრალო ძიებად, რომელსაც საერთოდ არ ესმის შინაგანი კავშირების მოქმედება.

XV საუკუნიდან დღევანდელ დღემდე პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ უნაყოფო პერიოდი ადამიანური სულის განვითარებაში. მან ადამიანი დაიყვანა მის დონეზე დაბლა. ადამიანი უმზერს მცენარესა და ცხოველს, ადამიანის არსებასა და მინერალს მათი ყოველგვარი ნამდვილი გაგების გარეშე. იგი ამოღებულია სამყაროსა და კოსმოსთან უშუალო კავშირიდან. ჩვენს დროში განსაკუთრებით ამ უნაყოფო პერიოდმა ადამიანი ჩააგდო ქაოსში იმ ყველაფერთან მიმართებით, რაც ეხება მთლიან სამყაროსთან მის კავშირს. ადამიანი ცხოვრობს და არ იცის, რომ მას მაინც აქვს განსაზღვრული კავშირი მის გარემომცველ სამყაროსთან. იმ დროებში, როცა ადამიანი ფიქრობდა და მედიტირებდა მსგავს მოვლენებზე, ცნობილი იყო, რომ ყოველთვის, როცა მიმდინარეობს გამრავლება, დაღადებს მთელი მაკროკოსმოსი. ჩანასახსა და თესლში, რომელსაც შეუძლია გამრავლება, იბადება მთელი მაკროკოსმოსის მინიატურული ხატი. მთელი გარემოცვა არის სამყაროსეული მთლიანობა და უმცირეს ჩანასახშიც კი არსებობს შედეგი

იმ გავლენისა, რომელიც მოედინება მისკენ ყოველი მხრით სამყაროსეული მთლიანობიდან.

ადამიანის არსებაში ჩვენ შეგვიძლია, უპირველეს ყოვლისა, ვნახოთ ერთობლივი მოქმედება ძალებისა, რომლებიც წარმოადგენენ დედამიწის ფიზიკურ, ცენტრიდანულ ძალებს. ისინი მოქმედებს ადამიანის ყველა ორგანოში. ხოლო საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს ძალები, რომელიც შემოდის მასში ყველა მხრიდან – ეთერული ძალები. შეხედთ, მაგალითად, ღვიძლს ან ფილტვებს; თქვენ მხოლოდ მაშინ გაიგებთ მას, როცა იცით, რომ მათში ერთობლივად მოქმედებს ძალები, რომელიც მოდის დედამიწის ცენტრიდან და ძალები, რომელიც სამყაროს ყველა მიმართულებიდან მოდის. შემდეგ ჩვენ ასევე გვაქვს გარკვეული ორგანოები, რომლებიც განმსჭვალულია ასტრალური სხეულით ან „მე“ ორგანიზმით, მაშინ როცა სხვები ნაკლებადაა განმსჭვალული ამ უმაღლესი წევრებით. ძილის მდგომარეობაში ადამიანის არსებას, რა თქმა უნდა, მთლიანად არა აქვს თავის თავში ასტრალური სხეული და „მე“ ორგანიზმი. ახლა წარმოიდგინეთ, რომ რომელიდაც ორგანო, ვთქვათ, ფილტვები (ნახ. 15, მარჯვივ, მაღლა), ზოგიერთ შემთხვევაში ძლიერ ექვემდებარება ძალების მოქმედებას, რომელიც ყოველი მხრიდან მოდის მთლიანი კოსმოსიდან (იქვე, ხაზები). შედეგად ფილტვები ავადდება, ვინაიდან აუცილებელია გარკვეული პარმონია და წონასწორობა იმათ შორის, რაც მოქმედებს ფილტვებზე დედამიწის ცენტრიდან და იმათ შორის, რაც იღვრება მასში გარემოცვიდან. თუ შეძლებთ, იპოვოთ მინერალური სუბსტანციები, რომელიც ფილტვებისთვის უზრუნველყოფს ეთერული ძალების ზედმეტად ძლიერი მოქმედების საპირწონეს, მაშინ შეძლებთ მოთოკოთ მათი გადაჭარბებული აქტიურობა. ასევე შეიძლება მოხდეს საწინააღმდეგოც. ეთერული ძალები შეიძლება ძალიან დასუსტდეს, შესაბამისად, დედამიწის ცენტრიდან მოქმედი ფიზიკური ძალები ძალიან გაძლიერდეს. ამ შემთხვევაში თქვენ უნდა გადათხაროთ მთელი მცენარეული სამეფო, რომ იპოვოთ რაიმე, რომელიც გააძლიერებს ეთე-

რულ ძალებს ორგანოში, რომელშიც ისინი დასუსტდნენ. მაშინ თქვენ გექნებათ წამალი ამ შემთხვევისთვის.

მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური სხეულის დაკვირვებით სრულიად შეუძლებელია ვიპოვოთ უბრალო წამალიც კი, ვინაიდან ადამიანის ფიზიკურ სხეულს არა აქვს არანაირი ინსტრუმენტი, რომელიც მოვაწოდებს რაიმეს თავის საკუთარ აგებულებაზე. მასში მიმდინარე, ეგრეთ წოდებული, ნორმალური პროცესი, არის ბუნებრივი პროცესი, მაგრამ ბუნებრივი პროცესია ისიც, რომელიც მიმდინარეობს ავადმყოფობისას; თუ გაქვთ, ასე ვთქვათ, ნორმალური, ჯანმრთელი ღვიძლი, ეს ის ღვიძლია, რომელშიც მიმდინარეობს ბუნებრივი პროცესი. თუ ღვიძლში არსებობს ჩირქი, ესეც ღვიძლია, რომელშიც მიმდინარეობს ბუნებრივი პროცესები. განსხვავებას ვერასდროს იპოვით ფიზიკური სხეულის გამოკვლევის საშუალებით. ის, რასაც ფიზიკური სხეულის კვლევის საშუალებით იპოვით, არის მხოლოდ ფაქტის დადასტურება, რომ ერთი სურათი ამ შემთხვევაში განსხვავდება მეორისაგან. ამ მიზეზის შესახებ თქვენ ვერაფერს გაიგეთ. თუ თქვენ გამოიკვლევთ ჩირქოროვას (აბსცეს) ღვიძლში, მაშინ ამის მიზეზს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაარკვევთ, როცა გეცოდინებათ, რომ ამ დროს ასტრალური სხეული ღვიძლში იმაზე უფრო ძლიერადაა ჩანერგილი, ვიდრე ეს აუცილებელია; აუცილებელია გააკეთოთ ის, რომ ღვიძლიდან მოაცილოთ ასტრალური სხეული, რომელიც ძალიან ძლიერად დაეუფლა ამ ორგანოს.

ამ კველაფრისაგან ცხადი ხდება, რომ არ არსებობს რეალური შესაძლებლობა ადამიანის არსების ჯანმრთელობასა და ავადმყოფობაზე ვისაუბროთ მარტოოდენ ფაქტების საფუძველზე, სანამ ვიკვლევთ მხოლოდ ფიზიკურ სხეულს, თუ ჩვენს დაკვირვებაში არ ჩავრთავთ ასევე ადამიანის არსების უმაღლეს წევრებს. ნამდვილ ფარმაკოლოგიას მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ ისევ თავიდან, როცა ჩვენი კვლევით გავცდებით ფიზიკურ სხეულს, ვინაიდან მხოლოდ ფიზიკური სხეულის კვლევის საფუძველზე ავადმყოფობის მიზეზს ვერ განვსაზღვრავთ.

ამჟამად ჩემი ამოცანაა, ეს მოვლენები წარმოგიდგინოთ თავისი ისტორიული ასპექტითა და მათი ურთიერთკავშირით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველგვარი ნამდვილი ცოდნა ადამიანის არსების შესახებ უბრალოდ გაქრება თუ თანდათანობით შევასუსტებოთ და ჩავაქრობთ იმას, რაც გადმოტანილ იქნა წარსული დროებიდან. ახლა კი ვდავავართ აუცილებლობის წინაშე, რომ თავიდან მოვიპოვოთ ცოდნა ადამიანის არსებაზე. ასეთ ცოდნას მივაღწევთ, როცა ისევ გავიგებთ ადამიანის არსების მიმართებას გარემოცველი ბუნების სამეფოებთან.

ამოსავალ წერტილად ავიღოთ ადამიანის არსების „მე“-ორგანიზაცია. ხელდასხმის მეცნიერების საშუალებით ჩვენ თუ მივაღწევთ იმაგინაციურ შემცენებას და შეგძლებთ ადამიანის „მე“-ორგანიზაციის აღმას, მაშინ შეგვიძლია, საკუთარ თავს გაითხოთ: ადამიანის ორგანიზმის, მის თანამედროვე მდგომარეობაში, რომელ ნაწილთან არის მჭიდროდ დაკავშირებული „მე“-ორგანიზაცია? – ის განსაკუთრებულ კავშირშია კველაფრთან, რაც ადამიანის არსებაში მინერალურია. გამოდის, რომ, როცა თქვენ იღებთ რაიმე სპეციფიკურ მინერალურ ნივთიერებას, მაგალითად, როდესაც ენაზე იდებთ ცოტაოდენ მარილს, მაშინ ეს თქვენი „მე“-ორგანიზაცია მაშინვე იჭრება ამ მინერალურ სუბსტანციაში. სანამ ნივთიერება აგრძელებს მოძრაობას სხეულში, – მაშინაც, როცა მარილის სუბსტანცია კუჭშია, – „მე“-ორგანიზაცია რჩება ამ სუბსტანციასთან ერთად. მარილი ისევ აგრძელებს მოძრაობას, ის განიცდის სხვადასხვა ცვლილებას, გაივლის ნაწილაფებში, არც ერთ ადგილას „მე“-ორგანიზაცია არ ტოვებს მარილს. ისინი გვაგონებს ორ მჭიდროდ დაკავშირებულ საგანს, როცა ორივე ერთმანეთს ეკუთვნის: „მე“-ორგანიზაცია და მარილი, რომელიც შედის ადამიანის არსებაში.

სრულიად სხვაა, როცა ჭამთ, მაგალითად, მოხარშულ კვერცხს, ან სხვა მსგავსი კონსისტენციის ცილოვან ნივთიერებას. როცა ენაზე გიდევთ მოხარშული კვერცხის ნაჭერი, ეს „მე“-ორგანიზაციას სულ უმნიშვნელოდ ეხება; შემდეგ, როცა ის ჩავა კუჭში, მისით დაკავდება ასტრალური სხეული, თუმცა ასევე უმნიშვნელო სარისხით. შემდეგ

კვერცხი აგრძელებს მოძრაობას და მასზე ინტენსიურ ზემოქმედებას იწყებს ჯერ ეთერული, შემდეგ კი ფიზიკური სხეული. ისინი ანგრევენ თქვენ შიგნით ცილას, რომელიც მიიღეთ საკუთარ ორგანიზმში კვერცხთან ერთად. თავად კვერცხი თქვენს შიგნით გახდა სრულიად მინერალური. ის დაშლილი და განადგურებულია. ყველაფერი ცოცხალი განდევნილია მისგან. თქვენ მიერ გარედან მიღებული ცილოვანი სუბსტანცია ნაწლავების კედლებზე წყვეტს არსებობას როგორც ცილა და თვისებით ხდება მთლიანად მინერალური. სწორედ ამ დროს უკავშირდება იგი „მე“-ორგანიზმის. ამ მომენტიდან მინერალიზებულ ცილას ითვისებს „მე“-ორგანიზაცია.

ამრიგად, „მე“-ორგანიზაცია უკავშირდება მხოლოდ მინერალურს და ყველა მინერალური სუბსტანცია იცვლება მისი ზემოქმედებით. ადამიანურ ორგანიზმი ის ხდება სხვანაირი, ვიდრე იყო მის გარეთ. ადამიანის ორგანიზმის შიგნით არც ერთ მინერალურ ნივთიერებას არ შეუძლია დარჩეს ისეთად, როგორიცაა გარეთ. „მე“-ორგანიზმი ამას თვალყურს ადევნებს უმკაცრესი სახით. ამასთან, „მე“-ორგანიზმის გავლენის ქვეშ ექცევა და შინაგანად სრულიად სხვა რამედ გარდაიქმნება არა მარტო ისეთი ნივთიერება, როგორიცაა სუფრის მარილი ან მისი მსგავსი. ადამიანური არსება გარემოცულია განსაზღვრული ტემპერატურული პირობებით, მაგრამ ამ გარეგნულმა პირობებმა არ უნდა შეაღწიოს ადამიანის არსებაში. თქვენ არ შეგიძლიათ თუნდაც სხეულის პატარა კიდე შეავსოთ იმით, რაც თქვენ გარშემო არსებობს სითბოს სახით. ასეთი სითბო შეიძლება მოქმედებდეს, როგორც მხოლოდ სტიმული და თქვენ თავად უნდა წარმოქმნათ სითბო, რომელიც თქვენ შიგნითაა. იმ მომენტში, როცა თქვენ უბრალოდ, ასე ვთქვათ, წარმოადგენთ აბიექტს და თავად არ ქმნით საკუთარ სითბოს ან სიცივეს, არამედ გარეგან სითბოს უფლებას აძლევთ, იმოქმედოს თქვენზე ისე, როგორც რომელიმე გარეგან საგანზე, – თქვენ ავადდებით. თქვენ ავად გაგხდით თავად გარეგანი სითბო, არა თუ ნივთიერება, არამედ სითბო. დაფუშვათ, თქვენ გაქვთ აქ, ცეცხლთან პირსახოცი ან დრუბელა. პირ-

სახოცი ან დრუბელა მხოლოდ გადასცემს უფრო შორს ცეცხლისგან გამოსულ სითბოს. მაგრამ, როცა სითბო ცეცხლიდან მიაღწევს ადამიანის არსების კანამდე და მოქმედებს გრძნობების ორგანოებზე, მათი სტიმულირებით, მაშინ ის მეტად ადარ უნდა გავრცელდეს მსგავსი სახით: ამ დროს უნდა დაიწყოს რეაქცია, და შინაგანი სითბო წარმოიქმნას შიგნიდან. თუ ადამიანი გრძნობს ურულას, ასეთი მდგომარეობა მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ მან თავის თავს სტიმული მისცა არა მარტო თავისივე საკუთარი სითბოს შექმნისთვის, არამედ ნება მისცა გარეგან სიცივეს გარკვეულ დონემდე შეეღწია კანქვეშ. მაშასადამე, მან თავისი ადგილი სამყაროში მთლიანად აქტიური ადამიანური არსების სახით კი არ დაიკავა, რომელიც თავის თავს ივსებს თავისი საკუთარი აქტიურობით და თავისი საკუთარი იმპულსებით, არამედ ითამაშა უფრო ობიექტის როლი, რომელიც უფლებას აძლევს გარე სამყაროს მოქმედებასა და ზეგავლენებს იდინონ მისი მეშვეობით. სწორედ ეს არის „მე“-ორგანიზაციის ძირითადი ბუნება, რომ ის ისრუტავს თავად იმას, რაც არის მინერალური და მთლიანად გარდაქმნის მას შიგნიდან, როცა მას გადააქცევს სრულიად სხვა რამედ.

მხოლოდ გარდაცვალებისას, მინერალური ჩვენგან ბრუნდება უკან გარეგანი ბუნების მინერალურში. სანამ ვცხოვრობთ დედამიწაზე და ჩვენში არის მინერალური, რომელიც მოთავსებულია კანის საზღვრებში, მანამდე „მე“-ორგანიზაცია განუწყვეტლივ აგრძელებს მის გარდაქმნას. ანალოგიურად, ჩვენ მიერ მცენარეული ბუნებიდან მიღებული განუწყვეტლივ გარდაიქმნება ასტრალური სხეულის მოქმედებით. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ყველაფერში, რასაც აქვს მინერალური ბუნება, „მე“-ორგანიზაციი იწვევს მთლიან მეტამორფოზას – არა მარტო მყარ, ასევე თხევად და გაზისებრ მინერალურში და სითბოს მინერალურში. ცხადია, ჩვეულებრივ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: აქ ყველაგან არის წყალი, მე მას კვევამ. ახლა ეს წყალი მე მაქვს ჩემ შიგნით. მაგრამ ჭეშმარიტება ის არის, რომ იმ მომენტიდან, როცა ჩემთა ორგანიზმმა მიიღო წყალი, ჩემი „მე“-ორგანიზაციის მოქმედე-

ბის მიზეზით ეს წყალი ჩემ შიგნით უკვე აღარ არის ისეთი, როგორიც გარეთ იყო. ის მხოლოდ მაშინ გახდება ისეთივე, როცა მე გამოვყოფ მას ოფლის სახით ან სხვა რომელიმე ხერხით. ჩემი კანის საზღვრებში წყალი არ არის წყალი, არამედ ეს არის ცოცხალი სითხე.

ასეთივე მიღეომით უნდა შევცვალოთ ჩვენი აზრები მოვლენების დიდ უმრავლესობაზე. დღეს მე შევძლი, თქვენთვის მომეცა მხოლოდ მცირედი მინიშნებები. კარგად აწონ-დაწონეთ ისინი. იფიქრეთ, ცილა როგორ უნდა გახდეს დეზორგანიზებული და დაშლილი, რომ დაექვემდებაროს მთელი მაკროკოსმოსის ზემოქმედებას. დაფიქრდით, ჩემ მიერ დალექლი წყალი როგორ გადაიქცევა ჩემში ცოცხალ სითხედ და უკვე აღარ არის არაორგანული წყალი: წყალი განიმსჭვალება „მე“-ორგანიზაციით. დაფიქრდით, რომ, თუ თქვენ ჭამთ კომბოსტოს, მაშინ ის თქვენ გარეთ იყო კომბოსტო, ხოლო თქვენ შიგნით ასტრალური სხეული აღიქვამს კომბოსტოს თავის თავში და გარდაქმნის რადაც სრულიად სხვად. აქ ჩვენ ვუახლოვდებით ადამიანის სხეულში ძალზე მნიშვნელოვანი პროცესების განხილვას. ჩვენ ვსწავლობთ, გავიგოთ, როგორ გვაქვს ნივთიერებათა ცვლის სისტემაში პროცესები, რომლებიც მხოლოდ ერთი ევოლუციური საფეხურით ჩამორჩება იმ ცვლის პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს, მაგალითად, ჩვენს ტვინში, რომელიც აშენებს ნერვულ სისტემას და ა.შ. მე ვისაუბრებ ამის შესახებ ხვალ და ავსენი ამ პროცესებთან დაკავშირებით XII და XX საუკუნეების ადამიანებს შორის ძირეულ განსხვავებას. ჩვენ ვნახავთ, რომ აუცილებელია ახალი იმპულსები, თუ ადამიანები ელოდებიან და სურთ პროგრესი ჯანმრთელობისა და ავადმყოფის გაგებაში; ამიტომ ადამიანის შემეცნების გარეშე უკვე ვეღარაფერს გავიგებთ ჯანსაღ თუ ავადმყოფ ადამიანზე. ამრიგად, მათ შესახებ საუბარს ხვალ გავაგრძელებთ.

მერვე ლექცია
დორნახი, 1923 წლის 31 დეკემბერი

ჩვენ ვდგავაროთ მტანჯველი მოგონებების სურათის წინაშე და მე მინდა, დღევანდელი ლექციის თემა მივუძღვნა ამ მტანჯველ მოგონებებს. აქ დამსწრეთაგან ვინც ესწრებოდით ზუსტად ერთი წინ ძველ გოეთეანუმში ჩემ მიერ წაკითხულ ლექციას,* გეხსემძღვანი, რომ ის ლექცია ეხებოდა ბუნების აღწერას, ბუნებაში არსებულ მიმართებებს, რომელთა დაკვირვებაც შესაძლებელია დედამიწაზე და მათგან გადავედით სულიერ სამყაროებში და ვარსკვლავიერი დამწერლობიდან ამ სულიერ სამყაროთა გამოცხადებაში. თქვენ უნდა გახსოვდეთ, როგორ მჭიდროდ ვაკავშირებდით შემდეგ ადამიანის გულს, სამშვინველსა და სულს მათი ბუნებისა და არსების მთლიანობაში იმასთან, რასაც მოიპოვებენ იმ გზაზე, რომელსაც დედამიწიდან გაჰყავს შორეულ ვარსკვლავიერ სივრცეებში, სადაც სულიერმა მოხაზა თავისი კოსმიური დაწერილობა. და სიზყვები, რომლებიც მე მაშინ დაფაზე უკანასკნელად დაგწერე დარბაზში, რომელიც ასე სწრაფად და მოულოდნელად შთანთქა ცეცხლმა, თავის შიგნით ატარებდა იმპულსები და მოწოდებას, რომელიც ადამიანის სამშვინველს აღამაღლებდა სულიერ სიმაღლეებში. იმავე საღამოს შევეხეთ იმას, რასაც ეძღვნებოდა თავისი ჩანაფიქრით ჩვენი გოეთეანუმი. ნება მომეცით, დღესაც ვისაუბრო თქვენთან იმ მოვლენებზე, თითქოსდა ვაგრძელებდე ლექციას, რომელიც წავიკითხე აქ ერთი წლის წინ.

იმ დროში, რომელიც წინ უსწრებდა ეფესოს დაწვას, როცა საუბრობდნენ მისტერიების შესახებ, – იმ პირობით, რომ საუბრობდნენ საქმის მცოდნე ადამიანები, – მაშინ ამბობდნენ შემდეგს: ადამიანური ცოდნის, ადამიანური სიბრძნის ცენტრი და სავანე მისტერიებია. ხოლო, როცა იმ ძველ დროს სამყაროს სულიერი წინამდღლები საუბრობდნენ მისტერიებზე, როცა ზეგრძნობად სამყაროებში გამოთქვამდნენ აზრს, – მე ჩემს თავს უფლება მივეცი, ასე გამომჟღვა, თუმცა ეს ფიგურალური გამოთქმაა და მეტი არაფერი, რომლის დანიშნულებაა აღვწერო ის, თუ როგორ ჩამოდიან აზრები და ზემოქმე-

დებები ზეგრძნობადიდან გრძნობად სამყაროში, – ანუ, როცა მისტერიების შესახებ აზრს გამოთქვამდნენ ზეგრძნობად სამყაროებში, ეს დაახლოებით ასე ხდებოდა: მისტერიებში ადამიანი მოაწყობს ადგილს, რომელშიც ჩვენ, ღმერთებს, შეგვიძლია კიპოვოთ ადამიანები, რომლებიც მოიგანენ მსხვერპლს და ამ მსხვერპლშეწირვის დროს შეძლებენ ჩვენს წვდომას. ვინაიდან, ფაქტობრივად, ძველი დროის ადამიანები, ძველი დროის მცოდნე ადამიანები აცნობიერებდნენ, რომ ღმერთები ადამიანებს ხედებოდნენ მისტერიების ადგილებში; მათ იცოდნენ, რომ ყველაფერი ის, რაც ამოძრავებს და რასაც უჭირავს სამყარო, ეყრდნობა იმას, რაც ხდება წმინდა მისტერიებში ღმერთებსა და ადამიანებს შორის.

თუმცა არის გარკეული სიტყვები, ჩვენამდე მოღწეული ისტორიიდან, რომელთაც შეუძლიათ მბრძანებლურად ესაუბრონ ადამიანის გულს თუნდაც გარეგნული ისტორიული თქმულებიდან; მაგრამ განსაკუთრებული ძალითა და სერიოზულობით საუბრობენ, როცა ჩვენ ჰქედავთ, როგორ მკაფიოდ ჩნდებიან ისინი უპრეცედენტო მოვლენიდან, როცა მათ ვხედავთ კაცობრიობის ისტორიაში რკინის ასოებით ჩაბეჭდილს, თუმცა მათი მოხაზულობა შეიძლება მხოლოდ წამიერად იხილო სულში. მე თქვენ გეუბნებით, რომ ყოველთვის, როცა სული მიაჟრობს თავის მზერას პეროსტრატეს მოქმედებას, ეფუსოს დაწვას, ამ ცეცხლის ენებში შეიძლება ამოიკითხო უძველესი სიტყვები: ღმერთების შური.

მრავალ სხვადასხვა გამოთქმას შორის, რომელმაც უძველესი დროიდან მოაღწია ჩვენამდე, ყველა სიტყვას შორის ფიზიკურ სამყაროში, სწორედ ეს სიტყვები, – და მე სრულიად დარწმუნებული ვარ ამაში, – წარმოადგენენ განსაკუთრებით საშინელს: ღმერთების შური. იმ უძველეს დროებში სახელს „ღმერთი“ მიაკუთვნებდნენ ზეგრძნობადი ბუნების ყველა არსებას, ყველა სახის არსებას, რომლებიც არ საჭიროებდნენ დედამიწაზე ფიზიკურ სხეულში მოსვლას. გამოარჩევდნენ მრავალი სხვადასხვა სახის ღმერთს. ადამიანთან ყველაზე მჭიდროდ დაკაგშირებული ღვთაებრივ-სულიერი არსებები, რომელთაგანაც ადამიანი წარმოიშობა თავის ყველაზე შინაგან ბუნებაში და რომელთაც ის ჩააგდეს დროის ნაკადში,

არსებითად იგივე არსებებია, რომლებსაც ჩვენ შევიმეცნებთ ბუნების სიდიადესა და მის უმცირეს გამოვლინებებში და რომლებსაც ჩვენ ასევე აღმოვჩენთ იმაში, რაც ცხოვრობს ჩვენს საკუთარ იღუმალ „მე“-ში, – ეს ღვთაებრივ-სულიერი არსებები, რასაც კვირველია, არ შეიძლება ყოფილიყვნენ შურიანები. და მაინც, იმ უძველეს დროში ღმერთების შური ადამიანისთვის რადაც საგსებით რეალური იყო. თუ მიმოვისილავთ კაცობრიობის განვითარებულმა წარმომადგენლებმა თავიანთ არსებაში ბევრი რამ აითვისეს იმისგან, რასაც კეთილი ღმერთები გადასცემდნენ მათ მისტერიებში. ჩვენ არ შევცოდავთ ჰეშმარიტების წინაშე, თუ ვიტყვით, რომ არსებობდა მჭიდრო ურთიერთკავშირი კეთილ ადამიანთა გულებსა და კეთილ ღმერთებს შორის და ეს ახლო ურთიერთკავშირი სულ უფრო მჭიდროდ იკვრებოდა მისტერიებში. მაგრამ ღვთაებრივი ბუნების სხვა ცნობილმა არსებებმა, ლუციფერულ-არიმანულმა არსებებმა გაიგეს, რომ ადამიანი უფრო და უფრო უახლოვდება კეთილ ღმერთებს. და ღმერთების ამ ნაწილს შორის წარმოიშვა შური, შური ადამიანის მიმართ. კაცობრიობის ისტორიაში ჩვენ კვლავ და კპლავ გვესმის, როგორ ხდება სულისკენ მსწრაფი ადამიანი ტრაგიკული ბედის მსხვერპლი. უძველეს დროში ასეთ მოვლენებზე ამბობდნენ, რომ ეს გამოწვეულია ღმერთების შურით.

ბერძნებმა შშვენივრად იცოდნენ, რომ არსებობს ღმერთების შური; ამას მიაწერდნენ ისინი ბევრ რამეს, რაც ხდებოდა ადამიანის ისტორიაში. ეფესოს დაწვით გამოაშკარავდა, რომ შემდგომი სულიერი განვითარება შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანი გააცნობიერებს, რომ არსებობენ ღმერთები, ანუ ზეგრძნობადი არსებები, რომლებსაც შურთ ადამიანის შემდგომი განვითარების. ეს ანიჭებს განსაკუთრებულ კოლორიტს მთელ ისტორიას ეფესოს დაწვის შემდეგ, – ან, მე ვიტყოდი, აღექსანდრეს დაბადების შემდეგ. ეს არსებითია გოლგოთის მისტერიის სწორად გასაგებად.

ჩვენს მზერას ეხსნება სამყარო, რომელიც სავსეა გარკეული სახის ღმერთების შურით. იმ დროიდან, რომელიც

დაიწყო მალე, სპარსეთის ომის შემდეგ, ბერძნული სამყაროს მშვინვერი ატმოსფერო აივსო დმერთების შურის გამოვლინებებით. მაკედონიურ ეპოქაშიც საჭირო იყო ემოქმედათ იმის სრული გაცნობიერებით, რომ დმერთების შურითაა გაუდენოილი მშვინვერი ატმოსფერო დედამიწის ზედაპირზე. მაგრამ ადამიანები მოქმედებდნენ გაბედულად და შემართებით – დმერთებისა და ადამიანების ურთიერთგაუგებრობის მიუხედავად.

დმერთების შურით ნასაზრდოებ ამ ატმოსფეროში შემდეგ ჩაიძირა იმ დმერთის მოქმედება, რომელიც ატარებდა სიყვარულის წარმოუდგენლად დიდ ძალას, როგორიც შეიძლება საერთოდ არსებობდეს სამყაროში. ჩვენ მხოლოდ მაშინ დავინახავთ გოლგოთის მისტერიას ჰეშმარიტი სახით, როცა ყველაფერს, ჩვენ მიერ მის შესახებ გაგებულს, დავუმატებოთ უძველეს დროში საბერძნეთზე, მაკედონიაზე, მცირე აზიაზე, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ ევროპაზე ჩამოწოლილ უზარმაზარ შავ დრუბლებს, რომელიც დმერთების შურის გამოხატულებაა. შემდეგ კი ამ დრუბლებით ავხეტულ ატმოსფეროში ჩვენ ჰქონდებოთ სიყვარულის თბილ და მშვიდ სხივებს, რომელიც იფრქვევა გოლგოთის მისტერიიდან.

როცა ვუახლოვდებით ჩვენს საკუთარ დროს, მაშინ ის, რაც წარსულ საუკუნეებში იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, დმერთებისა და ადამიანების საქმე, ადამიანის თავისუფლების ამ ეპოქაში უნდა გათამაშდეს ქვევით, ადამიანთა ფიზიკურ ცხოვრებაში. ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ, როგორი სახით თამაშდება ეს. უმველეს დროებში, როცა ადამიანები ფიქრობდნენ მისტერიებზე, მაშინ ეს შეიძლებოდა გამოეხატათ სიტყვებით: მისტერიებში, – ამბობდნენ ისინი, – თავშესავარი აქვს ადამიანურ ცოდნას, ადამიანურ სიბრძნეს. ხოლო, როცა მისტერიებზე საუბრობდნენ დმერთები, მაშინ ამბობდნენ: როცა ჩვენ ჩამოვდივართ მისტერიებში, ვხედავთ მსხვერპლშეწირვას ადამიანური არსებებისაგან და ადამიანური არსებები გვწვდებიან ამ მსხვერპლშეწირვისას.

ეფესოს დაწვა მოწმობს მისტერიების, მათი ძველი ფორმით, რომ თანხათან გაქრობის ეპოქის დასაწყისს. მე გვუბნებოდით, მისტერიები აქა-იქ შენარჩუნდა: მაგალითად, ჰიბრი-

ულ მისტერიებში გოლგოთის მისტერია გრანდიოზულად იზეიმეს კულტის შესრულებისას სწორედ იმ დროს, როცა იგი პალესტინაში ფიზიკურად ხდებოდა. ამის შესახებ ცოდნა მათ მიიღეს არა ურთიერთობის ფიზიკური საშუალებების, არამედ პალესტინასა და ჰიბრინას შორის სულიერი ურთიერთობის წყალობით. და მაინც, მისტერიების ჰეშმარიტი არსი სულ უფრო მეტად იხევდა უკან. გარეგანი ცენტრები, დმერთებისა და ადამიანების შეხვედრის ყოფილი ადგილები, სულ უფრო კარგავდა თავის მნიშვნელობას. XIII-XIV საუკუნეებში ისინი თითქმის მთლიანად გაქრა. გზის ყველა მაძიებელს, ვთქვათ წმ. გრაალისკენ, უნდა სცოდნოდა, როგორ ეპლო სულიერ გზებზე. უძველეს დროში, ეფესოს დაწვამდე, ადამიანი გადიოდა ფიზიკურ გზებს. შეა საუკუნეებში საჭირო იყო სულიერი გზების გავლა.

ვისაც სურდა, ეხელმძღვანელდა ჰეშმარიტი როზენკროიცერული მეთოდით XIII-XIV და განსაკუთრებით XV საუკუნიდან, მათვის უპირველესად საყრდენი იყო სულიერი გზები. ვინაიდან როზენკროიცერების ტაძრები გულმოდგინედ იყო გადამალული გარეგნული ფიზიკური თვალისოვნის. ჰეშმარიტი როზენკროიცერები სშირად სტუმრობდნენ ამ ტაძრებს, და ეს ასეა, მაგრამ ადამიანის გარეგან ფიზიკურ თვალს არ შეეძლო მათი პოვნა. მიუხედავად ამისა, იქ იყვნენ მოწაფეები, რომლებიც მიდიოდნენ ამ ძველ როზენკროიცერებთან, ვინაიდან ცალკეულ აღგილებში ნამდვილად შეიძლებოდა ჰეშმარიტი როზენკროიცერების პოვნა. ისინი მოგვაგონებდნენ სიბრძნისა და სიწმინდის განვითარებებს. მათი მოძებნა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც უნარი ჰქონდა მათი თვალების მშვიდ ნათებაში აღექვა დმერთების ენა. მე არ ვამბობ მხოლოდ ქარაგმულად. მე მივუთითებ რეალობაზე, რომელიც იმ დროისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო. როზენკროიცერი მაისტერის საპოვნელად, მოწაფეს ჯერ უნდა განევითარებინა შესაძლებლობა, აღექვა ცათა ენა ფიზიკური თვალის მშვიდ ნათებაში. მაშინ შეიძლებოდა აქა თუ იქ, შეა ევროპაში, XIV და XV საუკუნეებში ეპოვათ ეს ძალიან სადაც და უპრეტენზოდ მცხოვრები შესანიშნავი, ღვთივშოთაგონებული ადამიანები, რომლებიც თავიანთი შინაგანი ცხოვრებით იყვნენ დაკავშირების დაწვერას და ადამიანური არსებების გვწვდებიან ამ მსხვერპლშეწირვისას.

ბულნი სულიერ ტაძრებთან, რომლებიც სინამდვილეში არსებობდა, მაგრამ რომლებთანაც მისასვლელი არანაკლებ როგორი იყო, ვიდრე ლეგენდარულ წმინდა გრალთან.

სულიერი ჭვრეტით იმის დაკვირვებისას, რაც ხდებოდა როზენკროცერ მაისტერსა და მის მოწაფეს შორის, შეგვიძლია მოვისმინოთ უამრავი საუბარი, რომელიც ერთხელ კიდევ აჩვენებს, თავისი საუკუნისთვის დამახასიათებელი ფორმებით, როგორ ცხოვრობს და ვრცელდება ღმერთების სიბრძნე დედამიწაზე. რადგან ამ მაისტერების მითითებები თავისი საფუძვლით იყო ობიექტური და კონკრეტული. რომელიდაც განმარტოებულ როზენკროცერ მაისტერს პოულობდა მოწაფე, რომელიც თავს არ ზოგავდა, მოქნახა იგი. როდესაც მოწაფე უყურებდა მაისტერის მშვიდ თვალებს, რომელთაგანაც იღვრებოდა ღმერთების საუბარი, იგი მთელი მორჩილებით იღებდა დაახლოებით შემდეგ მითითებას.

შეხედე, შეიძლო ჩემო, შენს საკუთარ არსებას. შენ ატარებ შენზე სხეულს, რომელიც ფიზიკური თვალებით ჩანს. დედამიწის ცენტრი ამარაგებს ამ სხეულს ძალებით, რომელიც მას ხილულს ხდის. ეს შენი ფიზიკური სხეულია, მაგრამ შეხედე შენს ირგვლივ მიწიერ გარემოცვას. შეხედე კრისტალს; ის თავის ფორმას შიგნით თავის თავში ატარებს. დედამიწა მას ეხმარება, შეინახოს ფორმა, რომელიც ეკუთვნის მის საკუთარ არსებას. შენს ფიზიკურ სხეულს ეს არ შეუძლია. როდესაც სამშვინველი ტოვებს მას, ის ინგრევა, მტვრად იქცევა. დედამიწას არა აქვს ძალაუფლება შენს ფიზიკურ სხეულზე, მას შეუძლია ფორმა მისცეს და ასევე შეინახოს გამჭვირვალე კრისტალური მოები თავიანთი განსაცვიფრებელი კონფიგურაციით, მაგრამ დედამიწას არ შეუძლია შენი ფიზიკური სხეულის ფორმის შენახვა, მან იგი მტვრად უნდა აქციოს. შენი ფიზიკური სხეული არ არის დედამიწისგან, იგი ზეციური სულიერებისგანაა. შენი ფიზიკური სხეულის ფორმა და სახე ეკუთვნის სერაფიმებს, ქერუბიმებსა და საყდართ. შენი ეს ფიზიკური სხეული ეკუთვნის არა დედამიწას, არამედ უმაღლეს სულიერ ძალებს, რომლებიც ადამიანისთვის ხელმისაწვდომია. დედამიწას შეუძლია მისი დაშლა, მაგრამ აგება – არასდროს.

შიგნით, ამ ფიზიკურ სხეულში იმყოფება ეთერული სხეული. დადგება დღე, როდესაც შენს ფიზიკურ სხეულს დედამიწა გაანადგურებს. მაშინ შენი ეთერული სხეული განიბნევა კოსმოსის შორეულ სივრცეებში. კოსმოსის შორეულ სივრცეებს შეუძლიათ მისი მხოლოდ გაბნევა, მაგრამ არ შეუძლიათ შენი ეთერული სხეულის ხელახლა აგება; მისი აგება შეუძლიათ მხოლოდ ღვთაებრივ, სულიერ არსებებს – ძალთა, ხელმწიფებათა, უფლებათა იერარქიების არსებებს. მათგან ხარ დავალებული შენი ეთერული სხეულით. შენი ფიზიკური სხეულით შენ შეერთებული ხარ დედამიწის ფიზიკურ სუბსტანციებთან, მაგრამ ის, რაც შენ შიგნით არის, გარდაქმნის ამ სუბსტანციებს რაღაც სრულიად განსხვავდულად იმ ევფლაფრისგან, რაც ფიზიკურად არსებობს ფიზიკური სხეულის გარემოცვაში. შენი ეთერული სხეული ამოძრავებს კველაფერს, რაც შენ შიგნით თხევადია. სითხეები მათი ცირკულაციის დროს თავისი ეთერული სხეულის გავლენის ქვეშა. შეხედე შენს სისხლს! ეს ძალი, ხელმწიფებანი და უფლებანი აიძულებენ თხევად სისხლს ცირკულაცია მოახდინონ შენს ძალებებში. შენ ადამიანი ხარ მხოლოდ ფიზიკური სხეულით, ეთერული სხეულით შენ ჯერ ისევ ცხოველი ხარ, თუმცა ცხოველი ინსპირირებული მეორე იერარქიის მიერ.

ის, რაც აქ მოკლედ წარმოვადგინე, იყო შინაარსი ვრცელი მითითებებისა, მოცემული ისეთი მაისტერების მიერ, რომელთა მშვიდ თვალთა ნათებაში მოწაფე ითვისებდა ცათა ენას და მაშინ იგი ყურადღებას აქცევდა დადამიანური არსების მესამე წევრს, რომელსაც გუწოდებთ ასტრალურ სხეულს. მისთვის ნათელი ხდებოდა, რომ სწორედ ასტრალურ სხეულშია სუნთქვის იმპულსი, იმ ყველაფრის იმპულსი, რომელიც ფეთქს, როგორც ჰაერი ამ ჩვენი სხეულის შიგნით. ასე რომ, სრული სიმართლეა, რომ კარგა ხნის შემდეგ, როცა ადამიანი გაივლის სიკვდილის კარიბჭეს, მიწიერი ბუნება თითქოსდა წარმოქმნის აღმფოთებებს ჰაერის ელემენტში, იმდენად ძლიერს, რომ ნათელმხილველურ მზერას შეუძლია, მრავალი წლის განმავლობაში დააკვირდეს დედამიწის აგმოსფერულ მოვლენებში განსვენებულთა ასტრალური სხეულების ქროლვას. მიუხედავად ამისა, დედამიწას შეუძლია მისი დაშლა, მაგრამ აგება – არასდროს.

სფეროთი, ასტრალური სხეულის იმპულსებთან მიმართებით ასევე არ შეუძლია გააკეთოს რაიმე სხვა, გარდა მათი გაბნებისა. გთავავ ისინი შეიძლება ხელახლა იყოს შექმნილნი მხოლოდ მესამე იერარქიის არსებების – საწყისთა, მთავარანგელოზთა და ანგელოზთა იერარქიის მიერ.

მაისტერის საუბრისას მისი სიტყვები ღრმად იჭრებოდა მოწაფის სამშვინველში: შენი ფიზიკური სხეულით, რამდენადაც ითვისებ შენში მინერალურ სამეფოს და გადაამუშავებ მას, შენ ეკუთვნი სერაფიმებს, ქრისტიმებსა და საყდრებს. რამდენადაც შენ გაქვს ეთერული სხეული, შენ ემსგავსები ცხოველს. ამ მხრივ შენ ეკუთვნი სულებს, რომლებსაც აღვნიშნავთ, როგორც მეორე იერარქიას – ხელმწიფებანი, ძალი, უფლებანი. რამდენადაც შენ ცხოვრობ და მოძრაობ თხევად ელემენტში, შენ ეკუთვნი არა დედამიწას, არამედ ამ იერარქიებს. და რამდენადაც შენ ცხოვრობ და მოძრაობ ჰაერის ელემენტში, შენ ეკუთვნი არა დედამიწას, არამედ საწყისთა, მთავარანგელოზთა და ანგელოზთა იერარქიებს.

როდესაც მოსწავლე საკმარისად გაითავისებდა ყველა ამ მითოებას, იგი მეტად უკვე ადარ გრძნობდა, რომ დედამიწას ეკუთვნოდა. იგი გრძნობდა მისი ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეულებიდან გამომდინარე ძალებს, რომლებიც მას იერარქიებთან აკავშირებდა. რადგანაც ის შეიგრძნობდა, როგორ არის იგი მინერალური სამყაროთი დაკავშირებული პირველ იერაქიასთან, დედამიწის თხევადის მეშვეობით – მეორე იერარქიასთან, ხოლო ატმოსფეროს მეშვეობით – მესამესთან. მას ეხსნებოდა, რომ იგი დედამიწის მკვიდრს წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ სითბოს ელემენტის მიზეზით, რომელსაც საკუთარ თავში ატარებდა. ასეთი გზით როზენკრონიცერი მოწაფე მიდიოდა იმის წვდომამდე, რომ სითბო, ფიზიკური სითბო მის შიგნით არის სწორედ ის, რაც მას აქცევს ადამიანად დედამიწაზე. და იგი, სულ უფრო და უფრო მეტად სწავლობდა, შეეგრძნო, რაოდენ მჭიდროდად დაკავშირებული სამშვინველისა და სულის სითბო ფიზიკურ სითბოსთან. შემდგომი დროის ადამიანმა თანდათან დაკარგა ყოველგვარი ცოდნა იმის შესახებ, როგორ არის მისი ფიზიკური, ეთერული და ასტრალური შინაარსი დაკავშირებული ღვთაებ-

რივთან მყარი, თხევადი და ჰაერის ფორმების მეშვეობით. როზენკრონიცერმა მოწაფე ეს კარგად იცოდა; მან კარგად იცოდა, რომ ის, რამაც შექმნა იგი მიწიერად, სულაც არ იყო ეს ზემოსსენებული სტიქები, არამედ იყო სითბოს ელემენტი. იმ მომენტიდან, როცა როზენკრონიცერი მასწავლებლის მოწაფე აღიქვამდა, დედამიწაზე ადამიანის სახით მთელ მის ცხოვრებასთან სითბოს სტიქის კავშირის ამ საიდუმლოს, მან იცოდა, როგორ შეეერთებინა ადამიანური სულიერთან.

შემდეგ, მოწაფეების, რომლებიც მიღიოდნენ ამ მეტწილად სადა ქონებში, სადაც ცხოვრობდნენ როზენკრონიცერი მაისტერები, წინასწარ ამზადებდნენ ისეთი ხერხებით, რომლებიც მათ ს შირად სრულიად უადგილოდ და ზოგჯერ უცნაურადაც კი ეჩვენებოდათ. მათ გადაკვრით ეტყოდნენ, ზოგს ასე, სხვებს სხვანაირად, უმთავრესად თითქოს გარეგნულად შემთხვევით: თქვენ უნდა ეძებოთ, თუ სად ერწყმის თქვენი საკუთარი სულიერი ბუნება სულიერ კოსმოსს. თუ მოწაფე გაითავისებდა იმ მითოებებს, რომლებზედაც მე გაუბნებოდით, ის ეუბნებოდა მაისტერს: მე თან მიმაქვს უდიდესი ნუგეში, რაც კი არსებობს დედამიწაზე. გთავავ იმისგან, რაც მაჩვენეთ, რომ მიწიერ ადამიანს აქვს თავისი საკუთარი სტიქია სითბოში, თქვენ მე გამიხსენით შესაძლებლობა, ჩემი ფიზიკური ბუნება გამეეერთოანებინა სამშვინველობან და სულთან. მაგარი ძვლები, დენადი სისხლი, ჰაერით სუნთქვა, – არც ერთ მათგანში არ შემაქვს მე საკუთარი მშვინვიერი ბუნება, არამედ მხოლოდ – სითბოს ელემენტში.

იმ დღეებში მოწაფე ტოვებდა თავის ოსტატს და თან მიჰქონდა უსასრულო მშვიდობა და სიმშვიდე. მისი სახე გამოხატავდა მიღებულ უდიდეს ნუგეშს და ეს მშვიდი იერი თანდათან ბადებდა იმ მსუბუქ და უწყინარ გამოხედვას, რომელშიც შეიძლებოდა გახმიანებულიყო ზეციური ენა. ასე ვპოულობთ ჩვენ იმ წარსულ დროებში, XV საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით, ღრმა მითოებებს სამშვინველობან მიმართებით; თუმცა ისინი სრულიად უცნობია იმ მოვლენებთან შედარებით, რომელზედაც ყვება გარეგანი ისტორია. და მაინც, ისინი არსებობდნენ და ეს იყო მითოებები, რომლებიც ღრმად იჭრებოდა ადამიანის არსებაში და ადამიანის სამშვინველს სა-

შუალებას აძლევდა თავისი საკუთარი ბუნება შეერთებინა სულიერ-კსმიური სფეროსთვის.

მთელი ეს სულიერი ატმოსფერო მომდევნო ასი წლის განმავლობაში გაქრა. ის უკვე აღარ არის ჩვენს ცივილიზაციაში. გარეგანი, სულისგან გაუცხოებული ცივილიზაცია გავრცელდა ქვეყნებში, სადაც ოდესაც შეიძლებოდა გვენახა ზემოადწერილის მსგავსი ცივილიზაცია. ახლახან აღწერილის მსგავსი სცენების შესახებ დღეს გვაქვს მხოლოდ მოგონება, რომელიც შეიძლება მოვიპოვოთ მხოლოდ სულიერში, ასტრალურში. როდესაც ჩვენ გადავხედავთ წარსულ დროებს, რომლებსაც ხშირად ხატავენ როგორც ბნელ დროს, ხოლო შემდეგ მზერას მივაპყრობოთ ჩვენს საკუთარ დროს, მაშინ ჩვენს გულებში დრმა, მგზნებარე სურვილი იბადება. სულიერი გამოცხადებიდან, რომლებიც ადამიანისთვის მისაწვდომი გახდა XIX საუკუნის ბოლო მესამედიდან, იბადება მგზნებარე სურვილი, კვლავ ილაპარაკო ადამიანებთან სულიერი სახით. თუმცა ამისთვის საქმარისი არაა, ილაპარაკო აბსტრაქტული სიტყვებით: ისაუბრო სულიერად, ნიშანვს ისარგებლო მრავალრიცხოვანი ნიშნებითა და სიმბოლოებით; ჩვენი ენა ყოველმხრივ უნდა განვავრცოთ. ასეთი ენა, მეტყველების ის ფორმა, რომლის პოვნაც აუცილებელია, რათა სულიერმა არსებებმა შეძლონ საუბარი თანამედროვე ადამიანთან, ჩვენ მოგვეცა გოვთეანუმის ფორმებში, რომელიც ერთი წლის წინ ცეცხლით გაანადგურეს. ჰეშმარიტად, ფორმები შენდებოდა* და იქერწებოდა ამ მიზნისთვის, რათა მათში გაგრძელებულიყო ის, რაც კათედრიდან ისმოდა ცნებების სახით. ამიტომაც გარკვეული თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გოვთეანუმი წარმოადგენდა ისეთ რამეს, რომელსაც შევძლო წარსულზე მოგონების სრულიად ახალი ფორმით გაღვიძება.

როდესაც მოწაფე ხელდასხმის წინ შედიოდა ეფესოს ტაძარში, მის ფურადდებას იპყრობდა ქანდაკებები, რომელთა შესახებ ამ ლექციებში გესაუბრებოდით და ქანდაკებები ეუბნებოდნენ მას გულის ენით ასეთ სიტყვებს: შეაერთე საკუთარი თავი კოსმიურ ეთერთან და შენ ეთერული სიმაღლეებიდან დაინახავ მიწიერს. ძალიან ბევრი მოწაფე ეფესოში ამგარად ჭკრებდა მიწიერს ეთერული სიმაღლეებიდან. მაგრამ დმერ-

თთა გარკვეული სახე აღსავსე იყო შურით. ასწლეულებით ადრე გოლგოთის მისტერიამდე, მამაცნი უკვე პოულობდნენ საშუალებას, შეხვედროდნენ დმერთა ამ შურს. ისინი პოულობდნენ იმის აღქმის საშუალებას, რაც მოდიოდა მათთან კაცობრიობის ისტორიის უძველესი წმინდა დროიდან და მძღავრად მოქმედებდა ადამიანთა განვითარებაში ეფესოს დაწვამდე. მართალია, იმ დროისთვის ის გაფერმკრთალდა და დასუსტდა, მაგრამ ამ დასუსტებული ფორმითაც ჯერ კიდევ აგრძელებდა მოქმედებას. ჩვენი გოვთეანუმი ბოლომდე რომ აშენებულიყო, მაშინ დასავლეთიდან იქ შესვლისას თქვენ დაინახავით ქანდაკებას, რომელიც მოუწოდებდა ადამიანს თავისი თავი შეემუცნებინა თავის კოსმიურ ბუნებაში, შეემუცნებინა თავისი თავი როგორც არსება, რომელიც დაყენებულია ლუციფერისა და არიმანის ძალებს შორის, ამჯვიდრებს რაღმერთს შეაში, თავისი არსების შინაგან წონასწორობაში. როცა თქვენ უყურებდით სვეტებისა და არქიტრავების ფორმებს, ამ ფორმების ენა გაგრძელება იყო იმ ენისა, რომელიც ედერდა კათედრიდან სიტყვებში, სულიერს რომ ცნებებით გამოხატავდა. სიტყვების ჟღერა იღვრებოდა პლასტიკურად გამოძერწილ ფორმებში. ხოლო შენობის გუმბათი მოხატული იყო სცენებით, რომლებსაც შეეძლოთ, მშვინვერი ჭკრეტის წინაშე გამოეწვიათ კაცობრიობის ევოლუციის წარსული. ყველას, ვინც ამ გოვთეანუმს უმზერდა გრძნობით და გაგებით, შეეძლო ეპოვა მასში მოგონება ეფესოს ტაძარზე.

მოგონება კი ძალზე მტკიცნეულია, რადგან სწორედ განვითარების იმ მომენტში, როცა გოვთეანუმი მზად იყო, გამხდარიყო განახლებული სულიერი ცხოვრების მატარებელი, იმ საშუალებით, რომელიც არც თუ დიდად განსხვავდებოდა წარსულში ეფესოს ბეგისგან, გოვთეანუმში შეაგდეს ანთებული ჩირალდანი.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი ტკივილი დრმა და გამოუთქმელია. და მაინც, ჩვენ გადავწყვიტეთ წინსვლა, მიუხედავად ჩვენს თავს დატეხილი ტრაგედიისა, რათა გავაგრძელოთ მოდგაწეობა სულიერი სამყაროსთვის. ვინაიდან გულის სიღრმეში ჩვენ შეგვიძლია საკუთარ თავს ვუთხრათ: როცა გუმურებთ ცეცხლს, ეფესოს თავზე აალებულს, მაშინ ვე-

დავთ ამ ალში ჩაწერილ სიტყვებს: დმერთების შური. ეს იყო დრო, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო თავისუფალი და უნდა დაჟყოლოდა კეთილი და ბოროტი დმერთების ნებას.

ჩვენს დროში ადამიანები შექმნილია თავისუფლებისთვის. ხოლო ერთი წლის წინ, საახალწლოდ ჩვენ ვხედავდით შთან-მოქმედ ცეცხლს. წითელი ელვარება მიიწოდა ცისკან. ცეც-ხლის ენები, მუქი-ლურჯი და მოწითალო-ყვითელი, გზას იკ-ვლევდა ცეცხლის საერთო ზღვაში. ისინი ამოდიოდნენ გოფ-თეანურში დაწყობილი ლითონის ინსტრუმენტებიდან; გიგან-ტური ცეცხლის ზღვა ბრწყინავდა ფერთა თამაშის მრავალ-ფეროვნებით. ვინც უყურებდა ამ ცეცხლის ზღვას, თავისი ნა-ირფერი კონტურებით და ფერადი ენებით, ის ძალაუნებურად ამოიკითხავდა სიტყვას – სიტყვას, რომელიც ტკივილით აისა-ხებოდა გულში: ადამიანების შური.

აი ასეა დანაწერებული და უშეალოდ გადახლართული უდიდეს უბედურებასთან ის, რაც ეპოქიდან ეპოქამდე კაცობ-რიობის განვითარებაში მეტყველებს. იმ დროს, როცა ადამია-ნი ჯერ კიდევ თავისუფალი არ იყო, იგი ჭვრებდა დმერთებს, მაგრამ თავის ამოცანად სახავდა ყოფილიყო თავისუფალი, ეს იყო სიტყვები, რომელიც მისთვის ნიშნავდა უდიდეს უბედუ-რებასა და მწუხარებას. ის ხედავდა ცეცხლის ალში ჩაწე-რილ სიტყვებს: დმერთების შური, – და სულიერი განვითარე-ბის ძაფებით ჩვენი საქათარი უბედურება სწორედ ამ სიტ-ყვებს უკავშირდება. ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროს, როცა ადამი-ანმა თავის თავში უნდა მონახოს ძალა თავისუფლებისთვის და ახლა ჩვენ ვხედავთ ცეცხლის ალში ჩაწერილ სხვა სიტ-ყვებს: ადამიანების შური. ეფესოში იყო დმერთების ქანდაკე-ბები; აქ გოფეანურში – ადამიანის ქანდაკება, კაცობრიობის წარმომადგენლის, ქრისტე იქსოს ქანდაკება. მისი მეშვეობით, სრულიად მორჩილად მასთან გაიგივებით, ჩვენ ვფიქრობდით შემეცნებამდე მისვლას იმგვარად, როგორც ოდესადაც ეფესოს მოწაფეები მათთვის ორგანული გზით აღწევდნენ შემეცნებას ეფესელი დიანას წყალობით, რომელიც ახლა თანამედროვე კაცობრიობისთვის უკვე სრულიად გაუგებარი გზაა.

ტკივილი არ ნელდება, როცა ისტორიის თვალსაზრისით ჭვრებ იმას, რაც ახალი წლის დამეტ მოგვიტანა ერთი წლის

წინ. უკანასკნელად მე მქონდა შესაძლებლობა ვმდგარიყავი კათედრასთან, რომელიც აგებულია მთელ გოფეანურთან ჰარ-მონიაში, იმ განზრახვით და მიზნით, რომ მაშინდელ მსმე-ნელთა სულიერი მზერა მიმემართა მიწიერი სფეროდან ვარ-სკალაგიერ სამყაროებში ასვლისკენ, სადაც აღბეჭდილია სუ-ლიერი კოსმოსის სინათლე, ნებელობა და სიბრძნე. მე კარ-გად ვიცოდი, რომ იმ დროს იქ მონაწილეობდნენ ნათლიები, იმათი სულიერი, ვინც შეა საუკუნეებში თავის მოწაფეებს ას-წავლიდა ზემოადწერილი სახით. ჩემ მიერ უკანასკნელი სიტ-ყვის წარმოოქმიდან ერთ საათში მაცნობეს გოფეანურის ხან-ძრის შესახებ. გოფეანურის ხანძრის ქვეშ გავატარეთ ჩვენ ახალი წლის მთელი დამე.

საქმარისია ამ სიტყვების წარმოოქმა და ენით გამოუთქმე-ლი გრძნობა აცხებს ჩვენს გულებსა და სამშვინველებს. როცა კაცობრიობის ევოლუციაში ხდება ისე, რომ რადაც წმინდა ამ ევოლუციისთვის უკუგდებულია, მაშინ ყოველთვის მხოლოდ ძალზე ცოტას შეუძლია, – მატერიალურის გაქრობის შემდეგ, – მუშაობის გაგრძელება იმ სულიისკვეთებით, რომელსაც მა-ტერიალური ეძღვნებოდა. ახლა, როცა შევიკრიბეთ გოფეანუ-რის ტრაგიკულად დაკარგვის წლისთავზე, ჩვენთვის კარგი იქ-ნება, თუ გავიხსენებთ, რომ ვალდებული ვართ, მშვინვერად სწორ პოზიციაში ვიყოთ ამ შეკრებასთან მიმართებით, და მი-ვიღოთ, – ყველამ და თითოეულმა, – გადაწყვეტილება კაცობ-რიობის განვითარების ავანგარდში სულისკენ წარვმართოთ ის, რაც ასახული იყო გოფეანურის მატერიალურ ფორმაში, რომელიც ფიზიკურ ხედვას ჩამოაშორეს პერისტრატეს ქმედე-ბის მსგავსი ქმედებით. ჩვენი ტკივილი და მწუხარება უკავ-შირდება ძველ გოფეანურს. ამ გოფეანურის აშენების უფლე-ბა მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა შევასრულებელია, თუ დავდებო დღეს საზეიმო პირობას, – დადებს თითოეული ჩვენგანი უმაღლესის, დავთაებრივის წინაშე, რომელსაც ვატარებთ საკუ-თარ სამშვინველში, – მკაფიოდ შევინარჩუნოთ მეხსიერებაში სულიერი იმპულსები, რომლებმაც თავიანთი გარეგანი გამო-ხატულება დაკარგულ გოფეანურში პპოვეს. შესაძლოა გოფ-თეანური წარმოეულია; გოფეანურის სული, თუ ჩვენ მთელი

გულწრფელობთ გავყვებით მას, შეუძლებელია ოდესმე წაგვართვან. მას კიდევ უფრო ნაკლებად წაგვართმევენ, თუ ამ საზეიმო საათს, – რომელიც დროის მხოლოდ მოკლე მონაკვეთით ჩამორჩება ერთი წლის წინანდელ იმ მომენტს, როცა ცეცხლმა მოიტაცა ჩვენი საყვარელი გოეთეანუმი, ჩვენ არა მარტო შევიგრძნობთ ჩვენი ტკივილის განახლებას, არამედ თვით ამ ტკივილიდან პირობას დავდებთ, დავრჩეთ ერთგული სულის, რომელსაც მივუძღვენით გოეთეანუმი, როცა მისი მშენებლობისთვის გავიღეთ ათწლიანი შრომა. დღეს თუ ეს დაპირება ამოიზიდება ჩვენი გულების სიღრმიდან მთელი სერიოზულობით, თუკი შევძლებთ ტკივილი და მწუხარება გარდავქმნათ მოქმედებისკენ გამოღვიძებით, მაშინ ჩვენ ასევე შევძლებთ სამწუხარო მოვლენის გარდაქმნას კეთილდღეობით. ამით ტკივილი არ გაივლის, მაგრამ ის დაგვეხმარება მოგნახოთ სტიმული მოქმედებისთვის, სულში მოქმედებისთვის.

ამრიგად, მივიხდოთ საშინელი ცეცხლის ენებისკენ, რომელიც გვავხებენ ასეთი გამოუთქმელი მწუხარებით, მაგრამ ამავე დროს შევიგრძნოთ, რომ ჩვენ საზეიმო ფიცით მივუძღვენით ჩვენი თავი უმაღლეს დვთაებრივ ძალებს, რომლებიც არსებობენ ჩვენ შიგნით, – შევიგრძნოთ, როგორ აინთება სულიერი ცეცხლი ჩვენს გულებში. ცეცხლი ჩვენს გულებში გადმოღვრის ახალ სინათლეს და სითბოს იმ ყველაფერზე, რაც იყო ჩაფიქრებული და ჩადებული გოეთეანუმში, ყველაფერზე, რაც ახლა ჩვენ გადავწყვიტეთ წავიდოთ წინ, კაცობრიობის განვითარების ავანგარდში. ის სიტყვები, რომელთა თქმაც მე შევძლი მაშინ გოეთეანუმში, თითქმის ამავე მომენტში ერთი წლის წინ, ახლა კვლავ გავიმეოროთ და გავაღრმაოთ. იმ დამეს მე ვამბობდი დაახლოებით შემდეგას: ჩვენ ვიმუოვებით ახალი წლის მიჯნაზე, ჩვენ საჭიროა შევეგებოთ ახალი კოსმიური წლის დადგომას. გოეთეანუმი რომ ისევ იდგეს, ამ სურვილისა და ამ მოწოდების გამეორება ახლაც შეიძლებოდა. მაგრამ ის უკვე აღარ არის. თუმცა ამ მოწოდების წარმოტქმა წელსაც შეიძლება, მწამს, გაორმაგებული ძალით, სწორედ იმიტომ, რომ გოეთეანუმი აქ უკვე აღარ არის. გადავიტანოთ გოეთეანუმის სამშვინველი ახალ კოსმიურ წელი-

წადში, შევეცადოთ ახალ გოეთეანუმში დირსეული ქანდაკება აღვუმართოთ უწინდელს!

დაუ, ჩვენი გულები დაკავშირებული იყოს ძველ გოეთეანუმთან, რომელიც იძულებული გავხდით, დაგვეთმო სტიქიისთვის. დაუ, ჩვენი გულები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ამ გოეთეანუმის სულსა და სამშვინველთან. ამ საზეიმო დაპირებით უზენაესისა და ჩვენში უკეთესის წინაშე, ჩვენ წავიყვანოთ ჩვენს ცხოვრებას არა მარტო ამ ახალ წელს, არამედ კოსმიურ ახალ წელსაც; ჩვენ შევაბიჯებთ მასში, მოქმედების მზადყოფნით, წარმართულები და მსარდაჭერილები სამშვინველში და სულში.

ჩემი ძვირფასო მეგობრებო, თქვენ მე მისმენდით და მესინერებაში აღიდგინდით ძველ გოეთეანუმს. თქვენ ცხოვრობთ ამ ძველ გოეთეანუმზე მოგონებებით. მოდით, ახლა ავდგეთ იმის ნიშნად, რომ ვაპირდებით საბუთარ თავს გაგარძელოთ მუშაობა გოეთეანუმის სულისკვეთებით, მივმართავთ რა საუკეთესო და უზენაეს ძალებს ჩვენ შიგნით. დაუ, იყოს ასე! ამინ!

ჩვენ დავიცავთ ამ საზეიმო დაპირებას, ჩვენ ვიქნებით მისი ერთგული, სანამ გვეყოფა ძალა და სანამ მივმართავთ მისკენ ჩვენს ნებელობას, ვინაიდან ჩვენი ნებელობა არის ის, რაც ჩვენს ადამიანურ სამშვინველებს აერთიანებს დმერთების სამშვინველებთან, რამდენადაც ჩვენ გვსურს ერთგული ვიყოთ სულის, საიდანაც ვიღებთ ამ ერთგულებას თქვენი სწრაფვებით ჩვენი ცხოვრების გარკვეულ მომენტში, რისკენაც აქ გოეთეანუმში სულისმეცნიერების მეშვეობით ვილტვით.

მეცნიერებულის
დოკუმენტი
დოკუმენტი, 1924 წლის 1 იანვარი

დღეს ჩვენ უკანასკნელად შევიკრიბეთ ჩვენი საშობაო კონფერენციების ფარგლებში, რომელიც ანთროპოსოფიულ მომრაობას უნდა მისცეს მძლავრი, მნიშვნელოვანი იმპულსი. ამიტომ ხება მიბოძეთ, უკანასკნელი ლექცია ისე ავაგო, რომ ის, ერთი მხრივ, შინაგანად შეეფერებოდეს მოცემულ ლექციათა ჯურსის საერთო პერსპექტივას, ხოლო მეორე მხრივ, ასე ვთქათ, ემოციური თვალსაზრისით, ორიენტირებული იყოს ანთროპოსოფიის მომავალზე.

დღეს, როცა ვუმზეოთ სამყაროს, ჩვენს თვალსაზიერს წარმოუდგება უამრავი დამანგრეველი ძალა, რომელიც უპვე რამდენიმე წელია მოქმედებს; ისინი მოქმედებენ ისე, რომ შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რა უფსკრულში მიუქანება დასავლეთის ცივილიზაცია. ამასთან, მინდა ვთქვა შემდეგი. როცა ჩვენ ვუფურებთ იმ ადამიანებს, რომლებიც გარეგნულ ცხოვრებაში ახორციელებენ სულიერ მმართველობას მის სხვადასხვა სფეროში, ვამჩნევთ, რომ ეს ადამიანები ყველგან ჩაძირული არიან ლეთარგიულ ძილში. შესაძლებელია, რომ სულ ცოტა ხნის წინ ბევრი მათგანი აზროვნებდა ასე: XIX საუკუნეებიდან კაცობრიობა თავისი შეხედულებებით და მოსაზრებებით ბავშვივით პრიმიტიული იყო. შემდეგ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მოვიდა უახლესი მეცნიერება და იქ მისი კულტივირება ხდება მარადიული ჭეშმარიტების სახით.

ასეთი ადამიანები საოცრად ამპარტავნები არიან, თუმცა არ იციან ამის შესახებ. თანამედროვე კაცობრიობაში ამის საპირწონედ ზოგჯერ იძადება ეჭვი, რომ საქმე სულაც არ არის ისე, როგორც ეს წარმოუდგენია უმრავლესობას.

რამდენიმე ხნის წინ მე კითხულობდი ლექციებს* გერმანიაში (ეს ლექციები ორგანიზებული იყო ვოლფის ბიუროს მიერ), რომლებმაც მიიზიდა იმდებად ბევრი მსმენელი, რაც ზოგმა უკვე აღნიშნა კიდეც, რომ ანთროპოსოფია, არსებითად, ადმონიდა მოთხოვნადი. მრავალ უაზროდ მტრულ ხმათა შორის ადმონიდა ერთი, რომელსაც თავისი აზრი სხვებზე ჭკვიანურად არ გამოუთქმას, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ დამახასი-

ათებელ წინათგრძნობას ავლენდა. ის დაფიქსირდა საგაზეთო შენიშვნაში, რომელიც ეძღვნებოდა ბერლინში ჩემ მიერ წაკითხულ ლექციას. აი, რას აღნიშნავდა საგაზეთო ხმა. ლექციაში უკრალება გამახვილებულია იმაზე, რომ რაღაც მიმდინარეობს არა მხოლოდ დედამიწაზე, არამედ მთელ კოსმოსში (შენიშვნის ციტირებას ვახდენ დაახლოებით). ეს მოუწოდებს ადამიანებს რაღაც სულიერებაზე, ვიდრე ადრე იყო. დღეს კი ეწ. კოსმიური ძალები, და არა უბრალოდ მიწიერი იმპულსები, რაღაცას მოითხოვენ ადამიანებისაგან. ეს რაღაც კოსმიური რევოლუციის მსგავსია, რომლის შედეგიც იქნება მისწრაფება სწორედ ახალი სულიერებისკენ.

ეს ხმა ნამდვილად უკრალდასადებია, ვინაიდან ჭეშმარიტება ასეთია: ამ დღეების განმავლობაში სხვადასხვა თვალთახედვით ვასაბუთებდი, რომ დორნასიდან ნაუწყები სულიერების იმპულსი წარმოიქმნა არა დედამიწაზე, არამედ ეს იმპულსი წარმოიქმნა სულიერ სამყაროში. ჩვენ აქ უნდა განვივითაროთ უნარი, მივსდიოთ სულიერი სამყაროდან მომდინარე იმპულსებს. ამიტომ ვსაუბრობდი საშობაო შეკრების დროს სხვადასხვაგარ იმპულსზე, რომელიც არსებობს განვითარებაში, ვსაუბრობდი მათ შესახებ, რათა გულებს აღექვათ ის სულიერი იმპულსები, რომლებიც იღვრება მიწიერ სამყაროში, მაგრამ რომელთა აღქმაც შეუძლებელია საკუთრივ მიწიერი სამყაროდან, ვინაიდან ყველა ის ჭეშმარიტება, რაც ადრე მოჰკონდა მიწიერ სამყაროს, აღმოცენდა სულიერი სამყაროდან. ჩვენ თუ გვინდა მიწიერი სამყაროსთვის გავაკეთოთ რამდენიმე სასარგებლო, ნაყოფიერი, ამისთვის იმპულსები უნდა ავიღოთ სულიერი სამყაროდან.

ჩემთ ძეირვასო მეგობრებო, ეს გვიბიძგებს განვაცხადოთ: ის შთაგონება, რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ შეკრებებზე, რათა შევიგანოთ იგი ჩვენს შემდგომ მოღვაწეობაში, საჭიროა გავართიანოთ უდიდეს პასუხისმგებლობასთან.

ახლა რამდენიმე წუთი მივუძღვნათ იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც ჩვენზეა დაკისრებული ამ შეკრებებში მონაწილეობით. უკანასკნელ ათწლეულებში სულიერი დაკვირვება რამდენიმე პიროვნებაზე იწვევდა მწარე გრძნობას მიწიერი კაცობრიობის უახლოეს ბედთან დაკავშირებით. შეიძლებო-

და სულში თითქოსდა გაგვევლო ამ ადამიანების გვერდით, და-ვაკირდებოდით რა იმას, როგორ ტოვებენ ისინი ძილში საკუ-თარ ფიზიკურსა და ეთერულ სხეულებს და თავიანთი „მე“ სხეულითა და ასტრალური სხეულით იმყოფებიან სულიერ სამყაროში. უკანასკნელ ათწლეულებში ძილის დროს ადამია-ნის „მე“ და ასტრალური სხეული იმყოფებოდნენ მოგზაურობა-ში; ახალი მონაცემები მოწმობს მიმდე პასუხისმგებლობას იმი-სა, ვინც იცნობს მსგავს მოვლენებს. სამშვინველები, რომლე-ბიც ტოვებდნენ თავიანთ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს ძი-ლის დროს, დაძინებიდან გაღვიძებამდე, – ეს სამშვინველები, როგორც აღმოჩნდა, შეძლებული ყველაზე წმირად აღმოჩნდებოდ-ნენ ხოლმე ზღურბლის მცველის წინაშე.

ზღურბლის მცველი, სულიერ სამყაროში შესასვლელი ზღურბლის ეს მცველი, კაცობრიობის მთელი განვითარების მანძილზე ადამიანური ცნობიერების წინაშე წარდგებოდა მრა-ვალფეროვანი მეთოდებით. მნიშვნელოვან მოვლენებზე ძველად აუწყებდნენ ლეგენდებისა და საგების ფორმით და არა ისტო-რიული გადმოცემის სახით. ამდენად, მრავალრიცხოვანი ლე-გენდები და საგები გამოხატავდნენ სწორედ იმას, როგორ ხვდებოდა უძველეს დროებში ესა თუ ის პიროვნება ზღურ-ბლის მცველს და იდებდა მისგან რჩევებს იმის შესახებ, რო-გორი ხერხით მართებს მას შესვლა სულიერ სამყაროში და როგორ დაბრუნდეს იქიდან ფიზიკურ სამყაროში. ვინაიდან სუ-ლიერ სამყაროში მართებულად შესვლას ყოველთვის თან უნ-და სდევდეს შესაძლებლობა, ნებისმიერ მომქნებში ფიზიკურ სამყაროში დაბრუნებისა, – რათა, შეძლებ მასში მყარად იდ-გეს, როგორც ეს სჩვევია პრაქტიკოს, გონიერ ადამიანს და არა მეოცნებეს, ან მეოცნებე მისტიკოსს.

მსგავს რჩევებს ელოდნენ ზღურბლის მცველისგან მთელი იმ ათასწლეულების განმავლობაში, რაც ადამიანი სულიერი სამყაროსკენ ისწრაფვის. მაგრამ XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან დაწყებული, თითქმის იშვიათად შეიძლებოდა გე-ნახა ადამიანი, ვინც ზღრუბლის მცველთან მიაღწევას შეძლებდა დვიძილის მდგომარეობაში. ჩვენ დროში კი, როცა მთელ კაცობრიობას ისტორიულად აკისრია ვალდებულება, რომ მივიდეს ზღურბლის მცველთან რა ფორმითაც არ უნდა

იყოს ეს, მით უმეტეს შეიძლება გამოვლინდეს, როგორ მიდიან ზღურბლის მცველთან სწორედ მძინარე სამშვინველები – „მე“ და ასტრალური სხეულის სახით, სულიერ სამყაროში მოგზაუ-რობის დროს. აი, როგორია დრმა აზრის მქონე სურათი, რო-მელსაც შეიძლება დღეს დაგაკირდეთ: სერიოზული ზღურ-ბლის მცველი, რომლის ირგვლივ შემოჯარულია მძინარე ადა-მიანთა სამშვინველების მთელი ჯგუფი, რომელთაც არა აქვთ ძალა ამ ზღურბლის მცველთან მივიდნენ დვიძილის მდგომარე-ობაში და ამიტომაც მიდიან მასთან ძილში.

იქ გათამაშებული სცენის ჭრების შემდეგ ასკვნი, რომ საქმე ეხება სწორედ უდიდესი პასუხისმგებლობის აღმოცენე-ბას. ის სამშვინველები, რომლებიც ასეთი გზით, ძილის მდგომარეობაში, მიაღწევენ ზღურბლის მცველთან, ითხოვენ სულიერ სამყაროში შესვლას ზღრუბლის გავლით, ძილის მდგომარეობაში. ლვიძილის მდგომარეობაში ეს ხდება გაუც-ნობიერებლად ან ქვეცნობიერად. ურიცხვ შემთხვევაში ისმის ამ სერიოზული ზღურბლის მცველის ხმა: შენ ვერ მიიღებ სულიერ სამყაროში შესვლის უფლებას. შენ უკან უნდა გაბ-რუნდე! ვინაიდან, თუ ზღურბლის მცველი მსგავს სამშვინვე-ლებს მისცემს სულიერ სამყაროში დაუბრკოლებლად შეღწ-ვის საშუალებას, ისინი ალბათ გადალახავენ ზღურბლს და შეაღწევენ სულიერ სამყაროში იმ წარმოდგენებით, რომლი-თაც მოამარაგა ისინი თანამედროვე სკოლამ, თანამედროვე აღზრდამ, თანამედროვე ცივილიზაციამ, – იმ წარმოდგენები-თა და იდებით, რომლითაც ადამიანმა იძულებით უნდა იც-ხოვოს დაწყებული ექვსი წლის ასაკიდან, არსებითად, თა-ვისი მიწიერი ცხოვრების ბოლომდე.

ამ წარმოდგენებსა და იდების აქვთ ასეთი თავისებურებები: თუ ადამიანი მათოან ერთად შეაღწევს სულიერ სამყაროში, მსგავსად იმისა, მათოან ერთად როგორ ვითარდებოდა და ყა-ლიბდებოდა თანამედროვე ცივილიზაციისა და სკოლების ფარ-გლებში, მაშინ ის აღმოჩნდება პარალიზებული საკუთარ სამ-შვინველთან მიმართებით. მაშინ მისი დაბრუნება ფიზიკურ სამ-ყაროში მოხდება აზრობრივ და იდეურ სიცარიელეში. ზღურ-ბლის მცველს ყველაზე მკაცრი სახით რომ არ დაებრუნებინა უამრავი თანამედროვე ადამიანის სამშვინველი და შეეშვა ისი-

ნი სულიერ სამყაროში, მაშინ უკან დაბრუნებისას დვიძილის მდგომარეობაში, მათ ექნებოდათ ამგვარი შეგრძნება: მე არ შემიძლია ვიაზროვნო, ჩემს აზრებს არა აქვთ კავშირი ტვინთან, მე იძულებული ვარ, ვიცხოვრო აზრების გარეშე. ასეთია აბსტრაქტული იდეების სამყარო, რომელსაც ადამიანი აკავშირებს ყველაფერთან რეალურ ცხოვრებაში: მათთან ერთად შეიძლება სულიერ სამყაროში შედწევა, მაგრამ იქიდან გამოსვლა შეუძლებელია. როცა ხედავ ამ სცენას, რომელსაც სამშვინველთა უმრავლესობა დღეს ნამდვილად განიცდის ძილში, მაშინ ეუბნები საკუთარ თავს: ო, ნეტავი შეიძლებოდეს ამ სამშვინველების დაცვა იმ განსაცდელისაგან, რომელიც თან ახლავს იმ ყველაფრის კვდომას, რასაც ისინი განიცდიან ძილში! რადგან, თუ ასეთი მდგომარეობა ზღრუბლის მცველის წინაშე გაგრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს, – ანუ, თუკი საკაცობრიო ცივილიზაცია დიდხანს იქნებოდა იმის ამარა, რასაც სწავლობენ დღევანდელ სკოლებში და რაც გადააქვთ თქმულების სახით ცივილიზაციებში, მაშინ სიცოცხლე წარმოიშობოდა ძილის მდგომარეობიდან. ადამიანური სამშვინველები სიკვდილის კარიბჭის გავლით სულიერ სამყაროში კი შევიდოდნენ, მაგრამ ვერ შეძლებდნენ იდეათა ძალის გადატანას მომდევნო მიწიერ ცხოვრებაში. ვინაიდან დღევანდელი აზრებით შეიძლება სულიერ სამყაროში შესვლა, მაგრამ მათთან ერთად არ შეიძლება კვლავ მისგან გამოსვლა. კვლავ გამოსვლა შეიძლება, მხოლოდ მშვინვერი დამბლით (პარალიზებით).

მიაკციეთ უერადღება იმას, რომ თანამედროვე ცივილიზაცია შეიძლება დაფუძნდეს სულიერი ცხოვრების იმ ფორმით, რომლის კულტივირებაც უკვე დიდი ხანია ხდება, მაგრამ ცხოვრება არ მიიღებს მსგავს დაფუძნებას. ეს ცივილიზაცია გარკვეული დროის მანძილზე კიდევ შეძლებს არსებობას. დვიძილის დროს სამშვინველებს არაფერი ეცოდინებათ ზღურბლის მცველზე, ხოლო ძილის დროს ისინი ამ ზღურბლის მცველის მიერ უკუგდებული იქნება, რათა არ მოხდეს მისი პარალიზება. საბოლოოდ მომავალში დედამიწაზე გაჩნდება ადამიანთა ისეთი სახე, რომლებიც მიწიერ ცხოვრებაში ვერ შეძლებენ ვერანაირი იდეის გამოყენებას, ასე რომ აზროვნება, იდეებში ცხოვრება, გაქრება მიწისაგან პირისა. დედამიწა აღ-

მოჩნდება დასახლებული ავადმყოფ ადამიანთა ისეთი ჯიშით, რომელთაც მხოლოდ ინსტინქტები ექნებათ. კაცობრიობის განვითარება აღმოჩნდება სულელური გრძნობებისა და ემოციების გავლენის ქვეშ, რომელიც მოკლებული იქნება იდეის წარმმართველ ძალას. დიას, სამწუხარო სურათია, რომელიც წარმოჩნდება დამკვირვებლის სულიერი მზერის წინაშე, – ეს არის არა მარტო ხატი სამშვინველისა, რომელიც დგას ზღურბლის მცველის წინაშე, რომელიც კრძალავს სულიერ სამყაროში შესვლას: ამ სურათს აქვს სხვა ასპექტიც.

ჩვენ თუ ავიღებთ ისეთ ადამიანურ არსებას, რომელსაც თავისი ფეხები აქვს არა დასავლურ, არამედ აღმოსავლურ ცივილიზაციაში და ჩავრთავთ ამ არსებას ზემოთ დახასიათებულ მოგზაურობაში, რომლის დროსაც ჩვენ ზღურბლის მცველის წინაშე ვაკვირდებით მძინარე ადამიანთა სამშვინველებს, – ჩვენ თუ ასე მოვიქცევთ, მაშინ სულში მოვისმენთ ამ არსების სიტყვებს, დასავლეთის ცივილიზაციის მისამართით რომ წამოისროლა როგორც საშინელი საყვედური: შეხედეთ, თუ ასე გაგრძელდება მომავალშიც, მაშინ დადგება დრო, როცა ამჟამად მცხოვრები ადამიანები გაჩნდებიან დედამიწაზე ახალი ინკარნაციით, მაგრამ დედამიწა უკვე იქნება ბარბაროსულ მდგომარეობაში. ადამიანები იცხოვრებენ იდეის გარეშე, წმინდა ინსტინქტური ცხოვრებით. აი, რა გულოდებათ თქვენ, ვინაიდან მთლიანად ჩამოსცილდით აღმოსავლეთის უძველეს სულიერებას.

სულიერ სამყაროზე სწორედ ასეთი წარმოდგენა, როგორიც მე აღვწერე, მოწმობს უდიდეს პასუხისმგებლობას იმასთან მიმართებით, რაც ადამიანის ამოცანას წარმოადგენს. დორნახი უნდა გახდეს ის აღგიღი, სადაც ნებისმიერ მსურველს უწყება უველა მნიშვნელოვანი და უშუალო განცდის შესახებ სულიერ სამყაროში. დორნახაში უნდა წარმოიშვას იმდენად ძლიერი სულიერი ცენტრი, რომ აქ იმსჯელონ არა უბრალოდ სუსტ სულიერ ნაპერწკლებზე, როცა ამავე დროს გამოიყენებენ დიალექტიკის ან თანამედროვე ემპირიული მეცნიერების ხელოვნურ ენას, არამედ დიად ისაუბრონ იმაზე, რა ხდება სულიერ სამყაროში ისტორიული განვითარების მიხედვით, როგორია სულიერი იმპულსები, რომელიც შემოდის ბუნების ყოფიერება-

ში და იქვემდებარებს ბუნებას. თუ დორნახი შეასრულებს თავის ამოცანას, მაშინ აქ შესაძლებელი იქნება მოვისმინოთ ნამდვილ განცდებზე, რეალურ ძალებზე, სულიერი სამყაროს არსებებზე. აქ უნდა იმუშაოს სულისმეცნიერების უმაღლესმა სკოლამ. ამიერიდან ჩვენ არა გვაქვს უფლება, უკან დავიხიოთ დღეგანდელი „მეცნიერულობის“ მოთხოვნების წინაშე, რომელსაც ხალხი ზღურბლის მცველთან ძილის მდგომარეობაში მიჰყავს, როგორც მე ეს ვაჩვენე. საჭიროა, დორნახში ადამიანი იღებდეს ისეთ სულიერ ძალას, რომ მას შეეძლოს პირისპირ შეხვედრა სულიერ სამყაროსთან და იქ გამოცდილების მიღება.

მიზანშეწონილი არ არის, წარმოვთქვათ დიალექტიკური ტირადები თანამედროვე მეცნიერების თეორიების ზიანზე: ჩვენ ხომ უურადღება გავამახვილეთ იმაზე, როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდება ადამიანი ზღურბლის მცველის წინაშე ამ თეორიებისა და ჩვეულებრივ სკოლებში მათი გამოყენების წყალობით. თუ შეკრებების დროს სერიოზულად აღვიქვამო ყოველივე ზემოთქმულს, საკუთარი სამშვინველის გათვალისწინებით, მაშინ ჩვენი სამშვინველებისთვის ეს საშობაო შეკრება გადაიქცევა იმ მძლავრ იმპულსად, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მომდევნო განსხვაულებაში ადამიანებმა შეძლონ ზღრუბლის მცველთან შეხვედრა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცივილიზაციაც, როგორც ასეთი, სწორედ მაშინ შეძლებს ზღრუბლის მცველის წინაშე წარდგეს.

შეადარეთ თანამედროვე ცივილიზაცია წარსულის ცივილიზაციებს. ყველა წინარე ცივილიზაციაში არსებობდა იდეები და ცნებები, რომლებიც თავდაპირველად ადიოდნენ ზეგრძნობად სამყაროში, ღმერთებთან, – იმ სამყაროში, სადაც ხორციელდებოდა შემოქმედება და წარმოქმნებოდა ემანაციები. შეძლებ კი, იმავე ცნებების საშუალებით, რომლებიც მიმართული იყო ღმერთებისადმი, შეიძლებოდა მიწიერი სამყაროს განკვერტა, – რათა მასაც ასევე ჩასწორომოდნენ ცნებებისა და ღვთაებრივი ღირებულების ქმონე იღების მეშვეობით. ღმერთების სამყაროსთან შესაბამისობაში წარმოქმნილი იღებით შეიარაღებული ადამიანი თუ აღმოჩნდებოდა ზღრუბლის მცველის წინაშე, მაშინ მცველი მას ეტყოდა: შეგიძლია გაიარო, ვინაიდან შენ გადაგაქვს ზეგრძნობად სამყაროში ის, რაც ორიენტი-

რებული იყო მასზე ჯერ კიდევ შენი მიწიერი ცხოვრების დროს ფიზიკურ სხეულში. ფიზიკურ-გრძნობად სამყაროში დაბრუნების დროს შენ დაგრჩება საკმარისი ძალა, რათა არ აღმოჩნდე პარალიზებული ზეგრძნობადი სამყაროს სანახაობით. ამჟამად ადამიანი ავითარებს ისეთ ცნებებსა და იდეებს, რომლებსაც ის დროის სულისკვეთებიდან გამომდინარე გამოიყენებს მხოლოდ ფიზიკურ-გრძნობად სამყაროში. ეს ცნებები და იდეები მუშაობენ ზომისა და წონის ყველა სფეროში და ა.შ. მაგრამ უძლურები არიან ღმერთების სამყაროში. მათ არა აქვთ ღვთაებრივი ღირებულება, ღვთაებრივი ფასეულობა. ამიტომ იმ სამშვინველებისთვის, რომლებიც მთლიანად დაქვემდებარებულნი არიან მატერიალიზმის იდეებს და რომელთაც არ გააჩნიათ ღვთაებრივი ღირებულება და ღვთაებრივი ფასეულობა, როცა ძილის მდგომარეობაში გადიან ზღურბლის მცველის წინაშე, ხმამაღლა ისმის სიტყვები: არ გადაბიჯო ზღურბლს! შენ ბოროტად გამოიყენე იდეები გრძნობადი სამყაროს გამო. ამიტომ შენ უნდა დარჩე მათთან ერთად გრძნობად სამყაროში, და თუ არ გინდა აღმოჩნდე მშვინვერად პარალიზებული, არ უნდა შეხვიდე მათთან ერთად ღმერთების სამყაროში.

აი ხედავთ, ამგვარი რამ იმიტომ კი არ უნდა თქვათ, რომ აუწყოთ არაფრისმთქმელი ცნობები: ისინი უნდა თქვათ იმისათვის, რათა მათ განმსჭვალონ და გაჟღინოთონ სამშვინველი იმ სწორი განწყობის გადაცემით, რომელიც თქვენ უნდა მიიღოთ ანთროპოსოფიული საზოგადოების ამ ძალზე მნიშვნელოვანი საშობაო შეკრებიდან. ვინაიდან ყველაზე მთავარი იმ ყველაფრისგან, რასაც შევიძეთ აქ, არის სულიერ სამყაროსთან მიმართებით სწორედ ის განწყობა, რომელსაც თან მოაქვს იმის წმენა, რომ დორნახი გახდება სულიერი შემცნების ცენტრი.

ამიტომ განსაკუთრებით სასიხარულო იყო დღეს დილით იმის მოსმენა, რასაც დოქტორი ცეილმანსი* ამბობდა მედიცინის შესახებ, რომელიც აქ, დორნახში უნდა განვავითაროთ: დღეს უკვე შეუძლებელია ხიდი გავდოთ, ჩვეულებრივი მეცნიერების სფეროსა და იმ დისციპლინას შორის, რომელიც აქ, დორნახში უნდა დაფუძნდეს. ჩვენს ანთროპოსოფიულ ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს რადაც სამედიცინო

ცოდნა, მაგრამ, თუ ამ ცოდნასთან მიმართებით პატივმოყვარებით განვიცხადებთ, რომ, თითქოსდა, ჩვენი მიღწევები აკმაყოფილებენ თანამედროვე კლინიკურ მოთხოვნილებებს, მაშინ ჩვენ ვერასდროს მივაღლოთ განსაზღვრულ მიზნამდე, რადგან მაშინ სხვა ადამიანები იტყვიან: „დიახ, აი, ახალი სამკურნალო საშუალებები“. აღმოჩნდება, რომ ჩვენც ახალ სამკურნალო საშუალებებს ვჭრით.

ფაქტობრივად, საუბარია იმაზე, რომ ანთროპოსოფიულ ცხოვრებაში ერთვება ცხოვრებისეული პრაქტიკის ისეთი სფერო, როგორიცაა მედიცინა. ვფიქრობ, მე დღეს სწორად გავიგებობოდა ცეილმანსის აზრები. ვინაიდან ის საუბრობდა სწორედ ამ სულისკვეთებით, როცა ამბობდა შემდეგს: ვინც დღეს ექიმი გახდა, აცხადებს: „მე გავხდი სწორედ უქიმი“, – მაგრამ ის წესს რადაც ისეთზე, რაც ახალი სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან აგზავნის იმპულსებს. მომავალში, ცხადია, დორნახში მედიცინასთან დაკავშირებითაც ისე იქნება, როგორც ანთროპოსოფიული მოღვაწეობის მთელ რიგ სხვა განშტოებებში, რომელიც ჯერ კიდევ ანთროპოსოფიის წიაღში არსებობენ: მე ჩემს თანაშემწერ დოქტორ იტა ვეგმანთან* ერთად ვამჟმავებ მედიცინის სისტემას ანთროპოსოფიის საფუძველზე, სისტემას, რომლის მოთხოვნილებაც კაცობრიობაში არსებობს და რომელიც მაღალ განვითარება. მე ასევე განზრახული მაქს, უახლოეს მომავალში დავამყარო მჭიდრო კონტაქტები გოეთეანუმსა და არღებამის კლინიკურ-თერაპიულ ინსტიტუტს შორის, რომლის მოღვაწეობაც ძალზე სასიკეთო აღმოჩნდა, ხოლო შემდგმში შეიძენს ნამდვილ ანთროპოსოფიულ ორიენტაციას. ეს არის ქალბატონ იტა ვეგმანის მიზანიც.

დოქტორმა ცეილმანსმა მხოლოდ ერთ სფეროში მიუთითა იმაზე, რაც ანთროპოსოფიული მოღვაწეობის სხვა სფეროებშიც ასევე უნდა განვითარდეს. სწორედ ეს ამოცანა უნდა დაისახოს დორნახის მმართველობამაც. მომავალში ნათელი გახდება, რა მდგომარეობა სინამდვილეში. მაშინ არ იტყვიან: მიღაწოდოთ ადამიანებს ევრითმია; თუ ისინი ევრითმიას ნახავენ ისე, რომ არაფერი ეცოდინებათ ანთროპოსოფიაზე, მათ მოეწონებათ იგი, ხოლო შემდგომ, როცა გაიგებენ, რომ ევრითმის საფუძველი ანთროპოსოფიაა, ისინი მასაც მიიღე-

ბენ. ანდა: ზოგჯერ ამბობენ, რომ ჯერ საჭიროა პრაქტიკულად ვაჩვენოთ სამკურნალო საშუალებების მოქმედება, უნდა ვაჩვენოთ ადამიანებს, რომ სწორედ ეს საშუალებებია ნამდვილი წამლები და მაშინ ადამიანები იყიდიან მათ. ხოლო შემდგებ, მოგვიანებით ადამიანები გაიგებენ, რომ ეს სამკურნალო საშუალებები ანთროპოსოფიულია და ისინი ასევე მივლენ ანთროპოსოფიასთან.

ჩვენ უნდა გვეყოს სიმამაცე და ვაღიაროთ, რომ ამგვარი მოქმედება მცდარია. მხოლოდ მაშინ, როცა შეგვზიზდება ამგვარი მოქმედება, ანთროპოსოფია გაიკვლევს გზას სამყაროში. მომავალში სწორედ ჰეშმარიტებისკენ სწრაფვა უნდა დავიცვათ დორნახში, – დავიცვათ ფანატიზმის გარეშე, მაგრამ ჰეშმარიტებისადმი პატიოსანი, უშუალო სიყვარულის საფუძველზე. ამის დაძლევით ჩვენ შევძლებთ ვემსახუროთ სიკეთეს იქ, სადაც უანასკნელ წლებში ხდებოდა ამდენი საშინელი ცოდვა.

ჩვენ ვამთავრებთ ჩვენს საშობაო შეკრებებს, რომლებმაც მიგვიყვანა საყოველთაო ათროპოსოფიული საზოგადოების შემნამდე თავისი სერიოზული, საკმაოდ რთულად მიმდინარე მსჯელობებით. მე ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო ჩავვარდეთ პესიმიზმში იმის გამო, რაც აქ მოხდა შობის დღეს. მართალია, ჩვენ ყოველდღიურად ჩავულით გვერდს გოეთეანუმის სევდიან ნანგრევებს, ვფიქრობ, თითოეულის სამშენებელში, ვინც ამოდის ამ ბორცვზე, სადაც მიმდინარეობს შეკრება, ხდება იგივე, რაზეც აქ გვქონდა საუბარი, ის, რაც ყველაშ გულითადად მიიღო და ბადებს ასეთ აზრს: სულიერი ცეცხლის ენების მსგავსად, განახლებული გოეთეანუმიდან წარმოიშობა ჰეშმარიტი სულიერი ცხოვრება, როგორც მომავალი კაცობრიობის კურთხევა. ის წარმოიშობა ჩვენი გულმოდგინებით, ჩვენი თავგანწირვით. აქედან წასვლის შემდეგ რაც უფრო მეტი სიმამაციო მოვკიდებთ ხელს ანთროპოსოფიულ მოღვაწეობას, მით უაკოჭსი, მაშასადამე, ჩვენ შევისმინეთ ის, რაც ამ დღეებში ჩვენს შეკრებაზე გაისმოდა, როგორც იმედით აღსავსე სულიერი მისწრაფება. ვინაიდან არსებითად არანაირი მიმართება არ გააჩნია საკუთრივ წინ წასული ანთროპოსოფიის წრესთან თავადი მის სცენას, რომელიც მე თქმა დაგიხატეთ და რომელიც შეიძ

ლება ხშირად ვნახოთ, – დაცემის ეპოქის ადამიანი, რომელსაც სიმამაცე ზღურბლის მცველის წინაშე. ეს წრები საჭიროებს მხოლოდ ასეთ მოწოდებას: სულთა სამყაროდან ხმების აღქმისათვის შენ ვალდებული ხარ საკუთარ თავში განავითარო მტკიცე სიმამაცე, რათა შეიცნო შენი თავი ამ ხმის წინაშე, შენ ხომ უკვე დაიწყე გამოღვიძება. სიმამაცე შეგანარჩუნებინებს შენს თავს ფხიზელ მდგომარეობაში. სიმამაცის დაკარგვა თავისთავად ჩაგაგდებს ძილში.

მოწოდება სიმამაცისა და შემდეგ სიფხიზლისკენ, აი, რა არის აუცილებელი თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში ანთროპოსოფებისთვის. არაანთროპოსოფებს ესმით შემდეგი: დარჩი სულთა სამყაროს ფარგლებს გარეთ, შენ უგულვებელყავი იდეები მიწიერის გამო, არ დააგროვე იდეები, რომელთაც გააჩნდათ დვთაებრივი ლირებულებები და ლვთაებრივი ფასეულობები. ამიტომ ფიზიკურ-გრძნობად სამყაროში დაბრუნებისას შენ პარალიზებული იქნები. მაგრამ ანთროპოსოფიულ სამშვინველებს ეტყვიან: საჭიროა მხოლოდ თქვენი სიმამაცის გამოცდა იმ არსების აღიარებაში, ვისი ხმის აღქმაც თქვენ შეგიძლიათ გარკვეული მშვინვიერი და გულითადი მიღრეკილებების წყალობით.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, წუხელ იყო წლისთავი იმ დღისა, როცა ჩვენ ვუჟურებდით ცეცხლის ალებს, რომელმაც შთანთქა ძველი გოეთეანუმი. ამ ცეცხლმა ჩვენ ხელი ვერ შეგვიშალა მუშაობაში მოელი წინა წლის განმავლობაში. ამიტომ დღეს უკვე იმედი გვაქს, რომ ფიზიკური გოეთეანუმი გახდება ჩვენი სულიერი გოეთეანუმის გარეგანი სიმბოლო, იმ იდეის სიმბოლო, რომელსაც ჩვენ ამიერიდან სამყაროში გავიტან.

ჩვენ აქ ჩავდეთ ფუძის ქა, ქაჭუთხედი. ამ ქაზე აღიმართება შენობა, აგებული იმ ქვებით, რადაც გადაიცევა ის შრომები, რომლებსაც განახორციელებენ მსოფლიოში მიმოფანტული ჩვენი წრეების ცალკეული წევრები. ჩვენ თუ ახლა სულ ში შევხედავთ ამ შრომებს, მაშინ მივხვდებით იმ პასუხისმგებლობას, რაზედაც ვსაუბრობდით დღეს. ესაა პასუხისმგებლობა თანამედროვე ადამიანთან მიმართებით, რომელსაც მოელის ზღურბლის მცველთან შეხვედრა და მას აკრძალული აქვს სულიერ სამყაროში შესვლა.

გარდა უღრმესი მწუხარებისა და ტკივილისა იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა ერთი წლის წინ, ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფრის განცდა არ შეგვიძლია. თუმცა აქვე გავიხსენოთ ისიც, რომ ყოველივე მნიშვნელოვანი ქვეყნად დაიბადა ტანჯვისაგან. ამიტომ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, დაე, ჩვენი ტანჯვა გარდაიქმნას და მისგან წარმოიშვას, – თქვენი მუშაობის წყალობით, – მძლავრი, მანათობელი ანთროპოსოფიული საზოგადოება.

ამ მიზნისთვის, მოდით, ჩავუდრმავდეთ იმ სიტყვებს, რომლითაც დავიწყე და რომლითაც მინდა დავასრულო ეს საშობაო შეკრება. შობის ეს დღესასწაული ჩვენთვის უნდა გახდეს არა უბრალოდ წლის დასაწყისი, არამედ რაღაც სამყაროს-დროთა-შემობრუნების დასაწყისი, რომელსაც გვინდა მივუძღვნათ ჩვენი თავგანწირული მზრუნველობა სულიერ ცხოვრებაზე:

ადამიანის სამშვინველო!
შენ ცოცხლობ კიდურებში,
რომელთაც შენ სივრცით სამყაროს გავლით
სულის ზღვის არსებაში შეჰყავხარ:
ავარჯიშე სულის გახსენება
სამშვინველის სიდრმებში,
სადაც მეუვეობს
სამყაროს-შემოქმედებითი-ყოფიერება,
და საკუთარი „მე“
ღმერთის „მე“-ში
არსებობს;
და შენ ჭეშმარიტად იცხოვრებ
ადამიანის კოსმიურ არსებაში.

რადგანაც მეუფებს მამა-სული ზეცათა,
სამყაროს სიდრმეებში ყოფიერების წარმომქმნელად.
თქვენ, ძალთა-სულნო, (სერაფიმნო, ქრისტინო, საყდარნო)
სიმაღლეთაგან გააჟღერეთ,
რაც სიდრმეებში პპოვებს გამოძახილს;
ეს ამბობს:

დფთაებრივიდან არსებობს კაცობრიობა. (Ez deo nascimur) ეს ესმით სულებს აღმოსავლეთში, დასავლეთში, ჩრდილო-ეთში, სამხრეთში:
და, ადამიანებმა ისმინონ ეს.

ადამიანის სამშვინველო!
შენ ცოცხლობ გულისა და ფილტვების ფეთქაში,
რომელსაც დროის რიტმის მეშვეობით
საკუთარი მშვინვიერი არსების გრძნობაში შეჰყავხარ შენ.
ავარჯიშე სულიერი-განსჯა
მშვინვიერ წონასწორობაში,
სადაც აზვირობებული
სამყაროს-ქმნადობის-საქმენი
საკუთარ „მე“-ს
სამყაროს „მე“-ს
უერთებენ;
და შენ ჭეშმარიტად იგრძნობ
ადამიანის-მშვინვიერ-ქმედებაში.

რადგანაც მეუფებს ქრისტეს ნება გარემოში
სამყაროთა რიტმებში სამშვინველთა შემწყალებელი.
თქვენ, სინათლის-სულნო, (ხელმწიფებანო, ძალნო, უფლება-
ნო)
მიანიჭეთ აღმოსავლეთიდან ცეცხლი,
რაც დასავლეთის მეშვეობით ფორმირდება;
ეს ამბობს:
ქრისტეში სიცოცხლედ იქცევა სიკვდილი. (In Christo
morimur)
ეს ესმით სულებს აღმოსავლეთში, დასავლეთში, ჩრდილო-ეთში, სამხრეთში.
და, ადამიანებმა ისმინონ ეს.

ადამიანის სამშვინველო!
შენ ცოცხლობ მშვიდ თავში,
რომელიც შენ მარადისხობის საფუძვლებიდან
სამყაროს აზრებს გაგიხსნის:

ავარჯიშე სულის ხედვა
აზრთა-სიმშვიდეში.
სადაც დმერობის მარადიული მიზნები
სამყაროთა-არსობრივ-ნათელს
საკუთარ „მე“-ს
თავისუფალ ნებად
უბოძებენ;
და შენ ჭეშმარიტად იაზროვნებ
ადამიანის სულის საფუძვლებში.

რადგან მეუფებენ სულის კოსმიური აზრები
სამყაროს არსებაში და ითხოვენ სინათლეს:
თქვენ, სამშვინველთ-სულნო, (მთავარნი, მთავარანგელოზები,
ანგელოზები)
გამოითხოვეთ სიდრმეთაგან,
რასაც შეისმენენ ზეცაში;
ეს ამბობს:
სულის კოსმიურ აზრებში იღვიძებს სამშვინველი. (Per
Spiritum Sanctum reviviscimus)
ეს ესმით სულებს აღმოსავლეთში, დასავლეთში, ჩრდილო-ეთში, სამხრეთში.
და ადამიანებმაც ისმინონ ეს.

დროთა შემობრუნებისას
შემოვიდა სამყაროთა-სულის-სინათლე
მიწიერ არსებათა ნაკადში;
დამის სიბნელე
გათვანება;
დღის მკაფიო სინათლე
გაბრწყინდა ადამიანთა სამშვინველებში;
სინათლე
რომელიც ათბობს
დარიბ მწყემსთა გულებს;
სინათლე,
რომელიც ანათებს
ბრძენ მეფეთა თავებს.

შენიშვნები

დფთაებრივო სინათლეებ,
ქრისტემზე,
გაათბე
ჩვენი გულები,
გაანათე
ჩვენი თავები;
რათა სიკეთედ იქცეს,
რასაც ჩვენ
გულებიდან ვაფუძნებთ,
რაც ჩვენ
თავებიდან
გქსურს, მიზანდასახულად წარგმართოთ.

ამდენად, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მოდით, აქედან წავიდეთ სითბოთი აღსავსე გულებით. ამ გულებში იქნა ჩაბეჭდილი აქ ანთროპოსოფიული საზოგადოების ქვაკუთხედი; მაში, გავიტანოთ ეს გულითადი სითბო სამყაროში და მივუდლვნათ იგი სამყაროს გაჯანსაღებისთვის დაუდალავ მოღვაწეობას. თქვენი გონება განათებულია იმ მიზნით, რომლის მიღწევაც აწი ყველა თქვენგანს სურს. ეს თქვენ დაგეხმარებათ. მოდით, მივიღოთ ეს დღეს მოედი გულითადობით და ჩვენ დავინახავთ, რომ თუ ვიქებით დირსეულნი, მაშინ ჩვენი წარმმართველი გახდება კეთილი ვარსკვლავი. ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მისდიეთ ამ კეთილ ვარსკვლავს და თქვენ დაინახავთ, ამ ვარსკვლავის სინათლის მეშვეობით სად მიგვიყვანენ ჩვენ ღმერთები.

დფთაებრივო სინათლეებ,
ქრისტემზე,
გაათბე
ჩვენი გულები,
გაანათე
ჩვენი თავები!

თარგმანი შესრულებულია 1991 წლის გამოცემის მიხედვით. რუდოლფ შტაინერის შრომები შესულია კატალოგში (GA), შესაბამისად მითითებულია ბიბლიოგრაფიის ნომერი.

ბ3·

16. სახარებაში არის ნაწყვეტი - იხ. იოანე 8, 6.
28. წაიკითხეთ ჩემი წიგნი - რუდოლფ შტაინერი: „ქრისტიანობა – როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები“.
36. უმჯობესია იყო დარიბი ცოცხლებს შორის: იხ. პომერისი, „ოდისეა“, 11. ლექსი 489-491. ამას ამბობს აქილევსი ჯოჯოხეთში.

37. ეს ყოველივე საოცარი სახით გამოხატა პომერისმა: იხ. მაგ. ილიადაში, 20, ლექსი 424 და მომდ.

38. შტატგარტში, შობის დღეებში წაკითხულ ლექციების კურსში - რუდოლფ შტაინერი: „ოკულტური ისტორია“, GA №126. ექვსი ლექცია 1910/11 წწ. (იხ. ქართული თარგმანი 2015წ.)

ხუთი ერთმანეთის მომღევნო კულტურული ეპოქა, - იხ. რ. შტაინერის „იდუმალთმეტყველების ნარკევევი“, GA №13, ასევე ლექციების ციკლი „აღმოსავლეთი დასავლეთის ჭრილ ში. ლუციოფერის შვილები და ქრისტეს ძმები“, (ცხრა ლექცია, მიუნხენი 1909) GA №113.

41. ისტორიულ-მითოლოგიურ დოკუმენტები, - გილგამეშის ეპოსის თორმეტი ლურსმული ფირფიტა, ნაპოვნი ბორცვზე, სადაც აღმოჩენილია აშურბანიპალის სასახლის ნაშთები.

41. ერეკი, - ბიბლიაში (1 მოსე. 10, 10) ქალაქს ჰქვია ერეკი. ლურსმული ტექსტი მას უწოდებს ურუკს.

43. ეაბანი, - ლურსმული ტექსტში მას ეწოდება ენქიდუან ენგიდუ.

47. პითაგორა და სხვები, - იხ. დიოგენე ლაერტელი „ცნობილი ფილოსოფოსები“, ტ. II, წიგნი 8, პითაგორა; ასევე პლატონი და სხვ.

48. ქსისუტროსი, - იგივე ბეროსსოსი, შუმერული სახელის ზოუსუდრას გრეციზირებული ფორმა, - ბეიას ქურუმი ბაბილონში, რომელმაც დაახლოებით 280 წელს ქრისტეშობამდე, ბერძნულ ენაზე დაწერა ბაბილონ-ქალდეის ისტო-

რია, რომელიც ბაბილონის ტაძრების არქივებში მოიძია. ლურსმულ ტექსტში: უტნაპიშტიმი.

52. ეფესოს მისტერიები, - ამაზე ისაუბრა რუდოლფ შტაინერმა დეტალურად 1923 წლის 2 დეკემბერს. იხ. რ. შტაინერის „მისტერიების ფორმა”, (თოთხმეტი ლექცია, დორნახი 1923), GA №232

53 . . . საწყის მდგომარეობებს, - იხ. რ. შტაინერის „იდუ-მალომეტყველების ნარჩევი”, ასევე „ეგოლუცია ჰეშმარიტი თვალსაზრისით”, (ხუთი ლექცია, ბერლინი 1911), GA №132.

56. პერაკლიტებს: პერაკლიტე ეფესელი, ძვ. წელთაღრიცხვით 535-475 წწ. სოკრატემდელი ფილოსოფოსი. იხ. რ. შტაინერის „ქრისტიანობა როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები”.

57. არისტოტელი: ძვ. წელთაღრიცხვით 484-322 წწ. იხ. რ. შტაინერის „ფილოსოფიის გამოცანები ...”. GA №18.

ალექსანდრე დიდი: ძვ. წელთაღრიცხვით 356-323 წწ. 336 წლიდან მაკედონიის მეფე, გარდაიცვალა ბაბილონში.

59. პიბერნის მისტერიები: ცოტა ხნით ადრე 1923 წლის 7, 8 და 9 დეკემბერს ამაზე დეტალურად უპავე ისაუბრა რუდოლფ შტაინერმა („მისტერიების ფორმა”, GA №232).

ორივე აღწერის შედარება ბაბილონის კითხვებს, ხომ არ არის საუბარი ერთი და იგივე მოვლენის ორ ურთიერთგამომრიცხავ აღწერაზე: პროცესი, რომელიც აღწერილია ლექციებში „მისტერიების ფორმა”, – ზამთრის იმაგინაციების განცდა მზის კოლონების ზემოქმედებით, ზაფხულის იმაგინაციების განცდა მთვარის კოლონების ზეგავლენით, – მოჩვენებითად იკვეთება 27 დეკემბრის ლექციაში აღწერილთან, სადაც ზამთრის ხატები წარმოქმნება სწორედ მთვარის კოლონებისგან, ხოლო ზაფხულისა – მზის კოლონებისგან. ორივე აღწერის უფრო ზუსტ შედარებას მივყავართ იმასთან, რომ საუბარია განცდის ორ განსხვავებულ ასპექტზე: შემოთავაზებულ ლექციაში – განცდაზე უშუალოდ ორივე კოლონის წინაშე, რომლის წყალობითაც მოწაფე თავის თავს შეიმეცნებს როგორც მზის ან მთვარის არსებას; პირიქით, 8 დეკემბრის ლექციაში – პირველად თანხათანობით წარმოქმნილ გამოძახილზე, განპირობებული კოლონებისგან წამოსული განცდით,

რომელიც მოწაფეს ესენება როგორც მზისა და მთვარისგან შემოსული კოსმიური ზემოქმედება გარედან. (იხ. დეტალურად - GA №69).

70. „სიმღერა ალექსანდრეზე”: ლამპრეხტის პოემა. ლამპრეხტი, - პასტორი, ფრანგი მღვდელთმსახური. პოემა დაწერილია დაახ. 1125 წ., მსოფლიო ეპოსი, – უგავილის ეპიზოდი – იხ. ალექსანდრეს წერილების კრებული დადას და არისტოტელეს, ლექსი 5004-5205.

75. თეოფრასტმა: თეოფრასტი, ძვ. წელთაღრიცხვით 390-305, არისტოტელეს მოწაფე, რომელსაც უწოდეს არისტოტელეს მემკვიდრე ათენის სკოლის ხელმძღვანელის სახით.

77. ბერძნულ-ქრისტიანურ მისტერიებსა და უძველეს სამოთრაკოულ მისტერიებში: შდრ. 1923 წლის 14 და 21 დეკემბრის ლექციები, რ. შტაინერის „მისტერიების ფორმა”, GA №232.

89. პეროდოტე: პალიკარნასოსიდან, ძვ. წელთაღრიცხვით V საუბუნემდე, უძველესი ბერძენი ისტორიკოსი: აღწერა სპარსული ომები.

93. რომის ტირანიის გავლენით: იუსტინიანე, აღმოსავლეთ რომის იმპერატორი (527-565), გლეხის შვილი, 529 წელს ათენში გაგზავნა ედიქტი, რომელიც კრძალავდა ფილოსოფიის სწავლებასა და სამართლის განმარტებას, რის გამოც უკანასკნელმა შვიდმა ათენელმა ფილოსოფოსმა დატოვა რომის იმპერია და გადასახლდა სპარსეთში.

97. იულიანე აპოსტატის: იულიანე, რომელსაც უწოდეს განდგომილი, რომის იმპერატორი (361-363), – იხ. 1717 წლის 19 აპრილის ლექცია, რ. შტაინერის ციკლში „გოლგოთის მისტერიის წვდომის ქვაკუთხედი”, (GA №175).

98. „სულისმცოდნება“: თავდაპირველი სახელი: „თეოსოფია“, (1904, GA №9). იხ. თავი: სამი სამყარო.

105. ლექციების წინა ციკლში: იხ. შენიშვნა გვ. 62.

110. იაკობ ბიომე: - 1575-1624; პარაცელსი, 1493-1541; ვალენტინ ვეიგელი, 1533-1588. იხ. რ. შტაინერის „მისტიკა“. GA №7.

110 ბაზილიუს ვალენტინუსში, * – XV საუბუნის ალქიმიკოსი, ბენედიქტებლი ბერი ერთურტში. მისი ხელმძღვანელობით დაახლოებით 1600 წელს გამოქვეყნდა ალქიმიური შრომების სერია. იხ. რ. შტაინერის ლექცია, 26 აპრილი 1924წ.

ციკლში „პარმული ურთიერთგავშირების ეზოთერული მიმოხილვა“ ტომი 2. (17 ლექცია, დორნახი, 1924წ.), GA №236.

110 და მომდ. „ტანძოვარჯიშე ... რიტორი ... დოქტორი“ – ამის შესახებ რუდოლფ შტაინერმა დეტალურად ისაუბრა ციკლში „თანამედროვე სულიერი ცხოვრება და აღზრდა“, (GA №307), ასევე ლექცია 24 ივლისი 1924წ. (ცხრა ლექცია, არნჰაიმი 1924წ., GA №310).

127. მაგალითად, ფოთლებზე: შდრ. იხ. რ. შტაინერი, ლექცია დორნახში 1 დეკემბერი 1923წ. შესულია ციკლში „სამყარო და ადამიანი.“ (15 ლექცია გოეთეანუმის მშენებლების-თვის 1923, ტომი V.), GA №351.

137. ერთი წლის წინ . . . წაკითხულ ლექციას: დორნახი, 1922წ. ციკლში „ვარსკვლავიერი სამყაროს მიმართება ადამიანთან და ადამიანის მიმართება ვარსკვლავიერ სამყაროსთან“, (12 ლექცია, დორნახი 1922), GA №219.

146. ფორმები შენდებოდა: იხ. რ. შტაინერის „გოეთეანუმის შენობის იდეა“, ლექცია ბერნში 29 ივნისი 1921წ., GA №290.

152. მე ვკითხულობდი ლექციებს . . . ორგანიზებული იქოვ ვოლფის ბიუროს მიერ: შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული 1921/22წ. შესულია GA №80.

160. დოქტორი ცეილმანი: ფ. ვ. ცეილმანს ვან ემმიხელვენი, 1893-1961, მედიცინის დოქტორი ..., პოლანდიული ექიმი და მწერალი, პოლანდის ანთროპოსოფიული საზოგადოების გენერალური მდივანი; მას ეკუთვნის: „რუდოლფ შტაინერი, ბიოგრაფია“, შტუტგარტი 1961.

160. იტა ვეგმანი: 1876-1943, მედიცინის დოქტორი, ასწავლიდა და პრაქტიკას ეწეოდა ციურისში, მან 1921 წელს არლეს-პაიმში დააფუქნა კლინიკურ-თერაპიული ინსტიტუტი (ამჟამად იტა ვეგმანის კლინიკა). 1923 წლის შობიდან 1935 წლამდე საყოველთაო ანთროპოსოფიული საზოგადოების ფორმტანდის (მმართველი ორგანო) მდივანი და თავისუფალი უმაღლესი სკოლის სამედიცინო სექციის ხელმძღვანელი. 1924/25 წლებში რუდოლფ შტაინერის მკურნალი ექიმი და თანაავტორი წიგნისა: „სულისმეცნიერული შემეცნების საფუძველზე სამკურნალო ხელოვნების გაფართოება“ (GA №27).

ასოციაცია „კოგიტო“ გამოსაცემად
ამზადებს

რუდოლფ შტაინერი

„ოკულტური ისტორია“.
GA №126

რუდოლფ შტაინერი

„ხელდასხმულის ცნობიერება“.
GA №243

რუდოლფ შტაინერი

„ახალი სულიერება და ქრისტეს განცდა
მეოცე საუკუნეში“.
№ 200

დაგენდილია:

„კავშირი ადამიანებისთვის
განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ -
სტამბაში.
მმები უბილავების 8